გამოცემა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირისა.

განათლება

ეროვნული

სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალი.

№ 4 და 5.

აპრილი და მაისი 1920 წ.

Центральная библиотека Академия наук

ტფილისი

ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3.

1920

ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები.

(დასასრული.—იხ. № 3).

შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი გამოჩენილი პედაგოგი-მეცნიერი, რომელთა აზრით უძველენებოდაც, ახალი ევროპიული ენების და კულტურის შესწავლით შეიძლება მომზადდეს ახალ გაზრდა უმაღლეს სასწავლებლისათვის, მაგ. პროფ. ვიპერი, ვინოგრადოვი, პავლინოვი, ვიჩხოვი, მენზბირი, ოსტროუმოვი, მენდელეევი, სტოროჟენკო და სხვა. ზოგი მათგანი მაგ. პროფ. მორასოვეეი გვიმტკიცებს, რომ სტუდენტების მუშაობაზე დაკვირვებამ დაარწმუნა იგი, რომ რეალური სასწავლებლიდან მსმენელებს აზროვნების მუშაობა, რამდენადაც ეს გამოიხატება პრაქტიკულ მუშაობაში, უფრო უკეთესი აქვთ, ვიდრე კლასიკური გიმნაზიიდან.

ყველა ზემო აღნიშნული მოვლენათა ზედგავლენით ევროპაში და ამერიკაშიაც დიდი ხანია უკვე რაც არა თუ მოხდა ერთგვარი ემანსიპაცია კლასიკური და რეალური სასწავლებლების, არამედ პირველმა ბევრ შემთხვევაში სრულებით დაუთმო ალაგი მეორეს. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისი, სადაც მთავრობა აძლევს სუბსიდიას ყოველ სასწავლებელს, რომელიც კი ამას მოისურვებს იმ პირობით კი, რომ ეს ფული არამც და არამც არ მოახმაროს კლასიკური ენების სწავლებას. ამით სახელმწიფო უსპობს დახმარების საშუალებას ყველა იმ სასწავლებელს, რომელიც კლასიკურ განათლებას აძლევს მოწაფეს და რომელსაც ღებულობენ, როგორც საზოგადოდ შემჩნეულია, შეძლებული კლასების შვილები.

მაშასადამე: 1. თუ კლასიკური საშუალო სკოლა სრულიად ვერ აღწევდა თავის მიზანს, მაშინაც კი, როდესაც ბერძნულს და ლათინურს ენებს საპატიო ალაგი ეჭირათ (კვირაში 22 გაკვეთილი, შემდეგ 14 გაკ. და კიდევ შემდეგ 10 გაკვ.);

2. თუ ახალ გაზრდის ჰუმანიური განვითარება შეიძლება ახალი ენების, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლით;

3. თუ ახალი ევროპის კულტურა შეიძლება ჩაითვალოს კლასიკურ კულტურის სწორ-ღირებულ ეკვივალენტად, რომელიც შეიძლება სარჩულად დაედვას საშუალო სკოლის სისტემას;

4. თუ დღევანდელი მეცნიერება და ცხოვრება თხოულობს სხვა

პრაქტიკულ და საბუნების-მეტყველო საგნების შეტანას საშუალო სკოლის პროგრამაში;

5. თუ ცხოვრება აიძულებს მრავალთ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაუყონებლივ ჩაებენ პრაქტიკულ მუშაობაში, რისთვისაც აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომ საშუალო სკოლამ ახალ-გაზრდას მისცეს დამთავრებული საზოგადო განათლება და არა ნაწყვეტი იმ იმედით, რომ უმაღლეს სასწავლებელში იგი მას დაამთავრებს,—მაშინ კლასიკურ სკოლას ყოველივე ნიადაგი ეკარგება და დიდი შეცდომა იქნება, რომ ჩვენ ცხოვრების მიერ გარიყული, უარყოფილი, უშინაარსო, ძველებური უნივერსიტეტებისათვის მოსამზადებელი კლასიკური სკოლა ავაღორძინოთ.

ლათინური ენაც დაუყონებლივ უნდა იყოს განდევნილი ჩვენი სკოლიდან, როგორც სავალდებულო საგანი (მსურველთათვის შეიძლება ისწავლებოდეს ფაკულტატიურად).

კლასიკური ენების ალაგი უნდა დაიჭირონ ახალმა ენებმა. ეს გახლავთ დაჟინებითი მოთხოვნილება, როგორც პრაქტიკული ცხოვრების ისე სწავლა-აღზრდის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებისა. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მოსაზრებანი და აგრეთვე გამოჩენილ პედაგოგ-მეცნიერთა შეხედულება. ახალი ენების გრამატიკული ფორმების და სტილის მხრივ შესწავლა, მისი შედარება მშობლიურ ენასთან, ვარჯიშობა კითხვაში და თარგმანში სრულიად საკმარისს მასალას იძლევა ეგრედ წოდებულ გონების ფორმალურ გიმნასტიკისათვის. ამ მხრივ ახალი ენები არც კი ჩამოუვარდებიან კლასიკურ ენებს (პროფ. ვიპერის, სტოროჟენკოს, მენზბირის, უმოვის, ვინოგრადოვის და სხვათა). 2. უნდა აღვიაროთ, რომ მე-XX-ცე საუკუნეში უსაჭიროესი მნიშვნელობა აქვთ იმ ენებს, რომელთა საშუალებითაც ეხსნება გზა ახალი ხალხთა მეცნიერებას, ლიტერატურის და ფილოსოფიის შესწავლისაკენ. 3. უმაღლეს სასწავლებელში პროფესორები იძულებულნი არიან გააცნონ თავიანთი მსმენელები მეცნიერების მეთოდებს და შედეგებს, რაც დაწერილია ახალ ენებზე, მაგრამ ისინი უმეტეს შემთხვევებში ხვდებიან ენების უცოდინრობით გამოწვეულ გარდუვალ დაბრკოლებათ, რაც, რასაკვირველია ძალიან აფერხებს ახალგაზრდის ნორმალურად განვითარებას და ღირსეულად მომზადებას. 4. ახალი ენები საჭიროა ხალხთა დამოკიდებულების და ეკონომიური ცხოვრებით გამოწვეულ ერთმანეთთან მსვლელობის განსამტკი-

ცებლად. 5. ახალი ენები ცოცხალი ენებია და როგორც ასეთები, უფრო ადვილად შეიძლება მათი შესწავლა, ვიდრე უკვე სრულიად უსიცოცხლო კლასიკური ენებისა.

აქ ბუნებრივად ისმის საკითხი რამდენიმე უცხო ენა (ფრანგული, გერმანული, ინგლისური) უნდა ისწავლებოდეს? გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ენა, მოწაფის სურვილის მიხედვით უნდა იქნას სავალდებულო (ხოლო მეორე შეიძლება იყოს არა სავალდებულო) და აი რატომ: თუ მოწაფე ანდომებს რომელიმე საგნის შესწავლას განსაზღვრულ დროს, საჭიროა ეს საგანი ისე იყოს შეთვისებული, რომ იგი მას ცხოვრებაში გამოადგეს მოთხოვნილებისამებრ. ახალი ენაც ისე უნდა იქნეს შესწავლილი, რომ მოსწავლეს თავისუფლად შეეძლოს ისარგებლოს ამ ენით პრაქტიკულად. მაგ. თუ მას მოუხდება საზღვარ-გარედ წასვლა, შეეძლოს ლექციების მოსმენა, მეცნიერული წიგნების კითხვა და მუშაობა პრაკტიკული იქნება იგი, თუ მეცნიერული. წინააღმდეგ შემთხვევაში ენის სწავლება ხშირად იქნება ტყუილი დროის დაკარგვა. ამისათვის უცხო ენის სწავლება ხშირად იქნება ტყუილი დროის დაკარგვა. ამისათვის უცხო ენის სწავლების დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა გრამატიკულ ფორმების შეთვისებას, არამედ ენაში ვარჯიშობას, რომ კურსს დამთავრებულს შეეძლოს ზემოდ დასახულ მიზნებისათვის ცოდნის გამოყენება. ამასთან ერთად უნდა აღვიაროთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ორივე ენა მოწაფემ შეითვისოს ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენს მიერ დასახული მიზანი იმ მოკლე ხანში, როგორიც არის სასკოლო ხანა. ამის დასამტკიცებლად უხვად მოგვეპოვება მასალები ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან, სადაც ენათა სიმრავლეს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, მაგრამ ცოდნას კი თითქმის არავითარს აძლევდა ახალგაზრდას. აი რას ამბობს პროფ. ჟებელევი თავის მოხსენებაში: „Средняя школа и историко-филологическій факультетъ“. „Когда для провѣрки знаній были устроены по древнимъ языкамъ повѣрочные экзамены при университетѣ, то эти экзамены превратились въ своего рода избіеніе младенцевъ. Экзаминаторамъ приходится выслушивать такія ужасные отвѣты, которые свидѣтельсвуютъ о полномъ незнаніи студентами древныхъ языковъ. Несомненно, такіе же печальные результаты, я думаю, дали бы повѣрочныя испытанія и по новымъ языкамъ Мнѣ ежегодно приходится

сталкиваться у большинства студентовъ съ полной невозможностью для нихъ сдѣлать хоть какую-нибудь литературную справку на иностранномъ ялыкѣ". მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ როდესაც მოწაფეს ერთ-ერთი მდიდარი ევროპიული ენა ექმნება კარგად შეთვისებული, მაშინ თუ იგი მოისურვებს მეორე ენის შესწავლას, ადვილად მოახერხებს, რადგანაც სამშობლო და უცხო ენის შედარებითი საფუძვლიანი შესწავლა ისე განავითარებს მოწაფის გონებას ენათა ფორმების შესწავლის პროცესის გაადვილების მხრივ, რომ სხვა ენის შესწავლა დააკარგვინებს გაცილებით ნაკლებ დროს და ენერგიას.

ყველა ის, რაც აქ ჩვენ აღვნიშნეთ არის მხოლოდ ერთი თუმცა დიდი ნაბიჯი იმ მიზნისკენ, რომელიც ჩვენ დავუსახეთ განახლებულს სკოლას, განსაკუთრებით საშუალო სკოლას. მაგრამ მიზნის ჯეროვნად მისაღწევად ძირითადად უნდა შეიცვალოს სწავლა-აღზრდის მეთოდები ჩვენს ახალს სკოლაში. უნდა მოისპოს დოგმატიური, განყენებითი, თეორეტიული ხასიათი სწავლა-აღზრდისა და უნდა მიეცეს მას ცხოველ-მყოფელი, ბავშვის ბუნების და ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით მიმართულება. ახალმა სკოლამ უნდა გამოიმუშაოს ახალი ცხოვრების შემოქმედი პიროვნება. მაგრამ შემოქმედი ნიჭით აღჭურვილი პიროვნება შეიძლება დამუშავდეს მაშინ, როდესაც მას ავარჯიშებთ შემოქმედებაში. ამისათვის მოწაფეში უნდა განვითარდეს ინიციატივა და თვითმოქმედება. ძველი სკოლა თავისი დოგმატიური მეთოდებით, რომელთა მიზანიც იყო შეესწავლებინა ყმაწვილისათვის რაც შეიძლება ბევრი ფაქტი მეხსიერების და წიგნის საშუალებით, ანვითარებდა მასში პასიობას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მიმბაძველობას. აი ამის შესახებ რას ამბობს პროფესორი მეიმანი თავის „ექსპერიმენტალურ პედაგოგიკა"-ში III ნაწ. „Все наше преподаваніе даетъ ученику слишкомъ мало случаевъ для самодѣятельности и для развитія умственной самостоятельности и слишкомъ принуждаетъ его къ пассивному воспринимаію предлагеемыхъ знаній. Слѣдствіемъ этого является поистинѣ ужасающая умственная несамостоятельность и слабость сужденія, а также недостатокъ умственной иниціативы въ широкихъ кругахъ народа,—фактъ, который имѣетъ огромное значеніе для его внутренняго и внѣшняго благополучія". მართლაც, ცოდნა, თუ მისი სარგებლობა კაცს არ შეუძლია, არავითარ ღი-

რებულებას არ წარმოადგენს. იქ, სადაც პიროვნება აქტიობას არ იჩენს, სადაც აზრი და საქმე არ არიან ერთად შედუღებულნი, სადაც პიროვნების პრაკტიკული, ინტელექტუალური და მორალური სურვილის რეალური გამოხატულება პირველსავე ცდის დროს უშედეგოდ იფანტება,—იქ არსებითად არ არის პიროვნება. პიროვნების განსაკუთრებული თვისება და მაღალი ღირებულება გახლავთ მის შრომის, შემოქმედების, გარდაქმნის და თვის სურვილთა ცხოვრებაში გატარების უნარში. „Мало образовать умнаго и понимающаго человѣка,—ამბობს ლესგაფტი თავის „საოჯახო აღზრდაში“—необходимо еще, чтобы онъ могъ настоичиво и энергично проявлять свои волевыя отправленія и былъ въ состояніи твердо держаться выработанныхъ истинъ и принциповъ“. ასე აღზრდა მოწაფისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი საგნის შესწავლა დაეყრდნობა ფართო ლაბარატორიულ მეთოდს, როდესაც მოწაფე პასიურ დაზეპირებას კი არ მოანდომებს დროს და ენერგიას, არამედ ყოველივე საგნის შესწავლას ექნება მიზნად მეთოდის, ღრმა ანალიზის გაკეთების ჩვეულების, დაკვირვების, თვით მოქმედების და თვით შემოქმედების გამომუშავება მასში.

რომ მიზანი ჩვენი ახალი სკოლისა—ჰარმონიული პიროვნების განვითარება—უფრო ადვილად და ბუნებრივადაც იყოს მიღწეული მის სასწავლო გეგმაში, უნდა შევიტანოთ ეგრედ წოდებული აღმზრდელობითი საგნები: ხელთ-ვარჯიშობა, გიმნასტიკა, ხატვა და მუსიკა.

შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ყველა ახლანდელ პედაგოგიურ მიმართულებათა ცენტრად, ძირითად პრინციპად ითვლება შრომის პრინციპი—შრომის სკოლა, რომლის აუცილებელი ელემენტია ხელთ-გარჯილობა, სწორეთ ამ ხელთ-გარჯილობას უნდა დაეთმოს საპატიო ალაგი ჩვენს სკოლაში, ხელთ-გარჯილობა, რასაკვირველია, არ არის მხოლოდ ამოძრავება, ვარჯიშობა ხელის ან რომელიმე სხეულის ორგანოსი; ის მშვენივრად ანვითარებს გონებას, აძლევს ძალას, აჩვევს აზრის სწორე გამოხატულებას, ზრდის ნების-ყოფას და აფაქიზებს გრძნობას. ხელთ-გარჯილობის უმთავრესი მიზანია, არა საგნის გაკეთება, არამედ პიროვნებისათვის შინაარსის მიცემა მუშაობის პროცესის მეოხებით. ამ მხრივ ხელთ-გარჯილობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი მხარე ხელთ-გარჯილობისა. მეორე მხარე გამოიხატება თვით პროფესიის შეჩვევაში: მოწაფე, როდესაც თვითონ მუშაობს

სხვა და სხვა იარაღის საშუალებით, ეჩვევა ფიზიკურ მუშაობას, იგებს მის აზრს და შრომისადმი პატივისცემით და სიყვარულით იმსჭვალება. ხელთ-გარჯილობა ამ მხრივ აძლევს მოწაფეს: 1) ხელობის ელემენტების ცოდნას და მით ამზადებს მას პრაკტიკულ ცხოვრებისათვის მის ბუნების მიდრეკილების მიხედვით და 2) აბამს მჭიდრო ძაფს მის და მშრომელი ხალხის შორის.

მართლადაც, თუ დღევანდელი სკოლა არა ცდილობს და არც აქვს საშუალება განავითაროს მოწაფეში საზოგადოებრივი შეგნება, უჩვენოს ცალკე პიროვნებას ალაგი საზოგადოებაში და ის, თუ რას აძლევს მას საზოგადოება, და მით მასში გააღვიძოს საზოგადოებრივ მოღვაწეობის აუცილებლობა, ჩვენს ახალს სკოლას კი საერთო სწავლა-აღზრდის სისტემასთან ერთად ამას გაუადვილებს ხელთ-გარჯილობა, რომელიც მოწაფეებში განავითარებს თანამშრომლობის მიდრეკილებას და პრინციპს, იქნება ეს თანამშრომლობა მეურნეობის, მეცნიერების თუ ხელოვნების ხასიათის, რომელმაც უნდა დაიმორჩილოს ცხოვრება, მისცეს მას ახალი ძალა და შემძლებლობა, შეაჩვიოს საერთო მუშაობას და ბრძოლას.

ჩვენ დიდი მომხრენი ვართ, რომ ხელთ-გარჯილობას, საერთოდ შრომის პრინციპს, ფრიად საპატიო ალაგი დაუთმოს ჩვენს განახლებულს სკოლის ყველა საფეხურზე. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სასარგებლო საგნის გატარებას ყველა საფეხურზე ჯერ-ჯერობით ვერ შევსძლებთ: 1) რადგანაც დიდი ხარჯის გაწევა მოგვიხდება, რომ ცოტად თუ ბევრად სათანადოთ მოვაწყოთ სასწავლებლებთან სახელოსნოები. 2) არა გვყავს ამ საქმისათვის საკმარისად მომზადებული პირნი. ჯერ-ჯერობით შრომის პრინციპი გატარებული უნდა იყოს სახალხო სკოლის პირველ საფეხურზე მაინც და შემდეგ უსათოოდ ღირსეულად უნდა მოეწყოს ეს საქმე სკოლის ყველა საფეხურზე.

ჩვენს ახალს სკოლაში აგრეთვე საპატიო ალაგი უნდა დაიჭიროს გიმნასტიკის სწავლებამ, რომელიც, ერთის მხრივ, სხეულს ამაგრებს, ასაღებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების საქმის რაციონალურად დაყენებისათვის, მეორეს მხრით, მრავალ გვარი სისტემატიური სხეულის ვარჯიშობა სპობს მის პასიობას (მცონარობას); აჩვევს მას ადვილს და სუბუქ მოძრაობას და უმორჩილებს პიროვნების სხეულის ორგანოებს. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ კარგად მოგეხსენებათ, რა სიძნელეს წარმოადგენს ყმაწვილისათვის სხეულის ჩვეულებათა და მიდრეკილებათა და-

ბრკოლებების და ძლევა მის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარების დროს. „Главнымъ препятствіемъ, всего труднѣе преодолимымъ человѣкомъ, служатъ чувственныя его стремленія“, ამბობს ლესკაფტი. მესამე მხრით, სხეულის მწყობრი სისტემატიური ვარჯიშობა იმუშავებს მოწაფეში პლასტიკას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის ესტეტიურ გრძნობათა აღზრდაში. საერთოდ ესტეტიურ მხარეს დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ჩვენს ახალს სკოლაში. უუკანასკნელოდ პიროვნება ცხოვრებაში რაღაც ხარვეზს (пробѣлъ) ჰგრძნობს.

ჩვენს მიერ დასახულ ახალს სკოლაში გავავითარეთ, ავამაღლეთ მოწაფის გონება, გავაძლიერეთ მისი ნების-ყოფა, შევაყვარეთ მათ მუშაობა, მივეცით მას აქტიური სიყვარული და პატივისცემა მშრომელი ხალხისადმი, მაგრამ ახალს სკოლაში არ არის კიდევ ერთი ცხოველ მყოფელი ელემენტი, რომელიც აუცილებელი საჭიროა, ჩემის და მრავალი გამოჩენილი პედაგოგის აზრითაც , ჰარმონიული მთლიანი პიროვნების შექმნისათვის. ეს გახლავთ პოეზია—სილამაზის შემეცნება, რომელსაც ისევე საჭიროებს, ნამეტნავად ახალ-გაზრდა, როგორც მზეს და რომლის დაკმაყოფილებაც შეიძლება მუსიკის სხვა და სხვა დარგის შესწავლით მოწაფის მიდრეკილების მიხედვით. მუსიკა აღრმავებს და ანსპეტაკებს არა მარტო მოწაფის ესტეტიურ განცდას, არამედ აღრმავებს და ანსპეტაკებს აგრეთვე მის გონებას და დაკვირვებას.

ყველა ზემო აღნიშნულის მოსაზრებათა მიხედვით სამინისტრომ აუცილებლივ უნდა აღიაროს მიზან-შეწონილად ის მრავალ-საგნობა, რომელიც გამეფებულია დღევანდელ სკოლაში და რომელიც უხშობს მოწაფეს თვითმოქმედების და შემოქმედების უნარს. დაუყონებლივ უნდა დაიმუშაოს პროგრამები, სადაც იხელმძღვანელებს არა ფაქტების და სწავლის პრინციპით, არამედ საგნის და ფაქტის შესწავლისა; პროგრამები განწმენდილნი უნდა იყვენ ბალასტისაგან, საგნის უმნიშვნელო ნაწილებისაგან. მხოლოდ მაშინ მიეცემა სკოლას საშუალება მიაღწიოს ზემოდ დასახულ მიზანს.

მაშინ ჩვენი სკოლა იქნება—სკოლა ცხოვრებისა, სადაც სიყვარულით მოვლენ, როგორც მოწაფეები ისე მასწავლებელნი, სადაც ცხოვრების შინაარსს კი არ შეჰკვეცენ წიგნების მიხედვით, არამედ ცხოვრების მიხედვით გააფართოვებენ წიგნებს. სადაც ყველანი გატაცებულნი იქნებიან დაუშრეტელი სურვილით ცხოვრებისადმი, სადაც მოწყენილობას,

ესაქმიანობისაგან გამოწვეულ ტანჯვას არ ექნება ადგილი, სადაც მასწავლებელი მოწაფეებთან ერთად ისწავლის, დაუკვირდება ცხოვრებას, გაერჩევა მის მოვლენებში და სადაც, თუ მათ არ ექნებათ სურვილი იფიქრონ, იმუშაონ, სიამოვნებით და ნაყოფიერებით დაისვენებენ მუსიკაზე და პოეტურ ნაწარმოებებზე. ასეთი სკოლა გაახალისებს არა მარტო მოწაფეებს, არამედ მასწავლებლებსაც, რადგანაც ის მისცემს მას საშუალებას ბავშვებთან ერთად სკოლაში ჩაბმული სცხოვრობდეს ადამიანის ცხოვრებით, რადგანაც მას მიეცემა მეტი თვითმოქმედების თავისუფლება. და ახალი სკოლა აზროვნებისა, შრომისა, ადამიანობისა და პოეზიისა მოწაფეთათვის გადაიქცევა ცხოვრების და შემოქმედების სკოლად მასწავლებელთათვისაც. მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება რა გატაცებით ამუშავდება და აამუშავებს სკოლას, რამდენ ცხოველ-მყოფელობას შეიტანს, წასწევს წინ ჩქარის ტემპით და აიყვანს სასურველ სიმაღლემდის მას, ცოცხალი ინტერესებით გამსჭვალული მასწავლებელი.

მ. ზანდუკელი.

ძველ და ახალ მწერალთა და გამოჩენილ პედაგოგთა აზრი აღზრდის შესახებ.

(შემდეგი.—იხ. № 3).

იან-ამოს კომენსკი. (1592-1671) ეს უდიდესი ადამიანი პედაგოგიკის დარგში იყო სლავიანელი, ჩამომავლობით მორავიიდან, შემდეგში ბოგემის ძმების ეპისკოპოზი. თავისი პედაგოგიური სისტემა მან გამოსთქვა თავის თხზულებაში: „დიდებული დიდაქტიკა“. ავიღოთ იქიდან ზოგიერთა ადგილები. „დიდებულ დიდაქტიკის მიზანს,—ამბობს კომენსკი,—შეადგენს სამდვილი სწავლების ყველაფრის, ისე კი რომ მეცადინეობა უნაყოფოთ არ დარჩეს; ვასწავლოთ სწრაფათ, რომ მოწაფეებმა და მასწავლებლებმა კი არ მოიწყინოთ, არამედ განიცადონ სიამოვნება; ვასწავლოთ საფუძვლიანად, დაუახლოვოთ ყველანი ჭეშმარიტ მეცნიერებას, კეთილ ზნეობას და მართლ-მორწმუნოებას“.

სწავლების მთელი ხანა კომენსკიმ დაჰყო 4 სკოლად: 1) დედის სკო-

ლა (6 წლიდან), 2) სახალხო ანუ სამშობლო ენის (6-დან 12 წლამდინ), 3) ლათინური ანუ გიმნაზია (12-დან 18-დინ) და 4) აკადემია ანუ უნივერსიტეტი (18-დან 24-დინ). განათლების საუკეთესო დამგვირგვინებელი კომენსკის აზრით არის მოგზაურობანი.

დედის სკოლა ყოველ ოჯახში უნდა იყოს, სახალხო—ყოველ მრევლში, გიმნაზია—ყოველ ქალაქში, აკადემია ანუ უნივერსიტეტი—ყოველ ოლქთა თუ ბევრათ შესანიშნავ პროვინციაში.

საზოგადოებრივი სკოლები უნდა ინახებოდეს სახელმწიფოს მიერ: მეცადინეობა როგორიც ვაჟებისთვის, ისევე ქალებისთვის უნდა იყოს ერთად; ყოველი ამისთანა სკოლა უნდა იყოს საყოველთაო და სავალდებულო. დედის სკოლაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა ჰქონდეს ფიზიკურ აღზრდას, მაგრამ ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას, ბავშვთა ასაკის მიხედვით. უფროსების კარგის მაგალითით, ბავშვს კარგ ზნეობას და ყოფა-ქცევას ეყრება საძირკველი.

კომენსკის აზრით სკოლამ უნდა განავითაროს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ბუნების ყოველი მხარე. რომ მეცადინეობა სასიამოვნო იყოს ბავშვისთვის, ამისთვის იგი არ უნდა დავღალოთ გადაჭარბებული ხანგრძლივი მეცადინეობით. ამ შემთხვევაში კომენსკი დიდ მნიშვნელობას აძლევს საჩუქრებს, გაკიცხვას და გაჯიბრებას. (სიფრთხილით). ბავშვს სიყვარული და ხალისი სწავლისადმი უნდა გაუღვიძონ მშობლებმა და აღმზრდელებმა, სკოლამ და საზოგადოებამ. ამისთვის: 1) მშობლები უნდა ადიდებდნენ და აქებდნენ სწავლას და სწავლულებს; უნდა აჩვენებდნენ ბავშვებს საუკეთესო წიგნებს, სურათებს და დიდის პატივისცემით უნდა იხსენიებდნენ მასწავლებლებს; 2) მასწავლებლები უნდა იყვნენ ალერსიანნი და კეთილნი ბავშვებთან; იმათ კარგათ უნდა იცოდნენ ბავშვის ბუნება; უნდა სარგებლობდენ ყველა მოხერხებულის წუთით, რომ რაიმე საინტერესო მიაწოდონ მათ; 3) სკოლა კარგათ უნდა იყოს მოწყობილი, ნათელი, მხიარული, მრავალის სურათებით, მოდელებით, კოლექციებით; სწავლების მეთოდი უნდა იყოს დამყარებული ცდებზედ და ამასთანავე თვალსაჩინო; ყოველი ცოტა მათ შეგნებას არ უნდა აღემატებოდეს; 4) საზოგადოებამ უნდა გაახალისოს მოწაფენი გამოცდებით და საჩუქრებით. ბავშვი უნდა დაისაჯოს მაშინ, თუ იგი ზნეობრივად დამნაშავეა; თუ ცუდათ სწავლობს, ეს მასწავლებლის ბრალია.

როგორც გულწრფელი ქრისტიანი, კომენსკი მოითხოვდა, რომ მთელი მეცადინეობა ნამდვილი ქრისტიანურის სულით იყოს გაჟღინთული. სარწმუნოებრივი და ზნეობრივი აღზრდა უნდა დაიწყონ პატარაობიდანვე.

„სიკეთეს, ბავშვები კეთილის საქმეების ნახვით უნდა ეჩვეოდენ. ისინი, როგორც სიარულს სწავლობენ. სიარულის საშუალებით ლაპარაკს—ლაპარაკის, წერას—წერის საშუალებით, სწორეთ აგრეთვე მორჩილებას უნდა მიეჩვევნენ მორჩილების საშუალებით, მოთმენას—მოთმინების და სიმართლეს—მართალის ლაპარაკის საშუალებით“. „აღზრდის დროს ბავშვები უნდა ხედავდნენ უფროსების კარგ საქციელს; კარგი მაგალითი, ბავშვს კარგ გზაზედ დააყენებს. რასაც ბავშვები ხედავენ, იმას ადვილად ჰბაძავენ; ისინი უფრო ადრე მიჰბაძვენ, ვიდრე შეიგნებენ ხოლმე. ბავშვები უნდა ვარიდოთ ცუდი ზნეობის ხალხს, ამხანაგებს, რათა მათ არ მიჰბაძონ ცუდ მაგალითებში“.

სკოლის დისციპლინა, კომენსკის აზრით, უსაჭიროესი, აუცილებელი პირობა მეცადინების და აღზრდის ნაყოფიერების. „სკოლა უდისციპლინოთ, წაგავს უწყლო წისქვილს“. „მაგრამ დისციპლინა დაცულ უნდა იქმნას არა ყვირილით, ცემით და დამუქრებით, არამედ ყურადღებით და სიყვარულით“.

„დისციპლინის ყოველმა ღონისძიებამ უნდა დაარწმუნოს ბავშვი, რომ ეს მის საკეთილდღეოთ არის გამოწვეული“.

ჯონ-ლოკი (1632—1702) იყო გამოჩენილი ინგლისელი მეაზროვნე. თავის თხზულებაში ადამიანის გონებაზედ“ იგი ახალ მიმართულებას აძლევს სულიერ მოვლენათ (ფსიხოლოგიას). თვით დაკვირვება ანუ ფარული ცდა და მის საშუალებით დასკვნა (ინტუკტიურის წესით) ადამიანის სულიერ ცხოვრების კანონებისა—აი გზა, რომლითაც უნდა დავიწყოთ სულიერ მოვლენათა შესწავლა.

თავის თხზულებაში „ბავშვების აღზრდაზედ“, ლოკი აი რას ამბობს ადამიანზედ აღზრდის დიდი გავლენის შესახებ: „თუ ასი ადამიანიდან ოთხმოცდა ათი კეთილი ან ბოროტია, სასარგებლო ან არა სასარგებლო საზოგადოებისთვის, ეს იმიტომ რომ იმათ მიიღეს კარგი ან ცუდი აღზრდა“.

ბავშვზედ რომ გავლენა ვიქონიოთ, საჭიროა აღმზრდელებმა და მშობლებმა ბავშვის თვალში მოიპოვოს ავტორიტეტი. „დეე, ბავშვს

უყვარდეთ და ეშინოდეს თქვენი: ეს ორი გრძნობა ალზრდის უმთავრესი საქმეა. და როცა გაამაგრებთ თქვენ უფლებას და ბავშვი დაინახავს რომ მისი პიროვნების სიავკარგე თქვენზეა დამოკიდებული; როცა მას დააყენებთ კარგ გზაზედ, დაავიწყებინებთ სიცრუეს, სიკერპეს, როცა იგი შეიგნებს, მიხვდება თავისადმი თქვენ სიყვარულს და მხურვალედ და შეგნებულად შეგიყვარებთ თქვენ,—მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ შესცვალოთ თქვენი მოქმედების გეგმა, მაგალითებრ:

„ბავშვის გაზრდასთან ერთად უკუ აგდეთ თქვენც სიმკაცრე, ბრძანებლობა და ალერსს და მეგობრობას მიეცით გზა; ჩაითრიეთ ლაპარაკში ბავშვი, გაუზიარეთ თქვენი საქმეები და ზრახვანი, რამდენადაც ეს მათ გაიგებს“.

„ალზრდის მიზანია საღ სხეულში საღი სულის შექმნა“. საღი სხეული საღ სულთან ერთად შეადგენს ადამიანის ბედნიერების უსაჭიროეს პირობას. თუ ადამიანი ან სხეულით ან სულით სუსტია, იგი ბედნიერი თავის დღეში არ იქნება საღი სხეულის შექმნისთვის, ლოკკი გვაძლევს რამდენიმე ჰიგიენურ რჩევას. უმთავრესად:

ბავშვის სხეული უნდა მივაჩვიოთ ამინდის ყოველნაირ ცვლილებას, რათა ხშირად არ გაცივდეს ხოლმე. სხეულის გასამაგრებლად საჭიროა ცივ წყალში ბანაობა. ცურაობა, ერთად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია. ვაჟები მომეტებულ დროს უნდა ატარებდნენ ჰაერზედ, როგორი ამინდიც უნდა იყოს. ბავშვების ძალიან თბილად შენახვას ლოკკი სრულიად არ გვირჩევს. საჭმელს ბავშვები ერთსა და იმავე დროს უნდა სჭამდნენ, ამასთან საჭმელი არ უნდა იყოს ბევრნაირათ შეზავებული. ღვინის ან არყის სმა სასტიკათ უნდა აეკრძალოთ; ბავშვები ადრე უნდა დაწვნენ და ადრე ადგნენ: რვა საათი ძილი მათთვის სრულიად საკმარისია. ლოგინი არ უნდა იყოს ძალიან რბილი; ყურთუკი და ბუმბული ბავშვებისთვის სულ მეტია. ბავშვის სხეული წამლებს არ უნდა მიეჩვიოს. წამალს და ექიმს უნდა მიმართოთ უკიდურეს შემთხვევაში. მდიდარ მშობლების შვილების ალზრდა არ უნდა განირჩეოდეს გლეხის შვილების ალზრდისაგან.

ზნეობრივ ალზრდის დროს ბავშვი უნდა მივაჩვიოთ იხელმძღვანელოს ამა თუ იმ საქციელის დროს არა ჟინით, არამედ გონებით. „არამც და არამც ხელი არ უნდა შევუწყოთ ბავშვის ჟინის ან სურვილის დაკმაყოფილებას; პირ იქით რაც შეიძლება ცივი უარი უნდა მიიღოს. თა-

ვის დღეში არ უნდა აუსრულოთ ბავშვს ის, რასაც ის დაჟინებით, ახირებულად თხოულობს, ყვირის, რათა სურვილს ყვირილით მიაღწიოს. ბავშვის ნამდვილი ნორმალური მოთხოვნილება კი სიამოვნებით უნდა აღსრულდეს. თუ, მაგალითებრ, ბავშვი მოითხოვს ჭამას ან სმას, რასაკვირველია ეს უეჭველად უნდა ასრულდეს; მაგრამ თუ ამასთან იგი დაჟინებით მოითხოვს ტკბილეულობას ან ღვინოს, ეს, რასაკვირველია, არ უნდა შესრულდეს და ბავშმა ცივი უარი უნდა მიიღოს. ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს თავის ჟინის შეზღუდვას".

თუ გვინდა გავლენა ვიქონიოთ ჩვენ გაზრდილზედ, ლოკკის აზრით, საჭიროა გაულვიძოთ იმას ალლო პატიოსნებისა და უსინიდისობისადმი. ქება და გაკიცხვა ბუნებრივი საშუალებანია, რომ ბავშვზედ ვიმოქმედოთ. რამდენადაც ქება გამოიწვევს ბავშვში სიხარულს, იმდენად გაკიცხვა დაარცხვენს მას და მეორედ ეცდება გააკეთოს ის, რაც საქებურია.

ლოკკი გვირჩევს შევაქოთ ხან და ხან ბავშვი საჯაროთ, რადგანაც საჯარო ქება უფრო მეტად გაამხნევებს მას. მაგრამ საჯაროდ გაკიცხვა კი ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამით ჩვენ ბავშვში ვკლავთ სირცხვილის გრძნობას. ცემას და ამგვარ რაიმე დასჯის ლოკკი სრულიად უარჰყოფს ამგვარ დასჯას შეიძლება მივმართოთ მაშინ, როცა ბავშვი გამოიჩენს დიდ სიკერპეს ან თავის ნებით მოიქცევა. ამ შემთხვევაშიაც უნდა დავანახვოთ ბავშვს, რომ მისი დასჯა ჩვენ გვინდა არა ტკივილებით, არამედ თვით ცემით და აი სწორეთ ეს არის მისთვის სამარცხვინო „სირცხვილი რაიმე ცუდის გაკეთების წონაში და დასჯა, ეს არის ერთად ერთი აღვირი, რომლითაც შეიძლება ბავშვების თავის დაჭერა".

თვით მშობლებმა არ უნდა დასაჯონ ბავშვები, ეს უნდა მიანდონ მოსამსახურეს, რომ ბავშვმა მშობლების ხელიდან არ იგრძნოს დასჯის სიმწვავე. ამ რიგათ მშობლის უფლების პატივისცემა ისევ ისე დარჩება; ბავშვის მთელი გულის წყრომა კი ვადავა სულ იმ პირზედ, რომელმაც მას მიაყენა ტკივილი".

„თავის დღეში არ უნდა დაისაჯოს ბავშვი დიდი სიბრაზის დროს, რადგანაც ადვილად შეიძლება დასჯა გადაჭარბებული გამოვიდეს და ამის მშობელმა ბავშვის თვალში დაჰკარგოს პატივისცემა. ბავშვები ძალიან კარგათ არჩევენ სამართლიანობას უსამართლობისაგან".

დასჯის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამ გა-

მოიწვია ესა თუ ის ცუდი საქციელი. აქ საჭიროა მოვძებნოთ მიზეზი, რომელმაც აიძულა „ბავშვი ჩაედინა ესა თუ ის ცუდი საქციელი.“.

დასჯის გარდა ლოკკი გვირჩევს ვიმოქმედოთ ბავშვზედ დარიგებით; უნდა მოვუყვანოთ ისეთი მაგალითები, რომლებიც ეხება იმას, რაშიაც გვინდა დავარწმუნოთ ბავშვი.

„ბავშვს ძალიან ბევრი მოთხოვნილება არ უნდა წავუყენოთ. ის უნდა მოვთხოვოთ მას, რაც საჭიროა. მაგრამ თუ რაიმეს მოვთხოვთ ბავშვს, უნდა კიდეც ავასრულებინოთ ეს. პატიება და საქმის შედეგისთვის გადადება მავნებელია.

„ბავშვი მიჩვეული უნდა იყოს კარგ მიხვრა-მოხვრას, უფროსებისადმი პატივისცემას; ყველა ეს უნდა შეადგენდეს კარგ აღზრდილ ადამიანის კუთვნილებას. კარგ მიხვრა-მოხვრას. და პატივისცემას ბავშვი ბითვისებს იმ საზოგადოებისაგან, წრისაგან, რომელშიც იგი ტრიალებს. ცეკვა დიდ სამსახურს უწევს კარგ მიხვრა-მოხვრის შემუშავებას, ამიტომაც ცეკვა ბავშვს პატარაობიდანვე უნდა დავაწყობინოთ.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ვცდილობთ ბავშვი კარგ მიხვრა-მოხვრის და უფროსებისადმი პატივის ცემის განვითარებას, იმავე დროს არ უნდა დაიტოვოს უყურადღებოთ ბავშვის სულიერი თვისებანი, უნდა გავაფაქიზოთ, შეუფარდოთ იგი ხასიათის გარეგნულ სილამაზეს.

უნდა გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს ბავშვის ზრდას, განვითარებას, ფრთხილად წინაღუდგეთ ყველა ცუდ თვისებებს და ვეცადოთ ალერსიანის სიტყვით და კარგ მაგალითებით აღმოფხვრათ იგი. უნდა ვებრძოლოთ ბავშვის უზრდელობას: მაგ. 1) თავხედობას, 2) ადამიანისადმი უყურადღებობას და უპატივცემულობას, 3)ხალხის გაკიცხვას, ჭორიკანაობას, დაცინვას და წინააღმდეგობას და 4) დიდრონების ლაპარაკში ჩარევას და ჩხუბს.

უნდა წინაღუდგეთ ბავშვის ძუნწობას და განუვითაროთ მას გულუხვობა (და არა ფლანგვა).

ყოველ წუთს დარაჯათ უნდა ვედგეთ, რომ ბავშვმა არ დაარღვიოს სამართლიანობის, პატიოსნების და სხვა წესები, პატივს უნდა სცემდეს სხვის საკუთრებას. უნდა შევაჯავროთ მას უსამართლობა, უსინდისობა და არამც და არამც არ დაუშოთ იგი იქამდინ, რომ ჩაიდინოს სინიდისის რაიმე საწინააღმდეგო“.

სასტიკი ზომები უნდა იყოს მიღებული სიცრუის წინააღმდეგ; ამ

ხერხს ბავშვები ხშირათ მიმართავენ ხოლმე, თავიანთ ცუდი საქციელის დასამალავად; ამიტომ ჩვენ უნდა შევაჯავროთ მით, მათ სიცრუე, სხვა და სხვა მაგალითებით ბავშვს უნდა დაუხატოთ სიცრუე, როგორც ერთი უსაძაგლესი თვისებათაგანი, იმდენად საძაგელი, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანი ზიზღს იგრძნობს ტყუილის მთქმელისადმი. თუ შევატყეთ ბავშვს სიცრუე, უნდა ზიზღით მოვექცეთ მას, დავანახოთ მთელი ჩვენი აღშფოთება და რამდენიმე ხნის განმავლობაში ბავშვი ხედავდეს ჩვენგან წყროომას და ზიზღს თავის საქციელისადმი".

ბავშვის ცოდნისკენ მისწრაფება გამოიხატება მის ცოდნის მოყვარეობაში. იძლევიან კითხვას. ყოველი მათი კითხვა ლოკკის აზრით დაკმაყოფილებული უნდა იქმნას.

„არც ერთი კითხვა ბავშვისა, უყურადღებოთ არ უნდა დავტოვოთ, უნდა გულდასმით აუხსნათ ბავშვს ყველა ის, რის გაგებაც მას უნდა ამ წუთს. რაიმე ახალი ცოდნის შეძენა მას ახალისებს და სიამოვნებით იძლევა კითხვებს. როცა ბავშვს მის კითხვებზედ პასუხს ვაძლევთ, არ უნდა დავცინოთ, როგორიც უნდა იყოს მისი კითხვა. არ უნდა მოვატყუოთ ბავშვები; თუ ბავშვი იმისთანა კითხვას მოგვცემს, რომ მისი გაგება მისთვის ადრეა, არ უნდა მოვატყუოთ ცრუ პასუხებით; უნდა პირდაპირ ვუთხრათ ბავშვებს, რომ ამის გაგება ამისთვის ადრეა".

სწავლების დროს, მეცადინეობა ბავშვისთვის სასიამოვნო უნდა შევქმნათ, უნდა ხალისი გავუღვიძოთ სწავლისადმი. გახალისებული ბავშვი სამჯერ მეტს გააკეთებს, მეტს მოასწრობს, ვიდრე მაშინ, როცა იგი სწავლას უხალისოდ იწყობს. ხალისი კი უნდა გავუღვიძოთ არა ტკბილეულობით არამედ ცოდნის მოყვარეობის გაღვიძებით. მეცადინეობის დროს დასჯა არა მოქმედობს „ვინც მეცადინეობის დროს მიმართავს დასჯას, ის სრულიად შეაჯავრებს ბავშვს სწავლას".

„ბავშვები, მომეტებულ შემთხვევაში, უნდა იმყოფებოდნენ ან მშობლების ან თავიანთ აღმზრდელების საზოგადოებაში, მხოლოდ მათი თავისუფლება შეზღუდული არ უნდა იყოს და არ უნდა შევავიწროვოთ ისინი. თუ დიდების საზოგადოება მათ არ აკმაყოფილებს და უფრო ავიწროებს მათ, მაშინ არ უნდა დაუშალოთ მათ ბავშური სიცელქე და თამაშობა. მხოლოდ აქ ყურადღება უნდა მიექცეს, რათა ეს თამაშობები და სიცელქე უვარგისი არ იყოს. სხვაფრივ კი უნდა სრული თავისუფლება მივსცეთ ბავშვს და არ შევზღუდოთ მისი ბავშური ბუნება".

ფენელონი (1651—1715) ფრანგების გამოჩენილი მწერალი და პედაგოგია, დასწერა ტრაქტატი „ქალების აღზრდაზედ“. ის მხარს უჭერს ქალების სწორ აღზრდას და მათი გულების გაკეთილშობილებას. „თუ ჩვენ ქალს პატარაობიდანვე არ შევაჩვევთ შრომის მოყვარეობას და სერიოზულ მუშაობას,—ამბობს იგი,—მაშინ იგი მიეჩვევა უქმად ჯდომას; მას მოუნდება დროს გატარება, სიამოვნება, ჩაცმა-დახურვა და სრულიად არ გამოდგება ცხოვრებისათვის... უნდა ვერიდოთ განებივრებას და მხდალობას, უნდა ვებრძოლოთ მათ ეჭვიანობას, ცბიერებას, წარა-მარა ცრემლების ღვრას და სხვა. პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ ისინი ბავშვების ყურის გდებას, ოჯახის საქმის წაყვანას და ავადმყოფის შველას და მოვლას.

ფრანკე (1663—1727) იყო პრუსიის მღვდელ-პროფესორი მან დააარსა სკოლა ღირიბი ბავშვებისათვის და ძალიან მალე მიხვდა რომ მარტო სწავლა კი არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა აღზრდაც. აი მისი პრინციპები ამის შესახებ:

1) ბავშვები უნდა ემორჩილებოდნენ ქრისტიანურ გონივრულ დისციპლინას, რომელსაც საფუძვლად უდევს ბავშვების სიყვარული და არა სიმკაცრე და სასტიკობა.

2) მამობრივ დარგების დროს, აღმზრდელი არ უნდა აშფოთდეს, თავის შეკავება უნდა იცოდეს.

3) მასწავლებელი უნდა არიგებდეს ბავშვებს, კიდეც სჯიდეს მათ, თუ ეს საჭიროა, მაგრამ თავის დღეში არ უნდა გამოიჩინოს სიმკაცრე; პირ იქით, მისი მუდამ ალერსიანი და სიყვარულით სავსე მოქცევა დიდ სიყვარულს გამოიწვევს ბავშვებში. მხოლოდ მაშინ აღიზრდებიან ისინი ღმერთის შიშსა და სიყვარულში.

4) არამც და არამც მასწავლებელმა არ უნდა დასაჯოს ბავშვები გაჯავრების დროს; მისი სულიერი განწყობილება მუდამ კეთილი უნდა იყოს.

5) გაკვეთილებზე ხმაურობის დროს მასწავლებელი მოთმინებიდან არ უნდა გამოვიდეს, უნდა დინჯათ სთქვას: „ესა და ეს ლაპარაკობს და მიშლის“.

6) ბოროტი ბავშვის დასჯას შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მაშინ, როცა რამდენიმე შენიშვნის შემდეგ იგი არ გაჩერდება. ბავშმა უნდა იცოდეს თავის დასჯის მიზეზი. არ უნდა დაისაჯოს ბავშვი მხიარულებისთვის, სიცილისთვის, გულ-მავიწყობისთვის, რადგანაც ეს უბრალო ბავშური შეცდომებია. საკმარისია მხოლოდ თქმა, მოგონება.

7) არ უნდა გაილანძღოს ბავშვი შეუფერებელი სიტყვებით: სულელო, ვირო, ავაზაკო და სხვ. არც დაცინვა შეიძლება. ღმერთის სახელით არ უნდა ვაშინებდეთ ბავშვებს ხშირად, რადგანაც ეს გამოიწვევს ამ მუქარებისადმი ცივგულობას. უკეთესია დაუხატოთ მათ ბედნიერება და კეთილდღეობა მორჩილ დამჯერს ბავშვებისა.

8) გაკვეთილზედ ბავშვების საჩივრის გარჩევის დრო არ არის ეს გაკვეთილების გათავების შემდეგ შეიძლება. უნდა მოისმინოთ დამნაშავეც.

9) უნიჭობისთვის დასჯა არ შეიძლება. მხოლოდ ზარმაცობა და გონება-დაბნეულობა უნდა განიკიცხოს და დაისაჯოს თავში. ცემა, თმებიდან თრევა, სილა,მუხლებზედ დაყენება არ შეიძლება.

10) აღზრდის დროს მასწავლებელმა ანგარიში უნდა გაუწიოს თვითეულ ბავშვის ხასიათს. მართალია დიდი სიმკაცრე შეუწყნარებელია, მაგრამ ამასთან ხასიათის მეტის-მეტი სირბილეც არ გამოდგება, რათა მოწაფეთა თვალში დასაცინ საგნათ არ გახდეს.

11) უმჯობესია, ცალკე მოლაპარაკება მოწაფესთან, ჩუმათ დასჯა, თუ მისი დანაშაული სხვებმა არ იციან.

დასჯის დროს არ უნდა გაჯავრდეს მასწავლებელი; ერთ და იმავე დროს იგი სასტიკიც და შემბრალოც უნდა იყოს. ფრანკეს მოქმედებას, აზრს, დიდი გავლენა ჰქონდა სკოლის საქმეზედ არამც თუ მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. ფრანკეს მიმდევრები სცდილობდნენ გაეკეთილშობილებინათ თავიანთ მოწაფეების გული, ამასთან ანგარიშს უწევდნენ მათ ინდივიდუალურ განსაკუთრებებს. ფრანკეს სკოლებში სცდილობდნენ მეცადინეობა მოსაბეზრებელი არ გამხდარიყო. ამ მიზნით ხშირად ასვენებდნენ ბავშვებს და შემოიღეს თამაშობები, გიმნასტიკა, ხელოვნების საგნების დაკვირვება. საბოლოო მიზანი ფრანკეს სკოლებისა იყო ღვთის სუფევის დამყარება საბავშო ბაღებში.

ასეთია ფრანკეს აღზრდის სისტემა. სამწუხაროთ, შემდეგ ფრანკეს მიმდევრებმა (პუტისტებმა) დაამახინჯეს ეს სისტემა, რამაც გამოიწვია რეაქცია.

კ. ბ—ჯ—ძე.

(შემდეგი იქნება).

სულით დაღლილი ბავშვი. *)

მირბოს ცოცხლად ჰყავს დახატული ჭირვეული ბავშვი 12 წლისა. მატილდა სერაოს წიგნში-კი—„ბავშვების შესახებ“ 8 წლის ბავშვი უკვე ხანში შესულად და თითქმის ხანგადასულად გამოიცქირება.

ბავშვის მშობლებს აქვთ მოუსვენარი და ცვალებადი ხელობა. მამა ჟურნალისტია, დედა—უცხო ენების მასწავლებელი. გონებისათვის მათ შეიძლება ბევრი საზრდო, ბევრი შთაბეჭდილებაც ჰქონდეთ, მაგრამ გული მათი ჰფეთქს მხოლოდ დროული, ავადმყოფური მღელვარებით,—აღტყინებით, თუ განელებით. მათი სული ხშირად აღეგზნება წმინდა იდეალისტური მისწრაფებით, მაგრამ აქაც განცდა გადადის უმთავრესად გონების სფეროში. მთელ დროს ისინი თითქმის უნაყოფოდ ფლანგავენ და მოცლილობის დროსაც ძალიან ცოტას ზრუნავენ ბავშვის ყოველ მხრივ განვითარებაზე. იგი ტრიალებს უფროსთა შორის, უნებლიეთ ჰბაძავს მათ, ღრმად ეფლობა სხვა-და-სხვა-გვარ შთაბეჭდილებებსა და შეუფერებელ ფიქრებში, ე. ი. ძალას ატანს თავისს ჯერ ნორჩს, მხოლოდ განვითარების სტადიაში მყოფ-ბუნებას. ბავშვური გულუბრყვილო შემოქმედების თან-და-თან განვითარება—გაშინაარსიანების ნაცვლად იგი მზამზარეულად, გარეგნულად ითვისებს უფროსების მოქმედებებს, აზრებსა და შანერებს.

მამა ამ ბავშვისა უთუოდ მხოლოდ საშვალო სულიერ განძით არის აღჭურვილი. ხოლო პროფესია აიძულებს მას იყოს თუნდ ინტელიგენტურ ბუქის ბრბოს აზრისა და სულიერ განწობილებათა მოზიარე. უთუოდ იგი ხშირად ველარ ერევა თავის თავს, როგორც მოითხოვს ზნეობრივი და გონებრივი მოსაზრება. და ამიტომ ადვილად ღიზიანდება, ხშირად არის უგუნებოდ და ჭინჭყლობს. იგი მხოლოდ ელის იმ წუთს, როცა დაჰკრავს რაღაც სასწაულ-მომქედი ჟამი, რომელიც თავის თავად გაჰხსნის ცხოვრების სატანჯველ ნასკვს. მშობელთა და მისი გარეშემო მცველი წრის გავლენა ცხადად დაეტყო ბავშვს. კოლეიდოსკოპიურად გაკვრით მოჩვენებული სიჭრელე, ნახულის სწრაფი ცვალებადობა უკვე ასუსტებს მასში განცდისა და შეგრძნობის ბუნებრივ სიცხოველეს.

ბავშვს უკვე მოვლილი აქვს ვენეცია, ფლორენცია, ნეაპოლი; ის

*) რუსულიდან.

მხოლოდ გულ-გრილად იწევს მხრებს, როცა მას ვეზუვის უხსენებენ. მან უკვე მოისმინა მრავალი სხვა-და-სხვა ოპერა. „აიდა“-ში მოსწონს შავკანიანები. „ფაუსტში“—ლამაზი ეშმაკი. „ლოენგრინს“ იგი ისმენს და, თუ გნებავთ, ითმენს მხოლოდ გედის მეოხებით. იმას უკვე უყვარს განსაკუთრებით ზოგიერთი დიდებული და სახელოვანი მსახიობები.

რაიმე წვრილმანებისა და ესტეტიურ გრძნობათა ღრმად განცდას ვერც მოვსთხოვთ ბავშვს. და თუ გნებავთ, არც იმდენად სათაკილოა მასში შთაბეჭდილებათა ზერელობა, მაგრამ ჰასაკთან შეუფერებელი განცდებით გადაყირჭება ეს პირდაპირ ბოროტებაა. მოზრდილს თვისი ხასიათითა და ნებისყოფით ბევრი რამ შეუძლია თავის თავში აღზარდოს, განავითაროს, ან დათრგუნოს, მაგრამ ბავშვობის დროს უნაყოფოდ გაფლანგული ფსიხიური ენერგია მას უეჭველად სანანებლად გაუხდება ბოლოს.

რა-კი ბავშვი გაება და გაიბნა თავის მრავალფერ შთაბეჭდილებებში, ნაადრევად გარდიქმნა და „დაბრძენდა“ უფროსების ბაძვით, განიმტკიცა თავის ბუნებაში განსაზღვრული და გარკვეული ხასიათის თვისებანი, ის უკვე—ცხადია, ნერვებაშლილია. მგოსნები და აგრეთვე ყოველი ოდნავმაინც შთაბეჭდილებიანი ადამიანი მოხიბლულია და აღტაცებული ბავშვის რაღაც უმანკო, უშფოთველი ძილით, მაგრამ სულით დაღლილი ბავშვი, საერთოს ნაწარმოებში, უკვე უძილობით არის შეპყრობილი. და ძილის წინ მოთხრობანი და საუბრები მას ვეღარ ჰკურნავენ ამ სენიდან.

ბავშვი არა ერთხელ ყოფილა მოწამე თავის ოჯახში დიდი მღელვარებისა და ალიაქოთისა, დედის ცრემლისა. არა ერთხელ უნახავს მამა სისხლიანი ხელებით ღამე იდუმალად შინ დაბრუნებული. ხშირად სმენია მშობელთაგან მეტად მწვავე, გესლიანი შენიშვნა სიყვარულზე, სამშობლოზე და სათნოებაზე.

მოწინააღმდეგე მსჯელობანი და თავდაუჭერელი გულის გადაშლა მშობლებისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების გამო არეულობანი, ეკონომიურად დაცემა, თუ აღორძინება ოჯახისა, ჰქმნიდნენ იმ ატმოსფერას, რომელშიაც ასე, თუ ისე იზრდებოდა, სუნთქავდა ბავშვის გონება, სული და გული.

საერთო დასკვნაში აღნიშნავს, რომ ბავშვმა ბოლოს სერიოზულად განუცხადა მას: „საქმე მხოლოდ რევოლვერის საღად მოქნევაში არისო“.

ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ უბრალო და უაზრო

განმეორება იყოს უფროსების სიტყვებისა. ბავშვი სავსებით მოვა გონებაზე თავის დროზე; მთელი მისი ორგანიზმი ამეტყველდება თვისი ბუნებრივი შემოქმედებით. მას თავის დროზე მოუწოდებენ ესა, თუ ის ცოდნა, თანამედროვე მიმდინარეობანი; ახალ ფრინველებთან—ახალი სიმღერები! და „რევოლვერი“ „დავიწყების ხავსით დაიფარება, მაგრამ... საეჭვოა რომ განვლილმა განცდებმა, რომელნიც 8 წლის სიმძიმით აწევან ასეთ მოქანცულ სულს, საკმაოდ არ დაასვან თვისი გავლენის ბეჭედი.

სერაოს შენიშვნები, დაწერილი უბრალოდ, მაგრამ ლამაზად და მკაფიოდ, საკმაო ფიქრებსა და საგონებელში ჩააგდებს აღმზრდელ—პედაგოგს.

თვისი მოღვაწეობა—საქმიანობით საკმაოდ ნაკრისფერი ადამიანები, რომელთაც თვისი ინტიმურ ცხოვრებაში იდუმალი ისტორიებით დასტოვეს სახელი, 8 წლისა უკვე საოცრად მომწიფებულნი და ვითომ დასრულებულნი იყვნენ. ამ ჰასაკისათვის ამ პირებმა უკვე თავი მოუყარეს და დააგროვეს თავის არსებაში სრულიად არა საღი და მოუმწიფებელი განცდანი. მოზრდილობის, ანუ მოწიფულობის ხანაშიაც ისინი გადაშლიან ხოლმე ასეთსავე სულიერ განძს.

ეგოიზმი და ალტრუიზმიც იზრდება მათში დაავადებულ ხვეულებად. გონებრივი განძითა და მონაპოვარით ისინი ზოგჯერ არც ისე ღარიბნი არიან; მაგრამ ყოველივე ეს ჩაითესლა მათში და განვითარდა ისე, სრულიად შემთხვევით, ძალაუნებურად, მეტის-მეტ მოზაიკურად და ზერელედ. ხოლო ამა, თუ იმ ბუნებრივ ნიჭის, თანდაყოლილ მიდრეკილება—თავისებურობის ჩანასახი იხშობა და ჭქრება მათში და ვერ იღებს სათანადო ნაყოფს. ასეთი სული სწორედ რომ „spostati“, როგორც ამბობს სერაო,—ე. ი. გზა-დაბნეულია...

ილ. გოგია.

ჰაე და სანი ქართულ ზმნებში.

(პროფ. ა. შანიძის „პროექტის“ გამო).

რამოდენიმე თვის წინად გამოქვეყნდა პროფ. ა. შანიძის გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, ტფილისი, 1920 წ..[1]) ამ ღირს შესანიშნავ შრომას თან დაყვა „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“, რომელიც ცალკე წიგნაკის სახითაც გამოვიდა.

„პროექტის“ მთავარი დებულებანი შემდეგია: ა) ქართული ზმნა სამ „ულვლილებად“[2]) იყოფა: პირველს ეკუთვნის დაუმატებელი ზმნები (მოკვდა, ზის, ფრინავს...); მეორეს—ის ზმნები, რომელთაც დამატება სახელობით ბრუნვაში აქვთ (მოკლა, ნახა, ღაწერა...); მესამეს—ის ზმნები, რომელთაც დამატება მიცემით ბრუნვაში აქვთ (ჰკითხა, მოჰპარა, ჰრწამს...); მესამეში გადმოდის აწმყოს წარმოების დროს ის ზმნებიც, რომელნიც ნამყო სრულის დრო-კილოებში მეორე მიმოხრას ეკუთვნიან (კლავს, ჰყიდის, ჰლეწავს...).

ბ) პირველსა და მეორე მიმხრაში უნდა იხმარებოდეს ჰაე და სანი, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (მოჰკვდი, ჰზიხარ, ჰფრინავ... მოჰკალი, (ჰნახე, დასწერე...), ხოლო მესამეში—, როგორც ობიექტური პრეფ. მესამე პირისა (ჰკითხა, ჰკითხე, ვჰკითხე... სწერს, სწერ, ვსწერ...).

გ) ბრძანებით კილოს (დადებითი ხასიათისას) სუბიექტური პრეფიქსი არ ჭირდება (მოკვდი, დაწევ(ი), მოკალ(ი), დაწერე), მაგრამ ჭკითხე, სთხოვე, მოსტეხე, რადგან ამ სამ სიტყვაში ჰაე და სანი (მიცემითის) ობიექტს აღნიშნავს.

დ) ჰაე და სანი იხმარება მხოლოდ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში: სანი იხმარება წინაენისმიერ ხშულთა წინ (ტ, დ, თ, წ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ, რომელთაც ავტორი „დედის“ ბგერებს არქმევს), ხოლო ჰაე—დანარჩენ თანხმოვანთა წინ, რომელთაც ავტორი „მამის“ ბგერებს არქმევს.

---

[1]) ამ შრომის შესახებ ჩემი ვრცელი რეცენზია დაიბეჭდება „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“-ში.

[2]) ჩვენის აზრით ამ ტერმინს სჯობს მიმოხრა ტერმინი.

ავტორის მიზანია მოაწესრიგოს ის საშინელი არევდარევა ჭაე და სანის ხმარებაში, რომელიც განუკურნავ სენად ექცა ჩვენს სამწერლო და სასაუბრო ენას. მაგრამ, თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ ორთოგრაფიის საკითხი პრაქტიკული საქმეა, და ამ თვალსაზრისით კი უპირველესად სიმარტივეს აქვს მნიშვნელობა[3]), იძულებული ვიქნებით განვაცხადოთ, რომ ავტორმა მიზანს ვერ მიაღწია...

თავის ფრიად საყურადღებო გამოკვლევით პროფ. შანიძემ მრავალი ისეთი რამ აღმოაჩინა ქართულ ზმნაში, რაც დღემდე ბნელით იყო მოცული და რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართულ ენის მკვლევართათვის, ე. ი. მათთვის, ვისთვისაც ქართული ენა კვლევის მიზანია; მაგრამ როგორ შეიძლება რთული სპეციალური კვლევის შედეგი სავალდებულოდ გახდეს მათთვის, ვისთვისაც ქართული ენა იარაღია და არა მიზანი? თუ კვლევის შედეგი მარტივი სახითაა წარმოდგენილი, მაშინ კიდევ შესაძლებელია ვცადოთ მისი ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ბ. შანიძის პროექტი ასეთი არ არის. თუ ამას დაუმატებთ, რომ ავტორის მიერ წამოყენებული საკითხები თვით ძირითად შრომაშიც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, მაშინ აშკარა შეცთომა იქნება წარმოდგენილი „პროექტის“ ცხოვრებაში გატარება. ამიტომ: თუ ამ „პროექტს“ ძირითადი გამოკვლევის ნაწილად ჩავთვლით, უნდა გამოვტყდეთ, რომ შრომის წამკითხველს „პროექტის“ გამო შრომისაგან მიღებული სასიამოვნო შთაბეჭდილება უსუსტდება.

ავიღოთ, მაგალითად, თვით მიმოხრათა კლასიფიკაციის პრინციპი: ავტორი ყოფს ზმნებს ამა თუ იმ მიმოხრად იმის მიხედვით, აქვს მას დამატება თუ არა და რომელ ბრუნვაშია დამატება. როცა ავტორი კვლევის დროს მორფოლოგიურ მოვლენათა გამართლებას სინტაქსში ეძებს (და უმეტესად პოულობს კიდეც), ეს ბუნებრივია, რადგან ქართულ ზმნაში „უცნაურად არის გადაწნულ-გადახლართულ მორფოლოგიურისა და სინტაქსური ხასიათის მოვლენები“ (გვ. 1), მაგრამ მეცნიერულად აგებულ პრაქტიკულ გრამატიკაში მორფოლოგიისა და სინტაქსური მოვლენების გამიჯნვა სასტიკად უნდა იყოს დაცული; განსაკუთრებით უხერხუ-

[3]) „პრაქტიკული წერა არის ბგერათა უმარტივესი გადმოცემა“ (კორში); „წერის ღირსება განისაზღვრება მისი პრაქტიკული მიზანშეწონილობით“ (ტომსონი); „ორთოგრაფიის მიზანია განათლებულთა ენის უმარტივესი ნიშნებით გასაგებად გადმოცემა“ (რაუმერი).

ლია მორფოლოგიურ ნიშანთა დამყარება დამატებაზე, რომელიც არ შეადგენს წინადადების აუცილებელ წევრს. ავტორის კლასიფიკაცია რომ შეუფერებელია, იქიდანაც ჩანს, რომ მესამე მიმოხრაში გადმოდის აწმყოს წარმოების დროს ის ზმნებიც, რომელნიც ნამყო სრულში მეორეს მიჰ-ყვენ (მოკლა, მაგრამ ჰკლავს; გაუიდა, მაგრამ ჰყიდის). ყოველ შემთხვევაში, მეოთხე მიმოხრის დაწესება იქნება საჭირო, მაგრამ კლასიფიკაცია მაინც სინტაქსური დარჩება და არა მორფოლოგიური, კლასიფიკაცია ფორმათა და არა ზმნათა.

ამას გარდა უმთავრესი ჩემი მოსაზრებანი „პროექტის“ საწინააღმდეგოდ შემდეგია:

ბ. ავტორმა თავის გამოკვლევით უფლება მოგვცა ვიფიქროთ, რომ ხსენებული პრეფიქსები მკვდარია არა თუ დღეს, არამედ საშუალო ქართულშიაც; კიდევ მეტიც: მათი ხმარება არეულია უკვე ძველ სალიტერატურო ქართულშიც, რაც სრულის სიცხადით მოწმობს, რომ ისინი ცოცხალ ხმარებაში აღარ იყო. ამიტომ ავტორის მიერ განზრახული რეფორმა არაა ბუნებრივი გაგრძელება იმ ძველი ქართული ენისა, რომელსაც ჩვენ ტექსტებიდან ვიცნობთ; დღევანდელი სამწერლო ენისათვის და აგრეთვე მრავალი დიალექტისათვის ის უცხო ელემენტი იქნებოდა. თუ ეს რეფორმა გაგრძელებაა ქართულის რომლისამე ეპოქისა, ისევ იმ ჩვენთვის უცნობისა, რომელიც ძველ ქართულსაც წინ უძღოდა... ჰაე და სანის ხმარება ძველ ქართულშიც რომ ცოცხალ ფაქტს წარმოადგენდეს, მაშინაც შეუძლებელია რვა საუკუნის სიშორე მხედველობაში მიღებული არ იქმნეს. ერთია ლექსიკური სესხება ძველი ქართულიდან და სხვაა ფორმების გადმოტანა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარწმუნებული არა ვართ, სწორად გადმოგვაქვს თუ არა. როცა ძველი ქართულიდან რაიმე სიტყვას ვსესხულობთ, ეს ხდება შეთანხმების ძალით: ვამჯობინებთ ამოვიღოთ ჩვენივე ძველიდან, ვიდრე ვისესხოთ სრულიად უცხო ენიდან; იმას კი ვერავინ იტყვის, რომ ესა თუ ის მოხაზულობა ძველადაც დღევანდლურად გამოითქმოდა...

რა გვაიძულებს ძველ ფორმათა სესხებას, შეუძლებელიც რომ არ იყოს? ვიდრე ავტორს არ დაუმტკიცებია, რომ ამ პრეფიქსთა ადრევის გამო ქართულად აზრის გამოხატვას რაიმე ევნო ქართული ენის ისტორიის მთელს სივრცეზე, მანამ ამ „პროექტის“ განხორციელების აუცილებლობა ჩემთვის ცხადი არ იქნება... ენის განვითარების საერთო მიმართულება

ასეთია: თუ მასში რომელიმე ფორმა ოდნავ დაბნელდა, ამ ფორმას ის თავიდან იცილებს, რადგან თავის მიზნისათვის — აზ-ის გამოსახატავად — ენას ასეთი ფორმა აღარ გამოადგება; საკმარისია ამგვარი ცვლილება აზრის დაუზიანებლად ენის ერთ ნაწილში მოხდეს, რომ თანდათან მთელს ენას მოედოს...

ბ. ავტორი დაგვეთანხმება, რომ ქართულ ენაში არის მიდრეკილება ჰაე და სანი მოისპოს, განსაკუთრებით ჰაე [1]); ამის მიუხედავად აზრის გამოხატვა არ ზიანდება, რადგან უჰაე-სანობა უფრო მეტ სიმარტივეს წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ სიმარტივე თანდათან იმარჯვებს ისეთ სოციალურ მოვლენაში, როგორიცაა ენა.

ესეც რომ არ იყოს, ქართულ ენას საკმაოდ განვითარებული აქვს სუფიქსალური წარმოება; ამას გარდა, ქართული ენა არ გაურბის დამატების აღნიშვნას იქ, სადაც ეს საჭიროა; ამიტომ სრულიად ზედმეტია შინაგანი ქვემდებარისა და დამატების გამოხატვა ისეთი პრეფიქსებით, რომელთაც თავისი სისუსტის გამო მიდრეკილება აქვთ დაიკარგონ და რომელთაც ამავე მიზეზით თავისი გამომხატველობითი ძალა დაეკარგათ. ვ, გ და გვ პრეფიქსებს რომ ამგვარი რამ არ ემართებათ, ეს აიხსნება უმთავრესად მათი ფიზიოლოგიური სიმტკიცით და აქედან გამომდინარე მათი გამომხატველობითი სიძლიერით...

ჰაე და სანის პრეფიქსის დანიშნულებით ხმარება რომ ახასიათებდეს მთელს ქართულს ვ გ გვ-ს მსგავსად, მაშინ მათი ხმარების წესები იმდენად ბუნებრივი იქნებოდა, რომ არ დაამძიმებდა ჩვენს მეხსიერებას, როგორც არ ამძიმებს გ ვ გვ: რომელი მწერალი ფიქრობს დღეს დავწერო გლანძდავ-ში განი თუ არაო? მეორე მხრით, რომელი მწერალი არ ყოყმანობს (და იყოყმანებს კიდეც, თუ პროფ. შანიძის „პროექტი“ განხორციელდა) დავწერო ჭრწუავს-ში, ჭნახე-ში ან დაწერე-ში ჰაე და სანი თუ არაო? ნუ თუ „პროექტის“ განხორციელება მოსპობს ამ ყოყმანს? პირიქით: მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ „პროექტის“ განხორციელება წარმოშობს და გაამრავლებს ენის უვიცებას (უვიცებს, რა თქმა უნდა, ამ „პროექტის“ თვალსაზრისით), და ეს მოხდება იმიტომ, რომ „პროექტი“ არ შეეფერება დღევანდელ ბუნებას ქართული ზმნისას, რაცა ჩანს, მაგ.,

[1]) თუ რა არის ჰაე და სანის მოსპობის მიზეზი, ეს სულ ერთია: შესაძლოა აქ მონათესავე ენის გავლენაც იყოს, მაგრამ შესაძლოა აქ ენის ბუნებრივ განვითარებასთან გვქონდეს საქმე.

გ პრეფიქსისა და ჭ პრეფიქსის ხმარების შედარებიდან: გ-ს ხმარება ჩვენ დღეს ბუნებრივად ვიცით, ხოლო ჭ-ს ვხმაროობთ (ან ვიხმართ) მხოლოდ ხელოვნურად.

პატივც. ავტორი ამტკიცებს, რომ 1) ქართულში ასეთი დანიშნულება ქონდა ჭაე და ᲡᲐᲜᲡᲐᲝ და 2) დღესაც ზოგიერთ კილოებში დაცულია ამა თუ იმ სახითაო; ამიტომ დღევანდელ საერთო სამწერლო ქართულშიც უნდა შემოვიღოთო. რაც შეეხება პირველს: შეუწყნარებელია ძველი ქართულის გრაფიკა ხელოვნურად სავალდებულოდ გავხადოთ ახალი ქართულის ცოცხალ საუბარში; რაც შეეხება მეორეს: თუ ცოცხალ ენას მიდრეკილება აქვს მოსპოს ჭაე და ᲡᲐᲜᲘ, აგრეთვე ძალადობა იქნება შევაჩეროთ ენის ბუნებრივი მსვლელობა სიმარტივისაკენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიცით, რომ უიმათოდაც მიღწეულია ენის მიზანი—აზრის ცხადად გამოხატვა—საქართველოს მრავალ კუთხეში.

მართლაც და რად აღვადგინოთ (შემოვიღოთ დიალექტებიდან) ხელოვნურად ის, რის საჭიროებაც არ არსებობს? განა მრავალ ენას აქვს მისი მსგავსი ან მის მაგიერი რამ? მაგრამ ამისდამიუხედავად აზრის გამოხატვა სისწორით ხდება.

აქ შეიძლება მიპასუხონ, რომ სხვა ენებს ვ გ გვ პსეფიქსების მსგავსიც არაუერი აქვთო; მაგრამ ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ესენი ყველა ქართულისათვის მკვიდრი, ცოცხალი მორფოლოგიური ელემენტია, ხოლო ჭაე და ᲡᲐᲜᲘ ქართველ ინტელიგენტთა უმეტესობისათვის საყოყმანო.

თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ წერის იდეალთან (წერე, როგორც ლაპარაკობ) ქართული უფრო ახლოს დგას, ვიდრე მრავალი სხვა ენა, რა საჭიროება მოითხოვს უკან დავიხიოთ და სავალდებულოდ გავხადოთ ასეთი წერა: ვჭსედავ, ვჭფიქრობ, ვჭრეცხავ და სხვა მრავალი? ამგვარ ფორმებში ჭ-ს გამოთქმას ჩვენ ვერავის მოვთხოვთ, თუ განზრახ არ გვინდა, რომ შეცთომები გავამრავლოთ; ვერ მოვთხოვთ, რადგან ეს უკიდურესად ხელოვნურია სასაუბრო ქართულისათვის. ამ გზით ჩვენ მოვუსპობთ ქართულ წერას იმ თითქმის ბგერით სახეს, რომელიც მას უპირატესობას აძლევს მრავალი ენის წერასთან.

შეიძლება ზოგიერთმა მიპასუხოს, რომ ისტორიულ-მორფოლოგიურმა პრინციპმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი, როცა დიალექტებში სხვადასხვაობაა. სურათი ასეთია: საქართველოს მრავალ კუთხეში სრულიად

მოისპო ჰაე და სანი; ზოგ კუთხეში ჰაე და სანმა თავისი ბგერითი სახე იცვალა (იქცა ხ-დ, ლ-დ, შ-დ, ჲ-დ და სხვა); მცირეა ის ნაწილი ქართულ ენისა, სადაც ჰაე და სანმა თავისი სახე ურყევად შეინახა; ქართველ ინტელიგენტთა ენაში ჰაე და სანი არეულია. რაც შეეხება ისტორიულ-მორფოლოგიურ სახეს, ჩვენ (და ალბად არავის) არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ცოცხალი ფაქტი იყო ძველი ქართულისა; გადაჭრით მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას: ძველ ქართულში მწერლები ცდილობდენ გრაფიკული ტრადიცია არ დაერღვიათ (ეს რომ გრაფიკული ტრადიცია იყო, იქიდან ჩანს, რომ შეცთომები მაინც მოდიოდათ. მაშ რატომ არ გვხვდება შეცთომები სხვა პრეფიქსთა (ვ გ გვ) ხმარებაში არც ძველად და არც დღეს? განა იტყვის ვინმე გვიწერიას ნაცვლად გიწერიას?). მაშასადამე ისტორიულ-მორფოლოგიურ სახეზედ ლაპარაკი ზედმეტია. ვთქვათ, ყოველივე ამის მიუხედავად აკ. შანიძის „პროექტი“ ხელოვნურად გატარდა ცხოვრებაში: ვისთვისაა ის გამოსადეგი, ე. ი. ვის გამოთქმას გამოხატვას?

ბ. ავტორის გამოკვლევით ქართლურში ისმის მოჲტესა, კახურში გაჲტეხ(ვი), ფშაურში გაჲსტეხე, თუშურში გახეიდე, ლაჲდოტე და სხვა; იმერულში დაიკარგა (იხ. გვ. 150 და შემდ.). აქედან ჩანს, რომ „პროექტის“ თანახმად ამ კილოთა წარმომადგენლებმა უნდა წეროონ ჰაე და სანი იქ, სადაც სულ სხვა ბგერა ისმის: ჲ, ჲს, ხ, დ; იმერელმა კი უნდა სწეროს გამოუთქმელი ასო. რაღა გვრჩება ქართული წერის იმ სიმდიდრიდან, რომელსაც ბგერითი წერა ეწოდება. რა უფლება გვაქვს მომავალ თაობას შევუქმნათ ხელოვნური სიძნელე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ინგლისურ ან ფრანგულ სიმბოლურ წერას: დაწერე ჰაე და სანი, მაგრამ გამოთქვი, როგორც გინდა (ჲ, ხ, ლ) ან სულ ნუ გამოთქვამ—ასეთია ალბად „პროექტის“ დედა-აზრი...

პრაქტიკული გამოსავალი, ჩემის აზრით, ერთია: თუ ჩვენ ენის ბუნებრივ განვითარებას მაინცა და მაინც ხელოვნურად შევუშლიეთ; თუ ქართულ ენას არ დავაცლით სრულიად მოსპოს ჰაე და სანი, როგორც პრეფიქსები—იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი საერთო სასაუბრო ენაში აუცილებლად მოისპობა,—მაშინ უმჯობესია სიმარტივისათვის ის მოვსპოთ, ვიდრე ფორმათა მრავალსახიანობის ტვირთი აზროვნებას თავს მოვახვიოთ. ამ სიმარტივეს მოითხოვს მოზარდის ნორჩი გონება, რომლისთვისაც გრამატიკული ანალიზი ოთხსართულიანი წესე-

ბისა ჭეშმარიტი ტანჯვაა; ამას მოითხოვს სხვადასხვა დარგის მწერალ-ავტორთა ინტერესები, რომელთათვისაც რთულ გრამატიკულ ანალიზს სავალდებულოდ ვერ გავხდით ისე, როგორც ფილოლოგებისათვის სავალ-დებულო არ შეიძლება იყოს სხვა სპეციალურ დარგთა მოვლენების მეცნ-ნიერული ანალიზი.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენ უთუოდ უნდა მოვაწესრიგოთ **ჰ**აე და **ს**ანის ხმარება, ეს უნდა მოხდეს ამ მარტივის სახით: „ნუ დაწერ **ჰ** და **ს**-ს ძირის წინ, თუ ისინი ძირს არ ეკუთვნიან“. ეს იქნება ჭეშმარიტი გან-მარტივება: აზრი არ დაზიანდება, ენის განვითარებას თან მიყვება მართლ-წერაც, ქართული თითქმის ბგერითი წერა უკან არ დაიხევს და ამასთანავე არ შეილახება ალმომჩენი ლინგვისტის თავმოყვარეობა, რადგან მეცნიერული კვლევის სფერო ერთია და პრაქტიკული სიმარტივე—მეორე...

ასეთი უნდა იქნეს პრინციპიალური გადაწყვეტა ამ საკითხისა; მაგ-რამ, ვიდრე ენას სრულად არ გაუდევნია **ჰ**აე და **ს**ანი, კომპრომისის სა-ხით შეგვიძლია დავტოვოთ **ს**ანი მისი გამომხატველობითი სიძლიერის გა-მო და ისიც ისეთ შემთხვევებში, სადაც ის თითქოს ძირს შეზრდია: მის-ცა, დასცა*) და სხვა.

გ. ახვლედიანი.

---

*) „პროექტის“ თანახმად თითქოს უნდა დაიწეროს დასცა. „პროექტის“ თითქმის დაუძლეველ სიძნელეში შემდეგი შემთხვევიდანაც დავრწმუნდი. საგან-გებოდ შევეკითხე ქართული ენის ერთ საუკეთესო მცოდნეთაგანს, რომელსაც პროფ. შანიძის გამოკვლევა მისი „პროექტიანად“ საფუძვლიანად შესწავლილი აქვს: „პროექტის“ თანახმად **დაცა** უნდა თუ **დასცა**-მეთქი. მან მიპასუხა, **დაცა**-ო. შემდეგ გამოირკვა, რომ „პროექტის“ ავტორი ხმარობს **დასცა**-ს, რადგან მისი აზრით აქ ნაგულისხმევია დამატება მიცემითში (ძირს). აქედან აშკარაა, რომ „პროექტის“ ავტორის აზრით ყოველმა წერაკითხვის მცოდნე ქართველმა უნდა დაძლიოს ის სიძნელე, რომელიც სპეციალისტ ფილოლოგს ვერ დაუძლევია.

ყრუ mediae ქართულში.

1. დონი თუ თანი?

ბ. სილოვან ხუნდაძის ძლიერი გავლენის გამო[1]) ქართულ სამწერლო ენაში ვნებითი ბრუნვის ტრადიციულ დონს გაუჩნდა მეტოქე თანის სახით, რომლის ხმარება ჩვენს მწერლობაში იმდენად ჩვეულებრივი შეიქნა, რომ სრულიად არ გვეუცხოება ბ. ს. ხუნდაძის შემდეგი სიტყვები: „ვნებით ბრუნვაში თ-ს გარდა კიდევ იხმარება ჩვენს მწერლობაში დაბოლოება დ, მაგალითად: ბავშად, კატად, ბავშებად, კატებად“...[2]) ბ. ხუნდაძის რეფორმა მისაღებიც რომ არ იყოს, მაინც ფრიად საყურადღებოა, რადგან მან აღნიშნა ბოლოკიდური დ-ს მიდრეკილება —იცვალოს თ-საკენ, რამდენადაც ეს თ განსხვავდება დ-საგან თავის სიყრუვით. ამ რეფორმის მოწინააღმდეგენი ისტორიულ ნიადაგზე დგანან, თუმცა ცნობენ, რომ ვნებითი ბრუნვის ბოლოკიდური თანხმოვანი ხშირად თ-ს მსგავსად გამოითქმის; მაგალითად, ბ. ს. გორგაძე ამბობს:... ძველად მუდამ იწერებოდა დ-ონით, დღეს კი ცოცხალ კილოებში ეს დონი ალაგ წმინდად შენახულა (ამერეთში), ალაგ თ-ანად ისმის და ზოგანაც რადაც საშუალო ბგერას წარმოადგენს. ასეთ მდგომარეობაში საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ისტორიულსა და მორფოლოგიურ ნიადაგზე შეიძლება ე. ი. აქ ყველგან უნდა ვსწეროთ დაბოლოება დ...“[3])

მე ვფიქრობ, რომ „ისტორიული ნიადაგი“ მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენს, ვიდრე ობიექტურად არ გავითვალისწინებთ იმ ბგერას, რომლის არსებობა აღნიშნა ბ. ს. გორგაძემ, მაგრამ „რაღაც გაურკვეველი ბგერა“ დაარქვა. ამიტომ ვეცთები საზოგადო და საექსპერიმენტო ფონეტიკის საშუალებით ამ ბგერის ბუნება გამოვარკვიო.

2. tenues, aspiratae, mediae.

ევროპაში ძველადგანვე მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით ქართული მარტივი ხშული თანხმოვნები (затворные согласные) შემდეგ

---

[1]) ვგულისხმობ უმთავრესად მის გრამატიკულ კვლევა-ძიებას.
[2]) ქართ. გრამატიკა... სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი 5, ქუთ. 1917 წ. გვ. 9.
[3]) ს. რ. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთ. 1916 წ., გვ. 40, 41.

კლასებში მოთავსდებიან: კ ტ პ—tenues (ე. ი. წვრილნი)[4]), ქ თ ფ—aspiratae (ე. ი. მფშვინავნი) და გ დ ბ—mediae (ე. ი. საშუალნი). ამ უკანასკნელს უწოდებენ საშუალს პირველ ორ ჯგუფთან შედარებით. პირველი ორი ჯგუფი ჩვეულებრივ ყრუა, ე. ი. მათი წარმოების დროს ხმის სიმები არ ჟღერს[5]), ხოლო mediae ს ჯგუფი (გ დ ბ) ჩვეულებრივ მჟღერია, ე. ი. მათი წარმოების დროს ჩვეულებრივ ხმის სიმები ჟღერს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა გარემოებაშია თვითეული თანხმოვანი, ე. ი. როგორი ბგერები ყავს მას მეზობლად სიტყვაში, ან სიტყვის თავკიდურია ის თუ ბოლოკიდური,—გამოთქმაში ამა თუ იმ სახეს მიიღებს: ა) ყრუ შეიძლება გამჟღერდეს, მაგ. ერდგული: ამ სიტყვაში თითქოს დ ისმის, თუმცა ერთ-ში ისმის ყრუ თ; აქ ცხადია, რომ მომდევნო მჟღერ გ-ს მაზედ გავლენა მოუხდენია; ბ) მჟღერი შეიძლება დაყრუვდეს, მაგ. ვკრეფ: ამ სიტყვაში დღეს ნამდვილი ფ გვესმის, თუმცა ვიცით, რომ მას იგივე ძირი აქვს, როგორც კრება-ში (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). აქ ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივ მოვლენას: მჟღერი თანხმოვანი სიტყვის ბოლოში ყრუვდება (შეად. რუს. садъ—გამოთქმაში сат, лобъ გამოთქმაში лоп...). იმ ენებთან შედარებით, რომელთაც ეს უკანასკნელი მოვლენა ახასიათებს (მაგ. რუსული და გერმანული) ქართულში კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: რუსულსა და გერმანულში დამოუკიდებელ კლასს წარმოადგენს მხოლოდ ორი: 1. tenues ამა თუ იმ ოდნობის (ჩვეულებრივ მცირე) ფშვინვით და 2. mediae ამა თუ იმ ოდნობის მჟღეროობით; ხოლო ამ ორი კლასის სხვადასხვა სახე დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე (იხ. ზემოთ). ქართულში კი tenues-ს (კ ტ პ) ოდნავი ფშვინვაც არ ახლავს, aspiratae (ქ თ ფ) არსებობენ ჩვეულებრივ სრული ფშვინვით, ხოლო მესამე დამოუკიდებელ კლასს წარმოადგენენ mediae (გ დ ბ); ამ სამ კლასთა შორის ისეთი არსებითი განსხვავებაა წარმოების მხრით (და აკუსტიურადაც), რომ უშუალოდ ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა (განსაკუთრებით mediae-დან მკვეთრ tenues-ში) ფიზიოლო-

[4]) რადგან ქართული კ ტ პ არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ევროპულ (და რუსულ) k t p-საგან, რომელთაც აგრეთვე tenues ეწოდება, ამიტომ მათ მე ვუწოდებ ზედმეტად „მკვეთრს“ ქართულის მსგავს tenues-ს გერმანულად უწოდებენ reine ანუ scharfe Tenues (იხ. Jespersen Lehrbuch der Phonetik,[3] 104 გვ.;

[5]) კ ტ პ-ს წარმოების დროს ხმის სიმთა მდგომარეობის შესახებ იხ. ჩემი „ქართულის „მკვეთრი“ ხმულნი“.

გიურის თვალსაზრისით შეუძლებელია: მაგ. შესაძლებელია მჟღერმა გ-მ მჟღეროობა დაკარგოს, მაგრამ მან ასპირაცია კი (მფშვინაობა) არ შეიძინოს; მაშასადამე მხოლოდ ამის გამო ნამდვილ ქ-დ ის ვერ გახდება; ვერ გადაიქცევა მხოლოდ ამის გამო ვერც კ-დ, რადგან ქართული კ-ს ბუნება არ განისაზღვრება მხოლოდ უკანაენისმიეროობითა და სიყრუვით: მისი წარმოების დროს ხმის სიმები სრულიად დახშულია (ამით განსხვავდება ქართული „მკვეთრი“ კ ტ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲐ და ევროპული k t p-საგან). რუსულში კი, მაგალითად, გ რომ დაყრუვდება, შედარებით უფრო თავისუფლად იცვლება k-დ, რადგან მათ შორის მჟღეროობა-სიყრუვის გარდა განსხვავება თითქმის არაა.

აქედან ჩანს, რომ ქართულ სასაუბრო ენაშიც უნდა ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ გარემოების მიხედვით ისეთი თანხმოვნები, რომელნიც წარმოადგენენ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ კლასთა შორის გარდამავალ საფეხურს. ასეთი თანხმოვნები არსებობენ და მათ ეწოდება ყრუ mediae, ე. ი. ყრუ გ დ ბ. რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანს უმთავრესად დ და თ შეადგენს, ამიტომ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ შევჩერდებით მათ განხილვაზე.

2. ᲧᲠᲣ Დ.

როგორც ვიცით, ჩვეულებრივი დ (მაგ. **დედ**ა-ში) მჟღერია და ამასთანავე უფშვინვო, თუმცა ფშვინვის ჩანასახი შესაძლებელია მასშიდაც იყოს; რაც შეეხება თ-ს, ის ჩვეულებრივ არის ყრუ და ამასთანავე სრული ფშვინვის თანხმოვანი (მაგ. თავი-ში), თუმცა გარემოების მიხედვით შესაძლოა მისი მფშვინაობა შემცირდეს, მაგ. შეადარე თ თავ-ში და ვწეროთ-ში. ამ განსხვავებათა მიუხედავად, მათ (დ და თ) საერთო აქვთ წარმოების ადგილი: ორივე იწარმოება წინაენის ზედა კბილებთან და ცის ჩამოლმართთან შეხებით; ამიტომ დ და თ წინაენისმიერი თანხმოვანებია. მაგრამ ჩვენის გამოკვლევით (ხელოვნური სასის საშუალებით) ამ მხრითაც არის მათ შორის განსხვავება[5]): დ-ს წარმოების დროს ენის შეხების არე ცასთან მეტია, ვიდრე თ-ს წარმოების დროს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დ-სა და თ-ს შორის განსხვავება ამგვარი სქემით წარმოვიდგინოთ:

დ	მჟღერი	თ	ყრუ
	უფშვინვო		მფშვინავი
	შეხების არე შედარ. მეტი		შეხების არე შედარ. ნაკლები

[5]) იხ. პალატოგრამები „ქართულის „მკვეთრი“ ᲮᲨᲣᲚᲜᲘ“-სათვის.

ბოლოკიდური თანხმოვნის დაყრუვების წესით (იხ. ზემოთ) ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დ-სა და თ-ს შორის პირველი განსხვავების მოშლა, ე. ი. ამ პირობებში (მაგ. ვნებ. ბრუნვაში) დ დაყრუვდა, მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებს, რომ დანარჩენი ორი განსხვავებაც (იხ. სქემა) მოისპო; ჩვენ კიდევ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე განსხვავების დასუსტებაც (და არა მოსპობა), რადგან: ა) ფიზიოლოგიურად ყრუს უფრო ეთვისება ფშვინვა, ბ) ფშვინვის ჩანასახის შესაძლებლობა დ-შიც ვსცანით (იხ. ზემოთ); მაგრამ მესამე შედარებითი განსხვავება ძალაში რჩება.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ის ბგერა, რომელიც გვესმის ვნებითი ბრუნვის ბოლოში და რომელიც ტრადიციულად დონით გამოიხატებოდა, ეღეს კი ზოგნი თანითაც გამოხატავენ:

ის არ არის დ და არც თ; ის არის ბგერა, რომლის ბუნება ამგვარია: წინაენისმიერი, ყრუ, უფშვინვო, შეხების არე შედარებით (თ-სთან) მეტი, მოკლედ: წინაენისმიერი ყრუ media [1]).

აქედან ჩანს, რომ ამ ყრუ media-ს (დ-ს) შეუნარჩუნებია ორი თავისი გენეტიური (წარმოების თვალსაზრისით) თვისება და შეუძენია გარემოების მიხედვით ყრუ თანხმოვანთა (და არა მხოლოდ თ-სი) ერთი თვისება — სიყრუვე. ფონეტიკურ-მეცნიერულ ანბანში მას განსაკუთრებული ნიშანი ჭირდება (და აქვს კიდეც ფონეტიკურ ლიტერატურაში), მაგრამ სამწერლო ენაში ახალი ნიშანი ზედმეტია და მართლწერისათვის მავნებელი. პრაქტიკულად საკითხის გადაწყვეტა თავისთავად ცხადია უისტორიულნიადაგოდაც: ეს ბგერა უნდა გამოიხატოს იმ ბგერის ნიშნით, რომლის გენეტიური თვისებაც (და ისიც ორი) მან შეინარჩუნა; შეიძლება ასედაც:... იმ ბგერის ნიშნით, რომელსაც ის უფრო გავს—ეს არის დონი.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რატომ მიაჩნდათ ეს ყრუ media ზოგს დ-ღ და ზოგს თ-დ: მას ორისავე თვისებანი აქვს; საფიქრებელია აგრეთვე, რომ ავტორები გრაფიკის გავლენას ვერ აცდენ. ნათქვამი მაიძულებს აგრეთვე არ დავეთანხმო ბ. ს. გორგაძეს, თითქოს „...ეს დონი ალაგ წმინდად შენახულა (ამერეთში)...“. საკმარისია შევადაროთ დ სიტყვის ბოლოში და სიტყვის თავში (თუნდაც ამერეთში), რომ განსხვავება თვალ-

[1]) დ გამოითქმის ყრუ media-დ ვნებითს გარდაც განსაზღვრულ პირობებში.

საჩინო შეიქნეს, მაგ. დაბად, დავად, დად და სხვა: სიტყვის თავში ყველგან ისმის სრული მჟღერობის დ, ხოლო სიტყვის ბოლოში დ-ს მჟღერობა ისმის მხოლოდ მ შინ, თუ ამას განზრახ ვეცდებით; ჩვეულებრივ საუბარში აქ ერუ media იწარმოება და ისმის კიდეც. თუ ბ. ს. გორგაძეს წარმოდგენილი აქვს ამერეთის დ იმერულთან შედარებით, მაშინ რა თქმა უნდა სხვა საქმეა, რადგან ერუ media-ც შესაძლოა ერთ ადგილას ერთი სახისა იყოს და მეორე ადგილას სხვისა. ჩემი კვლევის საგანს შეადგენდა საერთო ქართულის ბოლოკიდური დ ვნებით ბრუნვაში. რაც შეეხება იმერულ ჯამოთქმას, იქ შესაძლოა უფრო მიუახლოვდა თ-ს, მაგრამ სრული მფშვინაობის თ-დ იქაც ვერ იქცევა, როგორც ეს დავინახეთ ვწეროთ-ში (იხ. ზემოთ).

4. დიფერენციაცია.

მე არ შევჩერდები ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა მაგალითად: მხოლოდ, მარად...;-ზედ და სხვა; თავისთავად ისინიც ფრიად საინტერესო მასალაა კვლევისათვის, მაგრამ დღეს მათი მართლწერა არავითარ იჭვს არ იწვევს. ამიტომ მათ ცალკე გამოკვლევაში შევეხები. აქ კი შევეხები მხოლოდ ისეთ ფორმებს, სადაც ერუ media-ს მოველოდით, მაგრამ ასპირატებს ვხედავთ (ზოგჯერ გრაფიკაშიც და) გამოთქმაშიც. ასეთია, მაგ. ვკრეფ, ადექ, დადექ და სხვა, სადაც უეჭველია ისტორიულ მჟღერთან (ბ, გ) გვაქვს საქმე, მაგრამ მორფოლოგიური დიფერენციაციის ძალით ერუ მფშვინავები გვაქვს. ვკრებ და ვკრეფ-ში ერთი და იგივე ძირია, (კრებ/კრიბ) და მათ ძირითადი მნიშვნელობაც ერთი და იგივე აქვთ; განსხვავება მათ შორის მხოლოდ შემდეგშია: ვკრებ აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომლის შედეგი საგანთა (ან პირთა) სიმრავლეა ან მოგროვება განსაზღვრულ სივრცეში; ხოლო ვკრეფ აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომლის შედეგია აგრეთვე საგანთა სიმრავლე, მაგრამ შეგროვების იდეა შესაძლებელია არ იყოს.

ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მათ შორის საგრძნობი მნიშვნელობითი განსხვავება დამყარებული არ იყო და ამიტომ იხმარებოდა მხოლოდ ფორმა კრებ, სადაც სიტყვის ბოლოში ერუ media ისმოდა (იხ. ზემოთ), რომლის გრაფიკული ნიშანი ისტორიულად იყო ბ. როცა ენამ ეს ორი წარმოდგენა ურთიერთისაგან საგრძნობლად განასხვავა, საჭირო შეიქნა ეს სხვადასხვაობა გარეგნულადაც გამოხატუ-

ლი ყოფილიყო, ე. ი. ვკრებ-ს, სადაც ბ ყრუ media იყო, ორი სახე უნდა მისცემოდა*).

თუ მოვიგონებთ, რომ სიტყვის ბოლოში ნორმალურად მჟღერი თანხმოვანი ვერ ძლებს, ამიტომ დიფერენციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო ნორმალურად მესამე გვარის წყვილბგისმიერის წარმოშობით; ეს კი იყო მფშვინავი ფ. ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურადაც ეს მისაღწევი იყო, რადგან ფშვინვის ჩანასახი უკვე ყრუ media-შიც იყო (იხ. ზემოთ). მაშასადამე, მნიშვნელობის დიფერენციაციამ მოითხოვა ან ხელი შეუწყო მორფოლოგიურსაც და ამგვარად დღეს რეალურად (და არა ისტორიულად) ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ძირი (ვკრებ და ვკრეფ); მხოლოდ ამიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ ვკრეფ-ის ფ, სიტყვის ბოლოში მდებარეობით და დიფერენციაციის მოთხოვნილებით წარმოშობილი, გადატანილიყო სიტყვის შიგნი: კრეფა, კრეფს.

რატომ დაუკავშირდა კრეფის მნიშვნელობა ფარიან ფორმას და არა ბანიანს? უნდა ვიგულისხმოთ, რომ საერთო ძირითადი მნიშვნელობა ამ ძირისა იყო სიმრავლის და მასთან შეგროვების იდეის გამოხატვა; ამასთანავე დადასტურებულია ისტორიულად, რომ ამ ძირითადი იდეის გამოხატვა ხდებოდა ბანიანი ფორმით (ვკრებ). დღეს, როგორც ვხედავთ, იმ ძირითად მნიშვნელობასთან ახლოს დგას ვკრებ და არა ვკრეფ. აქედან აშკარაა, რომ მას ფორმაც ძირითადის უნდა შერჩენოდა; ახალი (ფარიანი) ფორმა დაუკავშირდა ახლად განვითარებულ მნიშვნელობას.

დაახლოვებით ამგვარი ხასიათის მოვლენას ვხედავთ დადექ, ადექში, რამდენად აქაც დიფერენციაციას აქვს ადგილი; განსხვავება მაინც არის ვკრებ ვკრეფ-სა და დადეგ დადექ-ის შორის: თუ ვკრეფ-ში ფ წარმოიშვა ძირითადი მნიშვნელობის დიფერენციაციის მოთხოვნილებით (ანუ ხელის შეწყობით), დადეგ დადექ-ში მოქმედებდა დიფერენციაცია ფორმალური, სახელდობრ, მოდალური: განა ბუნებრივი არ იყო განსხვავება დამყარებულიყო დადეგ-სა (მოთხრ.) და დადექ-ს (ბრძან.) შორის, თუ სხვა რამ დაბრკოლება არ ხვდებოდა წინ? პირველი კატეგორიის მოვლენისაგან (ვკრეფ) ეს მეორე მით განსხვავდება, რომ აქ ახალი რეალური ძირი არ წარმოიშვა; ეს განსხვავება შედეგია იმ გარემოებისა, რომ პირველ კა-

*) როგორც ჩანს გრაფიკული ისტორიული ერთსახეობა დაცული იყო იმ დროსაც, როცა მნიშვნელობანი ურთიერთ შორის საგრძნობლად განსხვავდენ.

ტეგორიაში ძირითადი მნიშვნელობის დიფერენციაცია მოხდა, მეორისა-ში—ფორმალურისა: პირველი უფრო ძლიერია, მეორე—სუსტი. ახალი რაელური ძირი არ წარმოიშვა, რაცა ჩანს იქედან, რომ ეს ქ, სიტყვის ბოლოში მდგომარეობის და დიფერენციაციის გამო წარმოშობილი, სიტყვის შიგნი კი გადავიდა (დადექი), მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ფორმა-ში; სამაგიეროდ მისი გავლენა მოედო იმ სიტყვას, რომელიც მასთან დაკავშირებულია ჩვენს ცნობიერებაში ისე, როგორც ძისავს და ღვიძავს, უეკარს და ძულს და სხვა; ესაა დაჯექ და დაწექ ფორმები, სადაც ქ გვაქვს დ-ს და ვ-ს ნაცვლად. ამ უკანასკნელი ფორმების ყოველი სხვაგვარი ახსნა პრობლემატიური იქნება, რადგან ფონეტიკურად დ-სა და ვ-ს ქ-დ ცვლა შეუძლებელია.

მაშასადამე, დადექ-ში ქ-ს წარმოშობის პროცესი ამ ვარია: ბრძან. და მოთხრ. იყო დადეგ, სადაც გ იყო არა მჟღერი, არამედ ყრუ უკანაენისმიერი media (უფშვინვო ან ფშვინვის ჩანასახით). მოდალურმა ბანსხვავებამ მოითხოვა ან ხელი შეუწყო ბრძანებითისათვის ფშვინვის გაძლიერებას ყრუ media-ში და წარმოიშვა ქ.

უკანასკნელი საკითხი ასეთია: რატომ მოხდა, რომ ფშვინვა შეიძინა ყრუ media-მ (გ-მ) და მფშვინავად (ქ-დ) იქცა სწორედ ბრძანებითისათ-ვის და არა მოთხრობითისათვის? საქმე ის არის, რომ ბრძანებითი კილო უფრო ღარიბია ფორმებით და ამიტომ განმარტოებული, ვიდრე მოთხრო-ბითი: კიდეც რომ შეცვლილიყო ყრუ გ ქ-დ სიტყვის ბოლოს მოთხრობი-თის რომელსამე ფორმაში, ამის დამკვიდრებას ხელს შეუშლიდა იმ ფორ-მების გავლენა, სადაც სიტყვის შიგნი მჟღერი გ (ადგა, ადგომა და სხვა) დაცული იყო მდგომარეობის გამო. იგივე არ ითქმის ბრძანებითის შესახებ. მართალია ბრძანებითის ყრუ გ-საც იცავს მოთხრობითის ფორმები, მაგ-რამ, რადგან ეს ორი კილო ორ სხვა და სხვა ჯგუფს წარმოადგენს ჩვე-ნი ცნობიერებისათვის, ამიტომ ჭეშმარიტი დამცველი ისევ თავისი ჯგუ-ფის ფორმებია, ვიდრე მეორისა. ნამყოში ქ-ს გადატანა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ბრძანებითი და ნამყოს მეორე პირი ერთგვარ ფორმებად იქმნა ცნობილი.

პრაქტიკულად მართლწერისათვის ჩვენ უნდა ვეცადოთ არ დავარ-ღვიოთ მორფოლოგიურ-გენეტიური ერთსახეობა, თუ ძირითად მნი-შვნელობის დიფერენციაცია არ მომხდარა, ესე იგი, თუ ახალი რეა-ლური ძირი არ შექმნილა. მაგ. ვკრეფ-ში, როგორც აღნიშნული იყო,

ახალი რეალური ძირი გვაქვს და ამიტომ აქ დაირღვევა ეტიმოლოგიური სახე.

მაგრამ დადეგ-ში არა ჩანს ეს განსაკუთრებული მოთხოვნილება. რაც შეეხება დაჯექ-სა და დაწექ-ს, აქ მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული ანალოგიის ძლიერი გავლენა საზოგადოდ ენაში. ამიტომ ქ-იან ფორმას აქ მეტი საბუთი აქვს დარჩეს, ვიდრე დადექ-ში. ეს მით უფრო, რომ პრინციპი მართლწერისა (სწერე, როგორც გამოთქვამ) უფრო დაცული იქნება დაჯექ-ში და დაწექ-ში ვიდრე დაჯედ-ში და დაწევ-ში; ასეთი ფორმები (დაჯექ და დაწექ) შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღოთ, თუ საერთო ქართულ სასაუბრო ენაში ისინი უფროა გავრცელებული. მართლაც, როცა ჩვენ ვამბობთ დადექ, მაგრამ ვწერთ დადეგ (აქ გ ყრუ media-ა), ეს კიდევ შეიძლება ავიტანოთ (მაგ., ჩვენ ვამბობთ ქქონდა, მაგრამ ვწერთ გქონდა): აქ ადვილია მორფოლოგიური სახის დაცვა, რადგან გ და ქ წარმოების ადგილის და სმენითი შთაბეჭდილების მხრით დიდად არ განსხვავდებიან ურთიერთ შორის. მაგრამ თუ ქართველთა უმრავლესობა ამბობს დაჯექ და დაწექ-ს, აქ უკვე ძნელია მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური სახის დაცვა ვ. ი. დაჯედ და დაწევ-ის წერა, რადგან ქ დიდად განსხვავდება ფიზიოლოგიურადაც და აკუსტიურადაც დ, ვ-საგან.

მაგრამ, მე ვფიქრობ, აქაც შეგვიძლია არ დავარღვიოთ მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ერთსახეობა, რადგან საერთო ქართულისათვის დაჯექ და დაწექ ჩვეულებრივი გამოთქმა არ უნდა იყოს.

გ. ახვლედიანი.

ჩვენი საშუალო სკოლის რეფორმისათვის.[1])

საშუალო სკოლის რეფორმის საკითხი ფრიად რთული საკითხია. როდესაც ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ამ რეფორმის შესახებ, ყოველ მხრიდან გესმის იმდენი ერთი მეორის მოწინააღმდეგე პროექტი, რომ ძლიერ ძნელია ერთბაშად გაერკვე, რა არის ამ პროექტებში გონიერი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა, და რა არის მათში ეფემერული და ფუქსავატი, ნაკარნახევი გარდამავალი და შემთხვევითი ხასიათის მოსაზ-

[1]) სიტყვა დასავლეთ საქათთველოს მასწავლებ. 1918 წლის ყრილობაზე.

რებებით. ასეთი თვისება საშუალო სკოლის რეფორმისა შეიძლება ორ კარდინალურ მიზეზს მიეწეროს: ერთის მხრივ, სკოლის საქმეების ორგანიზაციის დამოკიდულებას პედაგოგიურ ხელოვნების განვითარების ხარისხისაგან; მეორეს მხრივ, სხვა და სხვა საზოგადოებრივი იდეალების ზედგავლენას სწავლის და აღზრდის სისტემაზედ. გაბატონებული იდეალები საზოგადოებისა ირკვევა იმ კლასთა ბრძოლაში, რომელნიც იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ევოლიუციაში. ეს იდეალები არის ფაქტორი, რომელიც უსახავს სკოლას მიზანს. ხარისხი კი პედაგოგიური ხელოვნების განვითარებისა ამა თუ იმ ეპოქაში, რომელიც წარსულ შთამომავლობის შრომით დაგროვილ პსიქოლოგიურ ცოდნას ეყრდნობა, არკვევს იმ მეთოდებს და საშვალებას, რომლების მეოხებით ჩვენ ვწყვეტავთ ამოცანებს, სკოლის წინაშე საზოგადოების მიერ დაყენებულთ. ერთფეროვნება საზოგადოებრივი იდეალებისა, ისე როგორც ერთნაირი შეხედულება ამა თუ იმ პედაგოგიურ მეთოდზე იშვიათი მოვლენაა. აქედან ცხადია სხვა და სხვაობა საშუალო სკოლის რეფორმის პროექტებისა. ჩვენი მდგომარეობა ე. ი. მდგომარეობა იმ პირთა, რომელთაც აქ თავი მოგვიყრია საქართველოს საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საკითხის გამოსარკვევად, მით უფრო ძნელია, რომ ჩვენი სამშობლოს აუცილებელმა ისტორიულმა ევოლიუციამ იძულებული გაგვხადა მივბაძოთ იმ ფორმებს, რომელიც უკვე არსებობს მოწინავე ევროპის ქვეყნებში. ამასთან ერთად კი ჩვენ არ ვიცით ვისით, უნდა ვიხელმძღვანელოთ, რა ფაქტებს ევროპის საშუალო განათლებისას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება. ევროპაში თითოეულმა ერმა შექმნა თავისებური ტიპი საშუალო სკოლისა. საშუალო სკოლა გერმანიაში დიდათ განსხვავდება საფრანგეთის საშუალო სკოლისაგან. საფრანგეთის საშუალო სკოლას კი ცოტა აქვს საერთო ინგლისის და ამერიკის საშუალო სკოლასთან. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ჩვენი მდგომარეობის სიძნელე.

საქმე იმაშია, რომ არც ერთს ამ ქვეყნებში საშუალო სკოლა არ არის თავისუფალი ოპპოზიციისაგან. როგორც გერმანიაში ეწინააღმდეგებიან საშუალო განათლების პრუსიულ სისტემას, ისე საფრანგეთში ბრძოლაა გაჩაღებული ლიცეების წინააღმდეგ. ასევე ხდება ინგლისში, სადაც ბევრი დიდ გავლენიანი საზოგადოებრივი ჯგუფი მოითხოვს საშუალო განათლების რეფორმას.

ასეთი მერყეობა და აზრთა დაუდეგრობა საშუალო სკოლის საკითხ-

ში მით უფრო იწვევს ჩვენში ეჭვებს, რომ ყველაფერი ეს „არ ახალია, ძველია“: ევროპიულ კონტინენტზედ საშუალო სკოლის არც ერთს უკანასკნელ ფორმას არ აქვს ისტორია 30 წელზედ უფრო მეტი.

ბოლოს, შემდეგი მოსაზრებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში: იმ შემთხვევაშიაც, რომ ჩვენ, დარწმუნებულთ რომელიმე ევროპიული ერის სიმძლავრეში, მოგვენდომებინა წაგვებაძნა მისთვის ყველაფერში, სხვათა შორის სკოლის საქმეშიაც, და ამისდა მიხედვით დაგვესახა მიზნად ეგზოტიურ სკოლის ქართულ ნიადაგზედ გადმონერგვა, ჩვენ დავიმსახურებდით ასეთს სრულიად საბუთიანს შენიშვნას: წაბაძვაც ხომ ისეთი რამ არის, რაც მოითხოვს ერთგვარ ხერხს. უთავბოლო და უგონივრო მიმბაძველობა არაფერი მოსაწონია. ყოველივე წაბაძვის წინაშე ამის გამო დგება საშიშროება, რომ მან შეიძლება მიიღოს ფორმის წინაშე მუხლის მოდრეკის სახე და რაც შეეხება შინაარსს, ან საქმის არსებითი მხარეს, სრულიად არ მიაქციოს ამ უკანასკნელს არავითარი ყურადღება. ან, უკეთეს შემთხვევაში, მიაქციოს ყურადღება არა-ღირსეულად მიზომილი.

ყველა ეს აზრები გვაიძულებს ჩვენ დიდი სიფრთხილე დავიცვათ ჩვენს ნოვატორულ მისწრაფებებში, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ სკოლა და საზოგადოება უნდა ურთიერთ შორის შეთანხმებულ იქმნენ და ეს შეთანხმება, ეს კოორდინაცია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს შედეგად მხოლოდ მრავალ წელთა შეუმჩნეველ და თანდათანობითი მუშაობას, არის conditio sine qua non სკოლის სიცხოვლისა. სასკოლო წყობილება არ შეიძლება უცბად გამოხტეს რომელიმე მოაზროვნის გონებიდან, ისე როგორც მინერვა გამოხტა იუპიტერის თავიდან. ეს წყობილება უნდა გამომუშავდეს ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომის პროცესში, რომლის მეოხებით სკოლის ფორმა და მისი შინაარსი უნდა შეფარდებულ იქნენ რეალურ-ისტორიულ გარემოსთან.

თუ ჩვენ დაგვავიწყდა ეს ჭეშმარიტება, ჩვენ შეიძლება ისეთ დროს დავანგრიოთ ძველი სკოლა, როდესაც არ გვაქვს არავითარი პერსპექტივი აღვაგოთ ამ ნანგრევებზედ ახალი შენობა. უეჭველია, რომ ჩვენს შორის არ მოიპოვება არავინ, ასეთი უგუნური ნგრევის მომხრე.

გამოვთქვამ რა ამ აზრს, გთხოვთ არ გაიგოთ ეს იმნაირათ, თითქო აქ მოგიწვევდენ ჩვენში გაბატონებულ საშუალო სკოლის სისტემის წინაშე მოწიწებისაკენ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სკოლის სი-

სტემა გვარიანად შებერებულია. ძირითადი და, თუ გნებავთ, ყველაზედ უფრო დამახასიათებელი თვისებები ჩვენი სასკოლო მეთოდებისა და ამასთან ერთად საზოგადოთ მთელი სკოლის ცხოვრების ორგანიზაციისა, უკვე ჩასახულია ანტიურ სკოლებში, რომლებიც მოწყობილი ჰქონდათ სოფისტებს, როგორც ეს სჩანს ამ სკოლების კვინტილიანის მიერ აღწერიდან. საშუალო საუკუნოების სკოლამაც და მისმა განთქმულმა „artes liberales"-მა ბევრად წაუსწრო წინ ჩვენს თანამედროვე სკოლას და თანამედროვე სასკოლო კურსის შენობას.

ჩვენმა სკოლამ ამნაირად თითქმის უცვლელად შეინარჩუნა ის ძირითადი წყობილება, რომელიც აღმოცენდა ამოდენი ხნის წინ, უკვე სკოლის არსებობის ისტორიის პირველ საფეხურებზედ. თანამედროვე სკოლას მისი წყობილებაში თითქმის სრულიად არ დაეტყო ის უუდიდესი გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური გარდაქმნა, რომელიც მოხდა კაცობრიობაში ამ უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში.

ჩვენი აზროვნება დიდად განსხვავდება ანტიურ ქვეყნის აზროვნებიდან. მსოფლიო შეგრძნების ძირითადმა შეცვლამ, რომელიც გამოიწვია ქრისტეს მოძღვრებამ, დაჰბადა მსოფლ-მხედველობის შეცვლაც; ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დაეტყო ჩვენს წარმოდგენას ადამიანის სულის შესახებ და ამასთან ერთად იმის შესახებაც, თუ როგორი მეთოდები უნდა ვიხმაროთ, რათა მოვახდინოთ მიზანშეწონილი აღმზრდელობითი გავლენა ამ სულზედ. თუ ძველი ბერძენი, რომლისათვის სრულიად უცხო იყო წინააღმდეგობა მის და მის გარშემო არსებულ ბუნების შორის ანტიური ქვეყნის გენიალური წარმომადგენლის, სოკრატეს სახით დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცოდნა და ნებისყოფა ერთი და იგივეა— ჩვენ დღეს ძლიერ შორს ვართ ასეთი ინტელექტუალიზმისაგან. ჩვენ არ ვეთანხმებით სოკრატეს იმაში, რომ ცოდნა და ნებისყოფა იგივეობას წარმოადგენენ. გამდიდრებულნი ქრისტიანობის ღრმა ფსიქოლოგიური გამოცდილებით, იმ ქრისტიანობის, რომელმაც დასავლეთ ქვეყნების კაცობრიობის კულტურული ნაწილისათვის პირველად აღმოაჩინა ადამიანის ბუნებაში არსებული ძირითადი წინააღმდეგობა, ჩვენ მივხვდით, რომ ინტელექტუალისტური შემეცნება ადამიანის სულისა არ შეეფერება სინამდვილეს; ჩვენთვის ცოდნა და მოქმედება სრულიად არ იმყოფებიან იმ იდეალურ ჰარმონიაში, რომელიც სინამდვილეთ ეჩვენებოდა ანტიური ქვეყნის გულუბრყვილო მსოფლ-მხედველობას: ისინი არ არიან ურთი-

ერთ შორის შეთანხმებულნი; და ეს შეუთანხმობა, რომელიც საფუძველია ადამიანის ბუნების ღირსჰარმონიულობისა, არის სხვათა შორის იმის მიზეზიც, რომ ჩვენს წარმოდგენაში ეს სოფელი სრულიად არ წააგავს იმ სამოთხეს, რომლის სახით ქვეყნიერება ეცლინებოდა კაცობრიობას ძველად.

ძველი ქვეყანა თავის ჰარმონიული, მთლიანი და შინაგანი წინააღმდეგობას მოკლებული პიროვნებით, არ იცნობდა რიგიანად რა არის ნება; მას ნაკლებად ესმოდა ნების მნიშვნელობა ადამიანის სულის აგებულებაში. მისთვის მოქმედება მიზეზობრივად და სრულიად უთუოდ დამოკიდებული იყო ცოდნისაგან. ამის გამო ძველი ბერძენი, მოქმედი და დადებითი ნებისყოფის ადამიანის მოსამზადებლად საკმაოდ სთვლიდა, თავისი ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, მიენიჭებინა მისთვის მარტო შესაფერისი გონებრივი განვითარება.

მხოლოდ ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ წამოსწია წინ მანამდის დაჩრდილული ნების მნიშვნელობა ადამიანის ფსიქიაში. იმ ინტელლექტუალიზმს, რომელიც არ იცნობდა სრულიად შინაგან წინააღმდეგობებს, მან პირველად დაუპირდაპირა ვოლუნტარიზმი სულიერი ბრძოლით დატანჯული ადამიანისა.

ეს თავისებური შეხედულება ადამიანის სულზე, რომელიც ჩასახული იყო ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში, ჟამთა განმავლობაში თანდათან ვითარდებოდა, ღრმავდებოდა და ირკვეოდა. ამ განვითვრების ხაზი გადის ევროპიული აზროვნების უმწვერვალეს წერტილებში: ჯონ-ლოკის და იმანუილ კანტის თეორიებში. ჯონ-ლოკმა რომელიც იდგა ინგლისელთა მსოფლმხედველობისათვის ბუნებრივი პრაგმატიზმის ნიადაგზედ, გაბედულად მიუთითა ცდას, როგორც ადამიანის შემეცნების წყაროს. გერმანულმა ანალიტიურმა გენიამ ლეიბნიცის და კანტის საშუალებით განსაზღვრა პსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური სტრუქტურა ცდისა და აღმოაჩინა მასში აპერცეპტიული პროცესსი. ეს წმიდა გერმანული შეხედულება ადამიანის სულზე უმწვერვალესამდე განავითარეს ლოკემ და ვუნდტმა, განსაკუთრებით უკანასკნელმა, რომელმაც აპერცეპცია გარკვეულად და მკაფიოთ გააერთიანა ნებისყოფის აქტთან. ამნაირად ვუნტის ფსიქოლოგიაში ძირითადმა თვისებამ ქრისტიანული შეხედულებისამ სულის აგებულებაზე მიიღო ადექვატური ფორმა.

ზემოაღწერილ პროცესთან (სულიერ ცხოვრების თანდათანობით ვო-

ლუნტარისტულ ახსნასთან) დაკავშირებულია მეორე პროცესიც: ეს არის ის დიდ—მნიშვნელოვანი პსიქო-ბიოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც იწყება სპენსერი და დარვინიდან და რომლის თვალსაზრისით სულიერი ცხოვრება არის ევოლუციონური მოვლენა. ერნესტ ჰეკელის მიერ მკაფიო ფორმაში ჩამოსხმული ბიო-გენეტიური კანონი განვითარებისა დახელოვნებულად დაიცვა შემდეგში განთქმულმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა და პედაგოგმა სტენლი ხოლლმა პედოლოგიის სფეროშიც.

აი, ძლიერ მოკლედ რომ ვსთქვათ, ის გადატრიალება, რომელიც მოხდა კაცობრიობის ფსიქოლოგიურ წარმოდგენებში ანტიური ქვეყნის დამხობის შემდეგ დღემდის.

სკოლა კი,-მისი ორგანიზაცია, მისი შინაარსი, მისი მეთოდები, მიუხედავად ასეთი გადატრიალებისა, დარჩა თითქმის ისეთი, როგორიც იყო ორი ათასი წლის წინ. ის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებზე უფრო კონსერვატიული გამოდგა. მან ყველაზედ უფრო ნაკლებად განიცადა მეცნიერული აზროვნების პროგრესი. სწორედ ისე, როგორც ანტიურ ხანაში, მან დღესაც შეინარჩუნა თავისი ინტელექტუალისტური თვისებები. სწორედ ისე, როგორც ძველად, სკოლა სცდილობს დღესაც გატენოს მოწაფის თავი სხვა და სხვა ცოდნით, თითქოს ის არაკი ამჩნევდეს, რომ ეს ცოდნა ნაკლებად აუმჯობესებს იმას, ვისაც აწოდებენ. თანამედროვე სკოლას თითქო არ სურს შეამჩნიოს, რომ იმ საკატორღო შრომას, რომელიც მეფობს მის კედლებს შორის და რომელიც ერთნაირად ეზიზღება მოწაფეებს და თვით მასწავლებლებსაც, სრულიად ვერ ანაზღაურებენ ამ შრომით მიღწეული შედეგები.

შეადარეთ, თუ გნებავთ, ადამიანი, რომელმაც გაიარა ჩვენი საშუალო სკოლა, იმას, ვისაც ის არ გაუთავებია, და თქვენ ისეთ დასკვნამდის მიხვალთ, რომელიც სრულიად არ არის სანუგეშო პირველისათვის.

არც გონებრივად, არც ზნეობრივად, არც ესთეტიურადაც ჩვენი თანამედროვე საშუალო სკოლა არ სტოვებს მოწაფეზედ თვალსაჩინო დადებითს კვალს. ის ფინჩხები ცოდნისა, რომელიც გამოაქვთ მოწაფეთ ჩვენი საშუალო სკოლიდან, თითქმის გამოუსადეგარია ცხოვრებაში და სწორედ ამისათვის ნელნელა მიეცემა ხოლმე დავიწყებას. ვისაც გაუვლია საშუალო სკოლა ის თავის ცხოვრების პრაქტიკაში სახელმძღვანელო აზრებს ეძებს არა სასკოლო მეცნიერებაში, რომლებიც მას ოდესღაც უზეპირებია, არამედ სწორედ იმ ტრადიციაში, რომელიც მას მემკვიდრეობით

მიუღია თავის წინაპრებიდან მთელ თანამედროვე მოდგმასთან ერთად: განათლებულებთან და გაუნათლებლებთან. შეადარეთ აბა ჩვენი ინტელიგენციის პირადი ან ოჯახური ცხოვრება იმ საზოგადოებრივ წრეების ცხოვრებას, რომელთაც არ მიუღიათ არავითარი სასკოლო განათლება, და თქვენ გაგიკვირდებათ, რა მცირე დახმარება აღმოუჩენია მეცნიერებას და განათლებას გონიერ ცხოვრების მოწყობისათვის.

აქ არ გვაქვს ჩვენ საშუალება მოვახდინოთ უფრო ღრმა და უფრო დაწვრილებითი ანალიზი თანამედროვე სკოლის უარყოფითი მხარეებისა. გავიხსენოთ მხოლოდ ყველაზე უფრო მეტმნიშვნელოვანი ფაქტები.

ვინაიდან ჩვენი საშუალო სკოლა გამოდის იმ ძირითად რწმენიდან, რომ ერთად ერთი საშუალება ადამიანის განათლებისათვის არის მისთვის ცოდნის მინიჭება, ის ცდილობს მიაწოდოს მოწაფეთ რაც შეიძლება მეტი ცოდნა. „განათლების სისრულე და ყოველმხრივობა“-აი მისი დევიზი.

შედეგი ამ მოთხოვნილებისა, რომ განათლება უნდა ყოველმხრივი იყოს, ჩვენი საშუალო სკოლის მრავალსაგნიანობა არის. აქ ყველაფერი პოულობს ადგილს; ენებიც, მათემატიკაც, ბუნების მეტყველებაც, გეოგრაფიაც, ხელოვნებაც, ლიტერატურაც, რელიგიაც. ერთი სიტყვით, ჩვენი საშუალო სკოლა, თუ მივიღეთ მხედველობაში სასწავლო საგნების მრავალფეროვნება, წარმოადგენს თავისებურ უნივერსიტეტს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ უნივერსიტეტში შემოღებულია ფაკულტეტებზედ დაყოფვა, რის გამო მათემატიკოსი იქ არ არის იძულებული თუკიდიდე სთარგმნოს ან ლუკრეციუს კარუსის ფილოსოფიური შეხედულებანი გაარჩიოს, ჩვენს საშუალო სკოლაში კი ეს არ არის ასე.

აქ ყველა საგანი ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა. ვინაიდან ჩვენი სკოლა თითოეული საგნის განმანათლებელი მნიშვნელობის შეფასებაში ხელმძღვანელობს სრულიად გარეგნული კრიტერიუმით, რომელიმე სასკოლო მეცნიერების გამოტოვებას ის აუნაზღაურებელ ნაკლად სთვლის.

როდესაც ჩვენი სკოლა მსჯელობს თავის საგნების შესახებ, ის, როგორც მოგახსენეთ, სარგებლობს გარეგნული კრიტერიუმით. მისთვის ნაკლები, მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორია ურთიერთობა სასწავლო საგნის და მოწაფის პსიქოლოგიის შორის. ის მსჯელობს განყენებულად თითოეულ მეცნიერებაზე, თუ როგორია მისი შინაგანი, ფორმალურად განმავითარებელი, ღირებულება.

აი მაგალითიც. ბრმად დარწმუნებულთ საშუალო განათლების პრუსსიულ სისტემაში, ჩვენ არ ძალგვიძს ლათინური ენის თავიდან მოშორება და ვიმეორებთ ფრ. ავგ. ვოლფის დებულებებს ამ ენის ფორმალურად განმავითარებელი მნიშვნელობის შესახებ, ისეთ დებულებებს, რომელიც, უნდა გამოვტყდეთ, დიდი ხანია არქივს ჩაბარდა. ჩვენ თითქოს ვერ ვამჩნევთ ამ დროს, რომ ნიჭის ფორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ვარჯიშობის საშუალებით, რომ ეს ვარჯიშობა უნდა ხდებოდეს ისეთ მასალაზე, რომელიც დაახლოვებულია მოწაფის ფსიქიკასთან, თვით ეს ფსიქიკა კი თვითოეულ მოწაფეს აქვს თავისებური, სრულიად ინდივიდუალური და შეუზომელი სხვა მოწაფის სულიერ აგებულობასთან. ჩვენ გვავიწყდება ყველაფერი ეს, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე დიდი ხანია თეორიულად ჩვენვე თვითონ ვიცანით მისი ჭეშმარიტება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ თანამედროვე ჩვენი საშუალო სკოლა აიძულებს ყველა ბავშვებს ერთნაირად ერთი და იმავე მეცნიერებათა ციკლის გავლას მთელს უზარმაზარ რუსეთში. როგორც ვხედავთ, ჩვენი თეორია და ჩვენი პრაქტიკა სრულიად არ ეთანხმებიან ერთი მეორეს და წაგებულ მხარედ რჩება პრაქტიკა.

მკვდარი მასალა, გარედან ნაკარნახევი სკოლის მიერ და ბავშვის სულისათვის სრულიად უცხო, არ იწვევს მასში ინტერესს და აყენებს მას თავისუფლებას მოკლებული მონის მდგომარეობაში, რომელიც თუ მუშაობს, მუშაობს ზანტად, არა სინიდისის, არამედ შიშის ქვეშ. აქედან თავისთავად იბადება ჩვენს თანამედროვე საშუალო სკოლაში გარეგანი კონტროლის და რეპრესიების აუცილებლობა, რომელიც ხრწნის სკოლას და ღუპავს ბავშვს.

ეს დამღუპველი გავლენა ჩვენი საშუალო განათლების სისტემისა ბავშვებზე ცხადდება უკვე სკოლის საზღვრებში, და ცხადდება თითქმის ყოველ მხრივ, როგორც გონებაზედ, აგრეთვე გრძნობაზედ და ნებაზედ. ბავშვები თანდათან ჩლუნგდებიან გონებრივად, საღი მსჯელობა სტოვებს მათ ადრე, ვისაც შეუდარებია ჩვენი გიმნაზიელები გლეხების ბავშვებთან, რომლებსაც არც ერთ სკოლაში არ უსწავლიათ, ის შეამჩნევდა ალბად ამ უკანასკნელთა ჭკუის სიმახვილეს.

მოწაფეთა გრძნობაც არა ნაკლებად ზიანდება. მოტყუილება, სიხარბე ცბიერება მტკიცედ ბუდდებიან ხოლმე მოწაფის ფსიქიკაში. უშუალობა,

სიმარტივე, გულწრფელობა ადამიანთა მიმართ სადღაც ქრებიან უკვალოდ: ბავშები ავდებიან.

იხრწნება აგრეთვე მოწაფეთა ნებაც. ბავშვები თანდათან ზანტდებიან. მეტადრე მცირე დაბრკოლებას მოყავს ისინი სასოწარკვეთილებაში და აყრევინებს მათ იარაღს. ბრძოლა რომელიმე ძნელი მიზნის მისაღწევად მათ არ ძალუძთ.

ბავშვის ფსიქიკის ასეთს დეგენერაციას თან ჰყვება მისი სხეულის დეგენერაციაც. ჩვენი საშუალო სკოლის მოწაფეთა დაღლილობაზე არ შორდება პერიოდიულ პრესას. სახალხო განათლების სამინისტრო სცემს აუარებელ ცირკულიარებს საშუალო სკოლის მოწაფეთა მაცადინობის მიზანშეწონილად განაწილების შესახებ, როგორც სკოლაში, აგრეთვე სახლშიც. მაგრამ რა მერე? ამ ცირკულიარებს თითქმის არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს, და ჩვენი გიმნაზისტები და რეალისტები უფრო ავადმყოფებს წააგავენ, ვიდრე ჯანით აღსავსე ახალგაზრდებს. საქმე იმ ზომაზედ ცუდადაა, რომ არა ერთს ფიზიოლოგს დაუსვამს საკითხი: „რა არის უკეთესი, ბავშვის გასავითარებლად; საშუალო სკოლაში მიბარება, თუ სრულიად გაუნათლებლად დატოვება?“

სამწუხაროდ, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ჩვენი მოწაფენი ბევრს მუშაობენ. უფრო მართალია წინააღმდეგი აზრი. ისინი ძლიერ ცოტას მუშაობენ. ოთხ-ნახევარი საათი ჩვეულებრივი საკლასო და 2-3 საათი საშინაო მუშაობისა გაკვეთილების მოსამზადებლად, ეს არც იმდენად დიდია მაინც და მაინც, რომ არაქათი გამოართვას უფროს კლასის მოწაფეს. მაგრამ მოწაფეები მაინც იღლებიან.

მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ, როგორც გვასწავლის ფრ. პაულსენი გერმანელ მოწაფეთა შესახებ, სასკოლო პროგრამების მიზანშეუწონელებაში. პროგრამები არ შეეფერებიან მოწაფეთა ფსიქიკას და ამის გამო ვერ აინტერესებენ მათ. საინტერესო საგნის სფეროში შეიძლება არა-თუ 6-7 საათის მუშაობა, არამედ 12 საათის და მეტისაც.

ამნაირად მრავალსაგნიანობა, საგანთა შორის კავშირის უქონლობა, მოწაფეთა ინდივიდუალობის არ-ცნობა—აი რა ახასიათებს ჩვენს თანამედროვე საშუალო სკოლას, რომელიც აგებულია ინტელექტუალისტურ პრინციპზედ. ასეთი თვისება სკოლისა იწვევს მოწაფეთა განვითარებას კი არა, არამედ, პირიქით, მათი ფსიქიურ და ფიზიკურ დეგენერაციას.

რა თქმა უნდა სასკოლო პროგრამების გარდა იმასაც დიდი მნიშ-

ვნელობა აქვს. თუ ვინ არის ამ პროგრამის გამტარებელი ცხოვრებაში, ე. ი. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა პედაგოგიურ ნიჭს, მათს საზოგადო განათლებას, აღზრდის საქმისადმი ინტერესს და ამ საქმეში გამოცდილებას. საშუალო სკოლის ზოგი მკვლევარნი ამ უკანასკნელ მომენტს. მასწავლებელს, იმ ზომაზედ დიდს მნიშვნელობას აკუთვნებენ, რომ სასკოლო პროგრამა მათ მეორე ხარისხოვან საქმეთ მიაჩნიათ სკოლის ცხოვრებაში. „საქმე იმაში კი არ არის, რას ასწავლიან, არამედ იმაში, ვინ ასწავლის და როგორ ასწავლის“, გვესმის ჩვენ ხშირად ამ ბანაკიდან. მაგრამ რაც უნდა იყოს, მიუხედავად მასწავლებლის პიროვნების მაღალი მნიშვნელობისა სკოლის ცხოვრებაში, ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ასეთი მსჯელობა. რაც უნდა კარგი იყოს მასწავლებელი პერსონალურად, მას ბევრის გაკეთება თანამედროვე საშუალო სკოლის ორგანიზაციის გამო არ შეუძლია. ეს ორგანიზაცია ზღუდავს მის ინიციატივას, ახვევს მას ძალით გარედან სხვის მიერ დაკანონებულ პროგრამებს და მოითხოვს მისგან ამ პროგრამების შესრულებას.

ამრიგად თვით მასწავლებელთა მოღვაწეობა თანამედროვე საშუალო სკოლაში არის შედეგი სკოლის საზოგადო ორგანიზაციისა, რომლის დამახასიათებელი თვისებაა სახელმწიფოს მიერ შექმნილი და ყველასათვის სავალდებულო სასკოლო პროგრამა. ასეა თუ ისე მასწავლებელთა უვარგისობა გარდამავალი და არა-მუდმივი მოვლენაა: მასწავლებელთა კონტინგენტის გაუმჯობესობა, ბოლოს და ბოლოს საშუალო სკოლის მატერიალური რესურსების საკითხია. ჩვენი სკოლის უვარგისობას კი უფრო ღრმა საფუძველი აქვს.

ეს მოკლე კრიტიკული განხილვა ჩვენი თანამედროვე საშუალო სკოლისა უნდა გავხადოთ გამოსავალ წერტილად იდეალური ახალი საშუალო სკოლის აღსაწერად.

ახალი საშუალო სკოლა უნდა აგებულ იქნეს ვოლუნტარისტულ პრინციპზე. ამ სკოლის მიზანი უნდა განსაზღვრულ იქნეს პრაგმატიულად ე. ი. სკოლის მიზნად ჩვენ უნდა დავისახოთ ახალგაზრდა მოსწავლე თაობის ხასიათის ფორმაში ჩამოსხმა.

ადამიანის ხასიათის ფესვი არის მისი ნება, ამისათვის ყველაფერი ის, რასაც სკოლა აწვდის მოწაფეთ, უნდა დაკავშირებულ იქმნეს მათ ნებასთან. ცოდნა, რომელიც მიღებულია მხოლოდ გონების საშუალებით და

არ არის გადაბმული ბავშვის სულის ცხოვრების ფესვთან, მის აქტივობასთან, რჩება გონების ზედაპირზე და ჩქარა ამოშრება ხოლმე.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენ უნდა ვაწვდიდეთ ბავშვებს არა-ყოველგვარ ცოდნას განურჩევლად, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელსაც აქვს ახლობელი კავშირი მისი აწინდელ და მომავალ მოქმედებასთან. აი ძირითადი პრინციპი ჩვენი საშუალო სკოლის ორგანიზაციისა.

ეხლა ვცადოთ ამ პრინციპიდან შედეგების გამოყვანა, თუ ყველასი არა, ზოგიერთი უუმნიშვნელოვანესი შედეგების მაინც.

სასწავლო მასალის მოწაფეთა ნებასთან კავშირის საჭიროება გვიკარნახებს ჩვენ შევიტანოთ ამ მასალაში ცვლილება მოსწავლეთა ხასიათის შესაფერისათ. ამ ხასიათს აქვს ორი კათეგორია თვისებებისა: გვაროვნული ან ეროვნული თვისებები და პიროვნული ან ინდივიდუალური თვისებები. აქედან იდეალური სკოლის პროგრამები და მეთოდები უნდა პირველ-ყოვლისა განისაზღვრებოდნენ ეროვნულ გარემოს თავისებურობით. მაშასადავე, საშუალო სკოლის გაეროვნება არის პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ მისი რეორგანიზაციისათვის.

სკოლის გაეროვნებას, რომელზედაც აქ ჩვენ ვლაპარაკობთ, აქვს გაცილებით უფრო ფართო და უფრო ღრმა მნიშვნელობა, ვიდრე ესმიან ეს ხშირად. ჩვენ არ ვგულისხმობთ აქ მხოლოდ ქართულ ენაზედ უკვე არსებული საგნების სწავლების შემოღებას. ეს არის გარეგნული რამ, რომელსაც აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმ ზომაზედ, რამდენადაც მას თან მოყვება შედეგად სკოლის ცხოვრების უფრო ღრმა ცვლილებები. სკოლის გაეროვნება ჩვენ აქ გვესმის როგორც ძირითადი შეცვლა მთელი მისი პროგრამისა და სწავლების მეთოდებისა ქართველი ხალხის ეროვნული თვისებების თანახმად.

თვითოეული პედაგოგისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოში არაა საჭირო ყველაფერი იმის სწავლება, რასაც ასწავლიან ცენტრალური რუსეთის სკოლებში. მეტის თქმაც შეიძლება. თვით იმ მეცნიერებათა შინაარსი და მოცულობა, რომლებიც ისწავლებიან ცენტრალურ რუსეთშიც და საქართველოშიც, უნდა განირჩევოდენ ურთიერთ შორის. თუ, მაგალითად, რომელიმე ზვენიგოროდის მაზრის მცხოვრებისათვის საჭიროა და საინტერესოც არის იცოდეს ის ისტორიული პროცესი თუ როგორ შეაგროვეს მოსკოვის თავადებმა თანდათან რუსეთი, ქართველი კაცისათვის ეს ცოდნა არც საჭიროა და არც საინტერესო. ამ უკანასკნე-

ლისათვის უფრო საჭიროა და უფრო საინტერესოც შეისწავლოს, თუ როგორ გაიზარდა საქართველოს კულტურულ-ეკონომიური ძალა ბაგრატიდების მართველობის ქვეშ. შემდეგ, იმავე ზვენიგოროდის მაზრის მცხოვრებისათვის საჭიროა იცოდეს დაწვრილებით, უახლოეს პრაქტიკული მიზნების მისაღწევათ, რომ ვაზუზა და ლოსმინა ერთვიან ვოლგას, ქართველი კაცისათვის კი უფრო საჭიროა იცოდეს, სადარის მდინარე აბაშის სათავე.

ასე მოკლედ შეგვიძლიან ჩვენ მოვჭრათ სასკოლო პროგრამის გაეროვნების საჭიროება.

მაგრამ მარტო პროგრამებში კი არა, სკოლამ უნდა მიიღოს ეროვნული ხასიათი სწავლების მეთოდების მხრივაც. ჩვენი სასკოლო მეთოდები უნდა შეფარდებული იქმნეს ქართველი მოწაფის ფსიქიურ და ფიზიკურ თვისებებთან. აღვნიშნოთ სამაგალითოდ ჩვენი ბავშვების ექსპანსივობა, რომელიც აიხსნება მათი სამხრეთული სისხლით და მოითხოვს სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას მასთან, ვიდრე უფრო ფლეგმატიური ბუნების ჩრდილოეთის ბავშვები. აქ შეიძლება ის ფაქტიც დაუმატოთ, რომ კრიტიკული ჰასაკი სქესობრივი სიმწიფისა, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სულიერი განვითარებისათვის, ჩვენი ბავშვებისათვის დგება უფრო ადრე, ვიდრე მაგალითად, რუსებისათვის. შეადარეთ 18 წლის ქართველი ამავე ხნის იაროსლაველ ყმაწვილს და თქვენ დაინახავთ დიდს განსხვავებას მათ შორის. პირველი თითქმის უკვე ფორმაში ჩამოსხმული ადამიანია, თითქმის ვაჟკაცია, მეორეკი ჯერაც არ გამოსულა ყრმობის ჰასაკიდან. პირველი თავის თავს უფრო დამოუკიდებლად გრძნობს და მოითხოვს მეტს თავისუფლებას თავის მოქმედებებში: მეორე კი თანახმაა კიდევ ემორჩილოს სხვის ბრძანებას და ნაკლები პროტესტით ეგებება გარედან მოხვეულ იძულებითი ნორმებს.

ასეთი განმასხვავებელი თვისებები. რომლებიც ფლმოცენებულია ეროვნულ საფუძველზე, მრავალია. მათი ჩამოთვლა აქ შეუძლებელია-ისიც რაც ზევით ითქვა, მოვიყვანე მხოლოდ სამაგალითოდ. რომ შეძლება მოგვეცეს უფრო გაბედულად ვიმსჯელოთ ქართველი ბავშვის თავისებურ ფსიქიურ და ფიზიკურ აგებულებაზე, საჭიროა მისი ბეჯითი მეცნიერული შესწავლა ხანგრძლივი და მრავალმხრივი დაკვირვების საშუალებით. ასეთი ხასიათის გამოკვლევები კი, რომლებსაც დიდი ხანია აწარმოებენ დასავლეთ ქვეყნებში, ჩვენთვის ჯერ სრულიად უცხო რამ არის. მაგრამ

მათი აუცილებლობა თვალსაჩინოა. ეს გამოკვლევები უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი ეროვნული სკოლის მეთოდებს.

როდესაც ჩვენი საშუალო სკოლის გაეროვნებაზედ ვმსჯელობთ, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი კულტურა სხვა და სხვა უბედური ისტორიული პირობების ზეგავლენით, არ არის მდიდარი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, მაგალითად, გერმანიისათვის, საფრანგეთისათვის ან ინგლისისათვის, რომლებსაც დიდი ისტორიული წარსული აქვთ, რომლების თანამედროვე კულტურაც ფრიად მაღალი ხარისხის არის, სკოლის გაეროვნების საკითხი სრულიად მარტივად სწყდება. ამ ერებისათვის სკოლის გაეროვნება ნიშნავს მისთვის ისეთი სახის მინიჭებას, რომ მას საშუალება ჰქონდეს შეათვისოს მოწაფეთ ეროვნული კულტურა.

სამწუხაროდ, ქართველებისათვის სკოლის გაეროვნების საკითხი არ წყდება ასე უბრალოდ.

ჩვენი სკოლის გაეროვნება შორეულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის განსაზღვრული იქნეს ქართული ეროვნული სინამდვილის კულტურულ ღირებულებათა სწავლებით. თუ ასე იქნა გაგებული ქართული სკოლის გაეროვნება, ეს მოვლენა უსათუოდ შეამცირებს ჩვენი საშუალო სკოლის ობიეკქტიურ მნიშვნელობას, ვინაიდან ჩვენი თანამედროვე ეროვნული კულტურა არ არის იმდენად მდიდარი, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს თანამედროვე კაცობრიობისათვის მისაწვდომი განათლების წვეროების მიღწევა. არამც თუ ჩვენ, არამედ ისეთი ერებიც, რომლებსაც ბედი უფრო ლმობიერად ეპყრობოდა, რომლებიც ასე ახლოს ცხოვრობენ კაცობრიობის თანამედროვე კულტურის კერასთან (მე მაქვს მხედველობაში დანია, შვეცია და ნორვეგია) იძულებულნი არიან მეზობლებიდან ისესხონ ბევრი რამ.

რა არის ეროვნული კულტურა? აქ ჩვენთვის საკმაოა ერთ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. ეროვნული კულტურა არის ხელოვნური გარემო, რომელიც უადვილებს ერს არსებობისათვის ბრძოლას. ეს გარემო შეიძლება სხვა და სხვა ხარისხის იყოს იმისდა მიხედვით, რამდენად შეგუებულია ერი თავის ტერიტორიას და მის გარშემო მცხოვრებ მეზობლებს.

ჩვენ ქართველები საკმაოდ ვერ ვეგუებით ჩვენი ქვეყნის ბუნებას. ჩვენ არ ვიცით ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება. ჩვენი კულტურა არ გვაძლევს ამისათვის საკმაო იარაღს. აი ამის გამო ჩვენ

იძულებულნი ვხდებით ვეძიოთ ეს იარაღი ჩვენი კულტურის გარეშე, დასავლეთ ევროპის ერებს შორის. ამ ერებმა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში გამოიმუშავეს მიზანშეწონილი და გონიერი მეთოდები ბუნებასთან ურთიერთობისა. ჩვენ უნდა შევითვისოთ მათგან ეს მეთოდები, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათგან, როგორი დამოკიდებულებაა საჭირო ბუნებასთან. ყველაფერი ეს, ცხადია, ჩვენ უნდა შევითვისოთ ერთი კრიტერიუმის ხელმძღვანელობით, სახელდობრ: ამ მეთოდებიდან რომლის გამოყენება შეიძლება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებში?

თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ ვბაძავთ დასავლეთ ევროპიელებს, მაგრამ ჩვენ ვმოქმედობთ უაღრესად ეროვნულად. ვინაიდან ეროვნული სრულიად არ ამოიწურება იმით, რაც ჩვენ მიგვიღია მემკვიდრეობით წარსული თაობიდან: ეროვნული შეიცავს დაუსრულებელი პროგრესსის იდეას.

მაშ, ჩვენი საშუალო სკოლის გაეროვნება, უპირველესი პირობა მისი სწორი ორგანიზაციისა, ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც საჭიროება საშუალო სკოლის შეფარდებისა ქართულ ეროვნულ სინამდვილესთან; ამ უკანასკნელი ცნების ქვეშ კი, ე. ი. ქართული ეროვნული სინამდვილის ქვეშ, ჩვენ არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ქართული კულტურულ-ისტორიული სინამდვილე, არამედ საქართველოს ბუნებრივი სინამდვილეც.

როგორც ერთი, ისე მეორეც ფრიად მრავალფეროვანია. აი სწორედ აქ იხსნება გზა სხვა და სხვა თვისებათა კათეგორიების შესაქმნელად, რომლებსაც ზევით ინდივიდუალური ვუწოდეთ. საქართველოს სინამდვილე იმდენად რთული და ფართეა, რომ თითოეულ ქართველს შეუძლია ჰპოვოს მასში ასპარეზი თავისი ბუნებრივი ნიჭის გამოსაყენებლად.

სამწუხაროდ, არც კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა ჩვენი ერისა, არც ბუნება, რომელიც ჩვენს გარშემო იმყოფება, არ არის ჯერ იმ ზომაზედ შესწავლილი, რომ ჩვენ შეგვეძლოს აქედან კონკრეტიული დებულებების გამოყვანა ჩვენი საშუალო სკოლის მოსაწყობად. ასეთი შესწავლა მომავლის საქმეა. მაშ მომავლის საქმეა ამასთან ერთად ჩვენი შესაფერი საშუალო სკოლის ტიპის შექმნაც. მაგრამ რაც უნდა იყოს, ზოგი დასკვნის გაკეთება ჩვენთვის საჭირო საშუალო სკოლის შესახებ ეხლაც შესაძლებლად მიმაჩნია.

პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ამ საკითხში სოციალური ერთფეროვნება ქართული საზოგადოებისა. წოდებრივმა დაყოფამ, რომელიც ერთ დროს აპობდა ქართველ ერს ერთი მეორისადმი მტრულად განწყო-

ბილ ჯგუფებად, დიდი ხანია დაჰკარგა თავისი რეალური მნიშვნელობა. გლეხი, აზნაური, თავადი-ამ სიტყვებმა დაჰკარგეს ძველებური აზრი. ისინი დღეს სრულიად არ ნიშნავენ ეკონომიურ უზრუნველყოფობის კათეგორიას.

ქართველი ხალხის არა სასიხარულო ისტორიული წარსულის გამო, მისი მოწინავე ჯგუფები გასრესილ იქნენ უცხო ძალადობის ქვეშ, როგორც თვითშეგნების ფორპოსტები, მუდამ მტრულად განწყობილნი ცენტრის ასიმილიატორულ გავლენის წინააღმდეგ. გათელილნი და დამცირებულნი, ეს მოწინავე წოდებები სრულიად გათანასწორებულ იქნენ თავის არარაობაში დაბალ წოდებებთან. ამ ისტორიული პროცესის გამო დღევანდელი საქართველო წარმოადგენს ეკონომიური თვალსაზრისით ერთფეროვან მასას.

ეკონომიური კეთილდღეობის თანაბრობის შედეგია მსოფლმხედველობის ერთგვაროობა, წოდებრივი მედიდურობის ღა წრდებრივი კარჩაკეტილობის არარსებობა. დღევანდელ საქართველოში არ არის ისეთი ჯგუფი ან წრე, რომლის წევრობა საბუთს აძლევდეს ვინმეს ამაყად ელაპარაკოს სხვა ჯგუფის ან წრის წარმომადგენელს, როგორც ამას ვამჩნევთ სხვა ქვეყნებში. ეს გარემოება ხელს უწყობს დემოკრატიული სულის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი სამშობლოს ასეთი თავისებური თვისებიდან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ შესაფერი შედეგი ჩვენი საშუალო სკოლის მოსაწყობად. დღემდის ჩვენი საშუალო სკოლა თავის ორგანიზაციის პრინციპის მიხედვით იყო სკოლა მაღალი და საშუალო წრეებისათვის. როგორც ასეთი, ის განცალკევებულად იდგა, განშორებული დაბალი სკოლიდან, რომელიც დანიშნული იყო დაბალი ხალხისათვის.

შემდეგში ასეთ მოვლენას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. საშუალო სკოლა გადაბმული უნდა იქნეს დაბალ სკოლასთან.

ამნაირად საქართველოში უნდა შემოღებულ იქნეს ერთიანი სკოლა. ამას მოითხოვს არა მარტო განყენებული სამართლიანობა, არამედ რეალური თავისებურობაც ჩვენი ერისა.

როგორ უნდა დამყარდეს კავშირი საშუალო და დაბალ სკოლათა შორის, ამ კითხვის გადაწყვეტა დამოკიდებულია საშუალო სკოლის პროგრამის კონკრეტიულ განსაზღვრიდან. ზოგი არ უფიქრდება ამ გარემოებას და შეპყრობილი ამერიკულ სასკოლო სისტემის სიმარტივით, ბრმათ ეტანება მას და ცდილობს მის გადმონერგვაზე საქართველოში.

ზოგს კიდევ სხვაფრივ აქვს წარმოდგენილი საშუალო სკოლის დაბალ სკოლასთან კავშირი. ასეა თუ ისე, აქ არ არის იმისი ადგილი, რომ დაწვრილებითი კრიტიკით გავსინჯოთ სხვა და სხვა პროექტები საშუალო და დაბალი სკოლის ურთიერთი დაკავშირებისა. სხვა დროს და სხვა ადგილში ჩვენ გავარჩევთ ას საკითხს.

ქართველი ერის ცხოვრების ეკონომიური პირობები გვიკარნახებენ ჩვენ მეორე პრინციპსაც ჩვენი სკოლის მოსაწყობად: ჩვენი საშუალო სკოლა უნდა იძლეოდეს დამთავრებულ განათლებას. ის არ შეიძლება იყოს მხოლოდ კიბე, რომელსაც მოსწავლე უნივერსიტეტის კარებამდის მიჰყავს და რომელიც სრულიად მოკლებულია უნივერსიტეტიდან დამოუკიდებელს მნიშვნელობას. ასეთი ხასიათი აქვს სწორედ ჩვენს თანამედროვე საშუალო სკოლას, რომელიც იძლევა ეგრეთ-წოდებულს საზოგადო განათლებას და მოწაფეთა ფორმალური ნიჭის გასავითარებლად ავარჯიშებს მათ ცხოვრებიდან სრულიად დაშორებულ მასალაზედ.

ჩვენმა საშუალო სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებს ისეთი ცოდნა, რომელიც გამოსადეგარია ცხოვრებაში. მან უნდა გამოიმუშავოს სასარგებლო პრაქტიკული ჩვეულებანი. ჩვენი ხალხის უმრავლესობის სიღარიბისა გამო, ისეთი საშუალო სკოლა, სადაც სკოლა რვა-ათი წლის განმავლობაში გრძელდება და რომელიც არ აძლევს მოწაფეთ არავითარ, პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგარ ცოდნას და ხერხებს, უნდა ჩაითვალოს მეტის-მეტ მძიმე ტვირთად ხალხისათვის; აქ, რა თქმა უნდა, მე ველი ცნობილს პასუხს, რომ საშუალო სკოლას შეუძლებელია წარუმძღვაროთ უტილიტარული მიზნები, რომ მისი მიზანი მხოლოდ მოწაფეთა ფორმალური ნიჭის განვითარებაში შესდგება — მაგრამ ასეთი პასუხი შეიძლება დავამარცხოთ ჰერბერტ სპენსერის ერთი თვალსაჩინო დებულებით: ყოვლად არა-ბუნებრივი იქნებოდა, რომ ადამიანისათვის ყველაზედ უფრო უვარგისი იყვეს მისი უუსაჭიროესი მისი ნიჭის გასავითარებლად. მიზანშეწონილობა, რომელიც ყოველგან ემჩნევა ბუნებას, იძლევა, პირიქით, სრულს საბუთს ვიფიქროთ, რომ სწორედ ყველაზედ უფრო საჭირო და სასარგებლო ცნობები ყველაზედ უკეთესათ ავითარებენ ადამიანს.

ჩვენი საშუალო სკოლა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყველას, ვინც კი გაათავებს მას, მაგრამ არ სურს ან არ აქვს შეძლება განაგრძოს სწავლა უნივერსიტეტში, ქონდეს საკმაო მომზადება რომელიმე პრაქტიკული საქმისათვის.

როგორი ხასიათის უნდა იყოს ეს პრაქტიკული მომზადება. აქ ძნელია ამისი სრული აღნუსხვა. პროფესიათა სხვა და სხვაობამ რომლებიც შესაძლებელი არიან საქართველოში, უნდა გადასწყვიტოს საკითხი, თუ რა ცოდნა ან რა ჩვეულება (навыкъ) უნდა გამოიტანონ მოწაფეებმა საშუალო სკოლიდან.

აქ მხოლოდ იმისი აღნიშვნა შეიძლება, რომ თითეული პრაქტიკული ჩვეულება გულისხმობს მეცნიერულ ცოდნათა თავისებურ ციკლს, რომელიც აუცილებლად საჭირო საფუძველს წარმოადგენს მისთვის.

ვინაიდან ჩვეულების შეთვისების ხარისხი უკულმა პროპორციონალურად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ჩვეულების შეთვისებას აკისრებენ მოსწავლეს, ამის გამო საჭიროა დავანებოთ თვით მოწაფეს, თავისუფლად თავის მიდრეკილების მომავალ ცხოვრების შესახებ და თავის გეგმის მიხედვით ამოირჩიოს მეცნიერებათა რომელიმე ჯგუფი. ცხადია, რომ სრულიად არ არის ძნელი სასკოლო შრომის იმ მინიმუმის განსაზღვრა, რომელიც უნდა დაევალოს თვითეულ მოსწავლეს. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ასეთი სპეციალიზაცია დაუშვებელია, ვიდრე მოწაფე არ მიაღწევს შესაფერს ჰასაკს. სანამდის მოწაფეს თავისუფალ არჩევის უფლებას მივანიჭებთ, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ, ჯერ ერთი, მოწაფე ამ თავისუფლებას სასარგებლოდ და არა საზარალოდ გამოიყენებს; ამაში კი ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ უმთავრესად მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოსწავლეებთან, რომლებმაც უკვე მიაღწიენ კრიტიკულ ჰასაკს. როდესაც დგება სქესობრივი სიმწიფის დრო, ბავშვებს ემჩნევათ დიდი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი და თვით-გამორკვევისადმი; ბავშვები ამ დროს ეძებენ თავის გზას გავითარებისას. სწორედ ამ ხანაში ისახება ადამიანის ხასიათი და ვინც უშლის ხელს მის ინდივიდიალურ გამოსახვას, ის ხელს უწყობს პიროვნების დაღუპვას.

სრული განხორციელება ყველაფერი იმისა, რაც ზევით ითქვა, ახლო მომავალში ძნელი და საეჭვოც არის. ამისათვის არ გვაქვს საკმაოდ არც მატერიალური, არც სულიერი ძალები. მაგრამ ერთის გაკეთება მაინც შესაძლებელია.

უახლოეს მომავალში ქართველ ერს დასჭირდება მოქალაქეთა ორი კათეგორია: ჯერ, სხვა და სხვა გვარი ადმინისტრატიული მოღვაწეები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივ სამსახურზე. მერე, მრა-

ვალი მოღვაწეები სამრეწველო და საკომერციო ასპარეზზე. ამ უკანასკნელი კათეგორიის ხალხი ნაკლებად გვჭიროდა დღემდის. ამისათვის საშუალო სკოლის გათავებაში საზოგადოება ხედავდა მხოლოდ საუკეთესო საშუალებას სახელმწიფო სამსახურში თავის შესარგველათ.

დღეს კი პირობები შეიცვალა. ქვეყანა განთავისუფლდა იმ ბორკილიდან, რომელიც ბოჭავდა მის ეკონომიურ განვითარებას. რუსეთის იმპერიის დამხობა და საქართველოს განთავისუფლება აახლოვებს ჩვენს ქვეყანას დასავლეთ ევროპასთან. ჩვენი სამშობლო ებმება კაპიტალისტური დასავლეთის ფერხულში. ცხადია რომ ყველაფერი ეს ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენს სკოლას.

თვითეულ ზემოაღნიშნულ მოქალაქეთა კათეგორია თხოულობს თავისებურ განათლებას. პირველი უნდა იყოს კარგი აღმსრულებელი. მას უნდა შეეძლოს სხვის ნების გამოხატვის სწორი გაგება, რათა არ ჩაიდინოს შეცდომა მის შესრულებაში. მეორისათვის საჭიროა გარეშე ბუნების დაკვირვების ნიჭი. მას უნდა შეეძლოს სინამდვილის კრიტიკული შემეცნება par excellence. პირველისათვის საჭირო თვისებების შეძენა შესაძლებელია ჰუმანიტარული განათლების საშუალებით. მეორისათვის საჭირო თვისებები კი შეიძინება ნატურალისტური განათლებით. თავისთავად ცხადია, რომ ჰუმანიტარული სასკოლო მეცნიერებათა ჯგუფი არ უნდა იყოს გაყოფილი გარდუვალი კედლით ნატურალისტურ მეცნიერებათა ჯგუფისაგან.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანდათანობით გავატარეთ ცხოვრებაში ზევით ასე მოკლედ აღნიშნული პრინციპები, ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი საშუალო სკოლის აღორძინებაზედ.

ამ პრინციპებიდან გამომდინარეობენ ყველა წვრილმანები მომავალი საშუალო სკოლის კონსტრუქციის შესახებ: ეს ითქმის, მაგალითად, სასკოლო პროგრამებზე. რა საგნები უნდა გამოვრიცხოთ თანამედროვე საშუალო სკოლის კურსიდან და რა საგნები უნდა ჩაუმატოთ მასში? საჭიროა თუ არა საშუალო სკოლაში ხელგარჯილობა? გამოვრიცხოთ თუ არა იქიდან ლათინური ენა? რა ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს ისტორია ან მათემატიკა? ყველა ეს საკითხი გადაწყდება ძლიერ სადათ და ადვილად, თუ ჩვენ შევთანხმდებით მომავალი საშუალო სკოლის ორგანიზაციის პრინციპების შესახებ.

ს. დანელია.

† პროფ. იოსებ ყიფშიძე.

(1882—1919. გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.) *)

(ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა).

შესრულდა ერთი წელიწადი მას შემდეგ რაც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთა წრეს მოულოდნელად მოაკლდა ნიჭიერი და ენერგიული მეცნიერი იოსებ ალექსის-ძე ყიფშიძე.

ი. ყ. იყო ჩვენი მეცნიერების კერის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანი,

*) სტატია ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო იბეჭდება დაგვიანებით. რედ.

რასაც ანგარიშს გაუწევს საქართველოს განათლების მატიანე და სხ. შორის დიდის მადლობით მოიხსენიებს განსვენებულსაც, რომელმაც შესძლო გარდალახვა მრავალ დაბრკოლებათა ცხოვრების გზაზე*) და რომელმაც თავისი მაინც ბოლომდე გაიტანა.

პროფ. ი. ს. ყიფშიძე დაიბადა ზემო-იმერეთში (ს. რგანი) 1882 წ. შობა დღეს, მღვდლის ოჯახში. ქუთაისის სასულ. სემინარიის დამთავრების შემდეგ ის გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ჩაირიცხა ფიზიკურ—მათემატიკურ ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. ფარულ კრებებში (ს.-რევ.) მონაწილეობის მიღებისათვის გააძევეს სატახტო ქალაქიდან და ერთი წლის შემდეგ, ბევრი დაბრკოლება და მრავალი უსიამოვნება—ხიფათში განვლილი, დაბრუნებისას, რუს. სატახტო ქალაქში, იგი შევიდა იმავე უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე („სომხ.-ქართ. განყოფილება"), რომელიც დაამთავრა დიდის წარმატებით 1911 წელსა.

მისმა ნიჭმა, უტყუარმა შრომის უნარმა, სამეცნიერო ალღომ მიიქცია აკად. ნიკო მარრის ყურადღება და, ამ უკანასკნელის წინადადების თანახმად, დატოვებულ იქმნა უნივერსიტეტთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად და როგორც ასეთი, ასრულებდა სხ. და სხ. სამეცნიერო დავალებებს (მოგზაურობა ჭანეთში, სამეგრელო-სამურზაყანოში და სხ.).

1911—12 აკად. წლიდან ის ლექციებს კითხულობდა აღმოსავლეთის ენათა პრაქტიკულ აკადემიაში, ხოლო 1915 წლიდან ქართული ენისა და სიტყვიერების ისტორიის ლექციებს კითხულობდა პეტერბ. აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე.

1917—18 წ. წ., როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსვენებულმა მეცნიერმა უახლოესი მონაწილეობა მიიღო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში.

1918—19 წ. წ. ზაფხულში საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზ—ბის დავალებით კვლავ იმოგზაურა ჭანეთში და შეჰკრიბა მრავალი მასალები ენისა და ეთნოგრაფიისათვის საინტერესონი.

ჩვენს უნივერსიტეტში მინდობილი ჰქონდა კათედრა ძველი ქართული ენისა და მწერლობისა. ღრმა სიყვარულით საქმისადმი, დიდის შრო-

*) იხ. ამ. შესახ. საინტერესო ცნობები—„ერთი მსმენელთაგანისა", „სახ. საქმე", № 760, 1920 წ.—„იოს. ყიფშიძე". აგრეთვე ჩვენი—„ი. ყიფშიძე", „საქართვ.", 1920, №№ 39—41.

მის უნარითა და ნიჭით აღჭურვილს, მას შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია მის დარგში მომუშავე ახალგაზრდობისათვის, რითაც კიდევ მრავალ სარგებლობას მოუტანდა ენათ-მეცნიერებას. თავდავიწყებამდე მუშაობით გატაცებული, სამშობლოს ბრწყინვალე მომავალით აღტაცებული, მოულოდნელად ავად იქმნა და დაბადებიდან 37 წლისა გარდაიცვალა 21 თებ. 1919 წ.

ულმობელია კანონი სიკვდილისა და მსხვერპლად მას უდროოდ შეეწირა საქართველოს კულტურის ერთ-ერთ მოამაგეთაგანი!..*)

შეუდგებით ეხლა მის ნაწერთა აღნუსხვას, ქრონოლოგიურად.

პირველი შრომა ქართველ მეცნიერისა გამოვიდა პეტერბურგში 1911 წ.: „Опытъ грамматики ново-грузинскаго языка“ (ლიტოგრაფ.); იმავე წელს რუს. მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა მისი ჭანეთში მოგზაურობის შედეგი, სახელწოდებით: „Дополнительныя свѣдѣнія о чанскомъ (лазскомъ) языкѣ. Изъ лингвистической экскурсіи въ Русскій Лазистанъ“, რომელიც შეავსებს ცნობებს, ნ. ი. მარრის მიერ შეკრებილთ („Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестом. и словарёмъ,“ С. П. Б. 1910). „Дополнительныя свѣдѣнія...“ შეიცავენ საგრამატიკო შენიშვებსა, ტექსტებს და ჭანურ-რუსულ ლექსიკონსა. ავტორმა პირველად აღნიშნა: 1. სიმრავლე თანხმოვან დაბოლოებათა ჭანურ რიცხვითი სახელებში (მაგ.: არ, ჟურ, სუმ....ანშ, შქვით... ეჩ, ჟურენეჩ და სხ., შეად. მეგრ. ართი, ჟირი, სუმი... ამშვი, შქვითი... ეჩი, ჟარნეჩი და სხ.);

2. დაბოლოება პირად ნაცვალსახელთა—„ნ“-ზე: მან,—მ. მა; სინ, მ. სი; ჩქინ, მ. ჩქი (ზუგდ.-სამურზაყ.**) ჩქე); ხმარება ჭან. ენაში მომავ.

*) წერილები ი. ა. ყიფშიძის ცხოვრებისათვის იხ.: 1) ჟ. „ექიმი“, № 1, 1919 წ.—„ი. ყიფშიძე“—აკ. შანიძისა; „სახ. საქმე“, № 64—„პროფ. იოს. ყიფშიძე“, მისივე, იმ. წლ.; „საქართველო“—„ი. ყიფშიძე“, № 42; „თ. და ცხ.“, „პროფ. ი—ძე“, სურათით, 1919, № 2, მარტის 2. „ერთობა“ № 45—„ი. ყ.“; ავტორი ამ უკანასკნელ სტატიისა (გ.) უწოდებს განსვენებულს—„ენერგიულ მკვლევარს საქ. ისტორიისას“, რაც მოწმობს ჟურნალისტის მხრივ განსვენებულის არ ცოდნასა, ამ უკანასკნელის მიერ განვლილ სამეცნიერო გზის გაუთვალისწინებლობასა. ჩვენი სტატიები—„პროფ. ი. ყიფშიძე“ და სტატია ბ. „ერთი მსმენელთაგანისა“ ნაჩვენებია უკვე წინა შენიშვნაში. პირადად ჩვენ შემთხვევა არ მოგვცემია გავსცნობოდით განსვენებულსა. მისი გარდაცვალების ამბავი კი გავიგეთ, 3 თვის შემდეგ მისი გარდაცვალებისა, მაისში, რუსეთიდან მომავალმა სტამბოლშიდ.

შ. ბ.

**) სამურზაყანო, ანუ გარეთ-სამეგრელო, როგორც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მას, მეგრ. ენისა და ჩვეულებათა გაბატონებისა გამო მასში უკანასკნელ 30-40 წ. წ. განმავლობაში.

შ. ბ.

დროდსა აწმყოს მაგიერ (მაგ.: ა. დიზაბუნუ, ჰაში შალურასენ—ავად გახდა, აჲ კვდება (მოსალოდნ.: „მოკვდება“-ს მაგ.) და სხ. ამ წიგნში მოთავსებული ჭ. ზღაპრები თარგმნილია ქართულად ავტორის მიერვე და დაბეჭდილი „ნაკადულში“ (მოზრდ., 1911, №№ 8—10. ეთნოგრ. წერილი—„ჭანეთი“ ib. № 8).

1911 წელსვე ეკუთვნის ი. ყ—ძის რეცენზია ნ. მარრის წიგნისათვის—„Гр. Хандзтійскій—Георгія Мерчулъ.“, „კოლხიდა“, № 62, აგრეთვე—„ანისის ნანგრევებზე“, ib. „ოდიშსა და სამურზაყანოში“ იხ. №№ 117 და 140, მოწერილი ფსევდონიმით—„მაკოშვილი—ალექსიძე“.

თავისი კრიტიკული ნიჭი, დიდი ერუდიცია მეცნიერმა გამოაშკარავა რეცენზიაში: „Th. Kluge. Beiträge zur Mingrelishen Grammatik. Memnon. 1913“, რომელიც მოთავსებულია „რ. არქ. საზოგ. აღმოს. განყ. დღიურში“ (З. В. О. Р. Археол. О., 22 т.).

რეცენზენტი მიაქცევს ყურადღებას მ. ენის უცოდინარობას თ. კლუგეს მიერ, რომელმაც დაჰყო რამოდენიმე თვე 1912 წ. სენაკ. მაზრაში და აღნიშნავს, რომ ყველაფერი ის—რაც ჩაიდინა კლუგემ, მთელი მისი შრომა არის—„ნაბიჯი უკან“... თ. კლუგე ანგარიშს არ უწევს წინამორბედთა ნაშრომებს (ა. ცაგარელი, პ. ჭარაია. „Мингр. этюды“—პირველისა და რეცენზია მეორისა, მოამბე, №№ X და XII, 1895 წ., №№ I, II, 1896 წ.), რაც განცვიფრებას იწვევს ქ. მეცნიერისას.

გერმანელმა მკვლევარმა ვერ გამოარკვია ადგილი მახვილისა მ. ენაში (ორმარცვლოვ. სიტყვაში მეორე ადგილზე ბოლოდან, დანარჩენ შემთხვ. სამ და მეტ—მარცვლოვ. სიტყვებში მე-III ადგილს ანუ მე-III მარცვალზე, ბოლოდან).

მრავალ შეცდომებს მოელის რეცენზენტი ზმნის განხილვაში, უღვლილების კანონებში, რომელიც უნდა გამოეაშკარავებია გერმანელ მკვლევარსა; ამ შეცდომების მოლოდინს პროფ. ყ—ძე ახსნის ზმნების ხასიათის კვლევის სიძნელით ყოველსავე ენაში და მის გრამატიკაში, განსაკუთრებით კი მეგრ. ენის და მასთან მონათესავე ენათა გრამატიკაში.*)

1914 წ. ჩვენმა მეცნიერმა გამოსცა: „ცხოვრება და წამებაჲ წმ. ანტონი რავახისი“ („Христіанск. Востокъ“, т. II, თარგმ. და კრიტიკა ტექსტისა).

*) ამის მოტივები იხ. ჩვენს წიგნში—„მეგრული (ივერული) ენა“, წ. I, ნაკვ. 1, 1920, გვ. 24, 17.

1915 წ. ი. ყ. მუშაობდა კომისიაში, რომელმაც 1915 წელსვე გამოსცა—„სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“*) და რომელსაც აზრადა ჰქონდა ქართ. ენისთვის ერთი, ყველასათვის სავალდებულო ტერმინოლოგიის შემოღების დაჩქარება.

1916 წ. ეკუთვნის სტ.—„О мингрелизмахъ въ грузинскихъ надписяхъ изъ Мингреліи“ („Христ. Востокъ“, вып. 3, т. IV).

ეს სტატია შეიცავს გარჩევას—„ტყვირის ეკლესიის წარწერებისას, სამ-ში, რომელიც ე. ს. თაყაიშვილმა დაბეჭდა იმავე ჟურნალის, იმავე №-ში (გვ. 284—300.).

წარწერათა თავისებურობას განსვენებული ახსნის მეგრ. ენის უმთავრესი თვისებით, ე. წ. სრულ-ხმოვანებით (შეად.: ქმარი—ქომონჯი, ძმა—ჯიმა და სხ., გამონაკლისია: მ. ბალრე, ბელურა.**) ტყვირის წარწერებში—„ახალი-გაზდა, ძვირი-ფასიანი და სხ.).

ი. ყ. სტუდენტობიდანვე უწყობდა ხელს და მონაწილეობდა „ქართული ბიბლიოგრაფიის“ შედგენაში, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ეს კოლლექტიური შრომა, განსვენებულის წინასიტყვაობით, 1916 წ. გამოსცა რუს. მეცნიერებათა აკადემიამ, სახელწოდებით: „ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრ., არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძვ. მწერლობა“. გვ. VIII+160.

1918 წლის „განათლება“-ში (№ 1) მკითხველი იპოვნის განსვენებულის სტატიას: „ჭანეთში დარჩენილი ძველი, ქრისტიანობის დროდან, გადმოცემანი და ჩვეულებანი“. აქ მოყვანილი ჭანური ენის ნიმუშები ჩაწერილია მის მიერ ს. ბუჯაღში და თარგმნილი მის მიერვე ქართულად.

„მაფა წყარი“ (ჭან. „მეფის წყარო“) ასე ახსნის მეგრულის ჭანურთან ნათესაბოსა.

ოდესღაც სამეგრელო ისე ვრცელი ყოფილა, რომ მისი საზღვრები გადადიოდნენ ეხლანდელ ლაზისტანშიდ, მაგრამ ოსმალეთის ფადიშაჰმა—სულტან სელიმმა დაიპყრო მოსაზღვრე ადგილები და აქაური მკვიდრნი გაამუსლიმანა. მეგრული შეიჭრა ოსმალურში, ოსმალური (თურქული)—

*) ტფილისი. შემადგენლობა: პროფ-ბი—ივ. ჯავახიშვილი, კორნ. კეკელიძე, აკ. შანიძე, იუსტ. აბულაძე და სხ. შ. ბ.

**) იხ. ჩვენი ნახსენები წიგნ., გვ. 24,

ეგრულში და ამნაირად გაჩნდნენ ჭანები და ჭანური ენა, ლაპარაკი— „ოლარღალუ“ (ჭან.).

1918 წ. შემოდგომაზე (განსვენებულის უკვე ტფილისში მოღვაწეობის დროს) გამოვიდა პეტერბურგში, აღმოსავლეთის ენათა ფაკ. გამოცემით—„Хрестоматія древне-груз. языка“ (ხუცური და მხედრული. ძვ.-ქართული—რუსულის ლექსიკონით, გვ. VIII+82).

1919 წ. „სახელმწ. უნივ. მოამბეში“ (№ 1) დაიბეჭდა და ცალკე ბროშურის სახითაც გამოვიდა მისი: „ასისილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“—შესავალი ლექცია, წაკითხული პეტერბ. უნივ. 1915 წ. შემოდგომაზე (ქართ. თარგმანი ბ. ს. გორგაძისა).

—

ჩვენ განზრახვით გამოვტოვეთ ერთი შრომა განსვენებული მეცნიერისა, რომელიც 1914 წლის ქვეშ უნდა აღგვენიშნა და რომელზედაც შევჩერდებით დასასრულსა. ეს შრომა არის chef d' oeuvre'—ი საენათმეცნიერო კვლევისა. ეს შრომა რომ არ დაეწერა განსვენებულს—მისი სახელი კვალს ვერ დასტოვებდა ენათ-მეცნიერებაში. მკითხველმა უკვე იცის, რომ აქ ლაპარაკია მისი—„მეგრ. ენის გრამატიკისთვის“ („Грамматика мингрельскаго, иверскаго, языка съ хрестом. и словарёмъ“, 1914, изд. Академіи Наукъ), რისთვისაც ავტორი აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტმა ღირს-ჰყო, საჯაროდ დისსერტაციის სახით დაცვის შემდეგ, ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხისა. ეს შრომა—გაგრძელებაა იმ შრომისა, რომელიც 1880 წ. გამოსცა პროფ. ალ. ა. ცაგარელმა („М. этюды“, 2 ნაწილი, სადოქტორო დისსერტაციად დაცული პეტერბ. უნივ—ში). ი. ყიფშიძის წიგნი—შედეგია 4 წლის შრომისა და ააშკარავებს მასში დიდს სამეცნიერო ალღოსა. დიდის სიყვარულით მოპყრობია ავტორი საგანსა, გულ-დასმით შეუსწავლია წარსული და აწმყო ენისა, ურყეველ სისტემაში მოუყვანია მასალა, ყველაფერი თავ-თავის ადგილს მოუთავსებია და ისე გამოუცია. ამისთვის ხელს უწყობდა მას ის მშვიდობიანობა და ირგვლივ მუშაობის, სამეცნიერო კვლევა-ძიების ატმოსფერა, რომელიც გაბატონებული იყო ყველგან და განსაკუთრებით პეტერბურგის უნივერსიტეტში (1909—1914 წ. წ.). მოგზაურობის დროსაც სამეგრელო-სამურზაყანო-ჭანეთში სიამოვნებითა და გულ-ახდილად უხვდებოდნენ მას, როგორც შეჰფეროდა დროს, რასაც ვერ იტყვის

1919 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე მოგზაური იმავე მიზნით, დამწერი ამ სტრიქონებისა. *)

ი. ყ—ძე და მისი მუშაობა სამეგრელოში ჩვენი მოგზაურობის დროს მოიგონეს, განსაკუთრებით, მარტვილში, სადაც მან დაჰყო 1911 წლის თითქმის მთელი ზაფხული (ძმ. კვირაიებმა, დეკან. გ. გეგეჭკორმა და სხ.), აგრეთვე ზუგდიდში (ნ. ბერიძემ) და ს. აბედათში (იოს. ანჯაფარიძემ, 82 წლისამ, რომელსაც ახსოვს მუშაობა 1877-78 წ. წ. პროფ. ალ. ცაგარლისა და რომელსაც უწევდა დახმარებასა. ი. ანჯაფარიძე—ავტორია მრავალ ლექს-პოემათა ქართ., რომელნიც ხელთ გვაქვს და ვცდილობთ გამოცემასა).

ნახსენები წიგნი ი. ყ—ძისა შეიცავს სამ ნაწილს (614 გვ. სულ): გრამატიკ., ქრესტომატიას და ლექსიკონსა. ამ წიგნით ავტორი აღიარებს და უტყუარადა სთვლის იმ საენათმეცნიერო თეორიას, რომელსაც—„იაფეტური თეორია“, „იაფეტური ენათ-მეცნიერება“ ეწოდება და რომლის მამამთავარი აკად. ნიკო იაკ. მარრია (დ. 1864 წ.). **) ავტორი შრომისა ისევე, როგორც მისი მასწავლებელი, მიაკუთვნებს მეგრ. ენას განსაკუთრებულ ადგილსა—იაფეტურ ენათა შორის: თუბალ-კაინური ჯგუფი—თუბალური ანუ მეგრული და კაინური ანუ ჭანური. პირველს ეწოდება აგრეთვე ივერული ენა, იოს. ფლავიოსის (ებრ. მწერალი და მეცნიერი, I ს. ჩვ. აღრიცხვ.) მოწმობის თანახმად შესახებ იმისა, რომ თუბალიდები, ანუ მეგრელები, იაფეტის შვილის თუბალის მოდგმისანი, „ივერებად“ იწოდებოდნენო ჩემს დროს...

ავტორი გრამატიკისა იჩენს ღრმა დაკვირვებასა: იგი სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ ინგილოური***) თქმა ქართ. ენისა ფრიად უახლოვდება

*) იხ. ჩვენი „მეგრული (ივერული) ენა“ წ. I, ნაკვეთი I, 1920, გვ. V—XI, 1-14.

**) იხ. ამისთვის მისი: „ბუნება და თვისება ქართ. ენისა“, „ივერია“, 1886, № 88 და „Основныя таблицы къ грамм. др.-груз. языка съ предварит. сообщеніемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими“, СПБ. 1908. გამართლება ასეთ სახელწოდებისა—„იაფეტური“ ენათ-მეცნიერმა ჰპოვა „დაბად.“ (X, 2). იხ. საშთამავლო ნუსხა ნოე-იაფეტის მოდგმისა, მ. ჯანაშვ.—„საქ. ისტ.“, I, 906, გვ. 8; სტატ. ქართულად თეორიის შესახებ იხ.—„განათლ.“ 1908, №№ 1, 3, 4; 1909. № 1; 1914, № 2, გვ. 154, 1916, №№ 5-6. ან ჩვენ ნახსენებ წიგნში, გვ. 27...

***) საინგილოს შესახებ ახალ წერილთა შორის ყურადსაწებია ლ. ცაგარელის- „საინგილო“ სახ. საქმე, 21 თებ. 1920 წ.

იმერულსა, ანუ მეგრულსა, გარდა იქ მოყვანილ მაგალითებისა (გვ. XVI) შეგვიძლია დავასახელოთ მეგრ. ენის დამახასიათებელი ბგერა—ę—ს სიმრავლე ქართ. ენის დასახელებულ თქმაში.

ავტორი, სხ. შორის, გვაცნობს მეგრელთა შეხედულებას მათი ენის წარმოშობისათვის.

სვანმა შეირთო ჭანის ქალი. მათ ერთმანეთის, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგებოდათ. ამიტომაც იძულებულნი იყვნენ შეექმნათ ახალი საერთო ენა სვანურ-ჭანური, რომელსაც ეწოდა „მეგრული...“

ავტორს ზედმიწევნით შესწავლილი აქვს საკითხის ლიტერატურა ელჩები-პალლას-გულდენშტედტიდან-ალ. ცაგარლამდე.

მასალა, „ქრესტომატიის„ სახით დართული, მრავალმხრივია: პროზა, პოეზია, იგავ-არაკები, ანდაზა-გამოცანები და სხ. ეს მასალა შედეგია მისი და მისივე ხელმძღვანელობით მრავალ თანამშრომელთა მუშაობისა, უმთავრესად ზაფხულის თვეებში (1910—13), მაგრამ მთელი ღირებულება „ლექსიკონშია“ (200 გვ. მეტი), სადაც მრავალ მეგრულ სიტყვას მოუნახა მეცნიერმა ეკვივალენტი: სპარსულ (50), არაბულ (40-მდე), თურქულ-თათრულ (40), ბერძნულ (20), სომხურში (10) და სხ. სიტყვის განმარტებები დაწვრილებითია და ზოგიერთ მათგანის ახსნაში მკითხველი ჰპოვებს არა ერთ და ორ საინტერესო საეთნოგრაფიო მხარესა (იხ., მაგ., სიტყვები: ალანი, ანთარი, არამ-ხუტუ, ბარბალობა, მესები, გო-ხარჭალაფა, ხვითო და მრ. სხ.). უკანასკნელ სიტყვის განმარტებას დავსძენთ შემდეგსა. ხვითოს მარტო პოვნა როდია საკმარისი გულის ზრახვათა აღსრულებისათვის, საჭიროა მას, როგორც კვერცხს, შეექცეს ადამიანი, თუ გინდ ცხოველი და ის პირიდან აფრქვევს მარგალიტებსა, ანდამატებსა და სხ. სამურზაყანოს ერთ თქმულებაში, გაგონილი 1919 წ., ხვითო გველის კვერცხი როდია, იგი კვერცხია იმ ფრინველისა,, რომელმაც სძლია გველსა და მას შეექცა. ასეთ ფრინველს თავდავიწყებით, როგორც ბედის, ანუ „ბედნიერების“ ფრინველს, მისდევენ დასაჭერად საუკეთესო გმირები, გამოჩენილი მეომარნი და გზაზედ ძებნისა წააწყდებიან მრავალ დაბრკოლებასა, მათ წინ გადაეღობება სტიქიაც კი (ქარიშხალი, წვიმა, თოვლი და სხ.). ისინი გარდალახვენ ამ დაბრკოლებებსაც და ბოლოს ხელთ იგდებენ ხვითოს მატარებელ ფრინველსა, მდიდრდებიან და ბედნიერდებიან...

ი. ყ-ძის „ლექსიკონში“ თაფეტიდოლოგი-ლინგვისტი იპოვის არა ერთ

ასეულ საინტერესო შესადარებელ მასალასა, ხოლო ინდოევროპეისტი-ენათმეცნიერი არა ერთ ათეულ ანალოგიებსა ბერძნულ-ლათინურისას (იხ. „ბაია,“ „ბორო,“ „ბორქომი“ და სხ.).

მოკლედ აღნუსხული დადებითი მხარეები წიგნისა იყო მიზეზად აკ. ნ. ი. მარრის აღფრთოვანებულის რეცენზიისა, რომელშიც იგი უწოდებს განსვენებულს—„совершенно зрѣлый яфетидологъ-лингвистъ“-ს („Зап. В. О. Р. А. О., т. 23, 1915 г.).

კავკასიისათვის ნ. მარრს არა ერთხელ უწოდებია, ლექციებში თუ მწერლობაში,—„ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მუზეუმი, სომხ.-ქართ. ხელნაწერთა ბიბლიოთეკა“ და აი ასეთ „კავკასიის“ შესწავლის საქმეში ი. ყ-ძის შრომა-მომასწავებელია, -„რეალურად დამმოწმებელია ახალი ხანის დადგომისა“-ო.

რაც შეეხება კავკასიის კულტურასა და მის წინსვლას, ამ მხრივაც მისმა შრომამ უნდა აღასრულოს თვისი -„შესანიშნავი როლი“-ო. მხოლოდ კი, ნ. მარრის აზრით, წინდროულია ჯერ-ჯერობით, სანამ სხ. იაფეტური ენები არ არიან საკმარისად შესწავლილნი, მტკიცება იმისა, რომ მეგრულ-ივერული ენა უმთავრესად ქართ. ენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს და ვითარდებოდესო (გვ. XIX და შემდ. „გრ-კისა“).

ამავე მიზეზით შეუძლებელია თქმა იმისა, რომ მეგრ. ენაში ნაკლებად მოიპოვებიან სვანურ-აბხაზური ელემენტები. ამისთვის ჯერ-ჯერობით საჭიროა შესწავლა ამ იაფეტურ ენათა, გამოწვლილვა მათი თვისებათა.

დავსძენთ ჩვენს მხრივ, რომ მეგრ. ენაში აფხაზური ელემენტის სიმრავლეს ააშკარავებს—სამურზაყანოს თქმა მ. ენისა (ანუ გარეთ-სამეგრელოს თქმა), რომლის ტერიტორიაზე სული დალია აფხაზურმა და გაბატონდა მეგრული, *) ისევე, როგორც მეგრულმა გორდი-კინჩხა-ხუნწის (სენაკ. მაზ.) რაიონში.

გარეთ-სამეგრელოს ტერიტორიაზე არ არსებობს, ეთნოგრაფიულ მხარეს თუ შევეხებით, წმიდა მეგრული ჩვეულება, ზნე, ისევე როგორც ვერ ჰპოვებთ, ღალიძგას ნაპირსაც რომ გასცილდეთ წმ. აფხაზურსა. ზნე-ჩვეულება აქ რაღაც კომბინატორულია: მეგრ.- აფხაზური, აფხაზურ-მეგრული...

სვანური ენის ელემენტის გამოწვლილისათვის საჭიროა განსაკუთრე-

*) უკანასკნ. 30 წლ. განმ-ში.

ბითი შესწავლა, ჩვ. აზრით, მეგრ. ენის ჯვარულ თქმისა (სვანეთ. საზღვ.).

განსვენებული ქართველი მეცნიერი აღმსარებელი იყო იმ სალინგვისტო თეორიისა, რომელსაც 90-იან წლების შემდეგ ეწოდა-იაფეტური თეორია. მას სწამდა სხვებთან ერთად, რომ ენათ-მეცნიერებაში იმ ქაოსს, რომელიც არსებობდა ქართული ჯგუფის ენების გარშემო-დროა მოეღოს ბოლო. მას სწამდა, მარრის რეცენზენტების სიტყვით რომ ვსთქვათ, რომ:

„იაფეტური თეორია“ თანდათან მიისწრაფვის იქმნეს ურყეველ იაფეტიდურ ელემენტად „წინააზია-მესოპოტამიის ისტორიასა და ენათ-მეცნიერებაში.“*)

იგი მართლაც მიისწრაფვის წინ, მდიდრდება ახალი ფაქტებით და უნდა შეავსოს ის „სიცარიელე“**) ენათ-მეცნიერებაში, რომელსაც გრძნობდნენ მკვლევარნი ამ დარგისა...

განსვენებული ქართვ. პროფესორი დამარხულია დიდუბის პანთეონში. მის სახელს, გარდა იაფეტიდოლოგისა, განსაკუთრებით აღნიშნავს თავის ფურცლებზე ქართული მეცნიერების და განათლების ისტორიკოსი.

შალვა ბერიძე.

მომავლის სკოლა—შრომის სკოლაა.

(ჟურნ. „თავისუფალი აღზრდა“***).

პედაგოგიკას უდიდესი ავტორიტეტი პესტალოცი ყველაზე მეტ საბუთებს გვაძლევს აღზრდის სისტემას შრომის პრინციპზე დამყარების საასარგებლოთ. მან პრაკტიკაშიაც ეცადა მისი განხორციელება. ჩვენ სახეში გვყავს ნამდვილი პესტალოცი და არა ის პესტალოცი, რომელიც ამ დიდებული პიროვნების უხეირო პოპულიარიზატორებმა შექმნეს. პესტალოცი ნამდვილი მოციქული იყო სწავლა აღზრდაში შრომის პრინციპის დაცვისა და მთელი თავისი სიცოცხლის მიზნათ ის სთვლიდა ამ იდეიის პრაქტიკაში განხორციელებას. „ჩემთვის უდავო შეიქნა, ამბობს პესტალოცი,

*) აკად. აკად. ვ. ბარტჰოლდი და ი. სმირნოვი—„Зап. В. О. Р. О.,“ т. 23, Отзывъ о трудахъ Марра, относящихся къ Ани.

**) ibid.

***) იხ. გაგრძელება № 1.

რომ ადამიანი ბევრათ უფრო უახლოვდება ჭეშმარიტ განათლების საქმიანობის ნიადაგზე, ვიდრე მხედველობის საშვალებით“ „ადამიანს აღზრდაში სერიოზული და სისტემატიური შესწავლა ხელგარჯილობისა უნდა უსწრებდეს ზეპირ, სიტყვიერ სწავლებას“, „შრომა და შრომის სიყვარული წვრთვნის და ანვითარებს ადამიანის გონებას, ასაზრდოებს მის გრძნობათა სიფაქიზეს, იცავს ადამიანს სულიერ სისუსტისაგან და იმ დამღუპველ ჩვეულებისგან, როდესაც მას სიტყვა, მრავალ სიტყვიანობა, საქმე გონია. ამისთვის ყოველ შკოლაში აუცილებლათ უნდა იყოს: სახელოსნო დარგები და იარაღები, საკერავი ხელსაწყოები და სხვა. პესტალოცი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მდიდართა შვილებს მეტათ აკლიათ შრომისთვის მომზადება და არა აქვთ ხელებით მოქმედობის უნარი განვითარებული. ამ არა ნორმალურ გავლენას ის თვლის შედეგათ“ ძალდატანებითი უარყოფასა იმ ბუნებრივი გზისა, რომლითაც ბუნებაში ხდება წინსვლა და განვითარება. გამოდის რა ამ მოსზრებებიდინ პესტალოცი გადაჭრით მოითხოვს გონებრივ განვითარებასა და ხელგარჯილობას შორის დამყარებულ იქნას ზედ მიწევნით მჭიდრო გინუყოფელი კავშირი.

მაგ., პესტალოცის მიერ დაარსებულ შკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილზე მოწაფეები თიხისაგან ძერწავენ ხმელეთის სხვა და სხვა ფორმებს, მიდამოებს და სხვა. ხდება პრაქტიკული მუშაობა სხვა და სხვა დარგებზე.

პედაგოგიკის გამოჩენილი თეორეტიკოსი გერბარტიც ხელ გარჯილობას დიდს მნიშვნელობას აწერს.,, ადამიანის ხელებს არა ნაკლები საპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის განვითარებაში, ვიდრე ენას, რომელმაც ადამიანი პირუტყვზე აამაღლაო „ან კიდევ:“ ფიზიკური შრომა გიმნასტიკურ ვარჯიშობაზედაც მეტათ სასარგებლოა. ქალაქის შკოლები ამავე დროს შრომის შკოლები უნდა იქნეს. ამისათვის კი სრულებით არ არის საჭირო, რომ ეს შკოლები სახელოსნო შკოლებათ გადაიქცესო“.

გერბარტის ნაწერებში ძალიან ბევრია ისეთი ადგილები, რომელნიც ნათლათ ამტკიცებენ, რომ გერბარტი ხელგარჯილობას უტყუარ იარაღათ სთვლიდა ადამიანის ნების ყოფის გასავითარებლათ და განსამტკიცებლათ. ხელგარჯილობას გერბარტი სთვლიდა იმ აუცილებელ საჭიროებათ, რომელზედაც უნდა აგებულიყო გამოვლის ყოველგვარი სასარგებლო შრომა და მოღვაწეობა.

ფრ. ფრებელი გერბარტზე და მის მიმდევარ-თანამოაზრეებზე კიდევ უფრო შორს მიდის. როგორც გერბარტი ისე მისი მიმდევრებიც მართა-

ლია სასკოლო სისტემაში ხელგარჯილობას ფრიად საპატიო როლს უთმობდენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ საქმეს ისინი სთვლიდენ სასურველ იარაღათ ადამიანის აზოვნების გასავითარებლათ, და ამისათვის ხელგარჯილობა, როგორც დამხმარე საგანი, ბევრათ დამოკიდებული იყო სხვა სასწავლო საგნებიდან. ფრებელი კი სხვა ნაირად ფიქრობს, მისი აზრით ხელგარჯილობას, როგორც ასეთს, დიდი საკუთარი მნიშვნელობა აქვს; მას უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს სწავლა-აღზრდის სისტემაში.

ფრებელი ამბობს: „ადამიანი მოქმედებისათვის არის გაჩენილი და არა მსჯელობისთვის“, „როგორც კერძო პიროვნების, აგრეთვე მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში საქმიანობა, შემოქმედებითი გამოსახვა, წინ უძღვის აზროვნებას.“ „მოქმედება და მოძრაობა უუმნიშვნელოვანესი მოვლენაა ბავშვის ცხოვრებაში. ადამიანის არსება მხოლოთ მოძრაობისა და საქმიანობისადმი მისწრაფებაში გამოიხატება. ამიტომ აღზრდაც უნდა დაიწყოს მოძრაობით, მოქმედებით. აღზრდის მთელი სისტემა უნდა დაეყრდნოს ბავშვის ბუნებრივ მისწრაფებას მოძრაობა-მოქმედებისადმი.“ ფრებელის მიერ შემუშავებული აღზრდის სისტემა სავსებით შრომის პრინციპზეა აგებული.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოთ რამდენიმე მოაზროვნენი, რომელნიც მე 17-19 საუკუნეში შრომის პრინციპის დამცველათ გამოდიოდნენ.

ჩვენ შეგვიძლია მათ გვერდში ამოუყენოთ ბევრი გამოჩენილი ფილოსოფოსებიც, როგორც მაგალითად სმიტი, ფიხტე და სხვები, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ზემოხსენებული ავტორიტეტებიც სავსებით საკმარისია.

ამ რიგათ, ჩვენ დავინახეთ, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მთელი რიგი გამოჩენილ პედაგოგიებისა და მოაზროვნეებისა აღზრდის სისტემაში შრომის პრინციპის მედგარ დამცველებათ გამოდიოდნენ და არა ერთხელ განუძრახავთ ხოლმე ამ იდეიის პრაქტიკაში განხორციელება. ამ მიზნით აარსებდენ ხოლმე მრავალ შკოლებს, სადაც სწავლებაა—ღზრდას ადამიანის არსების გარმონიული განვითარება ქონდა მთავარ მიზნათ დასახული, მთელი სისტემა კი სავსებით ეყრდნობოდა ბავშვის ბუნებრივ მიდრეკილებას: შრომისა, მოძრაობისა და აქტივობისადმი. ერთი სიტყვით აარსებდენ შრომის შკოლებს, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. მაგრამ, დახეთ უბედურებას. საქმე კერძო ცდას არ გასცილებია. შრომის სკოლის იდეამ სულ უკანასკნელ დრომდის ვერ პოვა პრაქტიკაში საკმაო განხორციელება და ამა თუ იმ პირების მიერ დაარსებული სკოლები ვერ

გახდენ საზოგადო მოვლენათ. ხელგარჯილობა მხოლოთ სახელოსნო საწავლებელთ შერჩა და ისიც მხოლოთ მატერიალური სარგებლიანობის მიზნით.

თავის თავად იბადება კითხვა: რა არის ამის მიზეზი? რით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ მეტად გონიერი და საღი პრინციპი, ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებიდან გამომდინარე იდეა ვერ პოულობს სათანადო ცნობას და გავრცელებას, მიუხედავათ იმისა, რომ ამ იდეას ბევრი მეტათ ავტორიტეტული და გენიალური დამცველ-მქადაგებელი ყავდა. ასე იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ხოლო სულ რაღაც უკანასკნელი ორიოდე ათეული წლების განმავლობაში ეს იდეა სწრაფათ ვითარდება, უდაო და საყოველთაოდ ცნობილი ხდება, საზოგადოებრივი აზრი მას ითვისებს, ეს იდეა ცხოვრების მოთხოვნილებაა, საზოგადოების ყურადღებასა და სიმპატიას იმსახურებს და მის განხორციელების პირველობას ძველი და ახალი ქვეყანა, ევროპა და ამერიკა, ერთმანეთს ეცილება? რაში უნდა ვეძიოთ ამ თითქოს გაუგებარი მოვლენის მთავარი მიზეზი? პასუხი მეტათ ადვილია, თუ სახეში მივიღებთ შემდეგ, ყოვლათ უდავო დებულებას: ყოველი იდეიის გამარჯვება იმაზე კი არ არის დამოკიდებული თუ როგორის ბეჯითობით მას ქადაგობენ, არამედ არსებობენ გარდაუვალი ისტორიულ-სოციალური ეკონომიური ფაქტორები, რომელნიც რკინის კანონებით საზღვრავენ, როგორც საზოგადოებრივ შემეცნებაში ამა თუ იმ იდეიის წარმოშობა განვითარებას, აგრეთვე მისი ცხოვრებაში განხორციელების შესაძლებლობასაც. აღზრდაში შრომის პრინციპის დამყარების ისტორია მჭიდროთ დაკავშირებულია შრომის ისტორიასთან; ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შრომის მნიშვნელობით აიხსნება სიჩქარე თუ სიგვიანე სწავლა-აღზრდის საქმეში შრომის იდეის დამყარებისა.

ძველ საბერძნეთსა და რომში მონათა მფლობელობის ხანაში შეუძლებელი იყო სწავლა-აღზრდაში შრომის პრინციპზე ლაპარაკი. ბრძენთა და ფილოსოფოსებს ამ პრინციპის უაღრესი მნიშვნელობა კარგათ ესმოდათ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ დროს აღზრდა მხოლოთ მაღალი, მფლობელი კლასების პრივილეგია იყო.

გაბატონებულ კლასებისათვის კი შრომა არ იყო საკალდებულო. ისინი ფიზიკურ შრომას არ ეწეოდნენ და ამისათვის სწავლობდნენ მხოლოთ იმას, რაც მათ მდგომარეობას შეეფერებოდა, სახელდობრ: სამხედრო სა-

ქმეს, ლიტერატურას, მჭევრმეტყველებას, პოლიტიკას, გიმნასტიკას და სხ. დაბალი კლასებისათვის კი, რომელნიც მდგომარეობით შრომას ვალდებულნი იყვენ, მათვის აღზრდა არ არსებოდა. საზოგადოებრივი აზრი და კანონები დაბალი კლასებისათვის აღზრდას არ სთვლიდა საჭიროთ. პლატონის „იდეალური სახელმწიფოს“ მმართველები ფილოსოფოსები უნდა ყოფილიყვნენ, ფილოსოფოსები მაღალ-წოდებას ეკუთნოდნენ, ფიზიკური შრომისაგან თავისუფალნი იყვნენ, მხედრების თანაბრათ. ერთნიც და მეორენიც მფლობელთა წრეს ეკუთნოდნენ, მაღალ წოდებას და უკანასკნელისთვის კი ფიზიკური შრომა დამამცირებლათ იყო ცნობილი. მაგ., ციცერონი სწერდა: „სამარცხვინოა და დამამცირებელი ყოველი მუშის პროფესია. სამარცხვინოა აგრეთვე ყოველ გვარი ხელოსნობა, რადგანაც სახელოსნო დაძგა, და თავისუფალი ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრება ერთად მოუთავსებელია.“ არისტოტელი გადაჭრით ამბობდა: „ერთნი დაბადებულნი არიან შრომისა და მორჩილებისათვის, მეორენი კი ბატონობისათვისო“.

არც საშუალო საუკუნოებში ეჭირა შრომას დიდათ საპატიო ადგილი, სწავლა-განათლება საშუალო საუკუნოებში მმართველთა კლასის და სასულიერო წოდების პრივილეგიათ იყო ცნობილი. ეს გასაკვირიც არ არის. ფეოდალურ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა ბატონყმურ შრომაზე ემყარებოდა, ეს საზოგადოება ძველი რომისა და საბერძნეთის მონობის იდეოლოგიაში აღიზარდა და თავის თავათ ცხადია საზოგადოებაში შეუძლებელი იყო აღზრდაში შრომის პრინციპის დამყარებაზე ლაპარაკი, მანამდის, სანამ თვით ცხოვრებამ არ წარმოშვა მოთხოვნილება და შემდეგ კი საერთო განათლების, სახალხო სკოლის იდეაც.

მრეწველობის ზრდა-განვითარებას, ახალი საწარმოო იარაღებისა, რთული მანქანების გამოგონებას, ახალი საერთაშორისო სავაჭრო გზების აღმოჩენას შედეგათ მოყვა უფრო განვითარებული, ტეხნიკურათ გაწვრთვნილი მუშა ხელის მოთხოვნილება. შრომის თავისუფლებისა და სახალხო განათლების მოთხოვნილება ერთი და იმავე ობიექტიური პირობებისა და დროს ნაყოფია. აქ უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი მოვლენა: ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობიდან და მიზნებიდან აღმოცენებულმა სწავლა-აღზრდის ახალმა სისტემამ (შეიმუშავა) შექმნა სკოლების ისეთი ტიპი, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა იმ დროინდელ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, ხოლო რაც შეეხება სკოლაში შრომის პრინციპს, ეს იმდენათ დარჩა მიღებული და განხორციელებული, რამდენსაც ამის

შესაძლებლობას შრომისა და მშრომელთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა იძლეოდა.

ახალ საზოგადოებას ახალი საკითხები, ახალი მიზნები თან დაყვა. ერთის მხრით უნდა დაწვრილებით შეესწავლათ ბუნების კანონები, ძალები და სიმდიდრე, რომ უკეთ გამოეყენებინათ ეს ფაქტორები თავისი მიზნებისათვის, მეორეს მხრით საჭირო შეიქნა გაცილებით უფრო მეტი ინტენსიური და ნაყოფიერი შრომა ანუ საჭირო შეიქნა მეტათ განვითარებული ტეხნიკა ბუნებრივ ძალთა და სიმდიდრეთა მეტის ნაყოფიერებით გამოსაყენებლათ. ტეხნიკა კი თანდათან რთულედებოდა, რაც აუცილებლათ მოითხოვდა მეტათ განვითარებულს, ინტელიგენტურ მუშა ხელებს. მაგრამ, ისტორიას ნახტომები არ უყვარს. ამისათვის მიუხედავათ ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილებებისა, შრომა მაინც დაბალ წოდების მოვალეობის ფარგალში რჩება, მაღალი წოდება კი წინანდებურათ მხოლოთ განაგებს შრომას. ისინი შრომის გამწესრიგებლის როლში გამოდიან. ამრიგათ შრომას ჯერ კიდევ სასირცხო დაღი აზის; ინტელიგენტური და ფიზიკური შრომა ჯერ კიდევ ცხოვრების სხვა და სხვა პოლიუსზე არის მომწყვდეული. გონებრივი შრომა, ეს „მაღალი, ღირსეული“ შრომაა, ფიზიკური კი-დაბალი, დამამცირებული. მრავალ წლობით გათხრილი ორმო ჯერ კიდევ საკმაოთ ღრმა რჩება. და აი, ამ ატმოსფერაში აღმოცენებულ სკოლებს, რომელიც ასეთ ობიექტიურ, სოციალურ-ეკონომიურ პირობებს შედეგათ მოევლინა საზოგადოებას, ამ სკოლებსაც შრომის თანამედროვე მდგომარეობის ბეჭედი აზის.

ჩნდებიან ერთის მხრით „რეალური“ სასწავლებლები, სადაც ტეხნიკური საგნების შესწავლა სჭარბობს, თუმცაღა ხელგარჯილობასაც აქცევენ ყურადღებას, იმდენათ მაინც, რამდენათ ეს საჭიროა თუ პირადი შრომისათვის არა, სხვისი შრომის გასაწესრიგებლათ მაინც, მეორეს მხრით მრავლდება სახალხო სკოლები. ამ უკანასკნელ მოვლენას ეკონომური განვითარების ახალი ფორმების მოთხოვნილების შედეგათ სთვლიდენ. პარალელურთ ამ მოვლენებთან ვრცელდება სახელოსნო სკოლები, რომელნიც მეფეთა მფარველობის ქვეშაც კი იყვენ გამოცხადებული, ამ ნაირათ მაშინდელი შეხედულებით სახალხო სკოლების მიზანი იყო ღვთის მორწმუნე, მარჯვე წერა-კითხვის მცოდნე და კეთილ შობილ ქვეშევრდომთა აღზრდა, სახელოსნო სკოლებს კი დაკისრებული ქონდათ ხალხში შრომის მოყვარეობისა და უნარის გავრცელება.

ამ ნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ აღზრდის შრომის პრინციპი მჭიდროთ დაკავშირიებულია საერთოთ შრომის სოციალურ მდგომარეობასთან ასე რომ შრომის იდეიის გავრცელებას, მისი პრაქტიკაში განხორციელებას მეტად უშლიდა ხელს: 1) განსაკუთრებელი ისტორიულ სოციალურ ეკონომიური პირობები, რომელმაც გამოიწვია საზოგადოების კასტებათ, წოდებით და კლასებათ დანაწილება და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ღრმა ორმო ამოსთხარა ყოველგვარი უპირატესობით და გონებრივი შრომის მონოპოლიით აღჭურვილ კლასთა და დაბალ წოდებას, ფიზიკური შრომა-ვალდებულ კლასთა შორის. 2) საზოგადოების დიდი ნაწილი მმართველი წრეები, სრულებით არ ეწეოდენ ფიზიკურ შრომას, უკანასკნელი მათთვის სამარცხვინო იყო, ხოლო დაბალი კლასები, საზოგადოების ფიზიკურათ მშრომელი ნაწილი, გონებრივ შრომას ჩამოცილებული იყო; მათთვის მხოლოთ ფიზიკური შრომა იყო სავალდებულო, სხვა დარგები კი არსებული საზოგადოების სტრუქტურის ძალით მათთვის მიუწდომელი იყო. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ წვრილ სახელმწიფოებში რესტავრაციის ხანაში 1824 წელს, მიღებული იყო კანონი, რომლის ძალით მხოლოთ იმას ქონდა უფლება ესწავლებინა თავისი შვილისთვის, ვისაც წელიწადში 1500 ფრ. შემოსავალი ქონდა.

ამ რიგათ უდაოა ის, რომ გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებული წინააღმდეგობა მაღალ და დაბალ კლასთა შორის არსებული სოციალური წინააღმდეგობის შედეგია. ხოლო საუკუნოებით შემუშავებული ცრუ რწმენა და ტრადიცია, თითქოს ფიზიკური შრომა დამამცირებელი იყოს ადამიანისთვის და ზემო ხსენებული სოციალურ ეკონომიური პირობები, აი მიზეზი იმისა, რომ შრომის სკოლამ ვერ პოვა სათანადო განხორციელება მთელი მე 19 საუკუნის განმავლობაში; შრომის სკოლის მსგავსება მხოლოთ სახელოსნო სასწავლებელთ შერჩათ და ამ უკანასკნელშიც ხელგარჯილობას თანამედროვე მნიშვნელობით მეტათ ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული; ხელგარჯილობას მიზნათ ხელისა და ზოგი ერთ კუნთების ვარჯიშობას სთვლიდენ. მთავარი უბედურება იმაში იყო, რომ ხელგარჯილობასა და ზოგად განათლებას საგნებთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა და პირველი ისწავლებოდა როგორც არა სავალდებულო საგანი. აქ ერთ ფრიად დამახასიათებელ მოვლენას უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება: იმ ქვეყანაში, სადაც შრომა სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე შეიქნა საზოგადოებრივი ცხოვრების ქვა-

კუთხედი, სადაც შრომამ შესაფერი საპატიო როლი დაიჭირა, იქ, ამერიკაში, შრომის სკოლამაც, აღზრდის შრომის პრინციპზე მოწყობას იდეამ შესაფერი ცნობა და პრაქტიკული განხორციელებაც მიიღო. ამერიკაში ყველა შრომობს, სირცხვილი და დამამცირებელი მხოლოთ უსაქმობა უმოქმედობაა. აი, ამ ქვეყანაში, ამ შრომის სამეფოში, შრომის სკოლამაც შესაფერი ნიადაგი პოვა, აქავე წარმოიშვა და განვითარდა ის მეცნიერება, რომელიც უდაოდ ხდის აღზრდაში შრომის პრინციპის დაცვას, აქ წარმოიშვა ექსპერიმენტალური პედაგოგიკა-პედოლოგია.

შემდეგში ვეცდებით გავარჩიოთ შრომის სკოლის პრინციპები ამ ცნების თანამედროვე შინაარსით და ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ქვეყნებში.

ევ. მარაგანელი.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობა.

(გაგრძელება 11 იანვრის სხდომისა)

ამის შემდეგ მოსმენილ იქმნა ბ. ჯანიშვილის მოხსენება ამავე თემაზე. ის შეეხება უმთავრესად დაბალ სკოლათა მასწავლებლების მომზადებას.

მასწავლებელთა მომზადება.

ხშირად მსმენია ამხ. მასწავლებლებისაგან, რომ მასწავლებლობისთანა უბედური პროფესია სხვა არ არსებობსო. გადრა იმისა, რომ მასწავლებელის შრომა მეტად მძიმეა და ჯეროვანად არ ფასობს, გარდა კიდევ სხვა მრავალი უბედურებისა უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ მასწავლებელი ვერავითარ წარმატებას ვერ ეღირსება მის სიცოცხლეში და მასწავლებლად უნდა მოკვდეს. დაკვირვების შემდეგ მივედი შემდეგ დასკვნამდე: თითქმის ყველა ინტელიგენტური პროფესია თეორეტიულ მომზადებასთან ერთად საჭიროებს გამოცდილებას, პრაქტიკულ მომზადებას, სტაჟის გავლას;

მოწინავე ქვეყნებში ასეა მასწავლებლობაც, ჩვენში კი არა. და ესაა ერთი მიზეზთაგანი, რომ მასწავლებლობა ჩვენში ჩამორჩენილია და წინ ვერ შიდის.

დღემდის კიდევ ცოტაოდენ თეორიულ ცოდნას მაინც იძლეოდა სემინარია ან ორ წლიანი პედაგოგიური კურსები. ეხლა კი საყოველთაო სწავლის დაჩქარებამ აუცილებელი გახადა თეორეტიულად სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდების მასწავლებლებად დაშვება. მართალია მათ მოისმინეს ორთვიანი სამასწავლებლო კურსები, მაგრამ ეს ხომ ანბანია მხოლოთ და ნამდვილი ცოდნა კი აწი უნდა შეიძინონ.

მაშინ როცა განახლებული სკოლა მოითხოვს ძველ მასწავლებლებს გაცილებით უფრო მომზადებულ სპეციალისტებს, ცხოვრება გვაიძულებს გაცილებით უფრო მოუმზადებლებს ჩავაბაროთ ახალი სკოლის ბედიღბალი. წინადაც ყველა უკმაყოფილო იყო მასწავლებლის მოუმზადებლობით და ეხლა ხომ სულ უარესია. თავათ არ იყო ძმარიო და შეურიეს წყალიო,—ისე მოუვიდა სახალხო მასწავლებლობას. ასეთი მდგომარეობა კი სრულიად დასცემს მასწავლებლის პრესტიჟს და სახელს გაუტეხს.

ასეთი მოვლენის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს ყველა და მათ შორის შეგნებული და შეკავშირებული მასწავლებლობა, თუ კი ის აფასებს თავის პროფესიას და თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას.

თუ პროგრესისა და კულტურის მიუცილებელი პირობა—condicio sine qua non—სახალხო სკოლაა და მაზედ მილიონები უნდა დაიხარჯოს, მაშინ მოუმზადებელი სახალხო მასწავლებელი უდიდესი ბოროტებაა. ამიტომ დღევანდელ პირობებში ყველაზედ უფრო გასამართლებელი და მიზან-შეწონილი სახელმწიფო ხარჯები იქნება ის, რომელიც სახალხო მასწავლებელთა მომზადებას მოხმარდება.

როდესაც ჩვენში საყოველთაო განათლება მოთავდება, მაშინ გვეყოლება 3-4.000-მდე მოუმზადებელი მასწავლებელი კურსებით და 2500 სანახევროთ მომზადებული, ძველი მასწავლებელი.

ამ საერთო ეროვნული საფრთხის თავიდან აშორება შეიძლება ერთად ერთი გზით: მასწავლებელთა თვით-განვითარებით. სხვა საშუალება არ არსებობს.

მე მწამს, რომ სახალხო მასწავლებლობა, რომელიც თვითონაც კარგად გრძნობს თავის მოუმზადებლობას, შეეცდება ამის გამოსწორებას და შეუდგება თვით-განვითარებას. მაგრამ ამ საქმეში სახელმწიფო და თვით-

მართვის ორგანოები სავსებით ვერ დაემყარებიან მასწავლებელთა კეთილ სურვილებს. ამიტომ მასწავლებელთა თვით-განვითარებას უნდა მიეცეს იძულებითი და სისტემატიური ხასიათი, ე. ი. მოუმზადებელი მასწავლებლები ვალდებული უნდა გავხადოთ, რომ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად თან და თან შეიძინონ ის სპეციალი თეორეტიული ცოდნა-მომზადებისა, რაც აუცილებელია მასწავლებლობისათვის.

და რომ ასეთი წესი ქალალდზედ დაწერილი არ დარჩეს და ადვილადაც გატარდეს ცხოვრებაში. საჭიროა თვით მასწავლებლობა ნივთიერად დაინტერესებული იყოს თავის პროფესიის გაუმჯობესებაში. უანგარო ინტერესზე ნუ ვალაპარაკებთ, რადგან მას არსად არა აქვს ჯერ ადგილი.

ამ მოსაზრებითაა ნაკარნახევი ის რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად მიიღო შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა ყრილობამ და რომელსაც ამას ვადგენ.

ამ წესით ვალდებული ხდება ორივე მხარე როგორც დამქირავებელი,—(სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები), ისე მასწავლებლები; პირველი მხარე ვალდებულია დაეხმაროს მასწავლებლებს და ხელი შეუწყოს მათ თვით-განვითარებას უფასოდ და სისტემატიურად ყოველ წლივ კურსების მოწყობით.

მასწავლებლობა კი ვალდებულია ეს ხარჯები სახელმწიფოს ტყვილა არ გააწევიოს, კურსებს დაესწროს, ცოდნა შეიძინოს და თანამედროვე მეთოდებით შეიარაღებულმა ხელი შეუწყოს ხალხის წინსვლა-განვითარებას.

ახალგაზრდობა, რომელსაც გულწრფელად გადაუწყვეტია ემსახუროს ხალხის განათლებას დიდი სიამოვნებით გაიღებს თავის ჯამაგირის 30%, 20% და 10%, თუ კი სამაგიეროდ მას მისცემენ განათლებას. ცოდნის სურვილი ისე დიდია ყოველ რიგიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟში, რომ მთელ ჯამაგირს თუ არა 50% მაინც დახარჯავენ რომ მეტი განათლება მიიღონ. მაგრამ სამწუხაროთ მხოლოთ ნაწილი ახერხებს ამას და ეწყობა სხვადასხვა კერძო კურსებზედ.

ჩემ მიერ ნაჩვენებ წესით კი ის ახალ-გაზრდობა, რომელიც სახალხო მასწავლებლობას დაისახავს მიზნად, ძალიან იაფად და იოლად მიიღებს სერიოზულ სპეციალ განათლებას სამი წლის განმავლობაში ის დახარჯავს საერთო ჯამაგირის მხოლოთ 20% და გახდება სახალხო

მასწავლებელი, არა ისეთი როგორიც დღემდის იყო, ამაზე ნამდვილი სახალხო მასწავლებელი სერიოზული ცოდნითა და გამოცდლებით აღ-ჭურვილი, სავსებით მომზადებული. დემოკრატიულ სახელმწიფოში სახალხო მასწავლებელი, არა მარტო სიტყვით იქნება საპატიო... სახელმწიფომ სახ. მასწ. უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა საჭირო დონეზე უნდა აიყვანოს. უამისოთ მასწავლებლობა ვერ გაუმჯობესდება.

დასასრულ ზედ-მეტი არ იქნება აქ თუ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან.

ინგლისში, მაგ. აუარებელი მოწაფეები გამოიყენეს საყოველთაო განათლების საქმეში. იქ 1895 წ. იყო 34.200 მოწაფე-მასწავლებელი და 53.000 ნამდვილი მასწავლებელი. საზოგადოთ ინგლისში მასწავლებლობის ხუთი ხარისხი არსებობს: 1—კანდიდატი მოსწავლე-მასწავლებლისა, 13—16 წლის ყმაწვილი; 2—მოწაფე-მასწავლებელი, უნდა იყოს 15 წლისა და ოთხი წლის შემდეგ ჩააბაროს სემინარიაში ეგზამენი მასწავლებლის თანაშემწისა; 3—მასწავლებლის თანაშემწე; 4—დროებით დიპლომიანი მასწავლებელი, ვინაც თანაშემწის გამოცდა ჩინებულად ჩააბარა; 5—დიპ-ლომიანი მასწავლებელი, ვინც სემინარიაში სწავლობდა, პრაქტიკაც ჰქონდა და გამოცდებიც ჩააბარა. (იხ. „Рабочій классъ Англіи“, Ностица, 138, 139 გვ.).

გერმანიაში სახალხო სკოლის გათავების შემდეგ ახალ-გაზრდა, რომელსაც მასწავლებლობა უნდა, მიმართავს მაზრის სკოლების გამგეს და იჭერს მასთან გამოცდას. შემდეგ ებარება რომელიმე სახალხო მასწავლებელს და ორი წლის განმავლობაში ემზადება სემინარიისათვის, სადაც დიდი კონკურსია. ვინც მოხვდება სემინარიაში 2-3 წლის შემდეგ ათავებს მას და ინიშნება მასწავლებლის კანდიდატათ რომელიმე გამოცდილ მასწავლებელთან. შემდეგ ვიდრე 30 წლისა შეიქნებოდეს, ის ესწრება ყოველ წლივ კონფერენციებს, ისმენს კურსებს და ღებულობს მონაწილეობას საპრემიო თხზულებებში. 30 წელი რომ შეუსრულდება ისევ შესაფერი გამოცდის შემდეგ აძლევენ მასწავლებლობას და რჩება ამ თანამდებობაზე ვიდრე 60 წელი შეუსრულდებოდეს. შემდეგაც სავალდებულოა ორი თხზულების წარდგენა. (იხ. „კვალი“ № 47, 1896 წ. „სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში“.

ჩეხიაშიაც მასწავლებელს უსათუოთ სპეციალი განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული. სემინარიაში ღებულობენ, ვისაც აქვს მოწმობა არა ნა-

კლებ ოთხი კლასისა. სემინარიის დასრულების შემდეგ, რასაც ოთხი წელი უნდება, ორი წლის განმავლობაში ითვლება კანდიდატათ და თუ კარგი სახელი მოიხვეჭა, ამტკიცებენ მასწავლებლად. („განათლება“ № 1, 1918 წ.).

ამ რიგად მომზადებული და გამოცდილი მასწავლებელი, რა თქმა უნდა, თავის მოვალეობასაც კარგად შეასრულებს და საზოგადოებაშიაც ღირსეულად იქნება დაფასებული.

ამის შემდეგ ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რატომაა ჩვენი სახალხო მასწავლებელი ყველასაგან აბუჩად აგდებული და ბეჩავი.

თუ გვინდა ასეთ მდგომარეობას როგორმე თავი დავაღწიოთ, საზოგადოების თვალშიაც ავმაღლდეთ და ჩვენ მძიმე მოვალეობასაც პირნათლად ვასრულებდეთ,—უნდა გავისარჯოთ, ვიშრომოთ, ენერგიულად მოვკიდოთ ხელი თვით-განვითარებას.

თვით-განვითარება ყველაზე უფრო ადვილი და იაფი საშუალებაა საჭირო ცოდნის მისაღებად, მაგრამ ბევრისათვის თითქმის დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს ნების სისუსტე. ამიტომ საჭიროა მას მიეცეს ერთგვარი იძულებითი ხასიათი. გამოვდივარ რა ყველა ამ მოსაზრებიდან, ვუდგენ ყრილობას შემდეგ რეზოლიუციას:

ვინაიდან საყოველთაო განათლების დაჩქარებით განხორციელება აუცილებელს ხდის მოიწვიონ მასწავლებლად ისეთი პირები, რომელთაც საკმაო სპეციალი მომზადება არა აქვთ და ამავე დროს ახალი სკოლა საჭიროებს მეტად დახელოვნებულ და მცოდნე სპეციალისტებს,—ამიტომ სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირების დელეგატთა პირველი ყრილობა, ჰგრძნობს რა იმ მეტად მძიმე მოვალეობას და პასუხისმგებლობას, რომელიც საქართველოს მასწავლებლობას დაეკისრა ახალი ცხოვრების განთიადზე,—საჭიროდ მიაჩნია სახალხო მასწავლებელთა პროფესიის გასაუმჯობესებლად და მათი გონებრივი განვითარების დონეს ასამაღლებლად სახელმწიფომ და თვითმართველობებმა შემოიღონ შემდეგი წესი:

მოკლე-ვადიანი პედაგოგიური კურსების მოსმენის და სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ოთხ კლასიანი ახალგაზრდები ინიშნებოდენ პრაქტიკანტებად და ჯილდოთ ეძლეოდეთ მასწავლელის ჯამაგირის 70%.

ერთი წლის შემდეგ ეს პრაქტიკანტები, მოისმენენ რა კვლავ სათანადო მოკლე ვადიან უფასო კურსებს, აბარებენ შემდეგ საგნებს: ლოლი-

კა, ფსიქოლოგია და ზოგადი პედაგოგიკას. ასეთები დაინიშნონ მასწავ-ლებლის კანდიდატებად და მიეცეთ მასწავლებლის ჯამაგირის 80%.

ერთი წლის შემდეგ კანდიდატები ისმენენ ისევ სპეციალურ უფასო კურსებს და აბარებენ შემდეგ საგნებს: პედაგოგიკის ისტორიას, ზოგად დიდაქტიკას და მეთოდიკებს: ქართული წერა-კითხვის, არითმეტიკის და ბუნების-მეტყველების. ასეთები დაინიშნოს უმცროს მასწავლებლად და მიეცეს მასწავლებლის ჯამაგირის 90%.

კიდევ ერთი წლის შემდეგ ასეთივე წესით უმცროსი მასწავლებლები ჩააბარებენ შემდეგ საგნებს: სასკოლო გიგიენას და მეთოდიკებს: ისტორიის, გეოგრაფიის, გეომეტრიის, ხატვა-ხაზვის და ვალობის. ასეთები ინიშნებიან უკვე მასწავლებლად და ეძლევად სრული ჯამაგირი 100%.

ამის შემდეგ ვინც მოისურვებს და დაიცავს დისერტაციას რომელიმე პედაგოგიურ თემაზე საჯაროთ, სადაც დაესწრებიან სათანადო უწყების, უნივერსიტეტის და მასწავლებელთა კავშირის მიერ დანიშნული ოპონენტები, მიეცეს წოდება ნასწავლი პედაგოგისა, რომელიც საჭიროებისამებრ მიწვეულ იქნება სკოლების ინსტრუქტორად, ლექტორად და სხ.

გარდა ზემოდ ჩამოთვლილი სპეციალი საგნებისა კურსებზე უნდა იკითხებოდეს ლექციები ზოგადი განათლების ხასიათისა, მაგ. ფილოსოფია, ისტორია, სოციოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ლიტერატურა, ბუნების-მეტყველება, კანონ-მეტყველება, პოლიტიკური ეკონომია, კოოპერაცია და სხ.

უნდა შესდგეს სპეციალი კომისია, რომელიც შეიმუშავებს სავალდებულო საგნების დაწვრილებით პროგრამებს და გამოაცხადებს ერთი წლით ადრე, რომ დაინტერესებული პირები თვითონაც ემზადონ და შემდეგ კურსებს დაესწრონ.

რადგანაც თვითგანვითარებაზე ასეთი სისტემატიური მუშაობისათვის საჭიროა ბევრი თავისუფალი დრო, ამიტომ სახალხო მასწავლებელი სავსებით უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს ჯამაგირით და ოჯახში მუშაობას აღარ საჭიროებდეს, როგორც დღეს ხდება.

ბ. ჯანიშვილი.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ შემოდის წინადადებები: 1. არჩეულ იქმნას სარეზოლიუციო კომისია, რომელსაც გადაეცემა წაკითხული მოხსენებები, 2. გადაეცეს მოხსენებები კავშირის მომავალ საბჭოს, რომელიც მიიღებს მასწავლებელთა მომზადებისათვის საჭირო ზომებს. ხმის

უმრავლესობით მიღებულ იქმნა მეორე წინადადება. საკითხის ასე გადაჭრით უკმაყოფილებას აცხადებენ გორისა და დუშეთის მაზრათა წარმომადგენლები და მოითხოვენ შეტანილ იქმნას ოქმში მათი განცხადება, რომ საკითხის ასე გადაწყვეტა სრულიად ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომლის დაცვაც მათ დაავალეს ადგილობრივმა კავშირებმა და რის განხორციელებასაც დაუყონებლივ მოითხოვს ხსენებულ მაზრათა დღევანდელი მდგომარეობა.

ამის შემდეგ ყრილობა ისმენს მომენტის შესახებს მოხსენებას. მომხსენებელია განათ.-მინისტრი ნ. რაზმიშვილი. იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ერთი გარემოება უნდა იქმნას უეჭველად აღნიშნული: საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება არ სწყვეტს იმ კავშირს, რომელიც ჩვენ რუსეთთან გვქონდა და არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მასთან აღარ შეგვიძლია ვიქონიოთ ესა თუ ის დამოკიდებულობა. რუსეთთან კი ჩვენ უეჭველია დიდი კულტურული კავშირი გვქონდა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა 26 მაისის აქტი მაინც დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტია. საქართველოს ჩამოშორებას რუსეთისაგან არ ჰქონია შემთხვევითი ხასიათი, მას ჰქონდა და აქვს თავისი ისტორიული საფუძველი. აქ აღმოჩნდა სხვა და სხვაობა ისტორიული გზებისა ჩვენსა და რუსეთს შორის. როდესაც რუსეთზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვყავს ახალი (ბოლშევიკური) რუსეთი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა მთავრობა. და თუ შევადარებთ ჩვენ ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს მართვა-გამგეობას, აქ აუცილებლად შევნიშნავთ ერთ დიდ განსხვავებას. საბჭოთა მთავრობა, რომელიც იმარჯვებს ბრძოლის ველზე და მარცხდება პოლიტიკურად, უაღრესად ტეროროისტულია, ის უარჰყოფს დემოკრატიას. ამ მხრივ ჩვენი გზა სრულიად განსხვავდება იმ გზისაგან, რომელსაც ისინი დაადგნენ. საბჭოთა მთავრობის მიზანი იყო სოციალური რევოლიუციის გამოწვევა. ამისათვის კი დღეს დღეობით, არამც თუ რუსეთში, დასავლეთ ევროპაშიაც ობიექტიური პირობები შეუმზადებელია. სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობის ცდა სოციალური რევოლიუციის გამოსაწვევად გადაიქცა დაუსრულებელ სამოქალაქო ომად. საბჭოთა რუსეთმა შეჰკრა სეპარატიული ზავი ბრესტ-ლიტოვსკში და გაამეფა სამოქალაქო ტეროორი. ეს სენი თანდაყოლილია თითქმის ყველა რევოლიუციებისათვის. ასეთივე სახის იყო საფრანგეთის კომუნარები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მათ

სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და რუსეთში კი ის ბოლშევიკებმა სისტემად შემოიღეს. უმცირესობის დიქტატურით სოციალური წყობილების დამყარება შეუძლებელი გახდა და სოციალური რევოლიუციის დაწყებაც ჩამორჩენილი მოსკოვიდან ობიექტიური პირობების გამო არ განხორციელდა. იმათ არ იწამეს ენგელსის აზრი, რომელიც გვეუბნება, რომ „სპეციფიური ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. პარიზის კომუნარებთანაც მათ არაფერი საერთო არა აქვთ, ვინაიდან კომუნარები ემყარებოდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ფეხ-ქვეშ გასთელა, სოციალური წყობილების დამყარების წარმომშობი უმთავრესი მიზეზი არის დიდძალი საქონლის დამზადება, რაიც მსოფლიო ომმა შთანთქა. გალატაკების დროს შესაძლებელია მხოლოდ „ბუნტი“ და „პოგრომები“. ამ ჟამად ავსტრია და აგრედვე ევროპის სხვა სახელმწიფოები ზრუნავენ ხალხის სიმშილისაგან გადარჩენაზე. ბოლშევიკებმა, რუსეთში ახალი წყობილების დამყარება რომ ვერ შესძლეს პირველი ცდით, კომპრომისების გზას დაადგნენ: უკავშირდებიან საშუალო გლეხებს, რომლებსაც წინად ისინი ექსპლოატატორებად ნათლავდნენ. ამ ბოლო დროს შესაძლებლად სცნობენ შეუკავშირდნენ აგრედვე პატარა ერებსაც. ამ რიგად ისინი თანდათანობით გრძნობენ მათ მიერ პირველად არჩეული გზის სიყალბეს. ჩვენ რომ მათ გავყოლოდით, მსხვერპლი უნდა გავმხდარიყავით ახალი ექსპერიმენტებისა, რასაც შეიძლება ვერც კი გაუძლებდით. ამიტომ უნდა მოგვეძებნა ახალი გზა და ეს ჩვენი ახალი გზა იყო გზა ჩვენთვის გარდაუვალი, გზა დემოკრატიული. ამ გზით ჩვენ ბევრი შევიძინეთ. ჩვენ შევსძელით და გავატარეთ ცხოვრებაში ისეთი დემოკრატიული რეფორმები, რომლებიც რუსეთში ჯერ საოცნებო რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ შემოვიღეთ ადგილობრივი მართვა-გამგეობა, თვითმართველობები, შევქმენით რესპუბლიკანური ჯარი და სახალხო გვარდია, რომელთაც მრავალ ფრონტზე დაამტკიცეს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგულობა.

რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოებთან ჩვენს დამოკიდებულებას, ჩვენ ვერ ვიმრჯელებდით ისე, ვითომ მეზობლის დაქცევა ჩვენს აშენებას შეიცავდეს. პირიქით, ჩვენ მუდამ მოხარული და იმის მოსურნე ვიყავით, რომ მეზობელი სახელმწიფოები ბედნიერნი ყოფილიყვნენ.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთმა წინადადება მოგვცა დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრისა. ეს ჩვენთვის მიუღებელია,

რადგან ჩვენი სახელმწიფო აღიარებულია ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

თქვენ ისიც იცით, რომ ბოლშევიკებმა, როდესაც იმედი არ გაუმართლდათ და დასავლეთში სოციალური რევოლიუციის გამოწვევა ვერ მოახერხეს, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს და იქ ლამობენ მის განხორციელებას, ისინი სოციალურ გარდაქმნას იწყებენ ავღანისტან-ბელუჯისტან-ხივა-ბუხარიდან. აღარავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ მოსკოვისა და არზრუმის მთავრობებს შორის უკვე არსებობს ამ ჟამად შეთანხმება. ამ შეთანხმებისათვის ამიერ კავკასია გზა და ხიდია. საქართველო კი, როგორც გასაღები ამიერ კავკასიისა, ესაჭიროებათ გზათ აზიისაკენ. ამ მიზნის მიღწევას ისინი ლამობენ აზერბეიჯანის საშუალებით. მერწმუნეთ ეს შეთანხმება არა კომუნისტების მართვა-გამგეობისთვისაა საჭირო, არამედ იმისათვის, ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, როდესაც მოკავშირენი იძულებულნი იქნებიან საბჭოთა რუსეთს ანგარიში გაუწიონ. ჩვენს ქვეყანას ბევრჯერ გადაუტანია უარესი კრიტიკული მომენტები და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან, ვინაიდან დიდი ყოფილა რწმენა და შეგნება იმ გზის სისწორისა ჩვენს დემოკრატიაში, რომელსაც ის თავიდანვე დაადგა. ამ ჟამადაც ჩვენის ღრმა რწმენით ყველა მიმართულება, ერთის გამოკლებით, ხელ-ჩაკიდებული წავა იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მოხსენების შემდეგ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი თავისუფალ ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის მომენტისა და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, ერთსულოვნად აღიარებს, რომ იგი მხარს უჭერს მთავრობას დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში და გადადის მორიგ საკითხზე.

განსახილველია მორიგი საკითხი: მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენებას აკეთებს ჟ. გაგუა (იხ. მოხსენება).

მასწავლებლობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება, წაკითხულია, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენციაზე 1920 წლის იანვრის 12.

ბატონებო! მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სა-

კითხი არ გახლავთ, რომელიც გამოიწვევს ჩვენის მხრივ დიდ მსჯელობას და კამათს, ყველა ჩვენთაგანი ყოველ დღიურ სინამდვილეში ამ საკითხის სიმწვავეს ისე საგრძნობლად განიცდის, რომ მასზე გარკვეულით შეხედულების შემუშავება არ არის ძნელი. ამისათვის ჩვენი მოხსენებაც მოკლე იქნება, ზოგადი ხასიათისა როგორც ეს შეეფერება, ჩემის აზრით, კონფერენციის საქმიანობას.

მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაჩინოდ წარმოდგენა შეუძლებელია მისი შრომის დაუხასიათებლად, გამოურკვევლად მასწავლებლის გასამრჯელოს საკითხი უნდა იყოს შეფარდული ამ შრომის ხასიათთან, ღირებულებასთან.

დასავლეთ ევროპაში დიდი ხანია შეიგნეს სკოლის უდიდესი დანიშნულება და მნიშვნელობა და სასკოლო ცხოვრება ჯეროვანად მოაგვარეს, რასაც უმთავრესად უნდა მიეწეროს დასავლეთის კულტურის აყვავება. რუსეთის ყოველ მხრივ ჩამორჩენა აიხსნება უმთავრესად სკოლის მოუწყობლობით, რაც მიზეზი გახდა რუსეთის ხალხის უმეცრების, უკულტურობის და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების ბარბაროსობისა. რუსეთი მე 20 საუკუნის პირველ წლებში თითო მცხოვრებზე (სულ მცხოვრებთა რიცხვი იყო 160.652.00) ხარჯავდა 56 კაპეიკს; შეერთებული შტატები იმავე დროს მცხოვრებზე (სულ მცხოვრებთა რიცხვი იყო 90.191.000)—8 მანეთს და 90 კაპ.; ინგლისი—6 მანეთს და 4 კაპ.; შვეიცარია-6 მ. და 8 კაპ.; გერმანია—4 მანეთს და 10 კაპ.; შვეცია-3 მ. და 44 კაპ.; საფრანგეთი-2 მ. და 80 კაპ.

მოსწავლეთა რიცხვი შეერთებულ შტატებში მე 20 საუკუნის დასაწყისში უდრიდა 17.506.175-ს, რაც შეადგენს მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით 19. $^{400}/_{0}$; გერმანიაში მოსწავლეთა რიცხვი-10.0224.000 (17$^{0}/_{0}$); საფრანგეთში—5.600.000 მოსწავლე (14.$^{200}/_{0}$), რუსეთში მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 6.180.510, რაც შეადგენს 3.$^{580}/_{0}$ მცხოვრებთა რიცხვისას.

შვეიცარიაში მოსწავლეთა რიცხვი შედარებით ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობასთან უდრიდა ხსენებულ საუკუნის პირველ წლებში—16.$^{600}/_{0}$-ს; ინგლისში—17$^{140}/_{0}$-ს; შვეციაში—14.$^{200}/_{0}$-ს;

მართლაც, ბატონებო სკოლაში იჭედება, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოებრიობის სახე, მისი განვითარების და წინსვლის უტყუარი გზა. სკოლა, როგორც ოჯახის გაგრძელება, ათბობს მოზარდის სულს, ავითა-

რადგან ჩვენი სახელმწიფო აღიარებულია ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

თქვენ ისიც იცით, რომ ბოლშევიკებმა, როდესაც იმედი არ გაუმართლდათ და დასავლეთში სოციალური რევოლიუციის გამოწვევა ვერ მოახერხეს, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს და იქ ლამობენ მის განხორციელებას, ისინი სოციალურ გარდაქმნას იწყებენ ავღანისტან-ბელუჯისტან-ხივა-ბუხარიდან. აღარავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ მოსკოვისა და არზრუმის მთავრობებს შორის უკვე არსებობს ამ ჟამად შეთანხმება. ამ შეთანხმებისათვის ამიერ კავკასია გზა და ხიდია. საქართველო კი, როგორც გასაღები ამიერ კავკასიისა, ესაჭიროებათ გზათ აზიისაკენ. ამ მიზნის მიღწევას ისინი ლამობენ აზერბეიჯანის საშუალებით. მერწმუნეთ ეს შეთანხმება არა კომუნისტების მართვა-გამგეობისთვისაა საჭირო, არამედ იმისათვის, ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, როდესაც მოკავშირენი იძულებულნი იქნებიან საბჭოთა რუსეთს ანგარიში გაუწიონ. ჩვენს ქვეყანას ბევრჯერ გადაუტანია უარესი კრიტიკული მომენტები და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან, ვინაიდან დიდი ყოფილა რწმენა და შეგნება იმ გზის სისწორისა ჩვენს დემოკრატიაში, რომელსაც ის თავიდანვე დაადგა. ამ ჟამადაც ჩვენის ღრმა რწმენით ყველა მიმართულება, ერთის გამოკლებით, ხელ-ჩაკიდებული წავა იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მოხსენების შემდეგ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი თავისუფალ ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის მომენტისა და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, ერთსულოვნად აღიარებს, რომ იგი მხარს უჭერს მთავრობას დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში და გადადის მორიგ საკითხზე.

განსახილველია მორიგი საკითხი: მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენებას აკეთებს ბ. გაგუა (იხ. მოხსენება).

მასწავლებლობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება, წაკითხულია, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენციაზე 1920 წლის იანვრის 12.

ბატონებო! მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სა-

კითხი არ გახლავთ, რომელიც გამოიწვევს ჩვენის მხრივ დიდ მსჯელობას და კამათს, ყველა ჩვენთაგანი ყოველ დღიურ სინამდვილეში ამ საკითხის სიმწვავეს ისე საგრძნობლად განიცდის, რომ მასზე გარკვეულით შეხედულების შემუშავება არ არის ძნელი. ამისათვის ჩვენი მოხსენებაც მოკლე იქნება, ზოგადი ხასიათისა როგორც ეს შეეფერება, ჩემის აზრით, კონფერენციის საქმიანობას.

მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაჩინოდ წარმოდგენა შეუძლებელია მისი შრომის დაუხასიათებლად, გამოურკვევლად მასწავლებლის გასამრჯელოს საკითხი უნდა იყოს შეფარდული ამ შრომის ხასიათთან, ღირებულებასთან.

დასავლეთ ევროპაში დიდი ხანია შეიგნეს სკოლის უდიდესი დანიშნულება და მნიშვნელობა და სასკოლო ცხოვრება ჯეროვანად მოაგვარეს, რასაც უმთავრესად უნდა მიეწეროს დასავლეთის კულტურის აყვავება. რუსეთის ყოველ მხრივ ჩამორჩენა აიხსნება უმთავრესად სკოლის მოუწყობლობით, რაც მიზეზი გახდა რუსეთის ხალხის უმეცრების, უკულტურობის და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების ბარბაროსობისა. რუსეთი მე 20 საუკუნის პირველ წლებში თითო მცხოვრებზე (სულ მცხოვრებთა რიცხვი იყო 160.652.00) ხარჯავდა 56 კაპეიკს; შეერთებული შტატები იმავე დროს მცხოვრებზე (სულ მცხოვრებთა რიცხვი იყო 90.191.000)—8 მანეთს და 90 კაპ.; ინგლისი—6 მანეთს და 4 კაპ.; შვეიცარია-6 მ. და 8 კაპ.; გერმანია—4 მანეთს და 10 კაპ.; შვეცია-3 მ. და 44 კაპ.; საფრანგეთი-2 მ. და 80 კაპ.

მოსწავლეთა რიცხვი შეერთებულ შტატებში მე 20 საუკუნის დასაწყისში უდრიდა 17.506.175-ს, რაც შეადგენს მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით 19. 400/0; გერმანიაში მოსწავლეთა რიცხვი-10.0224.000 (17%); საფრანგეთში—5.600.000 მოსწავლე (14.200/0), რუსეთში მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 6.180.510, რაც შეადგენს 3.580/0 მცხოვრებთა რიცხვისას.

შვეიცარიაში მოსწავლეთა რიცხვი შედარებით ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობასთან უდრიდა ხსენებულ საუკუნის პირველ წლებში—16.600/0-ს; ინგლისში—17 140/0-ს; შვეციაში—14.200/0-ს;

მართლაც, ბატონებო სკოლაში იჭედება, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოებრიობის სახე, მისი განვითარების და წინსვლის უტყუარი გზა. სკოლა, როგორც ოჯახის გაგრძელება, ათბობს მოზარდის სულს, ავითა-

რებს მასში გონებას, ნების ყოფას, აყვარებს შრომას და ამტკიცებს ხასიათს.

ამ სახით სკოლა ერთგვარ კულტურულ დოვლათს ჰმატებს საზოგადოებას, სახელმწიფოს.

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ სახალხო განათლება ქვეყნის ეკონომიურ ძალთა განვითარებასაც იწვევს.

ინგლისში, მაგალითად, სახალხო განათლების წარმატებას სახალხო სიმდიდრის ზრდა-განვითარება მოჰყვა. 1872—1894 წწ. ინგლისში სახალხო განათლებაზე გაწეული ხარჯები გაადიდეს 18 მილიონ მანეთიდან 87 მილიონამდე. ამის მიხედვით სახელმწიფოს შემოსავალი და სახალხო სიმდიდრეც 2 ბილიონ 913 მილიონ მანეთიდან—5 ბილიონ 969 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

ვინ არის სკოლის მთავარი ძალა?-მასწავლებელი, რომელიც შეადგენს სკოლის სულს, რომელიც გახლავთ კულტურულობის ლამპარი, უმეცრების მტერი. ნურავის ეგონება, რომ ეს იყოს მასწავლებლის მნიშვნელობის გადატარება, პროფესიონალურ განდიდების მიერ ნაკარნახევი. არა, ვინც დაჰკვირვებია მასწავლებლის მუშაობის ხასიათს, მისი ხშირად უჩინარს, მაგრამ ღრმად შემოქმედებით საქმიანობას ის დამეთანხმება რომ მასწავლებელი არის დარაჯი საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი კეთილდღეობისა და წარმატებისა. არსებითად ასეთი გახლავთ მასწავლებლის მუშაობა, ასეთი იყო შეძლებისამებრ და არის მისი საქმიანობა ჩვენს მამულშიაც.

ვინ იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მიყრუებული სოფლების მოამაგე და მოჭირნახულე? ვინ უნერგავდა ჩვენს მოზარდ თაობას სამშობლოს იდეას და მშობელი ერის სამსახურს? ვინ იყო ყოველგვარ კულტურულ დაწესებულების სულის ჩამდგმელი? კოპერატივების, საკრედიტო ამხანაგობების, სამკითხველოების, წერა-კითხვის საზოგ. განყოფილებების, დრამატიული საზოგადოებების და სხვა... ვინ იყო და ვინ არის დღესაც სოფლებში და დაბებში პოლიტიკურად საღი მოაზროვნე და მოღვაწე? ამ უამრავ კითხვაზე, რომლის დეტალიზაცია უფრო მეტად შემეძლო, პასუხი ერთია-ასეთი მოღვაწე არის მასწავლებელი, რომელსაც ხელი მიუყვია თავისი მადლიანი გონებით და ხალისით ბევრ კულტურული საქმისათვის და რომელსაც, მაშასადამე, მოქმედების ასპარეზი არ შემოუფარგლავს მხოლოდ სასკოლო საქმით იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა ჩვენს ქვეყანაში ინტელიგენტურ ძალების სიმცირით.

თუ დღეს ჩვენი მშრომელი ხალხი შედარებით უფრო დინჯი აღმოჩნდა და ამ პოლიტიკურ ქარ-ცეცხლში უფრო დამშვიდებულად აზროვნობს, ეს მასწავლებლის მუშაობის წყალობაა, როგორც პროფესიონალურ მოღვაწის ერთის მხრივ და კულტურულ-პოლიტიკურის მეორეს მხრივ. მე უფრო მეტს ვიტყვი: უჩინარი, ხშირად ათვალისწინებული მასწავლებელი ქმნის მომეტებულად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ გადატრიალებას.

მართალი იყო ჩვენი უზენაესი დაწესებულების-დამფუძნებელი კრების-თავმჯდომარის ამხანაგი, რომელიც მოგესალმათ თქვენ დამფუძნებელი კრების სახელით და აღნიშნა მასწავლებლის მუშაობის იმ გვარი ხასიათი, რომლის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ. ამ პატივცემულმა სტუმარმა თქვენ გითხრათ: თქვენ ხართ, მასწავლებლებო, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დამბგვირგვინებელნიო.“

ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მასწავლებელი არის უაღრესად საზოგადო მოღვაწე და არა ჩვეულებრივი მოხელე, როგორც ეს დღესაც ბევრს ჰგონია.

მე, რამდენადაც შემეძლო, შეეცადე მასწავლებლის მოღვაწეობის დახასიათებით გამომენახა ის საფუძველი რომელზედაც უნდა აშენდეს მასწავლებლის უზრუნველყოფა მომავალში მაინც.

მასწავლებლის შრომა, ყველასაგან აღიარებულია ძლიერ მძიმე და საპასუხისგებლო საქმედ. იმდონად მძიმე გახლავთ, რომ სიკვდილი მასწავლებლობაში ცნობილ კასპერის გამოკვლევით 26%-ს აღემატება სხვა პროფესიის მოღვაწეთა წრეებში საერთო სიკეთეს, ეს მიეწერება მასწავლებლის შრომის ხასიათს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ეს % გადიდდება ხოლმე იქ, სადაც მასწავლებელი ნაკლებად უზრუნველყოფილთა.

მასწავლებელის დიდი ენერგია, გონებრივ-ზნეობრივ ძალთა დიდი აღმაფრენა სჭირდება, რომ პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. ასეთ ძალთა აღმაფრენას ის ვერ მიაღწევს, თუ ფიზიკურადაც არ არის მაგარი. ცხადია მშიერ, მუდამ ლუკმა-პურის ფიქრში გონება მიხდილს მასწავლებელს არ შეუძლია განახორციელოს თავისი დანიშნულება.

თუ გერმანიაში და სხვა განათლებულ სახელმწიფოში სახალხო მასწავლებლის ჯილდომ თავი დააღწია ლუკმა-პურის ძიების ვიწრო საკითხს და გახდა სოციალურ-სამართლიანობის მოვლენად, ჩვენში დღესაც ყველა

ტიპის და საფეხურის სკოლის მუშაკის გასამრჯელოს საკითხი ისევ თავს დასტრიალებს მასწავლებლის უბრალო ფიზიკურ არსებობის მოგვარებას, მაშასადამე ლუკმა-პურის ვიწრო ჩარჩოებს, და რაც უფრო ტრაგიკულია, ვერც ამ საკითხს-ვიწროდ გაგებულს- დღევანდელი გასამრჯელო ვერ აწესრიგებს.

1908 წ. გერმანიის სახალხო მასწავლებელი დამატებებით იღებდა 2000 მანეთს წელიწადში, რუსეთში და ჩვენში კი—300 მ. და ნაკლებს. გერმანიაში ის საკითხი არ ისმის, თუ რა სჭამოს მასწავლებელმა, როგორ ირჩინოს თავი; არა იქ კითხვას ასე აყენებენ-შეესაბამება თუ არა გასამრჯელო იმ შრომას, რომელსაც ეწევიან მასწავლებლები, და იმ მომზადებას რომელიც მათ აქვთ. იქ ცდილობენ მასწავლებლის ასეთი უზრუნველყოფით თავი მოუყარონ საუკეთესო ძალებს, რომ მათ მუშაობით ხელი შეუწყონ დიდს ეროვნულს საქმეს, როგორიც არის, გერმანელების აზრით, სახალხო განათლების საქმე.

ბულგარეთშიაც, სადაც სახალხო განათლების საქმე ჯერ კიდევ ნორჩია, აი იქაც კი მასწავლებლის შრომა საკმარისად დაჯილდოვებულია.

ამერიკაში სახალხო მასწავლებელი იღებს 100 მანეთს თვეში. ეს ცნობები, როგორც მოგახსენეთ, 1908—1914 წლებს ეხება.

მუშაობის სიმძიმე ჩვენს გარდამავალ ხანაში კიდევ უფრო მეტად მწვავე გახლავთ სასკოლო მუშაკისათვის, ვიდრე ეს წინათ იყო. თუ მასწავლებელს ყოველ დროს სჭირდება, როგორც მოგახსენეთ, ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ ძალთა აღმაფრენა თავისი მუშაობის ნაყოფიერებისათვის, მით უმეტეს ამ აღმაფრენის გაორკეცება სჭირდება მას დღეს. ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულში საზოგადოთ და კერძოთ ახალგაზდობაში ჩვენ დროს ხდება ყოველივე ღირებულების, დღემდის უტყუარად აღიარებულის, გადასინჯვა, გადაფასება. მასწავლებლობაში, განსაკუთრებით მის შეგნებულ ნაწილში, ყურადსაღები გონივრული და კულტურული მოძრაობა ხდება; ნაწილში კი, ვიტყვი არა მცირეში, ხდება იმ აწეწ-დაწეწის. რღვევის და გაველურებისაკენ მიდრეკილება, რომელიც ვაკხანალიის სახით მოსდებია ჩვენი საზოგადოების ნაწილს, ქუჩას, და რომელიც შემოიჭრა სკოლაშიაც. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მასწავლებელს დიდი შრომა, უნარი, დიდი შემოქმედებითი გამჭრიახობა და მტბიცე ნებისყოფა სჭირდება, რომ ამ მოვლენებს შესაფერი, ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო მიმართულება მისცეს. სხვა მხსნე-

ლი, გარდა მასწავლებლისა, არსაიდან არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მასწავლებელია ახალგაზდობის გულის მესაიდუმლე.

მშიერი მასწავლებელი ვერ შესძლებს ამ დიდი საქმის შესრულებას. მშიერ ადამიანს გონება და ნების ყოფა უჩლუნგდება, ზნეობრივი გრძნობა უსუსტდება. ეს პსიხოლოგიის უტყუარი ჭეშმარიტება გახლავთ.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ არსებობს დღეს ფიზიკურად მასწავლებელი და როგორ ეწევა ის თავის შრომას.

მაგონდება ცნობილ პროფესორის ნეჩაევის სიტყვები მოსკოვის საერობო ყრილობაზე 1912 წ. „უკეთესია სრულებით არ გაიხსნას სკოლები, ვიდრე გაიხსნას მშიერ მასწავლებლებით. სკოლა ამ შემთხვევაში ძალიან ცოტას მოგვცემს; იდეალური პროგრამები, იდეალური სახელმძღვანელოები არაფერს გვიშველის, თუ ის, ვინც არის ცოდნის გადამცემი, კულტურულ ჩვეულებათა განმამტკიცებელი, იქნება მხოლოდ მექანიკური აღმასრულებელი“.

მართალია, ჩვენი მთავრობა შეეცადა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეგრედ წოდებულ დამატებების სახით და გვპირდება მომავალშიც შეგვიმსუბუქოს სხვა და სხვა საჭირო ნივთების მოწოდების სახით, მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ დამატებებს დღეს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ დამატებებს ეკარგებოდა მნიშვნელობა იმ მიზეზითაც, რომ ძლიერ დაგვიანებით ვღებულობდით მას, დიდის წვალებით და ვაებით. საერობო და საქალაქო სკოლების მასწავლებლებთა მდგომარეობა უფრო მეტად უნუგეშოა, როგორც ეს გაკვრით მოვისმინეთ შორაპნის მაზრის წარმომადგენელისაგან.

სავალალო ის არის, ბატონებო, რომ ამ გვარ მდგომარეობით გადაგვარების გზას ადგია მასწავლებელი ფიზიკურად და გონებრივად, თვით ხალხში ეცემა მასწავლებლის პრესტიჟი, როგორც დამშეული ადამიანის, და ამის მიხედვით საზოგადოთ განათლების საქმეც ხალხის მასაში ძლიერ ფერხდება. აი რა საშინელ მდგომარეობაში გახლავთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უსაჭიროესი დაწესებულება-სკოლა და მისი სული და ქვა-კუთხედი მასწავლებელი, დღეს ის გასამრჯელო, რომელიც მასწავლებელს ეძლევა და რომელსაც ის ღებულობს არა ყოველთვის თავის დროზე. ყოფნის მას მხოლოდ საჭმელისათვის არა უმეტეს ორი კვირისა და თუ ის ოჯახით არის დატვირთული, ერთი კვირა შეიძლება ეყოს. რა ქნას მასწავლებელმა? ის ხომ ხორცშესხმული ადამიანია, ის ხომ მექანიკური არსება

არ არის. მასწავლებელი იძულებულია ან თავი დაანებოს თავისი წმინდა მოვალეობას და სხვაგან ეძიოს ლუკმა-პური და ან დაიტვირთოს თავი იმდენი გაკვეთილით, კერძო თუ ოფიციალურით, რომ მთელი დღე სხვისთვის ცოდნის გადაცემას მოანდომოს და ამით შიმშილობას თავი დააღწიოს.

ამ შემთხვევაში მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს შეძლება თითონაც შეიძინოს ახალ-ახალი ცოდნა, იფიტება გონებრივიდაც და მართლაც ემზგავსება იმ მექანიკურ არსებას, რომლის შესახებ ამბობდა პროფესორი-ფსიხოლოგი ნეჩაევი და რომლის სიტყვები ზემოთ გვქონდა მოყვანილი. და თუ საზოგადოებრიობის და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარ-დარაჯთაგანი-მასწავლებელი ასე გამოიფიტა ფიზიკურად და გონებრივად, რაღა მოელის მაშინ თვით ამ საზოგადოებას, ჩვენს ფეხადგმულ სახელმწიფოს? აი ამისათვის მოგახსენებდით, რომ მასწავლებლის უზრუნველყოფის საკითხი არ უნდა გახდეს ვიწრო საპროფესიო საკითხად, ის უნდა დაეკავშიროს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების დაცვას.

ამ მოსაზრებით გესაუბრეთ, ბატონებო, მასწავლებლის მუშაობის ხასიათის შესახებ, რომ საზოგადო თეორეტიული უაღრესად სწორი საფუძველი გამომეძებნა მასწავლებლობის უზრუნველყოფის საკითხისათვის. როგორც მოგეხსენებათ და როგორც თქვენ მოისმინეთ აქ სახალხო განათლების მეთაურისაგან, სკოლის გაეროვნება ჯერ არ მომხდარა სავსებითაო. მართალს ბრძანებდა ბ. მინისტრი. დღეს ვისთვის არ არის აშკარა, რომ ხალხის მასაში ეროვნულ გრძნობის განვითარება, ღირებულება ძლიერ სუსტია. ამ მხრივაც, ეროვნულ სიმტკიცის შექმნაშიაც, მასწავლებელის დიდი შრომა დახჭირდება: მაშასადამე, მომავალში სამუშაო ასპარეზი პედაგოგს უფრო ფართედ ეშლება და მისი უზრუნველყოფა დიდს ეროვნულ მნიშვნელობასაც ღებულობს. თუ ძლიერი გერმანელი გაიძახის, რომ სასკოლო საქმის მოგვარება ჩვენთვის დიადი ეროვნული საქმე არისო, მით უმეტეს ჩვენ გვმართებს ამ აზრების გათვალისწინება და ხორცშესხმა ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისათვის.

შეიძლება, რომელიმე თქვენთაგანმა მომაწეროს ის აზრი, რომ მე თითქო ჩვენი მასწავლებლობის ეკონომიურად უნუგეშო მდგომარეობის ერთად ერთ მიზეზად მთავრობას და მის უმოქმედობას ვსახავდე. არა, ბატონებო, ჩვენ ისე სულმოკლენი არვართ და არც ვართ ისე სინამდვილეს დაშორებული, რომ მხოლოდ მთავრობაში და კერძოდ ჩვენს უწყებაში ვეძიოთ ერთად ერთი მიზეზი ამისა.

მთავარი მიზეზი ჩვენი უნუგეშო მდგომარეობისა, როგორც თქვენ დამეთანხმებით ამაში, არის ის საერთო, თითქმის საკაცობრიო, საეკონომიო ცხოვრების მოშლა, აწეწ-დაწეწა, ომის მიერ გამოწვეული, რომელმაც ლამის არის სულ კლდე-ღრეზე გადაჩეხოს დღემდის დიდი ჭაპან-წყვეტით შექმნილი კულტურა და კაცობრიობა პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნოს.

მაგრამ არც იმის მომხრე გახლავართ, რომ, როგორც ეს ზოგიერთს სჩვევია, ყველაფერი ამ საერთო მიზეზს, გარდამავალ ხანას მიეწეროს.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სასკოლო მოღვაწეთა მდგომარეობას არ აქცევენ ყურადღებას იმ თვალსაზრისით, რომლის შესახებ მე მქონდა პატივი თქვენთვის მომეხსენებინა და ამაში უნდა ვეძიოთ ჩვენ ის მეორე მიზეზი, რომლის მიხედვით მასწავლებლის მდგომარეობა არ არის გაუმჯობესებული იმდენად, რამდენად ეს შესაძლებელია ჩვენი სახელმწიფოს ფინასიურ ძალ-ღონის მიხედვით.

დასკვნა ასეთი გახლავთ: ჩვენი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესები გვიკარნახებენ მასწავლებლის ეკონომიურ მდგომარეობის აუცილებლად გაუმჯობესებას იმდონად, რასაკვირველია, რამდენადაც ამას აიტანს ჩვენი სახელმწიფოს ფინანსები. ამას მე ხაზს ვუსვამ-იმდენად, რამდენად საიდგანაც, როგორც დავამტკიცეთ ჩვენ ჩვენი წარსული და აწმყო საქმიანობით, ჩვენნ ვართ მამულიშვილნი საზოგადო მოღვაწენი, ხალხის ინტერესების დამცველ-მატარებელნი და ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ჩვენს მამულს იმდენს, რამდენსაც ის ვერ შესძლებს.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ჩემს მოხსენებაში თქვენ ვერ ნახავთ მასწავლებლის გასამრჯელოს რაოდენობის შესახებ ცნობებს ციფრებით, რადგანაც ეს ჩემის აზრით, ცალკე კომისიის, ან თქვენ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს სამუშაოს შეადგენს და სპეციალურ ცოდნას მოითხოვს ჩვენი სამშობლოს ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

ერთი გარემოებაც არის ყურადსაღები: როდესაც ანგარიშობენ მასწავლებლის შრომის საათების რაოდენობას (განსაკუთრებით საშუალო სკოლებში), უნდა მიექცეს ყურადღება პირველად იმ ზნეობრივ და გონებრივ ენერგიის დაკარგვას მასწავლებლის მხრივ გაკვეთილების მიცემის დროს, რომელიც მასწავლებლის შრომას შეუდარებლად ხდის. ამ მხრივ სხვა პროფესიის საშრომო საათებთან, და მეორედ უნდა მიექცეს ყურადღება მასწავლებლის ყოველ დღიურ მომზადებას გაკვეთილების მისაცემად.

გონებრივ და ზნეობრივ ძალ-ლონის დახარჯვის მხრივ და შრომის სირთულისა და თუ გნებავთ სინაზის მხრივაც საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის შრომა პროფესორის შრომას უახლოვდება.

მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ახსნა-განმარტება უნდა იყოს კარგად დალაგებული, ნააზრევ-ნაფიქრევი, გარკვეული, ცოცხალ ფორმებში ჩამოსხმული.

„ცოცხალ, შინაარსიანი გაკვეთილის მიცემა მოითხოვს მასწავლებლისაგან არა ნაკლები ენარგიის დახარჯვას, ვიდრე პროფესორისაგან ლექციის წაკითხვაო,“ ამბობს ცნობილი პროფესორი ვიპერი.

ამისათვის აუცილებელია მასწავლებლის სვინდისიერი მომზადება გაკვეთილების მისაცემად მიუხედავათ იმისა, ახალია მასწავლებელი, თუ დიდი ხნის ნამსახურევი. საქმის მოყვარული მასწავლებელი ყოველთვის ემზადება გაკვეთილებისათვის სამსახურის არა თუ მეხუთე წელიწადზე, მეათეზე და მეოცეზედაც, და ეს არ არის მისი უნიჭობის, თუ მოუმზადებლობის შედეგი. არა, ეს გახლავთ შედეგი მისი ცხოველ მყოფელობისა, შედეგი იმისა, რომ მას საჭიროთ მიაჩნია მეცნიერების განვითარებას უკან არ ჩამორჩ.ს. პროფესორისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ექვსი საათის ნორმა არის ლექციებისა კვირაში, მაშინ, როდესაც მასწავლებელი დატვირთული იყო ყოფილ რუსეთში და ჩვენშიაც 25, 30 საათით კვირაში. ოთხი, თუ ხუთი გაკვეთილისათვის მოსამზადებელი საათი მიეცით მასწავლებელს 4, ან საამი საათი მაინც, ორი, სამი საათი-კერძო მეცნიერულ ხასიათის სამუშაოსთვის, რომ მან არ დაჰკარგოს კულტურული ადამიანის სახე, და თქვენ მიიღებთ 10—11 საათს გონივრული მუშაობისას, დღეში, რაც წარმოუდგენელია.

მომავალში, სადაც შესაძლო იქნება, ჩვენ სახელმძღვანელოდ შემდეგი პრინციპი: არამც და არამც კვირაში მასწავლებელს არ მივცეთ 16 გაკვეთილის მეტი; უკიდურეს შემთხვევაში-18—ის და აღვუკრძალოთ კიდევაც მეტი გაკვეთილის მიცემა კერძოთ, თუ ოფიციალურათ.

ასეთი ზომა ხორც შეისხამს და შესაფერ დადებით ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებელი უზრუნველყოფილი იქნება არა ისე როგორც დღეს არის, არამედ ისე, როგორც ეს შეფერის მის სოციალურ მდგომარეობას და კულტურულ მოთხოვნილებებს.

ცხადია, მაშასადამე, მასწავლებლის გასამრჯელო არ უნდა იყოს დამოკიდებული მის მიერ მიცემულ გაკვეთილების რაოდენობაზე, რო-

გორც დღეს არის; პირიქით, ეს გასამრჯელო უნდა იყოს თვით ნორმა, ხოლო გაკვეთილების რაოდენობა ამ ნორმაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მომავალი სკოლის შემქმნელი, მაშასადამე, იმ პრინციპიდან უნდა გამოდიოდეს, რომ მასწავლებელმა მისცეს იმდენი გაკვეთილი, რამდენის მიცემაც მას შეუძლია კარგად, ცოცხლად, და ამასთანავე მან შეინარჩუნოს ცოცხალი სული, საღი აზროვნობა და თავისუფალი დროც. ასეთ ნორმად ჩვენ მიგვაჩნია, როგორც ვსთქვით, 16—18 საათი კვირაში.

მოხსენებას ვათავებ შემდეგი დებულებით, რომელიც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს:

1. მასწავლებელი გახლავთ საზოგადო მოღვაწე, ხალხის კულტურულობის და მაშასადამე საზოგადოებრიობის და სახელმწიფოებრიობის დარაჯი და ჩამომყალიბებელი.

2. მისი მდგომარეობა დღეს არა ნორმალურია, რაც სასკოლო საქმის ჯეროვანად მოგვარებას ხელს უშლის და მასის კულტურულობას დაბალ საფეხურზე აჩერებს ამით.

3. დღესვე უნდა იქნეს ჯამაგირები მომატებული იმდენად, რამდენად შეეფერება მასწავლებლის სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას, და სურსათ-სანოვაგის და ნივთების მიწოდებითაც მასწავლებლობა არ უნდა იქნეს დავიწყებული, როგორც ეს დღემდის იყო.

4. მასწავლებლის უზრუნველყოფა იმავე დროს ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების უაღრესად დაცვაა.

ჩვენ, განათლების ასპარეზზე მუშაკნო, მოვესწარით იმ ბედნიერ დროს, როდესაც ჩვენი სისხლით, ჩვენი ნერვით და საშინელი გაჭირებით, გაპოხიერებულმა იდეამ უკვე ევროპის მიერ ცნობილ დამოუკიდებელ საქართველოსი სამშობლოს იდეა და სიყვარული, ცოდნის სხივის გამოფენა, აი რა შეადგენდა ჩვენს საზრუნავ საქმეს, ჩვენს მოსავლელ და საფაყვანებელ საგანს, რამაც მოგვცა გმირული მოთმენა ყოველივე ჯოჯოხეთურ პირობებისა.

დღემდის ქედი თუ არ მოგვიხრია დაბრკოლებათა წინაშე, მით უმეტეს მომავალში ჩვენ შევძლებთ კიდევ მეტი ცეცხლი სიყვარულისა ვაფრქვიოთ ჩვენი ხალხის განათლების საქმეში და მისი გათვითცნობიერების სამსხვერპლოზე მივიტანოთ ჩვენი ზნეობრივ-გონებრივი ძალ-ღონე.

მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობა ადგენს მასწავლებელთა ეკო-

ნომიური მდგომარეობის შესახებ მიეცეს სიტყვა თვითოეული ტიპის სკოლის ორ-ორ წარმომადგენელს.

ფირცხალაიშვილი. ჯამაგირის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ცხოვრების პირობები ყოველდღე იცვლება. საჭიროა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იქმნენ. საჭიროა თვითმართველობა და კოოპერატივი უპირველესად სურსათით აკმაყოფილებდნენ მასწავლებლებს.

ვ. იმნაძე. საჭიროა გაუქმდეს ის კანონი, რომლის ძალით იმ მასწავლებელს, რომელსაც 18-ზე მეტი გაკვეთილი აქვს, ნაკლები დამატება ეძლევა. კრედიტები სასწავლებლებს თავის დროზე უნდა ეხსნებოდეს. რადგან დროს სირთულის გამო ცენტრალური კოოპერატივის მოწყობა არ ხერხდება, ძალა-უნებურად ჯამაგირის მომატებაზე უნდა ვილაპარაკოთ; მიენდოს საბჭოს ამის შესახებ დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს მთავრობას.

ბ. მიქაბერიძე ვრცლად შეეხება მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობას და კითხულობს თავის შემდეგ დებულებებს: 1. შემოღებულ იქმნას შრომის პრინციპი, 2. შემუშავებულ იქმნას ჯამაგირის მინიმუმი ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით. ეს მინიმუმი სავალდებულო უნდა იყოს ადგილობრივ თვითმართველობათათვისაც, 3. შემოღებულ იქმნას 5 წლ. დამატების მაგივრად 3 წლ. დამატება. ეს დამატება არ უნდა შედიოდეს ძირითად ჯამაგირში, 4. აღმოუჩნდეს მასწავლებლებს პირველ მოთხოვნილების საგნების შეღავათიან ფასებში მიწოდებით დახმარება, 5. დაევალოს კავშირის საბჭოს ყოველ საჭიროების დროს შეიმუშაოს ხოლმე სათანადო უწყებაში წარსადგენად მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოხსენება. ეს მოხსენება სათანადო უწყებაში წარდგენამდე უნდა დაეგზავნოს ადგილობრივ ორგანიზაციებს მათი აზრის შესატყობად, 6. განაწილებულ იქმნას საშობაო, საღვდგომო და საზაფხულო შესვენება ისე, რომ მასწავლებლებს და მოსწავლეებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობის შეძლება მიეცეს, 7. დაევალოს კავშირის საბჭოს მომავალი ყრილობისათვის შეიმუშაოს მასწავლებელთათვის საპენსიო კასის წესდების პროექტი.

შემდეგ კობიაშვილი, კვიკვიძე და თოთიბაძე თითქმის იმავე აზრს გამოთქვამენ შემდეგი დამატებით: სხვა და სხვა ტიპის მასწავლებელთა ჯამაგირები ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს, გამგეს ზედმეტი შრომისა-

თვის ზედმეტი ჯილდო ეძლეოდეს, დაურიგდეს ხუთ წლეული დამატება იმ მასწავლებლებს, რომელთაც დღემდე არ მიულიათ, ავადმყოფ მასწავლებელთა შესაცვლელად შემოღებულ იქმნას სათადარიგო მასწავლებელთა ინსტიტუტი და მივარდნილ კუთხის მასწავლებლებს მიეცესთ ზედმეტი ჯილდო.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა მომხსენებელს, რომელიც თავის მთავარ დებულებებს იმეორებს. მომხსენებლის საპასუხო სიტყვის შემდეგ ყრილობა ადგენს შესდგეს იმ პირაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხსენებულ საკითხის შესახებ მსჯელობაში, კომისია და ამ კომისიამ შეიმუშაოს ამ საკითხის რეზოლიუცია.

ვ. ბურჯანაძე მოახსენებს კრებას, რომ მთავრობა მომხრეა გადაეცეს მასწავლებელთა კავშირს ერთ-ერთი სახელმწიფო შენობა მასწავლებელთა სახლის მოსაწყობად და ცენტრალური ბიბლიოთეკა. ყრილობამ ამ საქმის დაბოლოება მომავალ საბჭოს მიანდო.

14 იანვარი. კრება იწყება დილის 11 საათ. 30 წ. თავმჯდომარეობს ვ. იმნაძე.

დააამტკიცებელია დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ ყრილობის მიერ არჩეულ კომისიებისაგან შემუშავებული რეზოლიუციები.

საქ. სოც.-დემ. ცენტრ. კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ის. რამიშვილი. ოფიციალური დავალებაც რომ არ მქონოდა, გული არ მომითმენდა არ მიმელოცნა მათთვის, ვისთანაც მაქვს სულიერი კავშირი. ერთ დროს მეც ვიყავ სახალხო მასწავლებელი; 20 წელი მეც ვემსახურე სახალხო განათლებას. და დღეს 16 წლის მიტოვების შემდეგ დიდი სიყვარულით ვიგონებ იმ ბედნიერ დროს. ძველად მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა მასწავლებლები როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე მეტს მუშაობდნენ. სამწუხაროდ დღეს ეს ასე აღარ არის. რაც შეეხება მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას, მე რომ მეკითხებოდეს ეს საქმე, სახელმწიფოს შემოსავლის ორ მესამედს მივცემდი სწავლა-განათლების მესვეურთ, მაგრამ ამასთანავე მოვთხოვდი კიდეც ძველებური დირექტორების მოთხოვნილებისამებრ და სასწავლებლებს გავსწმენდდი იმ მასწავლებელთაგან, რომელნიც ოდნავადაც არ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე და სკოლას ღალატობენ. დღეს ჩვენი მთავრობა ცოტას გაძლევთ და ცოტასაც გთხოვთ. სკოლის ამ ნაკლს ყურადღება უნდა მიაქცინონ თვით მასწავლებლებმა და სკოლა თავის სიმაღლეზე აიყვანონ.

სკოლა, რომელიც წინ არ მიდის, უკან მიდისო, ამბობენ დიდი პედაგოგები და ამ მოვლენას სამწუხაროდ ადგილი აქვს ამ ჟამად საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში. დასასრულ ულოცავს ყრილობას საქართველოს დამოუკიდებლობას და უსურვებს, რომ ჩვენი ერი შეიარაღებული მეცნიერების ძლევა მოსილი სინათლით გვერდში ამოუდგეს სხვა ერებს.

თავმჯდომარეობს ალ. მდივანი.

სიტყვა ეძლევა ვ. ბურჯანაძეს, რომელსაც შემოაქვს წინადადება, რომ ჟურნ. „განათლება“ ყოველთვიურ ჟურნალად დარჩეს და გამოცხადდეს კავშირის ორგანოდ.

ბ. ჭანიშვილი. ასეთი ტიპის ჟურნალი არ შეიძლება გახდეს კავშირის ორგანოდ, მასწავლებელთა შესაკავშირებლად საჭიროა ყოველკვირეული ჟურნალის დაარსება. ამას გარდა უნდა იყოს წმინდა მეცნიერული ხასიათის ყოველთვიური ჟურნალი, რომელშიაც დათმობილი ექნება ადგილი მეცნიერების ყველა დარგს. ამ ჟურნალების არსებობა უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი დადგენილებით. საჭიროა თვითოეულმა მასწავლებელმა გადაიხადოს თვიურად 50 მან. და მას ორთავე ჟურნალი ეძლეოდეს ამ ფასში.

ვ. ბურჯანაძის წინადადებით ყრილობა ადგენს:

1. ამ თავად ჟურნალი იქნეს ყოველ თვიური 2. სარედაქციო კოლეგიის შედგენა მიენდოს საბჭოს 3. დაევალოს ყველა სასწავლებელს ჟურნალის გამოწერა.

თავმჯდომარის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჟურნ. „განათლების“ დამაარსებელს პედაგოგ მასავლებელს ლ. ბოცვაძეს.

ი. კაბანაძის წინადადებით ყრილობა ადგენს რესპუბლიკის ყველა სკოლაში დაიკიდოს იაკობ გოგებაშვილისა და ლ. ბოცვაძის სურათები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა არჩეული კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.—

II. სასკოლო რეორგანიზაციისა და მართვა გამგეობის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია:

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველ ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება სასკოლო რეორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის შესახებ, თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს საყოველთაოდ, რომ ამ რეორგანიზაციის დროს აღიარებულ იქმნან შემდეგი დებულებები:

1. სახალხო განათლების ორი უმთავრესი საფეხური: საზოგადო და პროფესიონალური.

2. ზოგადი უნდა უსწრებდეს პროფესიონალურს; ის საყოველთაო, სავალდებულო და უფასოა, შეიცავს შვიდ ან რვა წლის კურსს.

შენიშვნა ასეთის ტიპის სკოლაში საჭიროა შეტანილ იქმნას ელემენტები საპროფესიო განათლებისა ადგილობრივი პირობების მიხედვით.

3. საყოველთაო, სავალდებულო და უფასო ზოგად სკოლას თან მოსდევს სკოლა პროფესინალური ორი, სამი ან ოთხი წლის კურსით.

შენიშვნა ორ-წლიანი პროფესიონალური სკოლა სავალ-დებულოა უფასოა ყველასათვის, ვინც განათლების სხვა რო-მელიმე გზას არ აირჩევს.

4. საქართველოს ამა თუ იმ რაიონში უმთავრეს ეკონომიურ პი-რობების მიხედვით მოეწყოს ერთი ტიპი პროფესიონალური სკოლისა; ქალაქებში კი დაარსდეს პროფესიონალური სკოლები, რასაც ქალაქის ეკო-ნომიური ცხოვრების მრავალ-მხრივობა მოითხოვს.

შენიშვნა: მოეწყოს ახლავე სავალდებულო მოკლე ვადია-ნი პროფესიონალური კურსები სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე სახელოსნო ცოდნათა მოსაგვარებლად და გასავრცელებლად.

5. საშუალო სკოლა სამი ან ოთხი წლის კურსით ერთ საფეხურ-თაგანია საერთო სახალხო განათლებისა და ორგანიული გაგრძელება სა-ხალხო სკოლისა.

6, საშუალო სკოლა უნდა იყოს სხვა და სხვა სახისა ადგილობრივ პირობებისა და აგრეთვე მოზარდ თაობის მიდრეკილებათა მიხედვით.

სკოლის მართვა-გამგეობა;

1. სახალხო განათლების საქმის მართვა-გამგეობა უნდა მოეწყოს დეცენტრალიზაციის პრინციპზე, 2. ის უნდა შეფარდებულ იქმნას თვით-მართველობების ფორმებთან და 3. პედაგოგიური დამოუკიდებლობა სრუ-ლიად დაცული უნდა იქმნას.

აღნიშნული რეზოლიუცია ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა გარდა მართვა-გამგეობის მე-2 დებულებისა, რომელიც გ. მიქაბერიძის წინადა-დებით ყრილობამ შემდეგ ნაირად შესცვალა: „ის მართვა-გამგეობა უნდა შეფარდებულ იქმნას ადგილობრივ თვითმართველობათა ფორმებთან ისე, რომ სასკოლო საბჭოებში, რომლებიც ავტონომიურად იმოქმედებენ, უმრავლესობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნახევარი მაინც მასწავლე-ბელთა წარმომადგენლები იქნებიან გადამწყვეტი ხმის უფლებით“.

II. ადგილიდან მოხსენებების შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

ადგილებიდან მოხსენებების შესახებ.

მოისმინა რა ადგილებიდან მოხსენებები, დელეგატთა ყრილობა საჭიროდ სცნობს მიაქციოს მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობათა ყურადღება შემდეგს;

1. სკოლის შენობები თითქმის ყველა სოფლებში სრულიად უვარგისი და შეუფერებელია.

2. სკოლების რიცხვი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მსურველების რაოდენობის მოთხოვნილებას; განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეებში.

3. მასწავლებელთა სასურველი კონტიგენტი არ მოგვეპოვება, მოუმზადებელ მასწავლებელთა რიცხვიც იმდენად მცირეა, რომ ზოგი ერთი უკვე არსებული სკოლაც დაკეტილია.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ვერ აკმაყოფილებენ მასწავლებლებს ხვედრ ჯამაგირებით, რომლის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთავრობისგან მიღებულ თანხებს ისინი ანდომებენ თავიანთ საერთო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეს.

5. თუშ-ფშავ-ხევსურეთში არ არსებობს არც ერთ შკოლა იმ დროს როცა სწავლისადმი წყურვილი მცხოვრებთა შორის საკმარისად განვითარებულია. და 6. კავშირის საბჭოს დაევალოს შეიმუშაოს ადგილებიდან მოხსენებებზე დაფუძნებული დასაბუთებული დაწვრილებითი მოხსენება კონკრეტიული ზომების ჩვენებით და წარედგინოს განათლების სამინისტროსა და დამფუძნებელ კრების სასკოლო კომისიას.

აღნიშნული რეზოლიუცია ყრილობამ უცვლელად დაამტკიცა.

III. ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია;

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების I-მა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მასწავლებლების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: რადგან სკოლის ყველა საფეხურის მასწავლებელი ეკონომიურად ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება და ამით სასკოლო საქმის მოგვარება საგრძნობლად ფერხდება ჩვენს რესპუბლიკაში, საჭიროა უახლოვეს დროში მასწავლებლობის უზრუნველყოფა როგორც ჯა-

მაგირების მომატებით, ისე სურსათ-სანოვაგის და სხვა საჭირო საქონლის მიწოდებით.

კონფერენცია ავალებს აღმასრულებელ საბჭოს სულ მოკლე დროში პრაქტიკულად შეიმუშავოს დღევანდელ პირობების მიხედვით მასწავლებლის გასამჯელოს საკითხი და სადაც საჭიროა, შესაფერი ნაბიჯი გადასდგას, და ეხლავე კი გადიდებულ იქმნას არსებული ჯამაგირი—60%. კონფერენცია იმ აზრს ადგია, რომ მასწავლებლობის უზრუნველყოფა იმავე დროს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესების უაღრესად დაცვაა.

რადგანაც ზოგიერთ კუთხეში, როგორც მაგალითად: თიანეთის, დუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრებისა და სხვ., განსაკუთრებულ მძიმე საეკონომიო პირობებშია, ამიტომ კომისია სცნობს საჭიროდ მასწავლებელთა უზრუნველყოფას ამ კუთხეებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

62 ხ. უმრავლესობით 48 ხ. წინააღმდეგ. აღნიშნული რეზოლიუცია დამტკიცებულ იქმნა.

რეზოლიუციათა მიღების შემდეგ ყრილობას ასარჩევი ჰყავს კავშირის საბჭოს 15 წევრი, გადაწყდა არჩევნები მოხდეს პროპორციული სისტემით, წარმოდგენილ იქმნა ორი საარჩევნო სია: № 1. სოც-ფედერალისთა ფრაქციისა და № 2 სოც. დემოკრ. და უპარტიოთა. ფარული კენჭის ყრით სია № 1-იღებს 61 ხმას, ხოლო სია № 273 ხმას. პირველი სიიდან გავიდა 7, მეორედან კი 8. ამ რიგად საბჭოში არჩეული არიან პირველი სიიდან: 1. ალ. მდივანი, 2. დ. უზნაძე, 3. პ. ჭანიშვილი, 4. ვ. იმნაძე, 5. აკ. ფალავა, 6. მერაბაშვილი და 7. დ. კობიაშვილი. მეორე სიიდან: 1. ვ. ბურჯანაძე, 2. ა. ფირცხალაიშვილი, 3. ს. მეტრეველი, 4. ალ. წერეთელი, 5. ოდიშარია 6. გ. გეორგობიანი, 7. ზანდუკელი და 8. ს. თალაკვაძე.

საარჩევნო კომისიის არჩევა გადაიდო მომავალ კონფერენციამდე. თავმჯდომარე აცნობს ყრილობას პირადად მგოსან ბაჩანას, რომელიც დუშეთის მაზრაში მასწავლებლობს და ამ მაზრის მასწავლებელთა მიერ დელეგატად გამოგზავნილია ყრილობაზე. მგოსანი ლექსით მიესალმა ყრილობას, რომელიც მას ლექსის წაკითხვის შემდეგ ოვაციებს უმართავს.

დასასრულ ყრილობა მადლობას უხდის საორგანიზაციო კომიტეტისა და ყრილობის პრეზიდიუმის წევრებს და იშლება ნაშუადღევის 5 საათზე.

ტფილისის საუფლო ინსტიტუტი.

(მისი მიზნები და ორგანიზაცია.)

ჩვენს პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ მასწავლებელთა მომზადების საკითხი ერთ-ერთ ძირითად საკითხად ითვლება.

ჩვენი საოსტატო სემინარიები პირველ დაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლებს ამზადებს.

მაგრამ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი? ან საშვალო სკოლა? მათაც ხომ სჭირია მომზადებული მასწავლებლობა.

დღემდე მხოლოდ ერთი სასწავლებელი იყო, ე. წ. საოსტატო ინსტიტუტი (ტფილისში), რომელიც საქალაქო სასწავლებელთათვის ამზადებდა მასწავლებელს. მაგრამ მას შემდეგ რაც საქალაქო სასწავლებელთა ადგილი უმაღლეს დაწყებითი სკოლამ დაიკავა, ინსტიტუტის რეფორმაც აუცილებელი შეიქმნა: საჭირო იყო იგი ისეთ პრინციპზე აგებულიყო, რომელიც მას თავის ახალ მიზანს უფრო დაუახლოვებდა.

I. რას ჰგულისხმობს უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადება? რასაკვირველია, ჯერ ერთი—ზოგად განათლებას, და შემდეგ—სპეციალურ ცოდნას.

როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ზოგადი განათლება? ამ საკითხის გადაჭრას ორი ძირითადი მოთხოვნილების გათვალისწინებაზეა დამოკიდებული:

1. უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი არსებითად არ განსხვავდება საშუალო სკოლის მასწავლებლისაგან; განსხვავება შეიძლება მხოლოდ სპეციალურ მომზადებაში მდგომარეობდეს. იგი სახალხო სკოლის ხელმძღვანელია, ამიტომ მისი გონებრივი ჰორიზონტი ხელს არ უნდა უშლიდეს მას ხალხის უახლოეს კულტურულ ხელმძღვანელობაში. ცხადია ამის მიხედვით, რომ თუ საშუალო სკოლის მასწავლებელს საშუალოზე უფრო მაღალი ზოგადი განათლება ესაჭიროება, უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლისათვის საერთოდ საშუალო სკოლის ზოგადი განათლება მაინც უნდა იყოს საჭირო.

2. უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ისეთი საგნების ისეთის მოცულობით სწავლება უხდება, რომ მისთვის აუცილებელი, თავისი სპეციალური საგნები უფრო ფართო მოცულობითა და სიღრმით ჰქონ-

დესთ შესწავლილი, ვიდრე ეს საშუალო სკოლაში ხდება. ასეთი სპეციალური ღრმა შესწავლა ამა თუ იმ საგნისა კი საშუალო სკოლის კურსის ცოდნას თავისთავად ჰგულისხმობს.

აქედან ცხადია: ზოგადი განათლების მხრივ უმაღლეს დაწყებითა სასწავლებლის მასწავლებელთა მომზადება საერთოდ საშუალო სკოლის კურსის ცოდნას ჰგულისხმობს.

II. როგორი უნდა იყოს მისი სპეციალური მომზადება? აქ უწინარეს ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ უმაღლეს დაწყებითი სკოლის კურსში ბევრია ისეთი საგანი, რომლის წარმატებითი სწავლება, როგორც ვიცით, უფრო ღრმასა და ფართო ცოდნას ავალებს მასწავლებელს, ვიდრე ეს მას საშუალო სკოლის ფარგლებში შეუძლია მიიღოს.

აქედან ცხადია: თავისი სპეციალური საგანი მომავალმა უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა უფრო ფართო მასშტაბით უნდა შეისწავლოს, ვიდრე ეს საშუალო სკოლაში ხდება: იგი მას, საერთოდ მაინც, როგორც მეცნიერება უნდა ჰქონდეს შესწავლილი და არა მარტო როგორც სასწავლო საგანი.

სპეციალური მომზადება განსაკუთრებით პედაგოგიურ მომზადებასაც ჰგულისხმობს. თანამედროვე პედაგოგიკა ისეთს რთულსა და მნიშვნელოვან სამეცნიერო დარგად გარდაიქცა, რომ მისი ყურადღებითი შესწავლა უდავოდ შეიძლება მასწავლებლის მომზადების აუცილებელ პირობად იქნეს აღიარებული.

აქედან ცხადად გამომდინარეობს ის ზოგადი მოხაზულობა, რომელიც უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მომზადების ორგანიზაციას განსაზღვრავს.

1. საჭირო ზოგადი განათლების მიღებას საშუალო სკოლა უზრუნველყოფს.

2. სპეციალური განათლებისათვის ცალკე დაწესებულების შექმნაა აუცილებელი. ამ დაწესებულების კურსში ორი მთავარი მოთხოვნილება უნდა იყოს განხორციელებული:

ა. სპეციალურ სამეცნიერო დარგთა (რომელთა სწავლებაც მომავალ მასწავლებელს უმაღლეს დაწყებითი სკოლებში მოუხდება) უფრო ღრმა და ფართო შესწავლა, ვიდრე ამას საშუალო სკოლის კურსი მოითხოვს.

ბ. თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერული შესწავლა (დიდაქტი-

კითა და მეთოდიკით) და მასწავლებლის პრაქტიკულ-პედაგოგიური მომზადება. ამ მიზნის განსახორციელებლათ, შეიძლება მინიმალურად ორი წლის კურსი განისაზღვროს.

ამგვარად, უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლებელი ორი წლის კურსს მაინც უნდა შეიცავდეს, და მისი მიზანი უნდა იყოს: ჯერ ერთი სპეციალური სამეცნიერო თეორეტიული ცოდნის გადაცემა, და შემდეგ—პრაქტიკულ-პედაგოგიური მომზადების უზრუნველყოფა.

ტფილისის საპედაგოგო ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ პირველი წელიწადია რაც მოქმედობს, სწორედ ამ პრინციპზეა აგებული.

იგი ორ განყოფილებას შეიცავს: ა) ჰუმანიტარულს და ბ) სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოს. იქ შესვლა ყველას შეუძლია, ვისაც ან საშუალო სკოლა აქვს დასრულებული, ან საოსტატო სემინარია ან და ვინც სპეციალურს მისაღებ გამოცდას ჩბაბარებს.

მაგრამ საპედაგოგო ინსტიტუტს მეორე ძირითადი მიზანიც აქვს დაკისრებული: ვინაიდან უნივერსიტეტს სრულიად არა აქვს აზრად თავის მსმენელთა ამა თუ იმ პრაქტიკული სარბიელისთვის მომზადება, ამიტომ ჩვენი საშუალო სკოლის მომავალ მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადების საქმე ცალკე დაწესებულებას—საპედაგოგო ინსტიტუტს დაეკისრა. უნივერსიტეტის სტუდენტს საშუალება ეძლევა ზოგადი კურსების მოსმენისა და შეთვისების შემდეგ ინსტიტუტშიაც შევიდეს და საუნივერსიტეტო მუშაობასთან ერთად თავისი პრაქტიკული მომზადების შესახებაც იზრუნოს. ეს საშუალებას აძლევს მას, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ზედმეტი დრო არ დაჰკარგოს.

ჩვენს განათლების სამინისტროს კარგად ესმოდა, რომ დღევანდელს აუტანელ პირობებში ძნელია პროვინციიდან ტფილისში ჩამოსვლა და აქ სწავლა. ამიტომ მან საკმაოდ დიდი თანხა გადასდო ინსტიტუტის მსმენელთათვის, როგორც იმათთვის, რომელიც სახალხო სკოლის (II საფეხურის) მასწავლებლად ემზადებიან, აგრეედვე განსაკუთრებით უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისათვისაც, რომელნიც საპედაგოგო ინსტიტუტშიაც სწავლობენ, და საშუალო სკოლის მასწავლებლობას აპირებენ.

ბიბლიოგრაფია.

ჩემი წერილის განმარტებისათვის.

„განათლების“ ა. წ. № 2-ში მოთავსებულია სხვათა შორის ბ. ს. დანელიას ბიბლიოგრაფული შენიშვნა, რომელიც „თფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ გამოქვეყნებულს ჩემს წერილს („ლეიბნიცის petites perieptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში“) ეხება. ჩემის აზრით, ბ. დანელიას შენიშვნა ერთგვარს გაუგებრობაზეა აგებული; ეს არის მიზეზი, რომ იძულებულად ვგრძნობ თავს, ბიბლიოგრაფიის ავტორის მოსაზრებებს ორიოდე სიტყვით მაინც შევეხო.

ბ. დანელიას მსჯელობის გეგმა ასეთია: იგი მოკლედ ახასიათებს ჩემი წერილის შინაარსს და შემდეგ ცდილობს, ჩემი ინტერპრეტაცია petite perception ისა ლეიბნიცის მსოფლმხედველობის ზოგად მოხაზულობას დაუპირდაპიროს და ამ გზით მისი მცდარობა ნათელჰყოს.

ასეთი გეგმის განხორციელება იმ თავითვე ორს რასმე ავალებს ავტორს: ა. ჩემი წერილის დედააზრის გაგებას და ბ. ლეიბნიცის სისტემის შესახებ მკაფიოსა და ნათელ წარმოდგენას.

სამწუხაროდ, ბ. დანელიას წერილში არც ერთი აღნიშნული პირობა არ არის დაკმაყოფილებული.

1. ჩემი წერილის მიზანია, ბ. დანელიას სიტყვით, „გადმოგვცეს ლეიბნიცის შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება ცნობიერება არა ცნობიერ ელემენტებისაგან“ (განა. 2, გვ. 41). ნამდვილად კი ჩემი წერილის მიზანი სულ სხვაა, და მას შორს ძებნა არ სჭირია: იგი თვით მისს სათაურშია აღნიშნული: „ლეიბნიცის petites peceptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში“ ე. ი. როგორია ბუნება petite perception-ისა და რა ადგილი უნდა დაეთმოს მას ფსიქოლოგიაში. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩემი ინტერპრეტაცია, petite perception-ის ბუნებისა არავისათვის არ იქნებოდა მისაღები, თუ რომ არ აღმოჩნდებოდა, რომ ლეიბნიცის ცნობილს აპერცეფციის თეორიას იგი არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ განსაკუთრებული სიცხადით ეგუება და მტკიცე საფუძველს აძლევს მას. ეს არის მიზეზი, რომ ჩემს წერილში ცნობიერის გენე-

ზისის პრობლემაც უნდა ყოფილიყო, და არის კიდეც, განხილული, მაგრამ— განხილული მხოლოდ განსაზღვრულის მიზნით და ამიტომ განსაზღვრულის თვალსაზრითითაც. ცხადია, იგი მიზანი კი არ არის; იგი უფრო საშუალებაა, რომელიც ჩემს მთავარ მიზანს ემსახურება. ბ. დანელიას კი განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამისათვის მიუპყრია, და ალბად ამიტომ ჩემი წერილის მიზანიც სრულიად გამოჰპარვია.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ჩემი შრომის შინაარსის მთავარი მომენტებიც თითქმის სავსებით გაუგებარი დარჩენილა მისთვის. ჩემი წერილის რეზიუმე, ბ. დანელიას გადმოცემით, ასეთია: „მცირე პერცეპციის არსებითი ნიშანი მისს სიმცირეში შესდგება. მცირე პერცეპცია ძლიერდება ან ცნობიერდება ყურადღების საშუალებით. ყურადღებას კი იწვევს ძლიერი მცირე პერცეპცია“ (განმ. № 2. გვ. 42. კურსივი ჩემია). მე არ შევეხები ამ რეზიუმეს რედაქციას— ის მხრივ ჩემთვის ამჟამად მარტო მისი არსებითი მხარეა საინტერესო. გამოდის, თითქოს ჩემის გაგებით: 1. მცირე პერცეფციის ნიშანდობლივი თვისება მის სიმცირეში მდგომარეობდეს; 2 მცირე პერცეფციის სიძლიერეს ყურადღება ჰქმნიდეს და 3. ყურადღებას „ძლიერი მცირე პერცეფცია.“ იწვევდეს. მაგრამ ვინ ვერ დაინახავს, რომ სამი დებულებიდან თითოეული წინამსრბოლი თავის თანამდევარს არსებითად ეწინააღმდეგება; ვინ ვერ შენიშნავს იმ ლოლიკურ უაზრობას, რომლის ნიმუშადაც ამ სამი დებულების ჩათვლა შეიძლება. ამას ბ. დანელიაც ჰხედავს; ეს არის მიზეზი, რომ იგი ჩემი წერილის დედააზრს არ იზიარებს და ახალ ინტერპრეტაციის ძიებას ჰკიდებს ხელს,

საქმე ის არის, რომ ჩემი წერილის raison d'être-ი სწორედ ამ წინააღმდეგობათა შერიგებაში მდგომარეობს. მე ვხედავდი, რომ ლეიბნიცის შეხედულება აუცილებლად ამგვარი circulus vitriosus-ის სახეს მიიღებდა, სანამ მისი petite perceptione-ის ნამდვილი ბუნება არ იქნებოდა ნათელყოფილი. ჩემი ცდა მაშ იმაში გამოიხატებოდა, რომ გამერკვია petite perception-ის თავისებური ელემენტური ბუნება და ამ სახით ლეიბნიცის თეორია circulus vitiosus-ის ხიფათისაგან, თუ შეიძლება ასე ითქვას, განმეთავისუფლებია. ბ. დანელიას სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას ნათლად უგრძვნია, თუ როგორ უნდა ყოფილიყო საკითხი დაყენებული. მაგრამ სამწუხაროდ ჩემი საკითხის დაყენება მას

ჩემი შრომის შინაარსად ჩაუთვლია და ამიტომაც მთელი ჩემი ცდა მისთვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩენილა.

მართლაც და როგორ ჰხსნის ჩემი წერილი აღნიშნულ სიძნელეს. ლეიბიცისა და მისი ინტერპრეტატორების სიტყვით, მცირე პერცეპციის არსებითი ნიშანი მის სიმცირეში მდგომარეობს. ს. დანელიას აზრით, მეც ამას უნდა ალვიარებდე. ნამდვილათ კი ჩემი შრომის თითქმის სამი გვერდი(იხ. გვ. 76—76) ე. ი. მისი ერთი-მეექვსედი ამ შეხედულების წინააღმდეგ არის მიმართული, და ბოლოს ასე დაასკვნის: შეუძლებელია petite perception-ი ინტენსივობითი ერთეულათ ჩაითვალოსო (გვ. 79). ცხადია, ბ. დანელიას სრულიად დავიწყებია, თუ მთელი წერილის შინაარსს არ მივიღებთ მხედველობაში, ეს სამი გვედრი მაინც: როდესაც იგი ამბობს: „ეს ინტენსივობა ბ. უზნაძის შეხედულებით, არის ობექტიური მცირე განცდათა თვისება“-ო (გვ. 70), არა, ეს ჩემი აზრით კი არ არის ასე, არამედ, სხვათა შორის, ჰარტმანისა და კ. ფიშერის აზრით, რომელთა შეხედულების დარღვევასაც მე სწორედ ზემო აღნიშნულს სამ გვერდზე ვცდილობდი.

ჩემი წერილის რეზიუმეს მეორე დებულება, როგორც ვიცით, ბ. დანელიას გადმოცემით, ასეთია: „მცირე პერცეპცია ძლიერდება ან ცნობიერდება ყურადღების საშუალებით“ (გვ. 42). მაგრამ არც ეს არის ჩემი აზრი, პირიქით: ეს თვითონ ბ. დანელიას აზრია: განა ბ. დანელია არ არის რომ ამბობს: ყურადღების მიპყრობა—უსწრებს... პერცეპციათა გაძლიერებას და გაცნობიერებას“-ო! (გვ. 46). ჩემი ნამდვილი შეხედულება კი სულ სხვაგვარია: მე არასდროს არ ვიტყოდი, ყურადღების მიპყრობა პერცეპციათა გაცნობიერებას უსწრებს წინ-თქო, რადგანაც ლეიბნიცს არაფრით არ დაუმსახურებია, იგი ასეთს გულუბრყვილო ფსიქოლოგად ჩაგვეთვალა. არა, ჩემის აზრით, საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყოველი ცნობიერი წარმოდგენა იმ არაცნობიერ ფსიქიურ ელემენტთაგან წარმოიშვის, რომელნიც აკტუალური შთაბეჭდილების გამო იღვიძებენ და ამ უკანასკნელთან ერთად მთლიანს ასოციაციურ კავშირს ჰქმნიან“ (უნ. მოამ. გვ. 81).

მესამე ჩემი დებულება, ბ. დანელიას აზრით, ასეთია: „ყურადღებას კი იწვევს ძლიერი მცირე პერცეპცია“-ო. ძლიერი მცირე პერცეპცია, ჩემი წერილის მიხედვით, სრულს nonses-ად უნდა ჩაითვალოს. აკი ვამბობდი აღნიშნულს სამს გვერზე, რომ მცირე განცდა-

თა, იტენსივობითი ერთეულებად აღიარება შეცდომად უნდა იქ-
მნეს მიჩნეული მეთქი! მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ და „ძლიერი
მცირე პერცეფციის“ ადგილას ის ვიგულისხმოთ, რაც, ჩემის აზრით,
უთუოდ უნდა იგულისხმებოდეს, სახელდობრ, ელემენტარულ სულიერ
მოვლენათა (მცირე პერცეფციათა) კომპლექსი, სულ ერთია, ჩემი ნამ-
დვილი აზრი არც მაშინ იქნება სინამდვილით გადმოცემული, თუ კი
ყურადღებას იმ იდუმალ ძალად წარმოვიდგენთ, რომელიც თავის ნება-
ზე, ან თუნდ სხვის ნებაზეც ხან აქეთ მოიმართება და ხან იქეთ, რო-
გორც ეს ბ. დანელიას ჰგონია და როგორც ეს, ჩემის რწმენით, ლეიბ-
ნიცს სრულიად არ ჰქონდა წარმოდგენილი. ჩემი წერილის ნამდვილი
აზრი სულ სხვაგვარია: მცირე პერცეფციათა შეკავშირება (ლეიბნიცის
ტერმინოლოგიით, გაძლიერება) მეხსიერების დახმარებით ხდება. შეკავში-
რებული განცდანი) (ლეიბნიცის ტერმინალოგიით — ძლიერი განცდანი)
ცნობიერად იქცევიან ე. ი. ყურადღების საგანს წარმოადგენენ, ან და
სხვანაირად რომ ვსთქვათ, ნათელ წარმოდგენებად იქცევიან.

ეხლა ცხადად ჩანს, თუ როგორ ვახერხებ მე წამოყენებული საკით-
ხის გადაჭრას: მცირე განცდა ელემენტარული ფსიქიური პროცესია მისი
კომპლექსად შეკავშირება (ლეიბნიცის ტერმინოლოგიით-გაძლიერება)
„მეხსიერების“ დახმარებით ხდება და ეს კომპლექსი ცნობიერი ან ნა-
თელია (ე. ი. ყურადღების საგანია).

II. ბ. დანელიას, ჩემის აზრით, ვერც ლეიბნიცის ზოგადი მსოფლ-
მხედველობა აქვს ნათლად და სწორედ წარმოდგენილი, რა თქმა უნდა,
რამდენადაც ეს აღნიშნულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ჩანს.

ბ. დანელია აღნიშნავს, თითქოს ჩვენი საკითხისათვის იმდენი მნიშ-
ვნელობა არ ჰქონდეს ლეიბნიცის რაციონალიზმს, რამდენიც მისს იდეა-
ლიზმს აქვს, და შემდეგ ლეიბნიცის ჰიუმსა და ლოკთან დაპირისპირებით
ამ იდეალიზმის გამოყვანას სცდილობს; „თუ ლოკი ამტკიცებდა, რომ
გონებაში არაფერია, რაც წინასწარ არ განგვიცდია გრძნობით, ლეიბნიც-
მა დაუშატა ამას მხოლოდ სამი სიტყვა: „გარეშე თვითგონებისა“ და
ძირიან ფესვიანად შესცვალა სულიერ ცხოვრების მექანიკური შემეცნ-
ბაა (გვ. 44). ბ. დანელია ფიქრობს, მაშასადამე, რომ ლეიბნიცის იდეა-
ლიზმს „გარეშე თვით გონების“ დამატება ახასიათებს; ნამდვილად კი ამ
დამატებით ლეიბნიცმა ემპირიზმის რაციალიზმთან შერიგება სცადა და
nisi intelletus itse — სწორედ მისი მსოფლმხედველობის რაციონალიზმის

მომენტს შეიცავს. ეს იმდენად ცხადია და იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს ასე რომ თუ მართლა ამ nisi intelle ipsectus-ს დამატებით შესცვალა ლეიბნიცმა „სულიერი ცხოვრების მექანისტური შემეცნება“ (რასაც მე, სხვათა შორის, ვერ დავეთანხმები), მაშინ მას ეს საქმე რაციონალიზმის და არა იდეალიზმის წყალობით მოუხერხებია.

ბ. დანელია განაგრძობს: „ლეიბნიცისათვის „მე“ არის სუბიექტი განცდისა. ის არის რეალობა, მონადა მოცემული ყოველივე განცდის წინ, მისი ნებიდან დამოკიდებულია ის, რომელ განცდას მიექცეს ყურადღება. განცდათა სხვაობა აქ არაფერ შუაშია. ეს განსხვავება შედეგია და არა მიზეზი ყურადღებისა... თავის თავად მცირე პერცეპცია, როგორც მასალა ცნობიერებისა მოკლებულია ყოველგვარ ქვალიტატივურს (მაშასადამე ქვანტიტატივურსაც) განსხვავებას, თითოეული მცირე პერცეპცია უდრის ყოველმხრივ მეორე მცირე პერცეპციას. მათ შორის არ არის არავითარი განსხვავება. განსხვავება იბადება მხოლოდ ცნობიერებაში, სადაც მცირე განცდა შედის ყურადღების საშუალებით... თუ პერცეპციები განირჩევიან ურთიერთ შორის, ეს ხდება მხოლოდ მონადის წყალობით, რომელმაც მოისურვა მათი წინ წამოყენება და მათთვის თვისებების მინიჭება“ (გვ. 44-45).

ასეთია ბ. დანელიას ლეიბნიცი. ამ ამონაწერის აზრი ძლიერ მარტივია; იგი შემდეგი ორი დებულებით ამოიწურება: 1. განცდათა (პერცეფციათა) შორის არ არსებობს არც რომელობითი (ქვალიტატიური და არც რაოდენობითი (ქვანტიტატივური) განსხვავება. 2. „მისი (მონადის) ნებიდან არის დამოკიდებული ის, რომელ განცდას მიექცეს ყურადღება“ (გვ. 44).

პირველი დებულება, რომლის მიხედვითაც თითქოს პერცეფციას არც ინტენსივობა და არც რომელობა არ უნდა გააჩნდეს ისეთი თვალსაჩინო და უეჭველი nonsens-ია, რომ ჭეშმარიტად საზღაპრო წარმოდგენის უნდა ჰქონდეს ადამიანს ლეიბნიცის ფილოსოფიის სიმდარეს შესახებ, რომ ასეთი რამ მიაწეროს მას: ვინ არ იცის, რომ ის, **რასაც არც რომელობა აქვს და არც ინტენსივობა, შეუძლებელია არსებობდეს.** ხოლო განცდათა არსებობაში რომ ლეიბნიცს არასდროს ეჭვი არ შეუტანია (განა ბ. დანელია არ არის, რომ მას იდეალისტს უწოდებს!), ეს იმდენად ცხადია, რომ ამას ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორიც კი ჰხედავს. და რო-

დესაც „განათლ.“ № 2-ის 46 გვერდზე ჰკითხულობთ: მცირე განცდათა შორის ქვანტიტატიურისა და მით უმეტეს ქვალიტატური განსხვავების აღიარება იმდენად შეუწყნარებელია, რომ ამაზე დავაც კი შეუძლებელიაო, გაკვირვებული ჩერდებით და არ იცით, განაგრძოთ წერილის კითხვა თუ არა.

II) მეორე დებულების მიხედვით მონადის ნებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული, თუ რომელ პერცეფციას მიაპყრობს იგი ყურადღებას. მე არ მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, თუ როგორის სიმძაფრით ეწინააღმდეგება ეს დებულება პირველს დებულებას. მე უფრო ის მაინტერესებს, თუ რამდენად შეეფერება ასეთი შეხედულება ლეიბნიცის ნამდვილ აზრს და თუნდ ადამიანის ჯანსაღ ლოგიკასაც. თქვენ ხედავთ, რომ ამ დებულების თანახმად ცნება ნებისა წინ უსწრებს ცნებას პერცეფციისას არა მარტო ლოგიკურად, არამედ ფაქტიურადაც. ბიბლიოგრაფიის ავტორი დამეთანხმება, რომ ლეიბნიცი ასეთ შეხედულებას არას დროს არ გაიზიარებდა: განა ყველამ არ იცის, რომ ლეიბნიცისათვის ნება იმავე პერცეფციის კომპლექსის გარეშე არაფერს წარმოადგენს? მაგრამ ესეც რომ არ იყოს, განა მართლა ასე დამოუკიდებელია ჩვენი ნება, ლეიბნიცის აზრით, მცირე განცდათაგან, როგორც ეს ბ. დანელიას ჰგონია? N. E-ს ერთს საკმაოდ ცნობილ ადგილას აი რას ამბობს ამ საკითხის შესახებ ლეიბნიცი: „ყველა ჩვენი უნებური მოქმედებანი მცირე განცდათა შეერთებული მოქმედების შედეგს წარმოადგენენ; აქედანვე გამომდინარეობენ ჩვენი ჩვეულებანი და ვნებანი, რომელთაც ეგოდენ ძლიერი გავლენა აქვთ ჩვენს განზრახვებზე... ვინც მორალში ამ მოქმედებათ ვერ ჰხედავს, იგი იმ იდიოტივით იქცევა, რომელიც ფიზიკაში უხილავ სხეულთა არსებობას უარყოფს. ასეთი იდიოტები მორალისტთა შორისაც მოიპოვებიან, რომელნიც თავის-უფლების შესახებ ლაპარაკობენ და ვერც კი შეუნიშნავთ მოქმედება მცირე პერცეპციათა, რომელნიც ჩვენს მიდრეკილებას ამა თუ იმ მხრივ მიმართავენ“. უეჭველია, ლეიბნიცს იდიოტად მიაჩნდა ყველა ის, ვინც, ბიბლიოგრაფიის ავტორის მსგავსად, იტყოდა, რომ „განცდათა სხვაობა არაფერ შუაშია... რომ მონადის ნებაზეა დამოკიდებული, თუ რომელ განცდას მიექცეს ყურადღება“, ე. ი. ვინც მცირე განცდათაგან ნების სრულს დამოუკიდებულობაზე დაიწყებდა ლაპარაკს.

ამგვარად ცხადია, რომ ბ. დანელიას ლეიბნიცი უფრო ისეთს „ლეიბნიცს“ ჰგავს, რომელსაც ნამდვილი ლეიბნიცი უთუოდ იდიოტის

სახელით მონათლავდა. ეტყობა, ბ. დანელია თვითონ გრძნობს ამ შეუსაბამობას და თავის წერილის ერთ-ერთ ადგილას (გვ. 46) ასე იმართლებს თავს: „შეიძლება ეს მთლიანობა და თეორიის სინათლე არ შეეფერებოდეს ისტორიულ ლეიბნიცს... მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებს: ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია ინტერპრეტაციაში ლეიბნიცს ისეთი რამ მიეწეროს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მთელს მის მსოფლმხედველობას“-ო. თუ ეს ასეა, მაშ ვინ ატანდა ძალას ბ. დანელიას, ლეიბნიცი ცუდად გაგებულ კანტად გარდაექცია და ამის გამო მისთვის ისეთი რამ მიეწერა, რაც ჭეშმარიტად „აშკარად ეწინააღმდეგება მთელს მის მსოფლმხედველობას“.

ერთი მცირე შენიშვნა კიდევ.

მე ვამბობ: „ცნობიერების გენეზისის საკითხი დეკარტისათვის არ არსებობდა, არ არსებობდა იმიტომ, რომ დეკარტის შემეცნებაში სულიერსა და ცნობიერს შორის იგივეობის ნიშანი იყო დასმული“-მეთქი. ბ. დანელია ბრძანებს: ჩემის აზრით, არც დებულება და არც მისი ახსნა არ არის მართალი—(გვ. 47.), და განაგრძობს: „დეკარტი სვამს საკითხს ცნობიერების (ისე როგორც სულიერის) გენეზისის შესახებ და კიდეც სწყვეტს ამ საკითხს ღვთის არსებობის ანტროპოლოგიურ დამტკიცებაში“-ო (გვ. 47.).

თუ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორი ამ შემთხვევაში მაინც მოისურვებს მართლა ნამდვლის, ისტორიული დეკარტის აზროვნების გათვალისწინებას, იგი იძულებული შეიქმნება, დამეთანხმოს, რომ საკითხს სულიერის გენეზისის შესახებ არა თუ არ სწყვეტს დეკარტი, არამედ არც აყენებს მას, და შეუძლებელიც არის, მას ოდესმე ასეთი საკითხი წამოეყენებია. ბ. დანელია ვალდებულია იცოდეს, რომ გენეზისზე მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც განვითარების იდეა იმ თავითვე ნაგულისხმევია. ბ. დანელიამ ისიც უნდა იცოდეს, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმის განვითარების შესახებ რაც იმ თავითვე მზამზარეულის, დასრულებული სახით არის მოცემული; სხვას რომ თავი დავანებოთ, ბ. დანელიას დეკარტის ანთროპოლოგიური არგუმენტიდან მაინც უნდა დაენახა, რომ ეს ფილოსოფოსი გენეზისის კი არა შემოქმედების შესახებ ლაპარაკობს. სად არის ანთროპოლოგიურ არგუმენტში ჩვენი იდეების (სულზე აქ სრულიად ზედმეტია ლაპარაკი) ქმნადობის ანუ გენეზისის შესახებ საუბარი? უნდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის

ავტორს ან დეკარტის შესახებ არა აქვს ნათელი წარმოდგენა, ან და ყოველ შემთხვევაში მას არ ესმის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „გენეზისი“.

საკითხი სულიერის: გენეზისის შეუძლებლობის შესახებ იმდენად ცხადია დეკარტის ფილოსოფიაში, რომ სპეციალურ წერილში მისი ხელახლა განხილვა უთუოდ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ჩემი წერილი სწორედ ასეთი სპეციალური ხასიათის არის, და მაშასადამე, ივი ისეთი მკითხველისათვის არის დაწერილი, ვისაც ყველასათვის ცნობილი წინასწარი ცნობები ამა თუ იმ ფილოსოფოსის შესახებ უკვე საკმაოდ მოეპოვება. ეს იყო მიზეზი, როდესაც ვამბობდი: დეკარტისათვის ცნობიერ გენეზისის საკითხი არ არსებობს, ვინაიდან მისთვის ცნობიერსა და სულიერს შორის ივივეობის ნიშანია დასმული მეთქი.

დ. უზნაძე.

„ტფილის. უნივერსიტ. მოამბე“ № 1, 1 ნაკვეთი.

(გაგრძელება იხ. „განათლება № 2)

4.

ზევით მე დავპირდი მკითხველს ბ. შ. ნუკუბიძის წერილის „ბუნებისათვის ცნებისა“ გარჩევას.

წინასწარ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ავტორი მომწიფებული მკვლევარის სახით გვევლინება. ის სრულიად დამოუკიდებლად გრძნობს თავს თანამედროვე ფილოსოფიის მთავარ წარმომადგენელთა მიმართ.

ეს მით საყურადღებოა, რომ ფილოსოფია სამოციან წლების შემდეგ დაიპყრეს ეპიგონებმა, რომლებიც მთელს თავის მნიშვნელობას გამოჩენილ ფილოსოფოსთა ნაწერების გადაღეჭაში ხედავენ.

ამ ეპიგონების და უბადრუკ კომენტატორების წინააღმდეგ ბ. ნუკუბიძე სამართლიანად ილაშქრებს, და მათ ლოზუნგს: „უკან კანტისაკენ“ გაბედულად უპირისპირებს თავის ლოზუნგს: „წინ კანტიდან“. *)

ეს გარემოება მოწმობს იმაზე, რომ ავტორს შეგნებული აქვს თანამედროვე ფილოსოფიის ნაკლი, რომლის გამო ავტორიტეტის წინაშე ბრმად მუხლის მოდრეკამ უკიდურეს ზომამდის მიაღწია და სრულიად

*) უნივ. მოამბე გვ. 23.

მოსპო ორიგინალი შემოქმედება. სახელმა, ციტატამ, უსულო სქოლასტიკამ დაიპყრო თავისუფალი აზრი და ლამის სრულიად მოჰკლას იგი.

მართალია. ამ სქოლასტიკას თავის დროს ქონდა მნიშვნელობა. სქოლასტიკა, როგორც აღნიშნა ერთხელ კონდორსემ, საუკეთესო სკოლაა გონების საწვრთნელად. ასეთი სკოლა გერმანულ ფილოსოფიისთვის საჭირო იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰეგელის მეტაფიზიკამ დაათრო გერმანელთა აზროვნება და დაუკარგა მას სინამდვილის ალღო. მაგრამ სკოლასაც უნდა ჰქონდეს თავის საზღვარი. ვაი იმას, ვინც სამუდამოდ მოწაფედ რჩება.

შეიგნო რა, რომ მომაკვდინებელი ცოდვა ფილოსოფოსისა არის, თავის აზრიდან განდგომა და ავტორიტეტის წინაშე ბრმად მუხლის მოდრეკა, ბ. ნუცუბიძე ეძებს ფილოსოფიაში თავის გზას. რამდენადაც სჩანს მისი ნაშრომიდან, მას ეს გზა კიდეც მოუნახავს და თუ არ გაუვლია ბოლომდის, ყოველ შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს ამ გზის მთავარი მიმართულება. ეს უკვე დიდია ახალგაზრდა მეცნიერისთვის. ვნახოთ, რა გზაა ეს.

თავის კვლევა-ძიების მიზნად ბ. ნუცუბიძე ისახავს „ალეთოლოგიას“ ეს სრულიად ახალი მოვლენაა ფილოსოფიის ისტორიაში. მისი საესებით გარკვევა ჯერ მხოლოდ გამოცანაა ავტორისთვისაც. წერილი „ბუნებისათვის ცნებისა“ არის ერთი ცდა „ალეთოლოგიის“ გარკვევისა ცნებისადმი მისი დამოკიდებულების დამყარების საშუალებით: „ალეთოლოგია“ არკვევს ცნების ბუნებას და ამავე დროს თვით „ალეთოლოგიის“ ბუნებაც ირკვევა.

საჭიროება ცნების ახალი ინტერპრეტაციისა იბადება ავტორისათვის უმთავრესად იმის გამო, რომ არსებული თეორიები ცნების ბუნების შესახებ არ აკმაყოფილებენ მას. *) ამ თეორიებს ბ. ნუცუბიძე ორ ჯგუფში ათავსებს. ერთს უწოდებს ტრადიციულ მიმართულებას, მეორეს ტრანსცენდენტალს.

ტრადიციული მიმართულება ცნების ბუნებას ხსნიდა. მისი გენეზის განხილვით ამ თეორიის ცნება იყო განყენების საშუალებით მიღებული ზოგადი წარმოდგენა. შინაარსის მხრივ ტრადიციული ლოლიკის ცნება

*) ეს საჭიროება, როგორც სჩანს, წამოიჭრა ავტორის წინაშე უკვე მაშინ, როდესაც ის სწერდა თავის გამოკვლევას ბოლცანოზე, იხ. მისი „Болцано и теор. науки“; Вопр. фил. и псих. 1913 г.

უფრო ღარიბია, ვიდრე ის კერძო შემთხვევები, რომლებიც დაედვა საფუძვლად განყენების პროცესს. რაც უფრო გამოფიტულია ცნება, რაც უფრო მოწყვეტილია ის სინამდვილეს, რაც უფრო ზოგადია მისი შინაარსი, მით უფრო მაღალია ტრადიციული ლოლიკის თვალთსაზრისით ცნების ბუნება. ამ მიმართულებას ცნების შინაარსის და მის მნიშვნელობის შორის ტრადიციული ლოლიკა გამოხატავდა რკალების საშუალებით.

ავტორი აკრიტიკებს ტრადიციულ ლოლიკის მოძღვრებას და აღნიშნავს, რომ ის სრულიად ვერ ასაბუთებდა (ან არ ასაბუთებდა; ეს ავტორისთვის ერთი და იგივეა) იმას, თუ რა უფლებით ვაერთებთ ჩვენ ერთს ჯგუფში სხვა და სხვა შემთხვევებს მათი შედარების დროს. რომ ეს საკითხი გამოერკვია ტრადიციულ ლოლიკას, ის მიხვდებოდა, რომ ცნების გამოყვანის შესაძლოება კერძო შემთხვევებიდან უკვე გულისხმობს ამ ცნების წინასწარ მოცემულობას. ამნაირად შეუგნებლად ტრადიციული ლოლიკა რკალში ვარდებოდა, როდესაც ის ზოგადის კერძოობიდან გამოყვანას ცდილობდა განყენების საშუალებით. ის არ ამჩნევდა, რომ განყენება აქ სრულიად ზედმეტია; რომ ზოგადი უკვე მოცემულია კერძოობითში.

ტრანსცენტალ ლოლიკა სხვაფრივ მიუდგა საქმეს. ის ეძებს ცნებას არა საზოგადო ნიშანთა კრებულში, როგორც იქცეოდა ტრადიციული ლოლიკა, არამედ წესში, რომელიც განსაზღვრავს ნიშანთა ურთიერთობას. ცნება არ არის შინაარსი. ის არის ფორმა ან წესი წარმოდგენათა შეერთებისა, როგორც წმინდა გონების ფუნქცია, დანიშნული შინაარსის შესასვამად, ეს ფორმა არ მიიღება გარედან. გარედან მოდის მხოლოდ მასალა, რომელსაც იპყრობს გონებრივი მოქმედება ცნების საშუალებით. ცნების ბუნების განსაზღვრისათვის შინაარსს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მასალა პასსივი მომენტია, ცნების ფორმა-კი — აქტივი. ტრანსცენდენტალი ლოლიკა ხმარობს ცნების აღსანიშნავად არა რკალს, არამედ სწორ ხაზს: ცნება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო შორს მწვდომია, რაც უფრო მეტი ფაკტების მოთავსებას შესძლებს ის თავის ხაზზე.

ასეთი შეხედულება ცნებაზე ტრანსცენდენტალ ლოლიკამ მიიღო ტრანსცენდენტალ ფილოსოფიიდან, რის გამო პირველის ღირებულება განიზომება უკანასკნელის მნიშვნელობის ფარგლებით. ავტორი მოკლედ ეხება ამისათვის ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის ზოგს თვალსაჩინო

მუხლს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ტრანსცენდენტალი ლოგიკა, რომელიც ასე სასტიკად აკრიტიკებდა (?) ფორმალ ლოგიკას დააბრალებდა მას ლოგიკური რკალის ჩადენას, თვითონ სჩადის მზგავსს შეცდომას: ღებულობს წინასწარ იმას, რასაც შემდგომ ეძებს. ტრანსცენდენტალი ლოგიკაც ვერ ასაბუთებს (და არამც თუ არ ასაბუთებს), რად არის ცნება სავალდებულო და პსიქოლოგიზმის მორევში იხრჩობა. *).

ბოლოს და ბოლოს, როგორც ფორმალი ისე ტრადიციული ლოგიკა მიუხედავად მთელი თავისი გარეგნული წინააღმდეგობისა, ერთსა და იმავე საფუძველს ეყრდნობიან. ეს საფუძველია ღებულება: „შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ფენომენი ზოგადიც იყოს და კერძოობითიც“ **) ტრადიციული ლოგიკა შეუცნობლად უარყოფდა თავის უღრმეს საფუძველს: ის შეუგნებლად ღებულობდა, რომ კერძოობითში მოცემულია უკვე ზოგადი. მაგრამ ეს შეუგნებლობა არაფერს ამტკიცებს. ბოლოს და ბოლოს ფორმალი ლოგიკისთვის ზოგადი არსებობდა კერძობითიდან განყენებულად. რაც შეეხება ტრანსცენდენტალ ლოგიკას, აქ საქმე უფრო აშკარაა კიდევ: ფორმა, როგორც წესი წარმოდგენათა შეერთებისა, მოდის გონებიდან და სრულიად განცალკევებულად არსებობს შემეცნების მასალისაგან.

რაკი ავტორმა მონახა ის საერთო საფუძველი ორი ცალ მხრივი ლოგიკური მიმართულებისა, ტრადიციულის და ტრანსცენდენტალის, ის მთელ თავის არგუმენტაციის უუმძლავრეს საბუთებს მიმართავს ამ საფუძველის დასანგრევად. მთელი წერილის ძარღვი, თუ ასეთ შემაერთებელ ძარღვზე შეიძლება აქ ლაპარაკი, შესდგება სწორედ იმის დამტკიცებაში, რომ სრულიად შემცდარია აზრი, თითქო ფენომენში შეუძლებელია ზოგადის და კერძოობითის შეთავსება. ბ. ნუცუბიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფენომენში ერთდროულად მოცემულია. როგორც ზოგადი, ისე კერძოობითი.

აი ამ ზოგადის და კერძოობითის რეალურ და ფენომენალურ სინთეზზე გვასწავლის „ალეთოლოგია“, რომელიც ერთნაირად მაღლა სდგას ტრადიციულ ლოგიკაზე და ტრანსცენდენტალ ლოგიკაზედაც. რა არის ცნება „ალეთოლოგიის“ თვალთსაზრისით? ცნება არის ფორმაც და ში-

*) უნივ. მოამბე, გვ. 29.
**) უნივ. მოამბე, გვ. 27.

ნაარსიც. როგორც ფორმა, ის არის წარმოდგენათა შეერთების წესი; როგორც შინაარსი ის შეიცავს მრავალ ნიშნებს. საფუძველი ფორმის და შინაარსის, სინთეზისა არის ინტუიცია, რომელსაც ბ. ნუცუბიძე უპირისპირებს კანტის „გრძნობას“ ტრანსცენდენტალ ესთეთიკაში. მაშ ცნება, როგორც სინთეზი შინაარსის და ფორმისა, მოცემულია განცდაში. შემდეგ გონება შლის მას მსჯელობებში, გულისხმა კი (vernnuft) აერთებს დაშლილ ელემენტებს სილლოგიზმში.

ჩვენს შემეცნებაში ცნების გაშლას სარჩულად უდევს ამავე ცნების რეალობაში გაშლა. პირველი გზა არის გზა „ჭეშმარიტებისა ჩვენთვის“, მეორე გზა არის გზა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. შემეცნების პროცესსი ამაში შესდგება, რომ ერთხელ დარღვეული წონ-სწორობა „თავისთავად ჭეშმარიტების“ სისტემისა იწვევს ამ უკანასკნელის გაშლას და „ჭეშმარიტებად ჩვენთვის“ გადაქცევას

5.

ბ. ნუცუბიძის წერილი ბევრს აზრს აღვიძებს. ამიტომ ბევრს წინააღმდეგობასაც იწვევს. ეს თუ გნებავთ, მისი დადებითი მხარეა და არა უარყოფითი. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ისე დაულაგებლად და უსისტემოდ არის დაწერილი, რომ ძნელია (მე ვიტყოდი, შეუძლებელია) მისი სავსებით გაგება. ეტყობა, რომ ავტორი ებრძვის თავის აზრებს და ჯერ კიდევ ვერ დაუმორჩილებია მათი სიახლე. ეს არაფერია: მთავარი საქმე ჭეშმარიტებაა. აღმოჩენილი ჭეშმარიტების სისტემატიური დალაგება არც ისე ძნელი იქნება შემდეგ.

„ალეთოლოგია“ საფუძველია ბ. ნუცუბიძის ფილოსოფიურ შეხედულებისა. მისი აუცილებლობა ირკვევა იმ წინააღმდეგობათა ფაქტიდან, რომელიც აღმოაჩინა ბ. ნუცუბიძემ ფორმალსა და ტრანსცენდენტალ ლოლიკის შუა.

მაგრამ აი საკითხი: 1. ფაქტია თუ არა წინააღმდეგობა, რომელიც აღმოაჩინა ბ. ნუცუბიძემ ტრანსცენდენტალ და ტრადიციულ ლოლიკის შუა? როდესაც ეს საკითხი გაირკვევა, უნდა გამოვიკვლიოთ ისიც: 2, მართალია თუ არა რომ ამ წინააღმდეგობის მიზეზი სწორედ აქვს აღნიშნული ბ. ნუცუბიძეს? თუ პირველი და მეორე საკითხიც დადებითად გადაჭრილ იქმნა მაშინ ჩვენ წინ დადგება ახალი საკითხი 3. აუცილებელია თუ არა სწორედ „ალეთოლოგიის“ მიღება აღმოჩენილ წიაალმდეგობის მოსასპობად? თუ ამ უკანასკნელ კითხვაზედაც დადებითი პასუხი

მივიღეთ, მაშინ ბ. ნუკუბიძის თეორია ცნების ბუნებისათვის შეიძლება გახდეს ჩვენი მსჯელობის საგნად.

შეუდგეთ პირველ საკითხს, რამდენად მართალია, თითქო ტრანსცენდენტალ და ფორმალ ლოგიკის შუა არსებობს წინააღმდეგობა. თუ ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის მამათმთავარს, კანტს, დავუგდეთ ყური, ის იმას გვეუბნებოდა, რომ ტრანსცენდენტალი ლოგიკა არამც თუ არ ეწინააღმდეგება ფორმალ ლოგიკას, პირიქით, კიდევაც გულისხმობს მას. როგორც ვიცით, კანტმა თავის ტრასცენდენტალ კათეგორიების ცხრილი ააგო ფორმალ ლოგიკის მოძღვრებაზე. თვით ბ. ნუკუბიძეც აღნიშნავს, რომ „წმინდა გონების კრიტიკას“ საფუძვლად უდებს ფორმალი ლოგიკის მოძღვრება ცნებაზე, მსჯელობაზე და სილოგიზმზე. მაშ თუ კანტი, ტრანსცენდენტალი ფილოსოფიის დამაარსებელი, არ ხედავდა წინააღმდეგობას ტრანსცენდენტალ და ფორმალ ლოგიკის შუა, ბ. ნუკუბიძეს უნდა ქონდეს მძლავრი საბუთები, როდესაც ის ფიქრობს, რომ ასეთი წინააღმდეგობა არსებობს.

მართალია, კანტის შემდეგ შექმნილ ბურუსში ყველა საზღვრები წაიშალა და შეხლა შემოხლის ქაოსში თავისიანი თავისიანს ვერ სცნობდა. მართალია ამის გამო ისიც, რომ ფორმალი ლოგიკის ტრანსცენდენტალ ლოგიკასთან დამოკიდებულება ბევრს გაუგებრად დაურჩა. მაგრამ რა გამოდის მერე აქედან? - მხოლოდ ისტორიული ფაქტი გაუგებრობის არსებობისა და მეტი არაფერი. თავის თავად, შეიძლება, ტრანსცენდენტალი ლოგიკა არც ეწინააღმდეგება ფორმალს და ის კორიანტელი, რომელიც ატყდა ბოლო ხანებში ამ ორ დისციპლინის ურთიერთ დამოკიდებულობის საკითხის გარშემო (უმთავრესად ჰუსსერლის წყალობით), შეიძლება, მხოლოდ დიდი გაუგებრობის შედეგია. მაშ ამას სჭირია ბეჯითი დასაბუთება.

ბ. ნუკუბიძე კი ამ დასაბუთებას არ აქცევს საკმაო ყურადღებას. ეს უკვე იქიდანაც სჩანს, რომ ის თვით დასასაბუთებელ დებულებას წინააღმდეგ დებულებაზე სცვლის, როგორც ამას დავინახავთ ცოტა ქვევით.

მაშ არ არის დამტკიცებული, ბ. ნუკუბიძის წერილში ის დებულება, რომ ტრანსცენდენტალი და ფორმალი ლოგიკის შუა არსებობს წინააღმდეგობა ცნების გაგებაში. ჩემის აზრით, ეს დებულება არამცთუ არ არის დამტკიცებული ბ. ნუკუბიძის წერილში; მისი დამტკიცება სრულიადაც შეუძლებელია, ვინაიდან მართალია მისი უარმყოფელი დე-

ბულება: ტრანსცენდენტალი და ფორმალი ლოლიკის შუა არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა.

თუ ფაქტი წინააღმდეგობისა ფორმალ და ტრანსცენდენტალ ლოლიკის შუა დაუმტკიცებელი რჩება არ უნდა იყოს მისაღები ის არგუმენტაციაც, რომელიც ეძებს ამ გამოგონილ წინააღმდეგობის მიზეზს. შეიძლებოდა, ამის გამო, გამოგვეტოვებია მეორე საკითხის განხილვა: მართალია თუ არა, რომ ტრანსცენდენტალ და ტრადიციულ ლოლიკის შუა წინააღმდეგობის მიზეზი ცნების შესახებ სწორედ აქვს აღნიშნული ბ. ნუცუბიძეს? მაგრამ ვინაიდან ამ საკითხის გაშუქებაში ნათლად ისახება ბ. ნუცუბიძის ფილოსოფიური შეხედულება, საჭიროდ მიმაჩნია მასზე შეჩერება.

ბ. ნუცუბიძე თავის არგუმენტაციის უმძლავრეს ნაკადს მიმართავს შემდეგ თეზისისაკენ: როგორც ფორმალი, ისე ტრანსცენდენტალი ლოლიკა ეყრდნობიან იმ დებულებაზე, რომ „შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს რაიმე ფენომენი ზოგადიც იყოს და კერძოობითიც" *) ეს თეზისი კარგად აქვს გამოთქმული სხვათა შორის ნ. ლოსსკის, ინტუიტივიზმის ავტორს, რომელთან ერთად ბ. ნუცუბიძე ენერგიულათ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს დებულება არ არის მართალი, რომ ფენომენი არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ზოგადიც იყოს და კერძოობითიც. მერე ვინ უარყოფს ამას? ტრანსცენდეტალი ფილოსოფია, რომელსაც ბ, ნუცუბიძე მიაწერს ამ დებულებას, ძალიან შორს არის იმ აზრიდან რომ ზოგადი არსებობს გარეშე ფენომენისა: როგორც რეალობა. ზოგადი ან უკეთ რომ ვსთქვათ, წესი მოვლენათა გაშლისა ჩანასკულია თვით მოვლენებში და არ არსებობს გარეშე ამ უკანასკნელთა რა არის მოვლენა? მოვლენა არის ნაყოფი გონების შემოქმედი ფორმის და შეგრძნების პასსივი მასალის სინთეზისა.

სწორედ ამაშია ტრანცენდენტალი ფილოსოფიის განსხვავება დოგმატიური პლატონიზმისაგან, რომ მისთვის სრულიად არ არსებობს კითხვა, რა უფლება აქვთ ამ ფორმებს მოვლენებში შეიჭრენ. ფორმა ფაქტია, შეიძლება დაისვას კითხვა მისი ტრანსცენდენტალი დედუქციის შესახებ. მაგრამ ეს დედუქცია არაფერს მატებს ფორმის ღირებულებას: ის არ ამართლებს მას, ამასთან ერთად ეს დედუქცია არ არის არც ახსნა

*) უნივ. მოამბე, გვ. 27.

ფორმის წარმოშობვისა. პირუკუ, ფორმის სიცხადე თვით ფენს ნათელს მსოფლიოს აგებულებას. ეს დედუქცია შეიძლება იყოს ამის და მიხედვით მხოლოდ განმარტება ფორმის მიღებულობის ლოგიკური პირობებისა, წინააღმდეგობის პრინციპის დაცვით. ამნაირად, ვინც ფორმის გამართლებას მოსთხოვს ტრანსცენდენტალ ფილოსოფიას (ასე იკ იქცეკა ბ. ნუცუბიძე) [1]) ის უარყოფს განსხვავებას პლატონის იდეალიზმის და ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის შუა, მისთვის კრიტიციზმის განსაკუთრებული თვალსაზრისი (შემეცნების შესაძლებლობის მტკიცების შეუძლებლობა—როგორც გამოსავალი წერტილი ფილოსოფიის შენებისა) რჩება შეგნების გარეშე.

სად ვხვდებით ჩვენ ფორმებს?—მოვლენებში. მოვლენების გარეშე მათ მნიშვნელობა ეკარგებათ. სწორედ ამიტომაცაა რომ მოვლენების გარეშე მათ არსებობაც არ აქვთ, ისინი ვერ ისხამენ სხეულს და მხოლოდ განყენებულ წარმოდგენებად რჩებიან. ამ შემთხვევაში ფორმის წარმოდგენა არაფრით განსხვავდება ფერის წარმოდგენიდან. მიზეზობრივობას არ აქვს მეტი საფუძველი მოვლენების გარეშე არსებობისა, ვიდრე წითელ ფერს.

განა ამას მშვენივრად არ აღნიშნავს თვითონ კანტი, როდესაც ის ლაპარაკობს: „ცდა არის უეჭველად პირველი ნაყოფი, რომელიც გამოაქვს ჩვენს გონებას“ [2]). რამდენჯერ იმეორებს ის შემდეგ ამ აზრს, ვინ მოსთვლის. მერე რა არის მოვლენა თუ არა ცდის ნაყოფი? აქედან გამომდინარეობს, რომ მოვლენაში ან ფენომენში მოცემულია უკვე ფორმა (გონების ნაყოფი). თავის თავად ცხადია, რომ იქ მოცემულია შინაარსიც, ვინაიდან ცდა წარმოსდგება გონების და შეგრძნებათა ურთიერთობის პროცესში. ამნაირად ზოგადი (ფორმა) და კერძოობითი მოვლენა არამც თუ არ არიან გათიშული. პირიქით, მათი შედეგების თავისებური დასაბუთება იყო მთავარი დამსახურება კანტის ფილოსოფიისა. ყოველი შესაცნობი შეიცნება მოვლენაში: ფორმაც და შინაარსიც. მოვლენა კერძოობითია (დრო და სივრცეში მოცემული ინდივიდუალობაა) ფორმა ზოგადი. მაშ კერძოობითში ზოგადი უკვე ჩანასკვული ყოფილა და ჩანასკვული ისე მჭიდროთ, რომ მისი გამოყოფვა მეტადრე ძნელს

[1]) იხ. უნივ. მოამბე გვ. 29.
[2]) Kant—Kr. d. r. v., ad. Kehrbech, 35 გ.

რეფლექსიას მოითხოვს. შედეგი ზოგადის კერძოობითში ჩანასკვისა არის ფენომენი ან მოვლენა: ცდის ნაყოფი მართალია, კანტი ხშირად ისე ლაპარაკობს განცდაზე, (Wahrnehmunb), თითქო ის არ იყოს ცდა (Erfahrund). მაგრამ კანტს არას დროს არ შეპარებია იმის ეჭვი, რომ ცდა არის გარედან მიღებულ მასალის ფორმაში ჩამოსხმა და ამისათვის მასში ფორმა და შინაარსი, ზოგადი და კერძოობითი განუყოფელად შესისხლხორცებული არიან. ბოლოს და ბოლოს, განა თვით ბ. ნუკუბიძე არ აღიარებს ამას? [1]) მაშ რას ეძებს ბ. ნუკუბიძე, თუ ის, რასაც ის ეძებს, უკვე ხელში უჭირავს კანტის ფილოსოფიის სახით, თუ ტრანსცენდენტალი ფილოსოფია სრულიად არ არის იმაში დამნაშავე, რომ მან ზოგადის და კერძოობითის ერთ ფენომენში შეთავსება შეუძლებლად სცნო? ზოგი ადგილიდან სჩანს, რომ ბ. ნუკუბიძეს იმისთვის არ მოსწონს ტრანსცენდენტალი ფილოსოფია, რომ მან ვერ „დაუდვა საფუძველი იმ აუცილებელ ფაქტს, რომ ცნებაში როგორლაც შეერთებულია ზოგადი და კერძოობითი, განყენებული და კონკრეტიული“ [2]) როგორ ესმის ბ. ნუკუბიძეს სიტყვა „საფუძველი.“ როგორც ratio esiendi?— მაგ.ამ მაშინ მისი სიტყვები არ იქნება მართალი, ვინაიდან ტრანსცენდენტალი ფილოსოფია აკეთებს ცდას ასეთი საფუძვლის მონახვისა.

ბ. ნუკუბიძე ეძახის ამ ცდას „მითოლოგიურ“ „ფსიქოლოგიზმს“ და „ანტროპოლოგიზმს“. მაგრამ ეს სხვა საქმეა, რამდენად მისაღებია კანტის დასაბუთება შემეცნების ფაქტისა. ამ საკითხის გასარკვევად ფეხ და ფეხ უნდა მივყვეთ კანტის აზრთა გაშლას, და თითოეულ მუხლში აღვნიშნოთ მისი შეცდომები. ამას ბ. ნუკუბიძე არ შვრება, და თავის მოკლე წერილში ვერც იზამდა. ამნაირად დაუმტკიცებელი რჩება ის მოსაზრება, რომ კანტმა ვერ მოუნახა საფუძველი, როგორც ratio essendi, შემეცნების ფაქტს, ე. ი. მოვლენაში შინაარსის და ფორმის შეკავშირებას.

მაგრამ ჩვენ იმის საბუთიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბ. ნუკუბიძეს ესმის „საფუძველი“ ზევით მოყვანილ ადგილში, როგორც ლოღიკური საბუთი ან ratio cognocsendi. „რა უფლების ძალით ვაერთებთ ჩვენ... ელემენტებს“, კითხულობს ბ. ნუკუბიძე [2]). და სწორეთ იმას აყვედრებს ტრანსცენდენტალ ფილოსოფიას, რომ ეს უკანასკნელი ვერ სჭრის ამ საკითხს, რომ მას „არ მოეპოვება სავალდებულო პრინციპი ბუნების საბო-

[1]) იხ. უნივ. მოამბე, 37, 27 და სხვაგანაც.
[2]) იხ. უნივ. მოამბე, 29.

ლაოდ განმტკიცებისა". მაშ, აქედან ცხადია, რომ ბ. ნუცუბიძე მოითხოვს ტრანსცენდენტალ ფილოსოფიიდან, რომ მან დაამტკიცოს, რადარის მოვლენაში ფორმის და შინაარსის სინთეზი მოცემული. მაგრამ კანონიერი მოთხოვნილებაა ეს მოთხოვნილება? ვინ შესძლებს ამ მოთხოვნილების შესრულებას? განა ძირითადი საფუძვლები ჩვენი შემეცნებისა შესაძლებლად ხდიან მათი დამტკიცებას? არა, ვინაიდან ყოველი მტკიცება თვით უნდა ემყარებოდეს მტკიცების შესაძლებლობის საფუძველზე. [1]) ეს არის უმთავრესი აზრი ტრანსცენდენტალ ფილოსოფიისა, რომელმაც პირველად ისტორიაში შეიგნო ის სათანადო სიღრმით. ვინც არ იზიარებს ამ აზრს, მან უნდა დაასაბუთოს თავის შეხედულება. ბ. ნუცუბიძე ამას არ შვრება, და არც აპირებს ამის გაკეთებას, ვინაიდან მის წერილიდან არ სჩანს, რომ ის არჩევს საფუძვლის ორმაგ მნიშვნელობას ტრანსცენდენტალ ფილოსოფიაში.

მაშ, დაუმტკიცებელი და კიდევ მეტიც, სიმართლეს მოკლებული, ყოფილა ის დებულება, რომელიც ერთ ერთი შემადგენელი ნაწილია ბ. ნუცუბიძის არგუმენტაციისა, თითქო ტრანსცენდენტალმა ლოგიკამ უარყო ზოგადის და კერძოობითის ერთ მოვლენაში შეთავსება და თითქო ტრანსცენდენტალ ფილოსოფიამ ვერ მოუნახა საფუძველი ამ ორ რიგ ნიშანთა სინთეზს.

ეხლა დაგვრჩა საკითხის მეორე ნახევარი. ბ. ნუცუბიძე იმავე ბრალს სდებს ფორმალ ლოგიკას. ამ უკანასკნელის ნაკლულევანებაც იმაში შესდგება, რომ მან სარჩულად დაუდვა თავის კონსტრუქციებს ის დებულება, რომ „შეუძლებელია ერთს და იმავე დროს რაიმე ფენომენი ზოგადიც იყოს და კერძოობითიც". ეს მუხლი ბ. ნუცუბიძის არგუმენტაციისა მოკლებულია აგრეთვე საბუთიანობას.

ფორმალი ლოგიკა ვერ დაუდებდა თავის თავს ისეთ საფუძველს, რაც თვით ლოგიკის სფეროს გარეშეა. საკითხი ფენომენის აგებულობის შესახებ არის გნოსეოლოგიური საკითხი და ფორმალი ლოგიკა ერთნაირად ეპყრობა სხვა და სხვა გნოსეოლოგიურ თეორიებს. დამოკიდებულება ფორმალი ლოგიკის და გნოსეოლოგიის შუა ისეთივეა, როგორიც არის დამოკიდებულობა ამ ლოგიკის და ფიზიკის, ან ქიმიის შუა. გნოსეოლოგია ერთი დისციპლინაა, ლოგიკა მეორე. მართალია, ბ. ნუ-

[1]) აღსანიშნავია რომ ბ. ნუცუბიძე მეორე თავის თძზულებაში „Болцано и теорія науки" სცნობს ამ არგუმენტს.

ცუბიძის აზრით, ესენი უნდა შეერთებულ იქნენ ალეთოლოგიის სახით, მაგრამ განა შეიძლება ალეთოლოგიის გამოცანების საზომით მიუდგეთ რეალურად არსებულს მეცნიერებას, ლოგიკას, და პასუხი ვაგებინოთ მას იმაში, რაშიც ის პასუხს თავის დანიშნულების თანახმად ვერ აგებს. ფორმალი ლოგიკა გარეშე სდგას იმ საკითხისა, როგორ არის შესაძლებელი, რომ ფენომენში ზოგადიც იყოს და კერძოობითაც, ფორმალი ლოგიკა ღებულობს როგორც ფაქტს, რომ მოვლენა მრავალსახიანია და იწყებს აქედან თავის მოქმედებას მოვლენის გადასაბუშავებლად. ბოლოს და ბოლოს განა თვით ბ. ნუცუბიძე არ აღიარებს თავის არგუმენტის უსწორობას, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ფორმალი ლოგიკა შეუცნობლად ღებულობს ფაქტში იმას, რასაც ის შემდეგ ცნებაში გამოყოფს? [1]) განა ამით ბ. ნუცუბიძემ თვითონ არ სცნო ის, რომ ფორმალი ლოგიკისთვის არ არსებობს დებულება, თითქო ზოგადი და კერძოობითი შეუთავსებელი იყვნენ?

რომ გადავხედოთ იმას, რაც ზევით ითქვა, ჩვენ შემდეგ დასკვნამდის მივდივართ:

1. ბ. შ. ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია, რომ ტრანსცენდეტალ და ფორმალ ლოგიკის შუა არსებობს წინააღმდეგობა (პირველი საკითხი). [2])

2. ბ. შ. ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია, რომ ამ წინააღმდეგობის მიზეზია ის, რომ ტრანსცენდეტალი და ფორმალი ლოგიკა ემყარებიან მცდარ დებულებას, რომ ზოგადი და კერძოობითი შეუთავსებელია ფენომენში.

აქედან ცხადია, რომ ბ, ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია ისიც, რომ ჩვენ უნდა ახალი თეორია ვეძიოთ თითქო გადაუწყვეტელ საკითხების გადასაწყვეტად. აქ შეიძლებოდა შეჩერება მეცნიერულ ინტერესების შეულახველად. მაგრამ სხვა უკვე, არა-მეცნიერულ, ინტერესის გამო მივყვეთ ბ. ნუცუბიძეს ქვევითაც და ვნახოთ, რას გვიჩვენებს ის.

როგორც სჩანს, ბ. ნუცუბიძეს ფორმალი ლოგიკის და ტრანსცენდეტალი ლოგიკის ცალ-ცალკე არსებობა არ მოსწონს. მას ტრანსცენდეტალი ლოგიკაც, და ფორმალი ლოგიკაც ცალ მხრივ ან კოჭლ მეცნიერულ დისციპლინებად მიაჩნია. საჭიროა ავტორის აზრით მათი შე-

---

[1]) უნივ. მოამბე, იხ. 17.

[2]) ბოლოს და ბოლოს თვით ბ. ნუცუბიძე აღიარებს იმას რომ ტრანსც. და ფორმალ ლოგიკის შუა არ არსებობს წინააღმდეგობა. იხ. უნივ. მოამბე, გვ. 22.

ერთება ერთ არსებაში (ალეთოლოგიაში), რომელსაც ნორმალურად ორი ფეხი ექნება.

მივიღოთ ავტორის სასარგებლოთ, რომ ტრანსცენდეტალი ლოგიკა და ფორმალი ლოგიკა ცალმხრივი და კოჭლი დისციპლინებია (ზევით შე ვეცადე. მეჩვენებინა მკითხველისთვის, რომ ეს აზრი არ არის დამტკიცებული). მერე რა გამოდის აქედან? გამოდის განა, რომ ამ ნაკლულევანების გასწორება უნდა მოხდეს მათი შეერთებით? ვაი თუ ამ კოჭლების „ალეთოლოგიაში" შეერთებით ორთავიანი მონსტრი მივიღეთ, რომელიც თვითონვე მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით. მაშ საჭიროა დასაბუთება იმისა, რომ ფორმალი ლოგიკის და ტრანსცენდეტალი ლოგიკის ნაკლულევანებანი მათი ალეთოლოგიაში გათქვეფით მოისპობიან. საჭიროა შემდეგ ისიც, დამტკიცდეს, რომ ალეთოლოგია არის ერთად ერთი ან ყოველ შემთხვევაში საუკეთესო საშუალება ტრანსცენდეტალი და ფორმალი ლოგიკის ნაკლულევანებათა მოსპობისათვის.

როგორც პირველი, ისე მეორე დამტკიცება ღრმა დაკვირვებას და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. თავის წერილში „ბუნებისათვის ცნებისა" ბ. ნუცუბიძეს სერიოზული ცდაც არ მოუხდენია ალეთოლოგიის საჭიროების დამტკიცებისა. ის უბრალო დეკლარაციას აკეთებს, რომ ფორმალ და ტრანსცენდეტალ ლოგიკაში არის ნაკლულევანებები და ამ ნაკლულევანებების მოსასპობად საჭიროა ალეთოლოგია. რისთვის, როგორ, რა საბუთის ძალით—ამაზე საკმაო პასუხს ბ. ნუცუბიძე თავის წერილში არ იძლევა და ვერც მოგვცემდა. განა ფილოსოფიაში ახალი მიმართულების დასაბუთება ასე ადვილია?

მე ვიზიარებ ბ. ნუცუბიძის ლოზუნგს „წინ კანტიდგან", მაგრამ თითოეული ახალი ნაბიჯი უნდა ვადადგმულ იქნეს ხანგრძლივი დაკვირვების, არგუმენტების წვრილმანი ანალიზის შემდეგ. გარეშე ამისა ფილოსოფიური პროგრესი შეუძლებელია.

მე ვუთითებ მხოლოდ იმ დებულებების დაუმტკიცებლობაზე, რომლებზედაც ეყრდნობა ბ. ნუცუბიძე. მე სრულიად არ ვამბობ იმას, რომ ბ. ნუცუბიძის კონსტრუქციაში (ალეთოლოგიაში) რაიმე შეცდომაა. შეიძლება ის დაბრკოლებები, რომლებიც წამოიჭრენ ჩემს წინ ბ. ნუცუბიძის თხზულებების დაკვირვებული კითხვის დროს, თვით ავტორის მიერ უკვე ძლეული იყოს ან თუ არ არის ძლეული, შეიძლება ავტორმა იცის მათი დაძლევის ხერხი. ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვე-

ვაში ერთი რამ აღსანიშნავია. ავტორმა უნდა მოერიდოს აწი იმ გზას, რომელსაც მიჰყვება ჰუსსერლი. ვასახელებ ჰუსსერლს, ვინაიდან, როგორც სჩანს, გზა ფილოსოფიური განვითარებისა ბ. ნუცუბიძეს და ე. ჰუსერლს ერთი და იგივე ქონებიათ. ეს არის გზა ბოლცანოდან გამოსული. ჰუსსერლი გადაეჩეხა ignoratio elenchi-ს ერთს დიდ ხრამში: ბოლცანოს „ჭეშმარიტება თავისთავად“ [1]) ჰუსსერლმა ლოგიკურ ჭეშმარიტებად მიიღო და, ზიგვარტის სიტყვების არ იყოს, მისტიციზმის უფსკრულში შესცურდა. ეჭვი არ არის, ბ. ნუცუბიძე იცნობს იმ კრიტიკას, რომელსაც აწარმოებს ზიგვარტი ჰუსსერლის წინააღმდეგ, და თავის მოძღვრების დასაბუთებაში, მიუხედავად ნ. ლოსსკის არა სახეიროგავლენისა, მეტს წინ დახედულობას გამოიჩენს, ვიდრე მისი თანამოაზრე ჰუსსერლი.

დაგვრჩა უკანასკნელი საკითხი: მისაღებია თუ არა ბ. ნუცუბიძის განმარტება ბუნებისათვის ცნებისა, ჩვენ ვნახეთ რომ ეს განმარტება ემყარებოდა მთელ რიგ დებულებებს: 1. რომ ფორმალი და ტრანსცენდენტალი ლოგიკა ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, 2. რომ ამ წინააღმდეგობის მიზეზია მოვლენის უმართებულო გაგება· 3. რომ ამ წინააღმდეგობის მოსასპობად საჭიროა ალეთოლოგია. არც ერთი ეს დებულება არ გამოდგა დამტკიცებული. აქედან გამომდინარეობს, რომ არც ბ. ნუცუბიძის განმარტება ბუნებისათვის ცნებისა არის დამტკიცებული.

ს. დანელია.

შ. ბერიძე.

შეგრული (ივერული) ენა, შესავალი და მასალები.

ტფილისი, 1920 წ. ფასი 100 მ.

აღნიშნული წიგნი დაუწერია ავტორს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის პრ. ნ. ი. მარრის დავალებით და, როგორც შესავლიდან სჩანს, მიზნად დაუსახავს იაფეტურ უმწერლო ენათა მასალების მიწვდენა „ქართული ფილოლოგის თვალუწვდენელ კვლევის-ველზე“ გზის გასაკაფავად. (იხ. ibid. ვგ. V).

---

[1]) რომელზედაც ასე ჩინებულად მოგვითხრობს ბ. ნუცუბიძე თავის ნამდვილად მეცნიერულ გამოკვლევაში „Болцано и теорія науки“ Вопр. фил. и псх. 1913 г.

წიგნი შეიცავს შესავალს და მასალებს (200 გვ.) და ყოველივე ეს, როგორც სჩანს, პირველი წიგნის მხოლოდ პირველი ნაკვეთია. ავტორი არ სცნობს პრ. ალ. ცაგარლის და პრ. ი. ყიფშიძის მიერ წამოყენებულ გეოგრაფიულ ნომენკლატურას, რომლის საშუალებით აღნიშნული მეცნიერები ამტკიცებდნენ წარსულში მეგრული ენის ტერიტორიის სიფართოვეს დღევანდელთან შედარებით, საკმაო მეცნიერულ საბუთად. (იხ. ibid, შესავალი, გვ. 17).

მისი აზრით „ეს საბუთი (ე. ი. გეოგრ. ნომენკლატურა) დასამტკიცებლად წარსულში მეგრ. ენის ტერიტორიის სიფართოვისა ვერ გამოდგება“, (იხ. ib. გვ. 17) და დასასაბუთებლად ამისა ავტორს მოჰყავს ორი მაგალითი ფრიად ზერელე ანალიზით, სახელდობრ 1) ზუგდიდი (ზურგ+დიდი) და 2) მოდანახე-სი (მოდი+და+ნახე).

ჩვენ არ მიგვაჩნია ავტორის აზრი ზუგდიდის შესახებ (ზურგ+დიდი) აშენებულიყოს სწორ საფუძველზე. (იხ. ibid, გვ. 17)

თუ ავტორს სურდა უკანასკნელის ჭეშმარიტი ფუძის გაგება, მას უნდა მიექცია ყურადღება თვით ამ მაზრის ნამდვილ მკვიდრთა გამოთქმისათვის და მაშინ ალბათ ის გაიგონებდა, რომ ნაცვლად „ზუგდიდისა“, (რომელი სახელწოდებაც მას ამოუღია ს. კაკაბაძის „საცაჯშლო გამოსავლის დავთრიდან“ 1913 წ. გვ. 41) მკვიდრთა გამოთქმაში ყველგან გვესმის ფორმა „ზუგიდი“, რომლის შემადგენლობაში, როგორც სჩანს, არ შედის არც სიტყვა „ზურგი“ და არც „დიდი“, როგორც ეს ავტორს ჰგონია!.. ესევე ითქმის ავტორის მიერ გათვალისწინებულ სახელწოდება „მოდანახე“-ზე, რომლის ნიადაგს პრ. ყიფშიძე ხედავდა შესაძლებლად წარმომდგარიყო მეგრ. ზმნა „ხუნა“-საგან. (იხ. I. Кипшидзе. грамматика минг. (ивер.) языка, Петр. 1914 года, გვ. 281).

ესეც რომ არ იყოსრა, ასეთ შემთხვევებში საყურადღებოა თვით ამ ადგილების ისტორიული წარსული და განსაკუთრებით კი დამაარსებლების ვინაობა. (იგულისხმება თავად აზნაურობა, რომელიც ქართულის გავლენის ქვეშ ამა თუ იმ ადგილს ანიჭებდა მათ მიერ სასურველ სახელწოდებას).

ამ მხრივ ზემორე აღნიშნული მაგალითები სრულიად არ ლაპარაკობენ, რომ ავტორს რაჯმე ახალი ეთქვას და იმავე დროს მეცნიერულად დასაბუთებული, რასაც ძალუძდეს გეოგ. ნომენკლატურის, როგორც მეცნიერულ საბუთის, უარყოფა.

არ იქნება ინტერეს მოკლებული ჩვენი ფილოლოგიის მკვლევართა-

თვის ის ახალიც, რომელიც აქვს ავტორს ამ თავში აღნუსხული; ის სამართლიანად ამბობს, რომ ა) არც ალ. ცაგარელს და არც ი. ყიფშიძეს არ აქვთ შემჩნეული მეგრ. ენაში გრძელ ხმოვანთა არსებობა, მაგალითად „მაშას“, „მურს“, სადაც ხმოვანები ყველგან გრძელია, ბ) ალ. ცაგარლის მიერ სიტყვის ბოლოში ბგერა „ჲ“ ხმარების შეუძლებლობას, მაგ. სოჲშას და არა სოიშასჲ.

გ) ავტორი პირველად აღნიშნავს შეგრულ ენაში ე. წ. სიტყვის მასალებს ან ფრთოვან სიტყვებს, რიცხვით 12-მდე. (იხ. ibid, გვ. 19, 20, 21). რაც შეეხება დანარჩენ შენიშვნებს, ისინი შეიცავენ უფრო ზოგიერთ სალექსიკონო სიტყვების სწორ ახსნა-განმარტებას, ვინემ ახალ საყურადღებო მოვლენათა აღნუსხვას.

მესამე თავში, სადაც ავტორი იკვლევს „ზოგიერთ თვისებებს. მეგრ. ენისა, არ აღნიშნულს მის მთავარ მკვლევართა მიერ“, (იხ. ibid, გვ. 23) მას უნდა ჩამოეყალიბებია მართლაც ისეთი თვისებები, რომელსაც ჩვენ არ ვხდებით წინა მკვლევართა ნაშრომებში; სამწუხაროდ, ეს ასე არ გამოდგა და ავტორის მიერ ამ თავში აღნიშნული ხუთივე „თვისებებში“ მეგრ. ენისა უბრალო ინფორმაციაა სხვა მკვლევართა მიერ უკვე აღნიშნულ თვისებებისა, მხოლოდ სხვა გამოთქმით. (უმთავრესად ი. ყიფშიძის მიერ.)

მაგალითასათვის მოვიყვანთ ერთს დამმახასიათებელ ფაქტს:

პატ. ავტორს ერთ ასეთ თვისებად მეგრულ ენისა მიაჩნია ბგერანი „ჭ“ და „ს“ მათი არხაიზმით (იხ. ibid, გვ. 25—6) მაგრამ აღნიშნული ბგერანი თავიანთი არხაიული ჩამომავლობით, როგორც მეგრული ენის მთავარი თვისებათაგანი პირველად შემოღებული და დაკანონებულ იქნა ჯერ კიდევ ალ. ცაგარლის მიერ, (იხ. М. Е. вып. II, გვ. 16, 26) ხოლო სავსებით გაშუქებული და განმარტებულია ი. ყიფშიძის კაპიტალურ შრომაში (იხ. ibid, გვ. 04 და 0, 12)... ესევე ითქმის „ბგერათა გადაჯგუფების თვისებაზე“ (იხ. ი. ყიფშიძე გვ. 09) და „ტრივტონგთა სიმრავლის“ შესახებ (იხ. ალ. ცა—ლი М. Е. გვ. 91, 22). ასე რომ ბ. ბერიძეს არც აქ რასაკვირველია ახალი არაფერი აღმოუჩენია, გარდა მხოლოდ იმის, რომ სხვის მიერ გამორკვეულ თვისებებს თვით ითვისებს და ესეც კიდევ სპეციალ ლინგვისტიურ მეცნიერებაში... „მასალების ხასიათი“-დან (იხ. ibid, გვ. 43) სჩანს რომ მასალების ან ტექსტების ჩაწერაში უმთავრესად ორი ელემენტი ღებულობდა მონაწილეობას; ერთი-თვით ავტორი და მეორე თანამშრომლები (არა სპეციალისტი)...

იბადება პრინციპიალური საკითხი, თუ რამდენად მიზან-შეწონილი ტექსტების ჩაწერის მიენდობა არა სპეციალისტ, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე პროვინციებისათვის, რომელნიც მოკლებულ არიან ფონეტიკურ ტრანსკრიპციის ცოდნის ყოველ-გვარ საშუალებას და რომელთაც არ ძალუძთ მხოლოდ ქართული ალფავიტის ცოდნით გამოსახონ მეგრული ენის დამმახასიათებელნი ბგერანი, როგორიც არიან მაგალითად ღ და ჲ, ჷ, ს, და სხვა... ჩვენ გვგონია, რომ ასეთ შემთხვევაში ტექსტების ჩაწერის მინდობა არა სპეციალისტებისათვის ყოვლად უვარგისი მეთოდია, რომლის მარტივი ჭეშმარიტება მგონი თვით ავტორიც იგრძნობს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მეთოდი და სისტემის გარეშე შეგროვილი მასალა მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ მნიშვნელობას.

თუ კი (მხოლოდ) მიზნად დავისახავთ უმეთოდოთ მასალების შეგროვებას, როგორც ეს ამ შემთხვევაში ჩაუდენია ავტორს, მაშინ არამც თუ ორ, სამ თვეს, ისიც ჯერ კიდევ რუს. აკადემიის, შემდეგ საქართველოს სახელწიფო უნივერსიტეტის სუბსიდიით, არამედ ყოველ-გვარ ასეთ სუბსიდიის გარეშეც სულ მოკლე დროის განმავლობაში შესაძლებელია შეგროვდეს იმდენი „მასალები", რომლის 20 ტომში მოთავსება შეუძლებელი იქნება...

ამგვარად ავტორის-მიერ მეთოდის ან სისტემის უქონლობა მიმართულ სპეციალ საგნისადმი მით უფრო აღსანიშნავი და ხაზ გასმით ღირსია, როდესაც ის (როგორც ჰმას თვით აღიარებს) მუშაობას აწარმოებდა იმ პროგრამის*) მიხედვით, რომელიც სპეციალურად ამისათვის იყო გამოცემული რუს-ქართულად რუს. მეცნიერ. აკადემიის მიერ და რომლის მთავარი დაბულებათა მოთხოვნილებაა:

1) ყველაფერი ისე უნდა იყოს ჩაწერილი, როგორც სინამდვილეშია, როგორც თვით ხალხი ლაპარაკობს, 2) მასალის შეკრებას უნდა ქონდეს დიდი სამეცნიერო ინტერესი... მაგრამ ამის განხორციელება ხომ არ შეიძლება ფონეტიკურ ტრანსკრიპციის ცოდნის გარეშე, რომელიც მხოლოდ სპეციალისტების ხვედრია. მაგალითად, როდესაც პროფ. ცაგარელი და პროფ. ყიფშიძე აგროვებდენ მასალებს, ისინი თვითონ წერდნენ მათ და ცდილობდენ სწორედ გადმოეცათ მომთხრობელის გამოთქმა. გარეშე ამისა მასალებს ეკარგება მეცნიერული მნიშვნელობა. ასეთ

*) Программа для собиранія діалектич. матеріаловъ по груз. языку. Н. Марр. СПБ, 1916 год.

შემთხვევაში არა მგონია რომ საკმარისი ყოფილიყოს ავტორის ერთგვარი ცდა რომ „თვითეულ შემთხვევაში თანაშრომელნი გაგვეცნო. მეთოდისათვის (იხ. ibid, გვ. 7), ვინაიდან ეს „გაგონება“ არც ისე ზღაპარია, რომ ასეთი ცდით თქვენ მათ მეგრული ენის ფონეტიკური თავისებურების წერილობითი გადმოცემა შეგეთვისებინოთ და სწორედ რომ ეს ასეა, ამას მოწმობს მასალების მთელი გვერდები. 151—200).

მაგალითისათვის ავიღოთ ერთი ადგილი, სადაც აუცილებლად ხმოვანი „უ“ მაგიერ უნდა ხმარებულიყო „ჳ“ (მოკლე ხმოვანია) „ერთი ოროფილი (?) მათ ქოპუნსუ (?) თოლნშა ვამითხი ნუანსუ (?) მოჯგირეს, (?) მიღუხენსუ (?) ტერს მიძიცინუანსუ (?) (იხ. ib 54) აი ამიტომ სწორედ მასალების შეგროვების ამ მეთოდზე უნდა მიექცია ავტორს მთავარი ყურადღება, რომლის ჯეროვან დაცვას შეეძლო მოეხდინა ენის ფონეტიკურ სახეობის ერთგვარი კრისტალიზაცია და არ გატარებულიყო მასალების მარტო შინაარსით ან როგოც თვით ამბობს „მეტი ინტერესი მასალების შინაარსზე“ (იხ. ibid, გვ. 43) არ უნდა გადაეტანა, რაც უფრო ესთეტიურ მიზნებს ემსახურება, ვინემ საყურადღებო რამ ლინგვისტიურ გამოკვევას... „მასალების“ განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ორ მხარეს ა) შეგროვილ მასალების ღირებულებას და ბ) მასალებში დაცულ მართლწერის სახეს (რასაკვირველია ავტორის მხრივ) და მის მნიშვნელობას ლინგვისტიურ გამოკვლევისათვის...

თუ „მასალების“ დანიშნულება მდგომარეობს უფრო ივერულ (როგორც ძველი მეგრულის) ენის გამოკვევის ხელის შეწყობაში, როგორც ამას თვით ავტორი ფიქრობს, მაშინ „მასალებს“ უფრო მეტი უნდა მოვსთხოვოთ და ის არ უნდა იყოს უბრალო კრებული ლექსებისა, ვინაიდან დანიშნულება მისი მეცნიერულია და არა გასართობი-რამ საკითხავი საბავშო შკოლებისათვის..

სავალალოდ უნდა აღინიშნოს, რომ შეგროვილი „მასალები“ არა თუ ივერული ხასიათისაა, არამედ მას თანამედროვე მეგრული სახეც დაკარგული აქვს! ლექსებში მკითხველი იპოვნის გაცილებით მეტს ქართულ ან რუსულ მდინარების დანასკვს, ვიდრე მეგრულისას და მიზეზი ამისა ჩვენის აზრით ის გახლავთ, რომ ყოველგვარი მოწოდებული მასალა ვის მიერ არ ყოფილიყო ის, ავტორს სიამოვნებით მოუთავსებია წიგნში.:.

ჩვენის აზრით ამ ნიადაგზე დანიშნულების გაწევა ძალუძს მხოლოდ

იმ მასალას, რომელიც ჩაწერილია ისეთ პიროვნებისაგან, რომელსაც ეტყობა ნაკლები გავლენა ქართულის ან რუსულისა და საგრძნობ შეუხებლად შენახული აქვს თავისი ნამდვილი სახე; მასთან ერთად ავტორს მთავარი ყურადღება უნდა მიექცია სახალხო ლირიკა და ეპოსსე, როგორც ხალხურ ენის ფიზიონომიის ნამდვილ შემცველ ლირებულებაზე და სწორედ ეს უკანასკნელი გაეხადა დასაყრდნობ საფუძვლად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ალ. ცაგარლის და ი. ყიფშიძის ნაშრომებში.

„მასალების“ შინა ბუნების ეს დეფექტი შეადგენს ავტორის არსებით სინაკლულეს (ამ მხრივ გაცილებით მაღლა დგას ცაგარელ-ყიფშიძის ნაშრომნი).

ხოლო რაც შეეხება მართლწერის სისწორის მხარეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თვით ავტორი სწერს მეგრულ ტექსტებს, ის ჩადის ისეთ კარდინალურ ხასიათის შეცდომებს, რომელიც დღეს არ ეპატიება უბრალო მკვლევარსაც. დასადასტურებლად ამისა საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ დაშობილი მართლწერის მთავარი სინაკლულენი: ა) პატ. ავტორი, კავშირი „ნი“ ს, (რაც ქართულად ნიშნავს როდესაც, რომ რათა, თუ კი) სიტყვის ბოლოში ვერ სწერს ცალკე და თვით კავშირი „ნი“ ც ასეთ მართლწერის ძალით არც კი არსებობს ; კავშირი „ნ“ ს ხმარება კი წინადადების ბოლოში შეადგენს მეგრული ენის ერთს მთავარ თვისებათაგანს (იხ. I. Кипшидзе, ibid გვ. XXII)

ბ) ავტორი ვერ არჩევს 1) დო, ნ—დო (შემაერთებითი ან უარყოფითი კავშირია) და 2) და-ს, (პირობითი კავშირია) როგორც კავშირებს და სიტყვის ბოლოში მას ცალკე არ ყოფენ.

„მასალების“ ზოგიერთ სიტყვების განმარტებიდან სჩანს, რომ ავტორმა ძალიან სუსტად იცის მეგრული ენა და ზოგიერთ სიტყვათა ახსნა გადმოთარგმნა განცვიფრებას იწვევს. მაგალითად ავტორმა არ იცის, თუ რა შინაარსისაა 1) სიტყვა „სახათი“ და მას აწერს „ხასიათის“ მნიშვნელობას, (იხ. ibid გვ. 63) როცა ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ძალის, ენერგიის აღმნიშვნელია, (სახათი II ჭყანა=ძალა) 2) ავტორს არა აქვს წარმოდგენა სიტყვა „კილო“ზე; გამოითქმის არა „კილო“, არამედ „ყილო“, რაც ნიშნავს ტანად დიდს, გმირს, великан-ს და არამც და არამც „ალმას“, როგორც ავტორს ჰგონია (იხ. ibid, გვ. 91) 3) სიტყვა „გორსაპილი“ (ჯაბით ვორ. გორსაპილი) ავტორს უთარგმნია „აღვსილად“, (ეფშა) რაც სინამდვილეს მოკლებულია (იხ. ibid, გვ 61,

ამ სიტყვის გათარგმნა უცხო ენაზე თავისი ნამდვილ მნიშვნელობით არ შეიძლება; დაახლოვებით კი „ჯაბით გორსაპილი“ (მეგრულად II გომირ-სინაფილი) უნდა ვთარგმნოთ ჯავრით გასანთლულ, ჯავრით განიავებულ—ყოველ შემთხვევაში „გორსაპილი“ და „ალსავსე“-ს ერთი მეორესთან არავითარი ერთობლივი მნიშვნელობა არ აქვთ. ვით მაგ. მეგრულ სიტყვა „ეფშა“-ს (აღვსილი) არა აქვს არავითარი საერთო—რამ ქართულ სიტყვა „განგმირულ“ „განწირულ“ თან!... გარდა ზემოაღნიშნულ დეფექტების წიგნში გასწორების შემდეგაც აუარებელი შეცდომებია, რაც პირდაპირ ამახინჯებს მასალას და აზრს უკარგავს მას.

ასეთია მოკლედ ავტორის „შესავალი“ და „მასალების“ ნამდვილი სახე, მათი შინა ბუნება; ვერც პირველი და ვერც მეორე ვერ დგანან თავის სიმაღლეზე; მასში თქვენ არამც თუ იპოვით რასმე ახალ აზრს ჩვენ ფილოლოგიისათვის, პირიქით ეს „შრომა“ უკვე გამორკვეულ-დაკანონებულ დებულებათა ერთგვარ გადამახინჯების ცდაა და ამ მხრივ მას მცირეოდენ დადებით მხარეებს გაცილებით უარყოფითი სჭარბობენ.

მ. სენაკელი.

ქართული სკოლის ერთგული გუშაგის—ლუარსაბ ბოცვაძის ხსოვნას.

უკვე ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენმა ნორჩმა ეროვნულმა სკოლამ სამუდამოთ დაჰკარგა ძვირფასი მოჭირნახულე და მოამაგე დარაჯი ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე.

ლუარსაბი დიაღაც-რომ არ ეკუთვნის იმ პირთა რიცხვს, რომელთაც ჩვენ სიკვდილს შემდეგ მოვიგონებთ უბრალო მეგობრული მოვალეობის მოსახდელად. არა, ლუარსაბი არის ისეთი დიდი და საგრძნობი დანაკარგი ჩვენი ახლად ფეხადგმულ ეროვნულ სკოლისათვის, ისევე ძვირფასი და აუნაზღაურებელი, როგორც ძუძუთა ბალღისათვის მეძუძური დედა, რომელიც დაიღუპა სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო საჭირო იყო მისი დიდი ხნის მოღვაწეობა - დაკვირვებით გამობრძმედილი გამოცდილება, და ამიტომ არ შეგვიძლია მწვავე გულის ტკენითა და წრფელი სინანულით არ გავიხსენოთ იგი.

რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობის უკულმართი პოლიტიკა, მა-

თი ტენდენცია—ქართულ ერში ეროვნული სულის ამოხრჩობისა და სრულად გადაგვარების წადილი,—მთელი 140 წელი ჩვენში რუსების ბატონობის განმავლობაში, არასოდეს ყოფილა ისე აშკარა, შოურიდებელი; ისე ტლანქ ფორმებში, მედგარ იერიშებში გამოსახული, როგორც გასული 15 წლის განმავლობაში—შავი რეაქციის დროს და ეს იერიშები უმთავრესად მიმართული იყო ერის სულის მასაზრდოებელ კულტურულ წყაროსკენ—სკოლისაკენ, როდესაც ვიღაც ხეპრე და გარეწარი კუსტინოვიჩები ჩვენი ერის წმიდათა-წმიდას—დედა ენას უდიერად ბღალვდენ, ფეხ-ქვეშ სთელავდენ და „ძაღლების ენას“ უწოდებდენ. მეორეს მხრით კი მაჟნიკოვ—ვიშნევსკ—გასპარიანცი—კირეევები: კიდევ ერთხელ შეეცადნენ სკოლის გამათახსირებელი ლევიტსკის მედოდის მკვდრეთით აღდგენას და ამ მიზნით ჩვენს მიყრუებულ პროვინციებში, სადაც ხალხმა არც ერთი სიტყვა რუსული არ იცის, გზავნიდნენ რუს მასწავლებლებს, რომელთაც არც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდნენ და ავალებდნენ უეჭველად პირველი განყოფილება (საანბანო) აეყვანათ მათ...

ნათქვამია,—ხე სჩიოდა: „მე ნაჯახი ვერას დამაკლებდა, რომ ჩემივე მოძმე მასში ტარად არ ეჩხირებოდესო“.

და რუსის მთავრობამაც ბევრი ჰპოვა ჩვენში ულირსი ქართველი, სამშობლოს მოღალატე მამულიშვილი, რომელნიც „ტარობას“-კი-არა ნამდვილ მარჯვენა-ხელობას უწევდნენ სამშობლოს მტერს და ასე მიექანებოდა ჩვენი ეროვნული სკოლა და მთელი ერი სულიერად დამახინჯების და სრულიად გადაგვარების დაღმართზე...

და აი, სწორედ ამ საერთო ეროვნული დაკნინებისა და დაძაბუნების კრიტიკულ ხანაში შეამზადა და ასაზრდოვა ლუარსაბმა, დაღუპვა გაქარწყლებას გადაარჩინა და დღემდე მოიტანა ის საფუძველი, ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს და აღორძინდეს თანამედროვე და მომავალი წმინდა ქართული ეროვნული სკოლა. და იმ დროს, როდესაც ჩვენს ყოველმხრივად დაავადებულ ცხოვრებას საშინელი წყვდიადი და საღათას ძილი დაუფლებოდა. „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი; შშობელი შობილს არრას ეტყოდა“, ლუარსაბი სრული ათი წლის განმავლობაში თავის ჟურნ.: „განათლებით“ წინამორბედივით რეკავდა მოწოდების ზარს და მოიხმობდა ჩვენი ქვეყნის მარილთ-მასწავლებლობას გასალვიძებლად. და ხელიდან ჰგლეჯდა მაცდურ მტრის-მიერ მოწოდებულს ეროვნული სულის

მომშხამველ ბანგითა და საწამლავით სავსე თასს და მის ნაცვლად სამკურნალო მასალას აწვდიდა.

ლუარსაბის მუშაობა, მთელი მისი ცდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართველი სახალხო მასწავლებელი გაეთვითცნობიერებია, გაეცნო მოყვრულად შემოპარული მტერი და ჩვენთვის დამღუპველი შედეგები მათი უკულმართი მოღვაწეობისა, რათა ჩვენი გულუბრყვილო მასწავლებლობა არ გამხდარიყო ამ მტრის ხელში ბრმა იარაღათ... იგი ისე, როგორც ხელოვანი სარდალი თავისი გაბედული და მედგარი ყიჟინით ამხნევებდა ამ მასწავლებლობას მტერთან ბრძოლაში...

მახსოვს ერთხელ მან ჟურნ. „განათლების“ ძველი წლების №№ ათასი კომპლექტი გამომიგზავნა და მწერდა: „ვინაიდან ეს №№ ძლიერ ცოტა ვრცელდებოდა რაჭაში, შეეცადე ეხლა მაინც გაავრცელო მანდაურ მასწავლებლებში. თუმცა ძველია, მაგრამ შიგ ბევრი რამ ახალი იქნება მკითხველისათვის. თვითო № გაჰყიდე სამ, ან ორ შაურად. ეს არა იმიტომ, რომ ამით ავინაზღაურო ამ ჟურნალზე მიღებული ზარალი, არამედ იმისთვის, რომ მყიდველები უფრო ყურადღებით მოეპყრან. ხომ იცი, „რა რომ ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირად“. ხოლო ვინც ძლიერ ხელმოკლეთ მიგაჩნია, რომელთაც წაკითხვის სურვილი აქვთ, მაგრამ ნივთიერი სახსარი არ მოეპოვებათ, ისეთებს სულ უფასოდ დაურიგე, დეე გასაგზავნ ფულსაც მე დავადებ, ოღონდ თითო ოროლა წერილი წაიკითხონ შიგ ჩვენმა მასწავლებლებმა“-ო.

აი, რა მაღალი სტიმული, რა წმინდა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მიზნრაფება ამოქმედებდა მას, და რა რიგ მსხვერპლად მიჰქონდა თვისი პირადი ინტერესები და კეთილ-დღეობა საქვეყნო საქმისათვის.

ყოველივე ამ ღირსებასთან მას ახლდა ერთი ფრიად ძვირფასი თვისება. იგი იშვიათი ენერგიის, დაუღალავი შრომის უნარის მქონე იყო. და აი, სწორედ ამით შესძლო მან მეტად თვალსაჩინო წვლილი მიეტანა ჩვენი სკოლისათვის ყოველის მხრით.

ლუარსაბი ეკუთვნის იმ იშვიათ რჩეულთ, რომელთაც ძუნწმა ცხოვრებამ და ბედმა ძლიერ ცოტა მისცა, მაგრამ მათ-კი მეტად ბევრი რამ მისცეს ცხოვრებას, ხალხს, სამშობლოს.

რა თქმა უნდა მეტად გულსაწვავია ასეთი პიროვნების უდროოდ დაკარგვა. მაგრამ განსაკუთრებით სამწუხაროა ლუარსაბის ჯერ კიდევ მოწიფული და ჯან-ღონით სავსე სიცოცხლის მოსპობა, რადგან ეს მოხდა

მაშინ, როდესაც მისი დიდი ხნის ნატვრა აღსრულდა, ჩვენი ცხოვრება გაიწმინდა მავნე გარეშე ელემენტებიდან და დღეს მას სრულად თავისუფლად და ლაღად შეეძლო გაეშალა ფრთები, უფრო უხვად ეთესა ის ძვირფასი თესლი ჩვენი ერის კულტურული აღორძინებისათვის. და მით უფრო საშინელი იყო ლუარსაბის დაკარგვა, რომ იგი ვერ მოესწრო თვითონვე ეხილა ნაყოფი თავისი შრომისა და მოღვაწეობისა... ღიან, შენ ვერ იხილე მეგობარო, ლუარსაბ, იგი, მაგრამ ქართველ მასწავლებელთა გულში შენი შრომის-მოღვაწეობის ნაყოფი და წმინდა სახელი უკვდავი იქნება სამარადისოდ.

ილ. გოგია.

მოწერილი ამბები.

სახალხო განათლების საქმე გორის მაზრაში.

გორის სამაზრო ერობის განათლების განყოფილება სკოლების ჩაბარებას შეუდგა 1919 წლის მარტიდან. იმ დროს ქალალდზე ითვლებოდა 106 სასწავლებელი 162 მასწავლებელით. ნამდვილად კი ბევრი სკოლაა მაგ. ციხისჯვრის, ბაკურიანის, ბეკამის, გუჯარეთის, გომის, ვაყის, ალის, ფცის, ატოცის, ქვენატკოცის, ზემოხვედურეთის, საქაშეთის, სკრის, ატენის, ერთაწმინდის, სამთავისის, ლამისყანის, წრომის, ტირძნისის,—არ არსებობდა. მასწავლებლებს დაუტოვებიათ სკოლები და სხვა სამსახური მოუნახავთ. დანარჩენ სკოლებში მასწავლებლები იფვლებოდნენ, მაგრამ სწავლა იანვრიდან მარტამდე არ სწარმოებდა, რადგან რამოდენიმე თვის განმავლობაში ჯამაგირის მიუღებლობის გამო მასწავლებლებს მეცადინეობა შეეწყვიტათ. სამაზრო ერობის დახმარებით მასწავლებლები დაკმაყოფილებულ იქმნენ ხვედრი ჯამაგირით და სწავლას შეუდგნენ აპრილის პირველ რიცხვებიდან.

რომ სკოლების ჩაბარება დაჩქარებით მომხდარიყო, სამაზრო ერობამ დაარსა ოთხი მიმღები კომისია. კომისიამ ზაფხულამდე მოასწრო ყველა სკოლების ჩაბარება, გარდა მთა-ოსეთისა. (მთა-ოსეთში სხვა და სხვა მიზეზების გამო სკოლები ჩავიბარეთ მხოლოდ სექტემბერში).

სკოლების ჩაბარების დროს რევიზიამ გამოარკვია, რომ თითქმის არც ერთ სკოლას ერა აქვს საკუთარი შესაფერისი შენობა, 106 სკოლაში საკუთარი შენობა აქვს მხოლოდ 30 სკოლას. ამ შენობებიდან მხოლოდ 3 შენობა აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებას, დანარჩენი 27 შენობა კი თხოულობს კაპიტალურ რემონტს.

76 სკოლა მოთავსებული იყო დაქირავებულ შენობაში. რომ ქართლში სკოლისათვის გამოსადეგი კერძო ბინა არ მოიპოვება, ეს აშკარაა ყველასათვის. ასეთი სკოლების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ოთახები პატარეები, სინათლე არ ჰყოფნით, და უმეტეს შემთხვევაში ნოტიო. იყო შემთხვევა, რომ სკოლა თავლაში მოეთავსებინათ.

სკოლებს არ მოეპოვებათ არავითარი ხელმძღვანელო, არ ჰქონდათ საკმარისი გამოსადეგი ავეჯეულობა, სამკითხველო სკოლებთან ან სრულიად არ იყო, და თუ იყო, მარტო რუსული წიგნებით.

რა თქმა უნდა, სამაზრო ერობა მუდამ ცდილობს საქმის გამოსწორებას, ყოველ ნაკლის მოშორებას სკოლის ცხოვრებიდან. მხოლოდ ჩვენი სიღარიბე, უსაღსრობა აბრკოლებს მიზნის მიღწევას. სამაზრო ერობას არ ჰქონდა საშუალება თვით გაეკეთებინა რემონტი სკოლების შენობებისთვის და იძულებული იყო დაევალებინა რემონტის გაკეთება ადგილობრივ თემის გამგეობისთვის. სამაზრო ერობა მარტო ტეხნიკურ ძალებით ხელმძღვანელობას უწევდა. თემებმაც, უსაღსრობისა და მოუწყობლობის გამო, ვერ შესძლეს დანაკისრის სისრულეში მოყვანა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა სკოლა შეუკეთებელი: ძლიერ ცოტა რამ გაკეთდა აქნობამდე.

ყველაზე უფრო სამძიმო შეიქმნა მინების შოვნა. კერძო ბაზარზე მინები ძალიან ძვირი იყო: კვად. გოჯი ფასობდა ორ მანეთამდე და მომარაგების კომიტეტისაგან ვერაფერი გზით ვერ გამოვიტანეთ. ჩვენი მიმართვა განათლების სამინისტროში, თვით მომარაგების კომიტეტში, დამფუძნებელი კრების სასკოლო კომისიაშიც დარჩა დაუკმაყოფილებელი, მიუხედავად იმისა, რომ მინები იყო და არის ეხლაც მომარაგების კომიტეტში.

ზაფხულის თვეებში განათლების განყოფილების მთელ ენერგია მოუნდა ძველი 106 სკოლების და ახალი 47 სკოლებისათვის საჭირო ავეჯეულობის დამზადებას და ცოტათ თუ ბევრათ შესაფერისი შენობების გამონახვას სკოლებისათვის. საჭირო იყო 1000 პარტა, 60 დაფა, მაგი-

და, სკამები და სხვა. შეძენილ იქმნა სასულიერო სასწავლებლის პარტები, დაფები და შვედური სისტემის საანგარიშოები. ამის გარდა მივეცით თემებს ხის მასალა პარტების და სხვა ავეჯეულობის გასაკეთებლად ადგილობრივ და ფულითაც დავეხმარეთ. სულ სკოლების ავეჯეულობის შესაძენათ, თუ გასაკეთებლათ, სამაზრო ერობამ დახარჯა ფულად 200.000 მანეთი და მასალა მისცა თემებს ავეჯეულობის გასაკეთებლად 800.000 მან. სექტემბრისთვის თითქმის ყველა სკოლა უზრუნველ-ყოფილი იყო აუცილებელი ავეჯეულობით.

გორის სამაზრო ერობის შემოღების პირველ დღეებიდანვე გამოირკვა, რომ გორის მაზრაში არ მოიპოვება საკმარისი რიცხვი მომზადებულ მასწავლებლებისა სახალხო სკოლისათვის. ამ გარემოებამ აიძულა სამაზრო ერობა გაეხსნა გორის სამასწავლებლო სემინარიასთან, ამავე სემინარიის დირექტორის კ. ალველაძის ხელმძღვანელობით და მასწავლებლების დახმარებით სახალხო მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მიღებულ იქმნა 40 ახალგაზრდა, 4 კლასიან (პროგიმნაზიული) განათლებით. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებდა იანვრიდან თიბათვემდე. კურსებზე დაიხარჯა 18.000 მან. ამას გარდა ტფილისში საზაფხულო კურსებზე გაიგზავნა 22 კაცი. სამაზრო ერობამ აღმოუჩინა ფულით დახმარება თითოს 200 მან., სულ 4400 მან. ამ რიგად 1 სექტემბრისთვის გორის მაზრის სკოლები, რიცხვით 153, უზრუნველ იქმნა მასწავლებლებით. ყველა სკოლებში, გარდა ერთი ოსურისა, რომელშიც დღესაც არ არის მეცადინეობა უმასწავლებლობის გამო, თავის დროზე დაიწყო მეცადინეობა და ამ მხრივ ვფიქრობდით, რომ საქმე მოგვარებული იყო, მაგრამ ნოემბერში მთავრობამ ჯარში გაიწვია ახალგაზრდა მასწავლებლებიც და ჩვენს სკოლებს მოაკლდა 28 ახალგაზრდა მეცადინი მასწავლებელი. ჩვენ მაშინვე მივმართეთ განათლების სამინისტროს, დამფუძნებელი კრების სასკოლო კომისიას და მთავრობის თავმჯდომარესაც შუამდგომლობით, რომ რადგან გორის მაზრის სკოლები იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში, მასწავლებლები არ გაეწვიათ და ვალდებულად გაეხადათ ემსახურათ სოფლის მასწავლებლად არა ნაკლებ ხუთი წლისა, მაგრამ პასუხი დამაკმაყოფილებელი ჯერ არ მიგვიღია. რომ სკოლებში სწავლა არ შეფერხებულიყო, მოგვიხდა ისევ კანდიდატების ძებნა და მაინც თითქმის ყველა სკოლებში აღვადგინეთ მეცადინეობა. დღეს თითქმის ყველგან გვყავს მასწავლებლები და სწარმოებს მეცადინეობა.

153 სასწავლებელში მსახურობენ 240 მასწავლებელი, ამათში სემინარიელი 10, საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულები (გიმნაზია, ეპარქიული სასწავლებელი, სასულიერო სემინარია) 75 მასწავლ. მასწავლებლობის ცენზით 151 და უცენზო 4 მასწავლ.

ამ რიგად, როგორც ხედავთ, მასწავლებლების უმრავლესობა არ არის საკმაოდ მომზადებული და ამ გარემოებამ აიძულა სამაზრო ერობის გამგეობა ხელმძღვანელად მოეწვია სამი ინსტრუქტორი (ორი ქართველი და ერთიც ოსი). მათ მოვალეობას შეადგენს ხშირად ინახულონ სკოლები და უხელმძღვანელონ მასწავლებლებს. სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე ყველა სკოლები დათვალიერებული აქვთ ინსტრუქტორეს, ზოგი სკოლები ორჯერაც, მათ გარდა სკოლებს ათვალიერებს შეძლების დაგვარად თვითონ სამაზრო ერობის განათლების განყოფილების გამგე—წევრი. შემოდგომაზე მან ინახულა და დაესწრო გაკვეთილებზე მეჯვრისხევის, ხელთუბნის, ტყვიავის, ქვემო ჭალის, ახალ-ქალაქის, კავთისხევის რაიონის სკოლებში და ნაწილობრივ ცხინვალის, რუისის, შინდისის და ქარელის რაიონის სკოლებში.

რევიზიამ გამოარკვია შემდეგი: კარგად არის დაყენებული სწავლის საქმე 16 სკოლაში (ახალ-ქალაქის, კავთისხევის, წინარეხის, კასპის, ქვემო-ჭალის, მეჯვრისხევის, ცხინვალის, ალის, ჭობისხევის, ბაკურიანის, ტეზერის, იტრიას, ოსიაურის, ხცისის, დისევის, ფლევის). საშუალოდ 198 სკოლაში და სუსტად—26 სკოლაში. 153 სასწავლებელში 1 ოქტომბერს სწავლობდა—8460 მოწაფე (ვაჟები — , ქალები —). 25 დეკემბრიდან სკოლაში ითვლებოდა—8465 მოწაფე (ვაჟები — , ქალები —).

განათლების განყოფილებამ გახსნა ახალ-ქალაქში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და მიიღო თავის ხარჯზე ცხინვალის ასეთივე სასწავლებელი. პირველში სწავლობს 20 მოწაფე (პირველი კლასია), მეორეში კი 90 მოწაფე. მასწავლებელთა შემადგენლობა: უმაღლესი განათლებით არიან 2 მასწავლებელი, საშუალოთი 5 მასწავლებელი.

ამას გარდა მთა ოსეთში არსებობს ხაზინის ხარჯით უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

სამაზრო ერობამ მიაქცია ყურადღება აგრეთვე დიდებისათვისაც წერა-კითხვის შესასწავლად საღამოს სკოლის დაარსებას. მიცემული აქვთ წინადადება ყველა მასწავლებლებს გახსნან სკოლაში მოზრდილებთან მე-

ცადინეობა. უკვე 20 სკოლაში სწარმოებს დიდებთან მეცადინეობა; მსმენელთა რიცხვი უდრის—685 კაცს.

ერობამ გორში გახსნა წიგნების საწყობი, საიდანაც შელავათიან ფასებში აწვდის სკოლებს წიგნებს, რვეულებს და სხ. საჭირო საგნებს...

სოფლის სკოლებში და, საზოგადოდ. სოფლებში სწავლა-განათლების ასე თუ ისე დაყენება, იმისი ავი თუ კარგი, იმისი ბედი და იღბალი, იმისი გავრცელება ხალხში არის დამყარებული ორ ელემენტზე: სასწავლებელზე და მასწავლებელზე. თუ ეს ორი ელემენტი კარგათ ერიან ერთიერთმანეთთან შეთანხმებულები, თუ ან ერთს, ან მეორეს ნაკლულევანება არა აქვთ რა და ერთმანეთს ხელს არ უცარავენ, მაშინ, უეჭველია, სწავლაც კარგ გზაზე დადგება.

დღეს შემდეგი ნაკლი აქვს სკოლებს:

1) მომეტებულ სკოლებში ისეთი სივიწროვეა, რომ მასწავლებელს არც კი აქვს ადგილი რომ კლასში მიმობრუნდეს,

2) ზოგ სკოლებში ავეჯეულობა არ ჰყოფნით.

3) ზოგ სკოლაში ერთ საკლასო ოთახში ორი, სამი განყოფილებაა მოთავსებული და ერთი მასწავლებელი მეცადინეობს.

4) ზოგ სკოლაში აქამდის ფანჯრებში მინები არ არის ჩასმული და ამიტომ კლასებში აუტანელი სიცივეა.

5) ზოგ სასწავლებელში არა აქვთ შეშა არც კლასის და არც მასწავლებელის ბინის გასათბობად.

6) უმეტეს სკოლებში სრულებით არ არის სახელმძღვანელოები და სამკითხველოები.

7) სკოლები სრულიად მოკლებულია ჟურნალ-გაზეთებს.

8) სკოლების აუცილებელ ხარჯების დასაფარავად გამგის განკარგულებაში სულ უმნიშვნელო თანხაა გადადებული (100 მანეთი წელიწადში).

9) თითქმის არც ერთი მასწავლებელის ბინა არ არის ცოტათ თუ ბევრათ ვარგისი, არ აქვს არავითარი ავეჯეულობა და იტანჯებიან სიცივითაც.

10) სურსათის მხრივ უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან მასწავლებლები.

11) ბევრი მასწავლებელთაგანი არ არის საკმარისად მომზადებული.

12). ზოგი ადგილობრივი თემები არ აქცევენ ყურადღებას სკოლის

საჭიროებას, უდიერად ეპყრობიან მასწავლებლებს და ცდილობენ რამენაირად თვით დაიმორჩილონ ისინი.

შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა:

1). სკოლა უნდა იყოს ფართო, კლასის ოთახები—ნათელი და თბილი.

2) სკოლა და მასწავლებელიც უნდა იქმნას ავეჯეულობით უზრუნველ-ყოფილი.

3) საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ ერთ მასწავლებლს ერთი განყოფილების მეტზე არ უხდებოდეს მეცადინეობა,

4) ყველა სკოლაში აუცილებლივ უნდა დაარსდეს წიგნთსაცავ-სამკითხველო, როგორც მოწაფეებისა ვის, ისე მასწავლებლისათვის, იწერებოდეს გაზეთი და ჟურნალები.

5) სკოლებისათვის უნდა იყვეს შეძენილი ყოველივე სახელმძღვანელოები.

6) მასწავლებელი მატერიალურათ უნდა იყვეს უზრუნველ-ყოფილი. სურსათის შეძენა უნდა გაუადვილდეს მასწავლებელს.

7) სკოლის ხარჯების დასაფარავად გამგის განკარგულებაში უნდა გადაიდოს საჭირო თანხა ან ეძლეოდეს საჭირო ნივთები ერობიდან.

8) მასწავლებლებისა და თემთა გამგეობის შორის სუფევდეს თანხმობა. საჭირო არის სამაზრო ერობამ ყოველივე ზრუნველობა სკოლაზე იკისროს თვითონ, რომ არ სჭირდებოდეს მასწავლებელს თემთან მიმართვა სკოლის საჭიროებისთვის.

ჩვენი ცხოვრების სოციალური ფორმა შეიცვალა. შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალები და მისწრაფებანი.

ამ შეცვლილ ცხოვრების ფორმას უნდა შეეფერებოდეს სკოლაც. იქ, სადაც მ-ხერხდა ეს სასურველი შეთანხმება სკოლისა და ცხოვრებისა, იქ ყოველისფერი მშვენიერია, ყ ოველისფერი გვხიბლავს მოყვანილობითი მომართულობით და ძლიერებით. ნეტარია ის ხალხი, რომლის შინაგანი ცხოვრების მანქანა ასე ბრძნულად არის მოწყობილი. ამ ხალხს ჰყავს მოსაქმე, პატიოსანი, თავის მოვალეობის პირნათლად აღმასრულებელი მუშაკები. თვითოეული ამ მუშაკთაგანი თავის საქმის ოსტატია. ამისთანა ხალხში ვერა ნახავთ ახალგაზდობას, რომელმაც არ იცოდეს სად და როგორ გამოიყენოს თავისი ცოდნა; ვერა ნახავთ ახალგაზდობას უნიადაგოს და იმედ-სურვილებ დაკარგულს.

შეეფერება თუ არა ჩვენი სკოლა ამ განახლებულ ცხოვრებას? ყველამ ვიცით—არა. ჩვენ უნდა გადავქმნათ სკოლა, რომ იგი შეეფერებოდეს ჩვენს ახალს ცხოვრებას.

ეს იქნება დიდი მუშაობა. დიდი მუშაობისათვის კი საჭირონი არიან მცოდნე მუშაკნი—სოფლის სკოლის მასწავლებლები.

მერე გვყავს ჩვენ ასეთი მომზადებული მასწავლებლები?— ძალიან ცოტა. საქმე დიდი გვიძევს წინ და მუშაკები კი ძლიერ ნაკლები გვყავს. გვესაჭიროება სკოლის საქმის მცოდნე მასწავლებლები და რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვამზადოთ ასეთი მუშაკები.

სხვა ზომებთა შორის საჭიროთ მიაჩნია გამგეობას კურსების გამართვა მასწავლებლებისათვის ამ ზაფხულს გორში, და გამართავს კიდეც, თუ ყრილობა ამ საქმისათვის საჭირო თანხას გადასდებს.

თუ სამაზრო ყრილობა ხელს შეგვიწყობს წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებით და თავისი ავტორიტეტული სიტყვით, განათლების განყოფილება ეცდება განახორციელოს ის პრინციპები, რომლებიც გამეფებულია ევროპის და ამერიკის სკოლებში. ეს პრინციპებია ა) განათლება საყოველთაო, ბ) სავალდებულო და უფასო და გ) საერო.

ამ პრინციპებიდან გამომდინარეობს და მათზე ემყარება მოქმედების გეგმაც.

ა) პირველ პრინციპის თანახმად განათლების განყოფილება ეცდება რაც შეიძლება ჩქარა შეიტანოს სოფლებში საყოველთაო განათლება. ამ მიზნის განხორციელება დამოკიდებული იქნება ცენტრალურ მთავრობისაგან და სამაზრო ერობისაგან. თუ ცენტრალური მთავრობა ახალ სკოლების მასწავლებლებისათვის პირველ მოთხოვნაზედვე გაგვიხსნის კრედიტს და თუ სამაზრო ერობა სასკოლო ხარჯებს არ დაერიდება,—განათლების განყოფილება დარწმუნებულია, ჩქარა მოიყვანს სისრულეში საყოველთაო განათლების სასკოლო ბადეს. დიდ ხარჯს გამოიწვევს სკოლების შენობების მოწყობა, რომელიც დავალებული აქვთ ადგილობრივ ერთეულებს. ხოლო განათლების განყოფილებას ეს წესი ნაყოფიერად არ მიაჩნია. უკეთესად წავა საქმე, როდესაც სამაზრო ერობა შემოიღებს საერთო გადასახადებს და ამ შემოსავლიდან გადასდებს თანხებს სკოლების მოსაწყობად.

პატარა სოფლებისათვის, რომლებიც მთა-ღრეებში არიან გაფანტულნი, შემოღებულ იქნება მოძრავი სკოლები.

ბ) მეორე პრინციპის მიხედვით (სწავლა სავალდებულო, უფასო) განყოფილება ეცდება, რომ სასკოლო ასაკის ბავშვები სწავლის დროს სკოლის გარეშე არა რჩებოდნენ, რომ დედ-მამა, ან მზრუნველნი ამ ბავშვებს არ აცდენდენ სწავლის შინაური საქმეების გამო.

ამ მიზნის განსახორციელებლად განათლების განყოფილება ეცდება ისე მოაწყოს სწავლა, რომ მისი სარგებლობა სოფლელებმა ცხადლივ დაინახონ. გარდა ამისა, განათლების განყოფილება დაიხმარებს ამ შემთხვევაში ადგილობრივ ერთეულებსაც; ამ ერთეულების მოვალეობა იქნება თვალ-ყურის დევნება, რომ სოფლებში სასკოლო ასაკის ბავშვები ცხვრებს და ძროხებს არ დასდევდნენ და სხვა სამეურნეო შრომას არ ეწეოდნენ იმ დროს, როდესაც სკოლაში სწავლაა.

რაც შეეხება უფასო სწავლებას, ჯერ-ჯერობით ამ პრინციპის სავსებით განხორციელება შეუძლებელია. თვით მოწაფეებმა უნდა შეიძინონ წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები.

გ) მესამე პრინციპის მიხედვით (სწავლა საერო) სკოლებში არ ისწავლება საღმთო-სჯული, ისწავლებიან მხოლოდ მეცნიერების სხვა და სხვა დარგები იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებული იქნება მთავრობისაგან.

დიდ ყურადღებას მიაქცევს განათლების განყოფილება აგრეთვე სკოლის გარეშე სწავლა-განათლების საქმეს: ა) დააარსებს ბიბლიოთეკებს და სამკითხველოებს; ბ) მოაწყობს მოზრდილთათვის საკვირაო და საღამოებით კურსებს; გ) მოაწყობს სახალხო ლექციებს.

როგორც ცალკე მნიშვნელოვან საგანს, მოვიხსენიებთ აქვე განყოფილების განზრახვას—დაარსდეს ცენტრალური საპედაგოგიო მუზეუმი ქალ. გორში.

განათლების განყოფილება ფიქრობს გახსნას ამა წლის 1 სექტემბრიდან კიდევ 54 ახალი სკოლა და ექვსი უმაღლესი პირველ დაწყებითი (მეჯვრისხევში, ქარელში, ქვემო-ჭალაში, გომში, კავთისხევში და რუისში.)

უახლოეს დროში უნდა გაიხსნას ყველა თემებში თითო მაინც სამკითხველო. ეხლავე უნდა დაიწყოს საკვირაო და საღამოს სკოლების გამრავლება, სკოლების შენობების აგება-შეკეთება და განსაკუთრებული ზომების გატარება პროფესიონალურ ცოდნის გასავრცელებლად.

იანვრიდან მაისის დამლევამდე სახალხო განათლების საჭიროებაზე დასახარჯათ ნავარაუდევია—7.538.312 მან. 75 კ.

მუხ. I. სკოლების შენახვა.	მან.	კ.	
1) ხაზინიდან. . . .			ა) ხაზინა აძლევს თითო მასწავლებელს 600 მან. თვეში. სულ მაზრაში მსახურობს 240 მასწავლებ., სკოლის რიცხვი 153. ერობა აძლევს თითო მასწავლებელს თვეში 400 მანეთს
ა) მასწავლებლების ჯამაგირი.	2.976.000	—	
2) ერობის კასიდან.	480.000	—	
ბ) სათადარიგო მასწავლებელი სამი (თითოს თვეში 2800 მ.)	42.000	—	ბ) სათადარ. მასწავლებელი ორი ქართველია და ერთი ოსი. თითო ღებულობს ერობის კასიდან 2800 მან.
გ) მასწავლებლების ბინის განათება	50.000	—	გ) თითო მასწავლებ. ეძლევა თვეში 10 გირვანქა ნავთი.
დ) სკოლის მოსამსახურეთა ჯამაგირი	306.000	—	დ) მსახურს თვეში 400 მან. სულ საჭირო არის 153 მსახური.
ე) ხუთ-წლიანი დამატება ხაზინიდან	120.000	—	ე) ხუთ წლიან დამატებას იძლევა ხაზინა.
ვ) ცხინვალის უმაღ. პირველ დაწებითი სასწავლებ. .			ვ) უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იღებს თვეში 2820 მან.
1. ხაზინიდან . . .	81.511	75	
2. ერობიდან . .	46.000	—	
ზ) ახალქალაქის უმაღლ. პირველ დაწყებითი სასწვლებ.			
1. ხაზინიდან. . .	32.401	—	
2. ერობიდან. . .	14.000	—	

მუხ. II. ხარჯები სასწავლ. სახელმძღვანელოებზე.	მან.	კ.	
ა) სკოლების სახელმძღვანელოების შეძენა . . .	96.000	—	ა) თითო სკოლაზე არის ნაანგარიშევი 500 მან. თითო უმაღ. პირველ. დაწყებ. 10.000 მან.
ბ) საკლასო ავეჯეულობა .	2.000.000	—	ბ) გასაკეთებელია 2000 პარტა, 90 კლასის დაფა, 90 საანგარიშო შვედური სჩოტი, მაგიდა, ტაბურეტ. და სხ.
გ) საბავშვო სამკითხველო სკოლებთან	61.200	—	გ) თითო სკოლ. 400 მ.
დ) სამასწავლებლო სამკითხვ.	61.200	—	დ) „ „ 400 მ.
ე) სამეურნეო ხარჯები სკოლების.	76.500	—	ე) „ „ 500 მ.
ვ) სამეურნეო ხარჯები უმაღ. პირ. დაწყ. სკოლების	10.000	—	
მუხ. III. შენახვა სკოლის შენობის.			
მუხ. IV. სკოლებ. ინსტრუქ.			
ა) ინსტრუქტორების ჯამაგირი	67.000	—	ა) თითო ინსტრუქტორი ღებულობს 4480 მ., ნაანგარიშევია სამი ინსტრუქტორის ჯამაგირი.
ბ) ინსტრუქტორის ხარჯები და დღიურები. .	100.000	—	ბ) ნავარაუდევია, რომ თითო ინსტრუქტორი თვეში რევიზიაზე იქნება 25 დღე, დღიური 100 მან.
გ) სათადარიგო მასწავლებელთა დღიურები. . .	22.500	—	გ) დღიური ნავარაუდევია 50 მანეთი.

მუხ. V. მასწავლებლების მომზადება.	მან.	კ.	
ა) საზაფხულო პედაგოგიური კურსები	300.000	—	ა) ნავარაუდევია, რომ კურსებს დაესწრება 150 მასწავ., კურსები იქნება ორი თვისა, თითო მასწავლ. თვეში 600 მან.
ბ) სამინისტროს მიერ მოწყობილი სამასწავლებლო სემინარიებ. მასწავლებ. მოსამზადებელ კურსების დახმარება.	20.000	—	
გ) დახმარება საფეიქრო სკოლებს	24.000	—	გ) ჯამაგირი თითო მასწავლ. საფეიქრო განყოფ. 1600 მან.
მუხ. VI. სახელოს. სასწავლ.			
მუხ. VII. სამეურნეო სასწავლ.			
მუხ. VIII. დახმარება მასწავლებ.			
ა) ავადმყოფობის დროს მასწავლებ. დახმარება . .	20.000	—	
ბ) დახმარება საშუალო სასწავლებ. მოსწავლეთა სტიპენდია.	15.000	—	ბ) გორის მაზრაში 5 საშუალო სასწავლებელია: გორის ქალთა და ვაჟთა და ხაშურის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები და საოსტატო სემინარია. თითოს 3000 მან. ღარიბ სოფლელებ. სწავლის ფულის გადასახ.
გ) ქართული უნივერსიტეტის სტიპენდიები	120.000	—	გ) თითო სტუდენტს 30.000 მ. წელიწადში.

მუხ. IX. საერთო ზომები განათლების გასავრცელებლად	მან.	კ.	
ა) სკოლა მოზრდილთათვის.	163.000	—	ა) დაარსდ. 153 სკოლ.
ბ) სახალხო სამკითხველო მაზრაში.	34.000	—	ბ) იქნება 17 სამკითხველო: თითო თემის ფარგლებში.
გ) ლექციები მაზრაში სურათი, სახალხო უნივერსიტეტეტის დახმარება. . .	200.000	—	
ს უ ლ. . . .	7.538.312	75	

განათლების განყოფ. გამგე,

გამგეობის წევრი **დ. მელიქაძე.**

პედაგოგიური ქრონიკა.

სრულიად საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირის დელეგატთა კონფერენცია.

1920 წ. მაისის 25-ს ტფილისში ქალთა პირველი გიმნაზიის შენობაში საღამოს $7^1/_2$ საათზე გაიხსნა სრულიად საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირის დელეგატების კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა 37 დელეგატი.

კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბურჯანაძემ, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო მომენტს და აღნიშნა ჩვენი სახელოვანი ჯარისა და გვარდიის გმირული მოქმედება ვერაგი მტერის წინააღმდეგ; ბოლოს წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცა ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომართა ხსოვნისათვის.

შემდეგ არჩეულ იქმნენ: კონფერენციის პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ იპ. ვართაგავა, თავმჯდომარის ამხანაგად—ნ. ყაზბეგი, მდივნებად ნ. ხატისკაცი, გ. მიქაბერიძე და გ. გიორგობიანი.

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ჩიქოვანი, მ. ფაჩუაშვილი და ნ. კოვზირიძე. კონფერენცია ადგენს გაეგზავნოს მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის თავის მისალოცი დეპეშა. დეპეშის ტექსტის შედგენა დაევალა კონფერენციის პრეზიდიუმს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენცია ამტკიცებს შემდეგ წესრიგს:

1. მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან და მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა.
3. მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდების პროექტი.
4. მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარე და დამზღვევი კასა.
5. მანგლისის აგარაკის შესახებ.
6. მასწავლებელთა კოოპერატივი.
7. გამომცემლობის შესახებ.
8. მიმდინარე საკითხები.
9. მოხსენება მასწავლებელთა კავშირების რეორგანიზაციის შესახებ.

წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენცია ისმენს მოხსენებას საბჭოს მოქმედების შესახებ. მოხსენებას აკეთებს საბჭოს თავმჯდომარე ჭ. ბურჯანაძე.

საბჭო, ამბობს მომხსენებელი, შეუდგა მოქმედებას 1920 წ. იანვრის 16-დან. პირველსავე სხდომაზე საბჭოს შემადგენლობიდან გამოყოფილი იქმნა ბიურო 5 წევრისაგან შემდგარი: თავმჯდომარის, ორი მისი ამხანაგისა, ხაზინადრისა და მდივნისაგან. 16 იანვრიდან დღემდე ბიუროსა და საბჭოს ჰქონდა 10 სხდომა, ამ სხდომებზე გაირჩა 72 საქმე. ყველა საკითხი წინასწარ ირჩეოდა ბიუროს სხდომაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდა საბჭოში.

პირველ ყოვლისა საბჭომ ყურადღება მიაქცია ჟურნალ „განათლების“ გამოცემის მოწესრიგების საქმეს, მიმართა ერობებს გამოეწერათ თავის სკოლებისათვის ეს ჟურნალი და მით ხელი შეეწყოთ გამომცემლობისათვის. ჟურნალის რედაქტორად საბჭოს მიერ მოწვეულია გამოცდილი პედაგოგი დ. უზნაძე და იმედი გვაქვს ჟურნალი შინაარსის მხრივ

გაუმჯობესებული იქნება. ამას გარდა განზრახულია ყოველკვირეული ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების“ გამოცემა.

განათლების სამინისტროსაგან საბჭომ მიიღო დახმარებად დღემდე 70.000 მანეთი. საბჭო ყურადღებას აქცევდა მასწავლებელთათვის სურსათის მიწოდების მოწესრიგებას. ამ მიზნით საბჭომ მიანდო ბიუროს მდივანს დახმარება გაეწია პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებელთათვის. ეს საქმე უკეთესად მოეწყობოდა, რომ მასწავლებლებს ტფილისში კოოპერატივი ჰქონოდა.

მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ არა ერთი და ორი დეპეშა მოსვლია საბჭოს სხვა და სხვა კუთხიდან, საიდანაც იტყობინებოდნენ, რომ ეროობები თავის დროზე არ ურიგებდნენ მასწავლებლებს ხვედრ ჯამაგირს. ამის გამო საბჭო იღებდა სათანადო ზომებს და სასურველ შედეგებსაც აღწევდა. ახლა ეროობების მიერ ჯამაგირების დარიგება ასე თუ ისე მოწესრიგებულია. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ერთი ფილიალური განყოფილება სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს: ეს განყოფილებანი აცხადებდნენ გაფიცვებს და შემდეგ ფაქტის წინაშე აყენებდნენ საბჭოს. ასეთი მოქმედება შეუწყნარებელია და ამიტომ საბჭომ გამოუშვა მოწოდება, რათა შემდეგში ასეთი მოქმედება აღარ განმეორდეს და პერიფერიებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ საბჭოსთან.

ამას გარდა საბჭოს საზრუნავ საქმეს შეადგენდა მასწავლებელთათვის ბაგარაკი აეჩინა, მან მოახერხა და მთავრობისაგან მანგლისში ყოფილი კადეტთა კორპუსი მიიღო. მის შესაკეთებლად მთავრობისაგანვე მივიღეთ 80.000 მანეთი,

თქვენ მოგეხსენებად, თუ როგორ გამწვავდა ერთ დროს ბათუმის საკითხი. ამ საკითხის შესახებ საბჭოს მეთაურობით გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი, რომელზედაც გამოტანილ იქმნა საპროტესტო რეზოლიუცია ანტანტის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

საბჭო დახმრებას უწევდა გაჭირვებულ ნამსახურ მასწავლებლებს.

გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ საბჭომ შეჰკრიფა შემოწირულება ჯერ-ჯეროობით 77,000 მანეთამდე, რომელიც გადაეცა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს.

საბჭომ დაბეჭდა დროებითი წესდება და დაუგზავნა ფილ. განყოფილებებს საანკეტო ფურცლები. საბოლოოდ ამ ფურცლებზე ჯერ-ჯეროობით პასუხი არ მიგვიღია. საბჭომ იქონია მსჯელობა ჩვენში საყმაწვილო-

გამომცემლობის მოწესრიგებაზე და დაადგინა მიიღოს ჟურნ. „ნაკადული“-ს გამომცემლობა თავის თავზე.

საბჭომ შეადგინა საპენსიო კასის წესდების პროექტი. ამას გარდა განძრახულია დამხმარე კასისა და კოოპერატივის დაარსება, შეიმუშავა მასწავლ. ორგანიზაციების წესდების პროექტი. ყველა ეს საკითხები შეტანილია კონფერენციის წესრიგში.

საბჭოს თავის მუშაობის დროს წინ ელობებოდა სხვა და სხვა დაბრკოლება. უმთავრესი დაბრკოლება იმაში გამოიხატებოდა, რომ საბჭოს ბინა არ შოეპოვებოდა. ბინის შესახებ საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავრობასთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ჯერ-ჯერობით სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. მხოლოდ ამ ბოლო დროს მოხერხდა და საბჭომ მთავრობის შენობაში იშოვნა ორი ოთახი, სადაც მოთავსებულია ბიურო.

ასეთი იყო მოკლედ ამ ხნის განმავლობაში საბჭოს მოქმედება.

მოხსენების დასრულების შემდეგ კონფერენციის წევრთაგან შემოტანილი იქმნა შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კამათი გამოიწვია შეკითხვამ: რა მდგომარეობაშია მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობა და რამდენად ხორციელდება მასწავლებელთა ყრილობაზე ამის შესახებ გამოტანილი რეზოლიუცია.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: კონფერენციამ, მოისმინა რა შეკითხვა მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: მიიღოს საბჭომ დაუყოვნებლივ ზომები, რათა გატარებულ იქმნას ცხოვრებაში ამ საკითხის შესახებ ამა წლის იანვარში მასწ.-თა დელეგატების ყრილობის მიერ გამოტანილი დადგენილება.

ამის შემდეგ კრება იხურება. შემდეგი სხდომა ინიშნება 26 მაისს საღამოს 6 საათზე.

26 მაისი კრება იწყება საღამოს 7 საათზე მორიგი საკითხი: მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებას აკეთებენ წარმომადგენლები შორაპანის, რაჭის, თელავის, სიღნაღის, გორის, სენაკის, ზუგდიდის, დუშეთის მაზრებიდან და ქ. ქუთაისიდან.

მომხსენებლები უმთავრესად ხაზს უსვამენ მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას და მოითხოვენ მის გაუმჯობესებას.

ნივთიერი მდგომარეობის შესახებ კონფერენციას გამოაქვს დადგენილება: მოემატოს მასწ. ჯამაგირი 80 %-დან 100-დე, ხოლო ვიდრე ჯამაგირების მომატება გადაწყდებოდეს მიეცესთ მათ ერთდროულ დახმარებად 3000 მანეთი. გარდა ამისა სურსათის საქმეც უნდა მოგვარდეს ისე, რომ პროვინციის მასწავლებლები ამ მხრივ ერთსა და იმავე პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი ქალაქის მასწავლებლებთან.

კონფერენციამ აირჩია დელეგაცია რომელშიაც შევიდნენ ვ. ბურჯანაძე, ი. ვართაგავა, ა. წერეთელი და რაჭის მაზრის დელეგატი, და დაავალა მას ამ საგანზე მთავრობის თავჯდომარესთან მოლაპარაკება,

27 მაისი. კრება იწყება დილის 11 საათზე.

მორიგი საკითხი: მასწავლებელთა კასის წესდების პროექტი. მომხსენებელია ვ. ბურჯანაძე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თანახმად აღმოს. საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობის დადგენილებისა კავშირის მთავარი გამგეობის მიერ წარსული წლის თებერვალში შემუშავებულ იქმნა მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდების პროექტი. ეს პროექტი დაბეჭდილია, რომლის განხილვა და დამტკიცება დასმულია კონფერენციის დღიურ წესრიგში. შემდეგ აცნობს კრებას აღნიშნული საპენსიო კასის წესდების პროექტს, რომელსაც კონფერენცია სხვა და სხვა ცვლილებით ამტკიცებს.

ამის შემდეგ შესწორებული წესდების პროექტი მთლიანად მიღებულ იქმნა და დაევალა საბჭოს ზომების მიღება, რათა დაჩქარებით გატარებულ იქმნას ცხოვრებაში ეს წესდება სათანადო დაწესებულებაში წარსადგენად.

კონფერენცია ისმენს მოხსენებას მანგლისის აგარაკის შესახებ. მომხსენებას აკეთებს საბჭოს წევრი ალ. ფირცხალაიშვილი. განმარტებას აკეთებს თავჯდომარე ვ. ბურჯანაძე.

მოხსენების მოსმენის შემდეგ აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენცია ცნობად იღებს მოხსენებას და ადგენს: 1) შეეცადოს საბჭო. რომ ხსენებული აგარაკი საბოლოოდ მასწავლებელთა კავშირს გადაეცეს და 2) აგარაკზე წასვლის მსურველ მასწავლებელთ თხოვნების შემოტანის ვადა გაუგრძელდეს 15 ივნისამდე.

კრება იხურება ნაშუადღევის 3 საათზე. მორიგი სხდომა ინიშნება საღამოს 7 საათზე.

საღამოს კრებაზე მასწ. კოოპერატივის დაარსების შესახებ მოხსენებას

აკეთებს ცენტრ. საბჭოს სახელით პ. ჭანიშვილი, შეკითხვების შემდეგ იხსნება კამათი არსებითად. უმრავლესობა პროვინციელ წარმომადგენლებისა თანახმაა კოოპერატივის გახსნისა, იმ პირობით კი, თუ ეს იქნება კოოპერატივი საწყობი-განმანაწილებელი და არა სავაჭრო. კამათის დასრულების შემდეგ კრება ერთხმად ადგენს, გაიხსნას მასწ. კოოპერატივი. შემოიღოს საწევრო-საპაიო. უნდა იქნეს 100 მანეთი, თვითეულ წევრისთვის სავალდებულოა ხუთი პაი. კოპერატივი უნდა იყოს საწყობის ხასიათის ე. ი. მთავარი განმანაწილებელი ყოველ გვარ საქონლისა. კოოპერატივის გახსნის ტეხნიკურად მოწყობა ევალება საბჭოს შესაძლებლობის ფარგლებში.

კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს მიღებული წესდებები გადაიბეჭდოს და დაგზავნილ იქმნას განყოფილებებში გასავრცელებლად და დასამტკიცებლად.

28 მაისს, დილის სხდომაზე. გამომცემლობის შესახებ საბჭოს სახელით აკეთებს მოხსენებას პ. ჭანიშვილი და ადგენს პროექტს, რის შემდეგაც იმართება კამათი. მონაწილეობენ კამათში: ოდიშარია, მიქაბერიძე, იპ. ვართაგავა, ვ. ბურჯანაძე, ლორთქიფანიძე. კონფერეცია ღებულობს პროექტს შემდეგის შესწორებით: გაიმართოს ყოველ წელს „განათლების დღე“ და აქედგან შემოსული თანხა გადაირიცხოს საგამომცემლო თანხად საბჭოს განკარგულებაში (დაუბრუნებელ). აქედგან არავითარი ნაწილი არ გადაიდოს წმინდა პრ.ოფესიონალურ მიზნებისათვის წელს „განათლების დღე“ მოეწყოს შემოდგომაზედ არა უგვიანეს ოქტომბრის ბოლოსა. დღის ამორჩევა ევალება საბქოს. მუდმივი „განათლების დღის“ დაარსება გადასწყვიტოს დელეგატთა ყრილობამ.

კავშირის ახალ წესდების შესახებ საბჭოს სახელით მოხსენებას აკეთებს ევგ. ოდიშარია. შეკითხვის შემდეგ იმართება კამათი არსებითად წესდების პროექტის გარშემო და შემდეგ კრება ღებულობს წარმოდგენილ პროექტს მცირე შესწორებით.

კონფერენცია იხურება დღის 3 საათზე.

კონფერეციის მიერ არჩეულმა დელეგაციამ (ვ. ბურჯანაძემ, იპ. ვაროაგავამ) ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია. განუმარტეს მას კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და სთხოვეს შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ბ-ნმა თავჯდომარემ აღუთქვა დელე-

გაციას რომ ის ეცდება სახალხო მასწავლებელთა სამართლიანი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

გორის ფონდი.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს ბიუროს მიერ მიღებულია მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ:

1.	მიხეილ მარკოზის ძე იმნაძისაგან შეკრებილი ლანჩხუთის სავაჟო და საქ. სკოლებში.	3200 მან.
2.	ზუგდიდის დაწყებითი მასწავლებელთა და მოწაფეთაგან.	8608 „
3.	თბილისის მე 3-ვაჟთა გიმნაზიისაგან.	3000 „
4.	მოლითის თემის სკოლებში მოწაფეთა შორის შეკრებილი	1092—65
5.	ფარცხმის პირველ დაწყებით სკოლის მოწაფეთაგან	637 — „
6.	ნიკორწმინდის 2 კლ. სკოლის მოწაფეთაგან. . .	160 — „
7.	ხაშურის რკინის გზის I სასწ. გამგის ნიკ. მიქაძისაგან	2008 — „
8.	ხაშურის „ „ 2 სასწ. ერმ. შარაშიძისაგან . .	1497 — „
9.	გორის მაზრის მასწავლებელთა შორის შეკრებილი დ. მელიქაძის მიერ.	7870 — „
10.	შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კავშირისაგან.	19,000 „
11.	გამოჩინებულის თემის მასწავ.	1350 „
	ს უ ლ. . .	48.422—65
	წინანდელთან ერთად . . .	62,624—90
	ს უ ლ. . .	111.047—55

წესდება

სრ. საქართ. მასწავლებელთა კავშირთან არსებულ საურთიერთო დამხმარე და დამზღვევ კასისა.

I.

კასის მიზანი.

1. მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე და დამზღვევი კასა არსდება სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირთან, როგორც მისი დამხმარე განყოფილება თანახმად კავშირის წესდების მეორე მუხლის მესამე (გ) ნაწილისა.

2. კასის მიზანია: ა) მისცეს იაფი სესხი ხელ-მოკლე წევრებს; ბ) გაუწიოს მათ დახმარება გაჭირვების დროს; გ) დაეხმაროს წევრებს შვილების გამოზრდაში; დ) გარდაცვალებულის ოჯახს, ან ვისაც ის უანდერძებს, მისცეს საერთო გადასაბურავი.

II.

კასის შედგენილობა და უფლება-მოვალეობანი.

3. მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე და დამზღვევის კასის წევრობა სავალდებულოა სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის ყველა წევრთათვის.

4. კასის გამგეობა აწარმოებს ერთ ტიპიურ საერთო პირად ანგარიშს, რომლის პირი ყველა წევრმა უნდა იქონიოს და აღნიშნოს მასში ყოველივე ცვლილება, თანახმად კასის მიერ ყოველ თვეში გამოქვეყნებული ნიმუშისა კავშირის ორგანოში.

5. კავშირიდან გასულს ან გამორიცხულ წევრს კასა უსწორდება თანახმად მისი პირადი ანგარიშისა წლიური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ სამი თვის განმავლობაში.

III.

კასის ფინანსები.

6. ყოველი წევრი იხდის კასის სასარგებლოდ: ერთდროულად 60 მანეთს და თვიურად: პირველ წლის განმავლობაში 40 მანეთს, შემდეგ კი 30 მანეთს თვეში.

7. ერთდროული საწევრო გადასახადის 50% უნდა გადაირიცხოს გადასაბურავის სათადარიგო ფონდში. მეორე 50% ხმარდება საორგანიზაციო ხარჯებს და რაც ამას გადარჩება, თანასწორად ნაწილდება კასის დანარჩენ ფონდებს შორის.

8. კასა შესდგება შემდეგი ფონდებისაგან: ა) სესხის ფონდი, ბ) გაჭირვების ფონდი, გ) სასტიპენდიო ფონდი, დ) გადასაბურავის ფონდი.

IV.

სესხის ფონდი.

9. სესხის ფონდს შეადგენს: თვიური გადასახადისაგან გადარიცხული წევრზედ თითო თუმანი, გაცემული სესხის %%, დაბრუნებული სესხი, ანაბარი, კავშირის და კოოპერატივის შემოსავლიდან გადარიცხული თანხები, შემოწირულებანი და შემთხვევითი შემოსავალი.

10. სესხის რაოდენობა დამოკიდებულია ფონდის მდგომარეობაზედ, მაგრამ ის პირველ ხნობით არ უნდა აღემატებოდეს გაათკეცებულ იმ თანხას, რაც წევრს ერგება კასიდან მისი პირადი ანგარიშით.

11. შემდეგისათვის კრედიტის გადიდება შეუძლია კავშირის დელეგატთა ყრილობას.

12. სესხის მიმღები იხდის ფონდის სასარგებლოდ წლიურ 6%-ს. ანაბარის პატრონს კი ეძლევა წლიური 4%.

13. კრედიტის გასადიდებლად წევრს შეუძლია შემოიტანოს მისთვის საჭირო თანხის 10%, რომელიც ემატება ფონდის სატრიალებელ თანხას. ყოველ შემთხვევაში ასეთი სესხი არ უნდა აღემატებოდეს 30.000 მანეთს.

14. ვადაზედ გადაცილებისათვის კასის მოვალე იხდის პროცენტებს გარდა თვეში 1%-ს.

V.

გაჭირვების ფონდი.

15. გაჭირვების ფონდს შეადგენს: თვიური გადასახადისაგან გადარიცხული წევრზედ თითო თუმანი, დაბრუნებული სესხი, კავშირის და კოოპერატივის შემოსავლისაგან გადარიცხული თანხები, შემოწირულებანი და შემთხვევითი შემოსავალი.

16. გაჭირვების ფონდიდან გაიცემა მხოლოდ უპროცენტო სესხი ან ერთდროული დახმარება.

17. გაჭირვების ფონდიდან სესხი ან დახმარება ეძლევა წევრებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაიმე უბედურების, ან მოულოდნელი დიდი ზარალის დროს, მაგ. ცეცხლისაგან, ავადმყოფობისაგან, სიკვდილისაგან, ადგილის დაკარგვისაგან, გაფიცვის დროს და სხვა.

18. როგორც უპროცენტო სესხის, ისე ერთდროული დახმარების რაოდენობა დამოკიდებულია ფონდის მდგომარეობაზედ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თვიური სესხი ან დახმარება არ უნდა აღემატებოდეს მისი ჯამაგირის ორ მესამედს, ერთდროული დახმარება კი 10.000 მანეთს. ამ ნორმის გადიდება შეუძლია დელეგატთა ყრილობას.

19. კავშირის აღმასრულებელ ბიუროს უფლება აქვს გასცეს დახმარება მხოლოდ უპროცენტო სესხის სახით. ერთდროული დახმარება კი გაიცემა ბიუროს წარდგენით და კონფერენციის ან დელეგატთა ყრილობის დადგენილებით.

20. თვიური დახმარება ეძლევა წევრს მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში.

21. ვისაც თვიური დახმარება მიეცა, ის ველარ მიიღებს ერთდროულ დახმარებას და პირიქით.

22. გაჭირვების ფონდიდან გატანილი სესხი წევრმა უნდა გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ არა უგვიანეს ორი წლისა.

VI

სასტიპენდიო ფონდი.

23. სასტიპენდიო ფონდს შეადგენს: თვიური გადასახადიდან გადარიცხული წევრზედ თითო თუმანი, დაბრუნებული სტიპენდიები, კავშირის და კოოპერატივის მოგებისაგან გადადებული თანხები, შემოწირულებანი და შემთხვევითი შემოსავალი.

24. სასტიპენდიო ფონდიდან სტიპენდია მიეცემა კავშირის წევრთა შვილებს განურჩეველად სქესისა, რომელნიც სწავლობენ საშუალო, უმაღლეს ან სპეციალურ სასწავლებელში.

25. ყოველ საფეხურისათვის სტიპენდიატების რიცხვს და სტიპენდიის რაოდენობას განსაზღვრავს დელეგატთა ყრილობა.

26. მასწავლებელთა კავშირის სტიპენდიატები ვალდებულნი არიან სწავლის დასრულების შემდეგ დააბრუნონ მთელი მიღებული თანხა

უპროცენტოთ და ნაწილ-ნაწილ, რის შესაფერ ხელწერილს სდებენ, როგორც-სტიპენდიატი, ისე მისი მამა ან ოპეკუნი.

27. გარდა ამისა სტიპენდიატი ვალდებულია სტიპენდიის მიღებისთანავე გამოგზავნოს ხელმოწერილი ვექსილი, ურომლისოდაც შემდეგი სტიპენდია არ მიეცემა. და საზოგადოთ სტიპენდიის მიღება-დაბრუნება უნდა ხდებოდეს ყოველივე ფორმალი წესების დაცვით.

VII.

გადასაბურავის ფონდი.

28. გადასაბურავის ფონდს შეადგენს: კასის სასარგებლოდ გაღებულ ერთდროულ გადასახადის 50% (7 მუხ.) და პირველ წლის განმავლობაში წევრზედ თითო თუმანი თვიური გადასახადი. ასე რომ წლის ბოლოს გადასაბურავის სათადარიგო ფონდი უნდა შესდგებოდეს 15 ნორმისაგან.

29. როგორც პირველი წლის განმავლობაში, ისე 15 ნორმის შესრულების შემდეგ ყოველ გარდაცვალებულ წევრზედ დანარჩენი წევრები იხდიან თითო თუმანს ფონდის შესავსებად შემდეგი ჯამაგირის მიღების დროს.

შენიშვნა: ფონდის შესრულების შემდეგ შემოსული ახალი წევრებიც იხდიან თანახმად 28 და 29 მუხლებისა.

30. გადასაბურავის რაოდენობა დამოკიდებულია კაცის წევრთა რაოდენობაზედ და უდრის იმდენ თუმანს, რამდენიც ჰყავს კასას.

31. ყოველ წევრს უფლება აქვს შემოიტანოს კასაში ღია ან დახურული პაკეტით განცხადება-ანდერძი იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიეცეს მისი სიკვდილის შემდეგ ხვედრი გადასაბურავი.

32. დახურულ ანდერძად ჩაითვლება ისეთი განცხადებანი, რომლის პაკეტზედაც იქნება წარწერა: „დახურული ანდერძი ამა და ამ პირისა“ და გაიხსნება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ.

33. როგორც ღია, ისე დახურულ ანდერძზედ ხელის მოწერას უნდა ამოწმებდეს ადგილობრივი ადმინისტრაცია ან კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია.

34. ყოველი ანდერძის გაუქმება ან ახალით შეცვლა შეიძლება სათანადო განცხადების ან ანდერძის შემოტანით. უკანასკნელის პაკეტზედ უნდა ეწეროს: „უწინდელი ანდერძის მაგივრ.“

35. თუ წასაბურავი ნაანდერძევი არ არის და გარდაცვალებულს არ დარჩენია მცირე-წლოვანი შვილები, იმ შემთხვევაში გადასაბურავი ეძლევა უახლოეს პასუხისმგებ ჭირისუფალს. და თუ ასეთები არ აღმოჩნდებიან ერთი წლის განმავლობაში, გადასაბურავი გადაირიცხება გაჭირვების ფონდში.

36. თუ ამ წესდების ძალით გადასაბურავი ერგება მცირე-წლოვანთ, მაშინ ჭირისუფლებს ეძლევათ სამარხად გადასაბურავის 25%, დანარჩენი 75% კი რჩება კასაში ანაბარის სახით, ოპეკუნს ეძლევა სათანადო დოკუმენტი და ფულები ხმარდება მცირეწლოვანთა აღზრდას ოპეკუნისა და კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციის შეთანხმებით.

37. თუ გარდაიცვალა ის პირი, ვისაც გადასაბურავი ეკუთვნის, ის გადაირიცხება გაჭირვების ფონდში.

38. კასა ვალდებულია მისცეს ხვედრი გადასაბურავი საჭირო დოკუმენტების წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში.

39. აუცილებელ შემთხვევაში ადგილობრივ ორგანიზაციას შეუძლია თავის საშუალებიდან მისცეს გარდაცვალებული წევრის ჭირისუფლებს 25% ხვედრი გადასაბურავისა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კასის გამგეობას.

40. გადასაბურავის მისაღებად კასას უნდა წარედგინოს: 1) ადგილობრივი ადმინისტრაციის ან ფილიალის მოწმობა წევრის გარდაცვალების შესახებ, 2) სათანადო მოწმობა იმის შესახებ, თუ ვინ არიან გარდაცვალებულის ჭირისუფლები, არ მიუღია დახმარება ადგილობრივი საშუალებიდან ან თუ მიიღეს, რამდენი და 4) ასეთივე მოწმობა, რომ ის სიკვდილამდე ითვლებოდა კავშირის წევრად.

41. ხვედრ გადასაბურავს უნდა მოაკლდეს გარდაცვალებულის გაუსწორებელი ვალები კასისა და აგრეთვე 2% ფონდის გასაძლიერებლად.

42. კასას აქვს თავისე ბეჭედი წარწერით: მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე დამზღვევი კასა.

43. ამ წესდების შეცვლა, შესწორება ან დამატება შეუძლია მხოლოდ სრ. საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობას,

მასწავლებელთა კოოპერატივი „უნივერსალი.“

1. მასწავლებელთა კოოპერატივის „უნივერსალის“ მიზანია: შეიძინოს, დაამზადოს და მიაწოდოს თავის წევრებს მათთვის საჭირო ყოველ-

გვარი სურსათ-სანოვაგე, საქონელი და სკოლასა და ოჯახში სახმარი ნივთები.

2. აღნიშნული ნივთებისთვის კოოპერატივს შეუძლია: 1. მიიღოს სახელმწიფო სასურსათო ფონდიდან სურსათ-სანოვაგე რესპუბლიკის მასწავლებელთა შორის გასანაწილებლად; 2. შეიძინოს წევრთათვის ყოველგვარი მოსახმარი საგანი პირველი ხელიდან; 3. დაამზადოს წევრთათვის საჭირო საგნები; 4. შეიძინოს ან იჯარით აიღოს ყოველგვარი სათანადო ტეხნიკური დაწესებულება: სახელოსნო, ქარხანა, ფაბრიკა და სხ.; 5. გახსნას და აწარმოოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და საზღვარ-გარეთაც განყოფილებები, კანტორები, სააგენტოები თავის საქმეთა საწარმოებლად და წევრთა დავალების შესასრულებლად; 6. აიღოს სესხი და მიიბაროს ფულები საერთო საბანკო წესების დაცვით; 7. დააგირაოს საქონელი; 8. შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები და დააგირაოს ისინი, შეკრას პირობები, დაიკისროს მოვალეობანი, აიღოს ვალი, ჩრივლოს და პასუხი აგოს სასამართლოში; 9. ააშენოს, გახსნას და შეინახოს სამასწავლებლო და საბავშო სკოლები, პანსიონები, ინტერნატები, ახალშენები, სანატორიუმები, აგარაკები, სასწავლებლები, კურსები, სასტუმროები, კლუბები, რესტორანები, გამოსცეს პერიოდული და არა პერიოდული გამოცემანი და სხვა.

3. კოოპერატივს აქვს თავის სახელწოდების ბეჭედი.

4. მასწავლებელთა კოოპერატივის წევრად მიიღება მხოლოდ წევრი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირისა.

5. საწევრო გადასახადია 25 მან., ერთი პაი ღირს 100 მანეთი.

6. ყოველი წევრი ვალდებულია 6 თვის განმავლობაში შეიძინოს 5 პაი მაინც.

7. კოოპერატივის ვალდებულებებზედ წევრის პასუხის-მგებლობა განისაზღვრება ათი პაის ღირებულობით.

8. კოოპერატივის საშუალებას შეადგენს: ა) ძირითადი, ბ) სათადარიგო და გ) საგანგებო თანხები.

9. ძირითად თანხას შეადგენს: საწევრო და საპაიო გადასახადი, (წმინდა მოგებიდან გადარიცხული ნაწილი, შემოწირულებანი, გრძელვადიანი სესხი და პირობითი ანაბარი.)

10. სათადარიგო თანხას შეადგენს ყოველ-წლიურად წმინდა მოგებიდან გადარიცხული 20 %.

11. სადადარიგო თანხის შესადგენათ პროცენტების გადარიცხვა გრძელდება, ვიდრე ის ძირითად თანხას არ გაუსწორდება.

12. სათადარიგო თანხის დანიშნულებას კოოპერატივის ზარალის დაფარვა შეადგენს. სათადარიგო თანხით შეძენილ უნდა იქნეს მთავრობის მიერ უზ' უნველ-ყოფილი ან სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები, ან ინახებოდეს ერთ-ერთ საკრედიტო კოოპერატიულ დაწესებულებაში.

13. სათადარიგო თანხის დახარჯვა თანახმად მისი დანიშნულებისა (12 მუხ.) ხდება მხოლოდ რწმუნებულთა კრების დადგენილებით.

14. ამავე წესით (12 მუხ.) ძირითადი თანხის ერთ მესამედზედ მეტი ნაწილი სათადარიგო თანხისა შეიძლება მოხმარდეს კოოპერატივის აღებ-მიცემის და უძრავი ქონების შეძენას.

15. კოოპერატივს შეუძლია შემოწირულებისა, წევრთაგან ნება-ყოფლობით შემოტანილ ვადასახადებისა და წლიურ მოგებიდან გადადებულ პროცენტებისაგან შეადგინოს საგანგებო თანხები საქველ-მოქმედო და კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის.

16. მე-15 მუხლში აღნიშნულ თანხების შედგენისა და დახარჯვის წესებს ამტკიცებს რწმუნებულთა კრება.

17. კოოპერატივის საქმეებს განაგებს: ა) რწმუნებულთა კრება, ბ) გამგეობა, რომელიც თბილისში იმყოფება და გ) სარევიზიო კომისია.

18. რწმუნებულთა ჩვეულებრივი კრება იმართება წელიწადში ერთ-ხელ, შეძლებისა და გვარად სრ. საქ. მასწ. კავშირის დელეგატთა ყრილობასთან ერთად.

19. რწმუნებულთა ყრილობის საგანს შეადგენს: წლიური ანგარიშებისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა. საჭირო ინსტრუქციებისა და რწმუნებულთა საარჩევნო მეტრის დამტკიცება.

20. კოოპერატივის პირველ დამფუძნებელ კრებას შეადგენს ქ. თბილისში მცხოვრებ წევრთა საზოგადო ყრილობა.

21. რწმუნებულთა ჩვეულებრივ კრებას იწვევს გამგეობა საკუთარი ინიციატივით, ან სარევიზიო კომისიის ან ასი წევრის წინადადებით.

22. რწმუნებულთა კრების დრო და საგანი ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს წევრებს უწყებით ან გაზეთის საშვალებით.

23. რწმუნებულთა კრება კანონიერია, თუ წარმომადგენელია წევრთა 1/4

24. თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, უნდა მოწვეულ იქმნას ერთ თვეში იმავე საკითხების გასარჩევად მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

25. რწმუნებულთა კრება ირჩევს გამგეობას და სარევიზიო კომისიას ერთი წლის ვადით. როგორც გამგეობაში ისე სარევიზიო კომისიაში უნდა შედიოდეს არა ნაკლებ სამ-სამი წევრისა, ორ-ორი კანდიდატით.

26. რწმუნებულთა კრებაზედ საკითხები სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით.

27. წლიური მოგებიდან მე-10 მუხლის თანახმად სათადარიგო ფონდში ირიცხება 20 %, ხოლო დანარჩენი მოგება ნაწილდება შემდეგ ნაირათ: ა) პაის დივიდენდათ არა უმეტეს 5 %-სა საპაიო მანეთზედ; ბ) ნავაჭრისა და შრომის პრემიებათ რწმუნებულთა კრების მიერ განზრახული რაოდენობა; გ) საგანგებო თანხების შესადგენად და აგრეთვე ამ წესდებიდან გა ომდინარე სხვა მიზნებისათვის.

28. კოოპერატივის ზარალი იფარება სათადარიგო და სხვა ძირითადი თანხებიდან, თუ ეს არ იკმარა, მაშინ რწმუნებულთა ყრილობა დანარჩენ ზარალს წევრთა შორის თანახმად მე-7 მუხლისა და ღებულობს ზომებს, რომ ხვედრი გადასახადი წევრებმა შემოიტანონ არა უგვიანეს ერთი წლისა.

შენიშვნა: კოოპერატივის ზარალისაგან სრულიად თავისუფალია ის წევრი, რომელსაც შეძენილი აქვს ათი პაი.

29. სრ. საქ. მასწ. კავშირისაგან გამორიცხულ ან გასულ წევრს უბრუნდება მხოლოდ მისი პაის ფული წლიური ანგარიშების დამტკიცებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

30. თუ კოოპერატივის ლიკვიდაცია მოხდა, ყველა ვალების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს სრ. საქ. მასწ. კავშირს.

31. ყველა იმ შეძთხვევებში, რომელიც ამ წესდებით გათვალისწინებული არაა, კოოპერატივმა უნდა იხელმძღვანელოს საკოოპერაციო კანონით.

მასწავლებელთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, მოწყობისათვის სახელმძღვანელო დებულებები.

მომხსენებელი ევ. ოდიშარია.

ჩვენმა კავშირის საბჭომ თავის ერთ-ერთ სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დამავალა შემემუშავებია სახელმძღვანელო დებულებები, თუ რა ნაირათ მოეწყოს კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები. ეს დავალება მე შევასრულე და კავშირის საბჭოს წარუდგინე ის მოხსენება, რომელიც ეხლა პატივი მაქვს თქვენ გაგაცნოთ.

ადგილობრივი ორგანიზაციების მოწყობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ კავშირის ნაყოფიერ მოქმედებისათვის. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ კავშირის მოღვაწეობის ნაყოფიერობა სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მოქნილი მოძრავი და ცხოველ-მყოფელი განყოფილებები აქვს მას. ეს მით უმეტეს უდაოა ისეთი კავშირისათვის, როგორც მასწავლებელთა კავშირი, რომლის სამოქმედო რაიონს მთელი რესპუბლიკა შეადგენს. თავის თავად ცხადია, კონფერენციას არა აქვს უფლება დელეგატთა ყრილობის მიერ მიღებული წესდება შესცვალოს და ის დებულებები, რომელიც კონფერენციის მიერ იქნება მიღებული, არ უნდა შეიცავდეს წესდების რომელიმე მუხლის უარყოფას ან შესწორებას. თუ ჩემ მოხსენების მთავარ დებულებებს კონფერენცია გაიზიარებს, იმ შემთხვევაში ეს დებულებები საერთოდ სავალდებულო უნდა იქნეს ყველასათვის, რომ კავშირის ორგანიზაციის ერთგვარობა სავსებით დაცული იქნეს. რასაკვირველია, შესაძლებელია ადგილობრივი პირობების და მიხედვით ამა თუ იმ შესწორების შეტანა, მაგრამ ასეთი შესწორება არავითარ შემთხვევაში საერთო ხაზს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

გადავდივართ საკითხის არსებითი მხარეზე. ყოველი კავშირის ორგანიზაციული ფორმა, სახე, სავსებით დამოკიდებულია ამ კავშირის შემადგენლობისგან, სამოქმედო რაიონის სივრცისგან, შრომის პირობებისგან და სხვა. ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი მხარეები: ჩვენი კავშირის შემადგენლობა, შემადგენელ კორპორაციათა ინტერესების სხვაობა და ის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლისგან ესა თუ ის ჯგუფი დამოკიდებულია როგორც ქონებრივათ, ისე უფლებრივათაც.

ჩვენი კავშირის შემადგენლობაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი. დიდი

დაკვირვება არ არის საჭირო, რომ დარწმუნდეთ, რომ ჩვენი კავშირის წევრები სამ მთავარ ჯგუფათ იყოფიან: საერობო სკოლების მასწავლებლობა, საქალაქო სკოლების მასწავლებლობა და საშუალო სკოლათა მასწავლებლობა. თუ დაუკვირდებით თითოეულ ამ ჯგუფის შემადგენლობას, იმაშიდაც შეამჩნევთ ისეთ პატარ პატარა ჯგუფებს, რომელნიც თავისი მდგომარეობით ასე თუ ისე განსხვავდებიან ერთი მეორისგან. მაგრამ ერთი რომ ეს განსხვავება მეტად უმნიშვნელოა, მეორეც, თუ საჭიროება მოითხოვს, ყოველთვის შეიძლება ადგილობრივი პირობების და მიხედვით, ამა თუ იმ ჯგუფს შესაფერი როლი მიეკუთნოს კავშირის საერთო ორგანიზაციაში. ამისათვის ამ უმნიშვნელო დაყოფაზე მე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ. აგრეთვე ბევრს არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ ზემოდ დასახელებული სამი კორპორაცია თავისი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით შესამჩნევათ განირჩევიან ერთი მეორისაგან. მაშინ, როდესაც საშვალო სკოლაში მასწავლებლის ჯამაგირი გაკვეთილების რიცხვზეა დამოკიდებული, დაბალ სკოლაში კი დაწესებულია გადაჭრილი ჯამაგირი. საერობო სკოლის მასწავლებლები დამოკიდებულნი არიან ერობისაგან, საქალაქო სკოლებისა კი ქალაქის თვითმართველობისაგან და საშვალო სკოლისა კი დევგანათ. სამინისტორსაგან. ყველასათვის ცხადია, ამ სამ კორპორაციათა შორის ინტერესთა სხვა და სხვაობა არსებობს, თუმცალა ისიც უდაოა, რომ მასწავლებლობას, როგორც ასეთს, მიუხედავათ ამა თუ იმ კორპორაციის წევრობისა, აქვს საერთო პროფესიონალური ინტერესებიც. კავშირის ორგანიზაცია ისეთი უნდა იქნეს, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი კორპარაცია უყურადღებოთ არ უნდა დარჩეს, კავშირის წყობამ უცილობლათ უზრუნველი უნდა ჰყოს მთავარ კორპორაციათა ინტერესების დაცვა. თუ ეს ასე არ არის, თუ რომელიმე ჯგუფი კავშირში თავის სახეს კარგავს, ითქვიფება, იმ შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრები მუდამ პასიური ელემენტები იქნებიან კავშირში და უკანასკნელიც უილაჯო, სუსტი იქნება და შეიძლება კიდეც მალე დაიშალოს. ამის მაგალითებს კავშირების ცხოვრება მრავალს იძლევა. გამოვდივარ რა ამ შეხედულებიდან მე ვამბობ: თითეული დასახელებული ჯგუფი უნდა მოეწყოს ორგანიზაციულათ მოლიან კავშირის ფარგლებში. ამასთან სახეში მისაღებია შემდეგი დიდათ მნიშვნელოვანი გარემოება. მეტი წილი კავშირების მოქმედობენ ამა თუ იმ ქალაქისა თუ დაბის ფარგლებში, მაშასადამე მათი სამოქმედო რაიონი ძალიან პატარაა, რის გამო ასეთ კავშირს შუშაობა

ულადვილდება. მასწავლებელთა კავშირი კი აერთებს მთელი რესპუბლიკის მასწავლებლობას, მაშასადამე მისი სამოქმედო რაიონი მთელი საქართველოა თავისი მეტად მოუწყობელი და მიუვალი განაპირა ადგილებით. ეს გარემოება შესაფერ დაღს ასვამს კავშირის მუშაობას. სცდებიან ისინი ვინც ჩვენი კავშირის სისუსტეს მხოლოთ მასწავლებლის პიროვნებაში ეძებენ. ამაში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მიზეზისა. მთავარი მიზეზი კი სწორეთ ზემოთ დასახელებული გარემოება გახლავთ. ეს გარემოებაც ჩვენ გვიკარნახებს მოხდეს ერთიან კავშირის ფარგლებში შრომის საჭირო განაწილება და ვინც ამ დებულებას გაიზიარებს, იმან უნდა მიიღოს ჩვენი კავშირისათვის სექციური წყობის პრინციპი და სექციებისათვის კი შესაფერი ფილიალების დაარსების საჭიროებაც.

ამ ნაირათ, ჩემის აზრით; ჩვენს კავშირს უნდა ექნეს შემდეგი სახე 1) მასწავლებელთა კავშირი იყოფა განყოფილებებათ, რომელთა რიცხვი უდრის რესპუბლიკის მაზრათა და დიდ ქალაქთა რიცხვს (ქ. ქუთაისი, ქ. თბილისი და ქ. ფოთი,) 2) თითოეული სამაზრო განყოფილება იყოფა სამ სექციათ, 3) თითოეული სექცია იყოფა თავის ფილიალებათ.

ჩემი მოხსენების მიზანს არ შეადგენს იმის აღნიშვნა, თუ რა მოვალეობა აწევს დასახელებულ ორგანოებს კავშირის მიერ დასახულ მიზნების და მიხედვით, ამას საერთოდ განსაზღვრავს კავშირის წესდება. მე შევეხები მხოლოთ იმას, თუ როგორი უნდა იქნეს დასახელებულ ერთეულების შინაგანი ორგანიზაცია და აგრეთვე როგორი დამოკიდებულებაში უნდა იყვენ ეს ერთეულები ერთი მეორისგან დავიწყოთ ძირიდან.

I ფილიალი.

1. კავშირის ძირითადი ორგანიზაცია არის ფილიალი, რომლის ტერიტორიას შეადგენს საერთო სკოლების სექციისათვის თემის ფარგლები, საქალაქო სკოლების სექციისათვის ქალაქი და საშვალო სკოლის სექციისათვის თითეული საშვალო სკოლა ან მათი შეჯგუფება.

შენიშვნა. სექციის დაყოფა ფილიალებათ შეიძლება სხვა პრინციპითაც.

2. ფილიალს ყავს საკუთარი აღმასრულებელი ორგანოები, რომელნიც თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობენ სექციის გამგეობის დირეტქივებით. 3 ფილიალის სამოქმედო ინსტრუქციას ამტკიცებს სათანადო სექცია სამაზრო ან საქალაქო განყოფილებისა.

4. სექციის დადგენილებანი ფილიალისათვის სავალდებულოა.

II სექციები.

1. კავშირის ორგანიზაციის მეორე საფეხური (ძირიდან დაწყებული) არის სექცია—თითოეულ მაზრაში სამი—საერობო სკოლის, საქალაქო სკოლის და საშვალო სკოლის.

2. სექციას ყავს საკუთარი აღმასრულებელი ორგანოები.

3. სექციას აქვს კასა, რომლის სისტემატიურ შემოსავალს შეადგენს საწევრო გადასახადის განსაზღვრული %.

4. სექციების სამოქმედო ინსტრუქციას ამტკიცებს სამაზრო განყოფილების დელეგატთა ყრილობა.

5. სექციის დადგენილებები საერთო პროფესიონალური ან პრინციპიალური ხასიათისა უნდა ეცნობოს სამაზრო ცენტრს დასტურისთვის.

6. სამაზრო ცენტრის დადგენილებები სავალდებულოა სექციისათვის

შენ. თუ რომელიმე სექცია არ იზიარებს სამაზრო ცენტრის დადგენილებას, საკითხი საბოლოოთ წყდება სექციათა გამგეობებისა და სამაზრო ცენტრის შეერთებულ სხდომაზე.

7. სექცია არკვევს და ამუშავებს კავშირის საერთო მოქმედებებისათვის ისეთ საკითხებ, რომელშიდაც ის უშუამავლოთ დაინტერესებულია. ამასთან სექციას თავისი საშვალებებით სისრულეში მოჰყავს. კავშირის უმაღლესი ორგანოების დადგენილებანი.

III სამაზრო ცენტრი.

1. მაზრის ფარგლებში სექციათა მუშაობას ხელმძღვანელობს, აერთიანებს სამაზრო ცენტრი.

2. სამაზრო ცენტრის წევრები ირჩევა მაზრის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაზე სექციისათვის სათანადო პროპორციის დაცვით.

3. სამაზრო ცენტრისათვის სავალდებულოა მთავარი საბჭოს ყველა დადგენილებანი.

4. სამაზრო ცენტრის ინსტრუქციას ამტკიცებს დელეგატთა ყრილობა.

აი ასეთი უნდა იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების შინაგანი წყობა და ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ეხლა მინდა მოგახსენოთ ცოტა რამ საწევრო და სხვა გადასახადებზე. რა მიზნითაც არ უნდა იქნას შემოღებული კავშირის წევრებისათვის გადასახადი, ეს უკანასკნელი უნდა ყველასათვის სავალდებულო იყოს

და მისი გადახდა ჯამაგირიდან გამორიცხვით უნდა ხდებოდეს. აქ შეურაცმყოფელი არაფერი არ არის, საკითხი მხოლოთ მიზან შეწონილობაშია. კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა ეცადონ რომ ეს გამორიცხვა მოახდინონ იმ დაწესებულებებმა ან პირებმა, ვინც ჯამაგირებს უწერს ან ურიგებს მასწავლებელთ. ადგილობრივი განყოფილებანი ყოველ გვარ შემოსავლის 10% აგზავნიან მთავარ კასაში, 90%-ი ადგილობრივი ორგანოები ინაწილებენ.

აი ყველაფერი ის; რაც მე თქვენთვის უნდა მეთქვა ჩემი მოკლე, მოხსენებით. ჩემ მიერ წამოყენებული დებულებების პრაქტიკაში განხორციელება, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ მოგვცემს მეტათ მოქნილ მმოძრავ ორგანიზაციას და ჩვენი საყვარელი კავშირის მოქმედება ერთი ორად განაყოფიერდება.

სასკოლო განათლება.

რესპუბლიკის სკოლების სირეორგანიზაციო კომისიამ თავის უკანასკნელ ოთხი თვის მოქმედების შესახებ ანგარიში შეადგინა, კომისიამ მოასწრო საერთო განათლების სკოლების ძირითადი დებულებების შემუშავება. კომისიის აზრით უნდა მოეწყოს 8 წლიანი ყველასათვის სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება. პირველ კლასში მხოლოდ 6 წლიან ბავშვებს შეუძლიათ შესვლა. ამ სკოლამ ერთნაირი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც ჰუმანიურ, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას აღზრდას და განათლებას საფუძვლათ ამ სკოლაში შრომა ექნება. საშუალო სკოლები იქნება ორ გვარი, საერთო განათლებისა და პროფესიონალური. საშუალო სკოლის კურსი 4 წლიანი არის. პროფესიონალური სკოლები სხვა და სხვა ტიპის იქნება, მაგრამ კომისიამ მოასწრო მხოლოდ კომერციულ და პედაგოგიურ სკოლების ძირითადი დებულების გამომუშავება, თავის მხრივ პედაგოგიური სკოლა ამზადებს, მასწავლებლებს პირველ დაწყებითი სკოლებისათვის. ღმაღლესი პედაგოგიური სკოლა კი ამზადებს მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის. პირველის კურსი არის 5 წლიანი. ამასთანავე პირველი სამი წელიწადი საერთო განათლების მომზადებაზე მიდის, უკანასკნელი 2 წელიწადი კი მეთოდურ პედაგოგიურ მომზადებაზე. საშუალო სკოლების მასწავლებლების მოსამ-

ზადებლათ განზრახულია სპეციალურ ინსტიტუტის დაარსება. ეს ინსტიტუტი შესატყვისია უნივერსიტეტის ფაკულტეტისა. ამ ინსტიტუტში მიიღებენ სპეციალურ განათლებას უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულნი ან ის სტუდენტები, რომლებიც უკანასკნელ კურსზე იქნებიან. კომისიამ ყველა დასახელებული ტიპის სკოლის ძირითადი დებულებები უკვე შეიმუშავა, დაიმუშავა მეცადინეობის გეგმა და გაკვეთილების განაწილებაც მოახდინა. მომავალ სამოსწავლო წელში აღნიშნულ სკოლების პირველი კლასი გაიხსნება. მუშაობა ამ კლასზე უკვე დამთავრებულია. ამასთანავე ამ კლასის დამახასიათებელი თვისება არის წმინდა სასკოლო ელემენტის საბავშვო ბაღთან შეერთება. ეს მოვლენა დროებითია და გამოწვეულია მით, რომ ჯერ-ჯეროობით შეუძლებელია საბავშო ბაღების სისტემის შემუშავება. გარდა ამისა სასკოლო პროგრამებში შეტანილი იქნება ზოგიერთი კორექტივები, რომელიც თვით ცხოვრებით არის გამოწვეული. ზაფხულის თვეები განაწილებულია კომისიის წევრებ შორის სპეციალურ მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლად. (სდს)

ს ი ა

„განათლების“ რედაქციაში შემოსული წიგნებისა.

1. კათ. კირიონ II და გრ. ყიფშიძე. სიტყვიერების თეორია. მოავრიშვილის გამ.
2. პროფ. ა. ვოლფიუსი. . . . საშუალო ისტორიის სახელმ. მისივე.
3. კირილე არველაძე. . . . . არითმეტიკის პროგრამა. მისივე.
4. მ. ყ. ზაალიშვილი. . . ადამიანის ანატომია და ფიზიოლ. მისივე.
5. საქ. ტეხ. საზ. სატ. სექცია. . რუსულ-ქართ. ტეხნიკ. ლექ.
6. ალ. წერეთელი. . . . . მსოფლიო ისტორია. სრაბიძის.
7. დ. დონდუა და ს. ჯაფარიძე. მელაკუდა, წერო და მამლაყიწა. ავტორის
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. . . ხომლელი. წ. ბ. გ. ს.
9. ილია ჭავჭავაძე. . . . . კაცია ადამიანი. მისივე.
10. ნაკადული № 6. . . . . რედაქ.
11. ჯეჯილი № 3. . . . . „
12. კ. ნინიძე და ა. ცისკარაძე. . . . სამართლის მეცნიერება. სრაბიძე და ამხან.
13. ნაკადული. . . . . რედაქ.
14. ჯეჯილი. . . . . რედაქ.
15. ლ. არდაზიანი. . . . სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი. წ. ბ. გ. ს.
16. ვას. ბარნოვი— ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილ. მისივე

17. ს. რ. გორგაძე. . . . . საქართველოს ძველი ისტორია.
მთავრიშ. გამ.
18. გ. ახვლედიანი. . . . . რუსული ენის გრამატიკა.
წ. ჯ. გ. ს.
19. გ. წერეთელი. . . . . მამიდა ასმათი. „ „
20. „ „ . . . . კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა.
„ „
21. ი. ს. ზედგინიძე. . . . . ანბანის სწავლება.
ერაბიძის გამოცემა.
22. იოვანე შავთელი. . . . . აბდულ მესიანი.
წ. ჯ. ს.
23. ილია ჭავჭავაძე. . . . . გლახის ნაამბობი
„ „
24. აკაკი წერეთელი. . . . . თამარ-ცბიერი.
მთავრიშვილის გამ.
25. შიო არაგვისპირელი. . . . . მოთხრობები I—IV.
წ. ჯ. გ. ს.
26. გრ. ნათაძე. . . . . პირველ-ყოფილი კულტურა.
ერაბიძის
57. გ. ჯანაშვილი. . . . . საქართველოს გეოგრაფია.
მთავრიშვილის გამ.
28. ს. რ. გორგაძე. . . . . ჩვენი მწერლობა.
„ „
29. ი. ზედგინიძე. . . . . ახალი ქართული ანბანი.
ერაბიძის გამოცემა.
30. გ. წერეთელი. . . . . რუხი მგელი.—წ. ჯ. ს.
31. ივ. გომელაური. . . . ქართველი მწერლები.—წ. ჯ. ს.
32. ჯეჯილი № 1. . . . . რედაქ.
33. ბელურა და უკადრისა. ქორიანა ცხვარი და აქლემი.—ერაბიძის.
34. მელაკუდა წერო და მამლაყინწა. . . მასხარა და წრუწუნები.
ავტორის.
35. ჯეჯილი № 2. . . . . რედაქ.
36. ი. ს. ზედგინიძე. . . . ანბანის სწავლება.—ერაბიძის.